საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)

გიორგი ქავთარაძე

დასავლური ღირებულებები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში (პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების მოდელი) XIX საუკუნის 60-იანი წლები – XX საუკუნის დამდეგი

სადოქტორო-საგანმანათლებლო პროგრამა: „საქართველოს ისტორია“

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია
ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ვახტანგ გურული**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2012

შინაარსი

ანოტაცია 3

შესავალი (კვლევის აქტუალობა, საგანი და ამოცანები) 7

თავი 1. დასავლური ღირებულებებისა და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ისტორიოგრაფია 12

§ 1. დასავლური ღირებულებების ისტორიოგრაფია 12

§ 2. ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიოგრაფია 31

თავი 2. დასავლური პოლიტიკური ღირებულებები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში 45

§ 1. ილია ჭავჭავაძე დასავლური პოლიტიკური ღირებულებების თაობაზე. 49

§ 2. ნიკო ნიკოლაძე დასავლური პოლიტიკური ღირებულებების თაობაზე. 58

§ 3. გიორგი წერეთელი დასავლური პოლიტიკური ღირებულებების თაობაზე 77

§ 4. სერგეი მესხი დასავლური პოლიტიკური ღირებულებების თაობაზე 90

თავი 3. დასავლური ეკონომიკური ღირებულებები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში. 100

§ 1. ილია ჭავჭავაძე დასავლური ეკონომიკური ღირებულებების თაობაზე. 101

§ 2. ნიკო ნიკოლაძე დასავლური ეკონომიკური ღირებულებების თაობაზე. 105

§ 3. გიორგი წერეთელი დასავლური ეკონომიკური ღირებულებების თაობაზე 120

§ 4. სერგეი მესხი დასავლური ეკონომიკური ღირებულებების თაობაზე 132

თავი 4. დასავლური სოციალური ღირებულებები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში 138

§ 1. ილია ჭავჭავაძე დასავლური სოციალური ღირებულებების თაობაზე. 141

§ 2. ნიკო ნიკოლაძე დასავლური სოციალური ღირებულებების თაობაზე. 147

§ 3. გიორგი წერეთელი დასავლური სოციალური ღირებულებების თაობაზე 153

§ 4. სერგეი მესხი დასავლური სოციალური ღირებულებების თაობაზე 160

დასკვნა 164

წყაროები და ლიტერატურა 173

ა ნ ო ტ ა ც ი ა

სადისერტაციო ნაშრომი „დასავლური ღირებულებები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში (XIX საუკუნის 60-იანი წლები – XX საუკუნის დამდეგი)“ წარმოაჩენს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულ რეალობაში პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ღირებულებების დამკვიდრების პროცესს.

XIX საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული ქართული სამეფო-სამთავროები, პოლიტიკურად, რუსეთის იმპერიის გავლენის სფეროში მოექცნენ. კოლონისტი სახელმწიფო საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში განუწყვეტელ ტერორს ახორციელებდა კავკასიაში. ეს დაპირისპირება კავკასიელი და განსაკუთრებით, ქართველი საზოგადოებისაგან, თავისუფლების, დამოუკიდებლობის მოთხოვნით, სოციალური და ეკონომიკური სიდუხჭირით იყო გამოწვეული. საუკუნის პირველი ნახევარი ეროვნული მოძრაობის (XIX საუკუნის დამდეგის ეროვნული აჯანყებები, 1832 წლის შეთქმულება) გაძლიერებით გამოირჩეოდა, ხოლო მეორე ნახევარში, ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც უმაღლეს განათლებას რუსეთის უნივერსიტეტებში იღებდნენ, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აქტიურ მოღვაწეობას იწყებდნენ. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ საზოგადოებაში პროგრესულად მოაზროვნე დასი გამოჩნდა. მათ კარგად ახსოვდათ კოლონიური რეჟიმის ტერორი და ცდილობდნენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, თავიანთი წინაპრების შეცდომები აღარ გაემეორებინათ. ისინი ეროვნული თვითშეგნების დაკარგვის საფრთხის წინაშე მდგარი ქართული საზოგადოების გამორკვევას და მათი იდენტობების გაცნობიერებას შეუდგნენ. ქართულმა საზოგადოებამ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიო ცივილიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. სამოციანელმა ახალგაზრდებმა მოახერხეს მსოფლიო ცივილიზაციის პროცესში ქართული ცივილიზაცია ჩაერთოთ და ის სიცოცხლისუნარიანი ყოფილიყო მომავალი გამოწვევების წინაშე.

XIX საუკუნეში ქართულ საზოგადოებაში, იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარების შედეგად, ეროვნული თვითშეგნების დაკარგვის საფრთხე დადგა. ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლა უპირველეს ამოცანად დაისახეს **ილია**

ჭავჭავაძემ (1837-1907), **ნიკო ნიკოლაძემ** (1843-1928), **გიორგი წერეთელმა** (1842-1900), **სერგეი მესხმა** (1845-1883) და სხვებმა. მათ ქართველობაში, დასავლური ღირებულებების კონტექსტში, საერთო ისტორიისა და კულტურის ახლებური გააზრებით ეროვნული თვითშეგნება გააღვივეს. თავისუფლების, კანონის უზენაესობის, თანასწორობის, საბაზრო ეკონომიკის, კაპიტალიზმის, ინდივიდუალიზმის, დემოკრატიის შეფარული, თუ ღია მოწოდებით. რუსეთის იმპერიის კოლონიურ რეჟიმს ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება ორგანიზებული, მომავალი ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიური („დასავლური ღირებულებებით“ აღჭურვილი) ფორმებით დაუპირისპირდა, რომელმაც იმპერიისა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გამოწვევა მიიღო. ისინი დასავლური ღირებულებების დასამკვიდრებლად, ჟურნალ-გაზეთებით ქართულ „პრიზმაში“ (გონებაში) გატარებულ, გააზრებულ და გათვითცნობიერებულ პროპაგანდას ეწეოდნენ, რის შედეგადაც თანამედროვე ქართული ღირებულებების ჩამოყალიბება დაიწყო.

სადისერტაციო ნაშრომში, დასავლური ღირებულებები გაანალიზებულია თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მეთოდოლოგიით და შესწავლილია მათი ისტორიული განვითარება. ერთის მხრივ, ფრანგული, გერმანული, ინგლისური და ამერიკული სკოლების ისტორიის გააზრების მეთოდოლოგით და მეორეს მხრივ, ქართული ჰუმანიტარული აზროვნების მიღწევებით, მოცემულია ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ახლებური შეფასება. ასევე, შესწავლილია თანამედროვე დასავლური ღირებულებების ისტორიოგრაფია და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების შესახებ ისტორიოგრაფია. მათი სინთეზის საფუძველზე კი, გაანალიზებულია **სერგეი მესხის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ილია ჭავჭავაძის** აზროვნების მიღწევები დასავლურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ღირებულებებზე. ახსნილია, თუ რატომ მიიჩნევდნენ მისაბაძად, დასავლურ სამყაროში წარმოშობილ და განვითარებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სისტემებს და რატომ ეწეოდნენ დასავლური ღირებულებების პოპულარიზაციას ქართულ სინამდვილეში. დასაბუთებულია, XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში დასავლური ღირებულებების საკითხის აქტუალობა, როგორც XXI საუკუნეში ქართველი ერის თვითშეგნების შეცნობა და საქართველოს, როგორც სახელმწიფოს არსებობის მტკიცე საფუძველი და გარანტი.

Annotation

Dissertation on „The western values in Georgian social and political thinking (XIX century the sixties and the beginning of XX century)“ Represents from the second half of XIX century the reality of Georgian political, economic and social establishing process of cultural values. From the beginning of XIX century Georgian kingdom-principalities, politically, became under the sphere of influence of Russian Empire. Colonial Russian was implementing the endless series of terror in Caucasus. This antagonism towards Caucasian and especially Georgian society had been arisen for the desire of their independence, the demand for freedom, social and economic difficulty. The first half of the century national movement (from XIX century national rebellion and in 1832 conspiracy) was deafer from the second half where, Georgian young people, who got higher education in Russian universities, coming back in mother country, were starting their activities. From the XIX century sixties in Georgian society appeared actively minded progressive group. They perfectly well remembered Colonial regime of terror and they were trying to fight against Russian and not to repeat the mistakes of older generation. They stated ascertainment of national identity and reflection of Georgian society. From the second half of the XIX century Georgian society had made the important transformation. The youth of sixties managed to enlist Georgian civilization in the world's civilization progress and that could be viable for the future challenges.

XIX century in the Georgian society, as a result of implementation of the Imperial Russian policy has arisen the threat of loss the national identity. To fight against this problem was the real esteem for **Ilia Chavchavadze** (1837-1907), **Niko Nikoladze** (1843-1928), **Giorgi Tsereteli** (1842-1900), **Sergey Meskhi** (1845-1883) and others. They managed to alive in Georgian society in the frame of the western values, common history and conceptualize national identification with freedom, the primacy of rule, equality, market economy, capitalism, individualism, with the hidden or open call of democracy.

Towards colonial Russian Empire, Georgian society's political thoughts with the („Western Values“) opposed, that got a challenge from the Empire and the procedures that had been happening in the world. For the establishing western values they with the help of

Georgian journal-magazines „prism“ (through mind), promoted and had a cognizant promulgation, that resulted in the formation of values in modern Georgian.

Dissertation in the humanities and modern Western values are analyzed and studied the historical development of the methodology. On the one hand, French, German, English and American school systems methodological understanding and on the other hand the achievements of Georgian humanity intellection. Also the historiography of modern western values and Georgian social-political historiography has been studied thoroughly. And based on that synthesis it had been analyzed by **Sergey Meskhi, Giorgi Tsereteli, Niko Nikoladze** and **Ilia Chavchavadze's** achievements in understanding the western political, economical and in social values. It has been explained why they considered the western world's political, economical and social systems as the model and why they promote the western values in Georgian reality. It had been proved already that in XIX century in Georgian social-political understanding the topic of the western values was actual as in XXI century Georgian nation recognition and Georgia itself as a strong basis and guarantee for existence.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

(კვლევის აქტუალობა, საგანი და ამოცანები)

კავკასიის რეგიონისათვის, კონკრეტულად საქართველოსათვის, ისტორიული პროცესის დრამატიზმი მრავალჟამიერია. აღმოსავლური თუ დასავლური პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ფორმების გავრცელება, შესაბამისი ღირებულებებისაკენ სწრაფვა - თუ პოლიტიკური ორიენტაციის დილემით გამოწვეული აზროვნების კრიზისი? - საქართველოს ისტორიის თანამდევი ტრაგიზმია.

XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეების გააზრებულ დასავლურ ღირებულებებს, კონცეფციებს, რეკომენდაციებს, ჯერ კიდევ, არ დაუკარგავთ აქტუალობა ქართველთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. მეტიც, თუ კი დღეს ქართველი საზოგადოება, მით უმეტეს, პოლიტიკური ელიტა მათ ახლებურად გაიაზრებს, ისინი თუ არ აღემატება, არაფრით ჩამოუვარდება დღევანდელი დასავლელი ექსპერტებისა, თუ საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციების რეკომენდაციებს და მითითებებს. მათ ქართული გონის პრიზმაში გაატარეს XIX საუკუნემდე და განსაკუთრებით XIX საუკუნეში წარმოშობილი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემები, რის საფუძველზეც მნიშვნელოვანი თეორიები შეიმუშავეს იდეათა „ლაბორატორიაში“.

დასავლური ღირებულებების დამკვიდრება გვაინტერესებს, არა იმდენად, რამდენადაც თავად დასავლური ღირებულებების ადგილი და როლი ქართულ საზოგადოებაში, არამედ როგორც ალტერნატივა აღმოსავლური ღირებულებების და როგორც „საერთო ნიადაგი“ (არჩილ ჯორჯაძე 1905) თანამედროვე ქართული ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის... როგორც შუა საუკუნეების მეცნიერული აზროვნება „ადამის წიაღს“ უბრუნდებოდა, ისე XIX-XX საუკუნეების აზროვნება პრეისტორიას დაუბრუნდა, ხოლო თანამედროვე მეცნიერება, სწავლება (studio) კი ორივე „წიაღისკენაა“ ორიენტირებული... თანამედროვე ინფორმაციულ, თუ კომუნიკაციურ ერაში (იუნგერ ჰაბერმანსი 1983) ადამიანის აზროვნების და საერთოდ, ცხოვრების განვითარების საფუძველი, ინფორმაციის გავრცელებისა და კომუნიკაციის საშუალებების სწრაფი განვითარებაა. ამ უკანასკნელის შედეგია „ფეისბუქის“ თაობის გაჩენა. თუ წარსულ ღირებულებათა სისტემა არ იქნება გააზრებული, მაშინ მომავალი

თაობებისათვის „ისტორიის დასასრულის“ (ფრენსის ფუკუიამა 1992) პრობლემა შეიძლება უფრო აქტუალური გახდეს.

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიის შესწავლისას აუცილებელია, საქართველოს დემოგრაფიული სურათის გაცნობიერება. უახლეს ისტორიაში, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა დრამატულად იცვლებოდა. „POPULATION STATISTICS: historical demography of all countries, their divisions and towns“ („მოსახლეობის სტატისტიკა: ყველა ქვეყნის ისტორიული დემოგრაფიის მონაცემების“- გ.ქ.) ვებ-გვერდის (www.populstat.info) მიხედვით, სადაც მოცემულია მოსახლეობის სტატისტიკა, ქართველების რაოდენობა 1850 წელს 1.0 მილიონს აღწევდა (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების მოსახლეობა, აჭარის გარეშე). როცა ქართულ საზოგადოებაში „თერგდალეულებმა“ დაიწყეს აქტიური მოღვაწეობა და თავიანთი აქტიურობით „გამოაღვიძეს“ ერი, ამას შედეგად მოჰყვა დემოგრაფიის დრამატული ცვლილება, ნახევარი საუკუნის შემდეგ დაახლ. 1910 წლისათვის ქართველმა მოსახლეობამ 2.5 მილიონი შეადგინა. ნახევარ საუკუნეში 1.0-დან - 2.5 მილიონამდე მოსახლეობის გაზრდაში ქართველი სამოციანელების როლი უდიდესია, რადგან მათ ერში ეროვნული თვითშეგნება გააღვივეს და იმ დროის მოთხოვნების შესაბამისი ეროვნული იდენტობები აღმოაჩინეს და გაავრცელეს ხალხში. ეს ყოველივე ქართველობის დემოგრაფიული განვითარების ერთ-ერთი საფუძველი გახდა.

თანამედროვე საქართველოს ისტორიის განვითარების საფუძველი XIX საუკუნეშია, იქ სადაც „თერგდალეულებმა“ დასავლური ღირებულებები ახლებურად გაიაზრეს და ჩამოაყალიბეს. მათ შეიმუშავეს ქართული საზოგადოებისა და საქართველოს განვითარების კონცეფციები.

დასავლური ღირებულებები იყოფა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ მიმართულებებად. კულტურული მიმართულება სხვა დარგის სპეციალისტის შესწავლის საგანია და ჩვენ მას ფართო მნიშვნელობით არ შევეხებით. ის ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის საგანს არ შეადგენს. გარდა ამისა, საკითხი იმდენად დიდია, რომ ცალკე კვლევას და მონოგრაფიას მოითხოვს. თუმცა, პირველი სამი მიმართულება უშუალო კავშირშია კულტურასთან და მათი შესწავლა და გარკვევა, თავისთავად, სხვადასხვა კუთხით კულტურის შესწავლასაც გულისხმობს. ამ მიმართულებებში თანამედროვე დასავლური ღირებულებების ასპექტებად შეიძლება გამოიყოს:

1. თავისუფლება

2. კანონის უზენაესობა

3. თანასწორობა

4. საბაზრო ეკონომიკა

5. კაპიტალიზმი

6. ინდივიდუალიზმი

7. დემოკრატია

თითოეულ ღირებულებას თავისი განვითარების ისტორია და ისტორიოგრაფია აქვს. იხ.: თავი 2. „დასავლური ღირებულებებისა და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიოგრაფია“ - § 1. „დასავლური ღირებულებების ისტორიოგრაფია“.

ეს ის ღირებულებებია, რომლებზედაც დაყრდნობითაც განვითარდა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება. აქედან გამომდინარე, ჩვენი ინტერესი აღნიშნულ პერიოდში (XIX საუკუნის 60-იანი - XX საუკუნის დამდეგი) ქართველ მოაზროვნეთა ნაწერებისადმი არის მიმართული. რუსეთში დასავლურ განათლებამიღებული ქართველი ახალგაზრდები სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, დასავლური ღირებულების, იდეების პროპაგანდას აქტიურად იწყებდნენ. სადოქტორო ნაშრომის კვლევის ობიექტია მაშინდელ ქართულ საზოგადოებაში დასავლური ღირებულებების განვითარება. საკითხის გაანალიზებამდე მნიშვნელოვანია - მოაზროვნეებსა და საზოგადოებას შორის კომუნიკაციის საშუალებების განვითარების საკითხის გარკვევა. ღირებულებებისა და ინფორმაციის გავრცელების მთავარი საშუალება მაშინ გაზეთები და ჟურნალები იყო. ქართული გაზეთის იდეა ეკუთვნის, უკანასკნელი ქართველი გმირი მეფის **ერეკლე მეორეს** (1720-1798) ვაჟს **იოანე ბაგრატიონს** (1768-1830). გერონტი ქიქოძე აღნიშნავდა, რომ ის იყო „ევროპული მოწინავე აზროვნების ერთ-ერთი პირველი გამოვლინება ქართულ მწერლობაში“ (ქიქოძე 1985: 293) და „პირველი ქართველი განმანათლებელი“ (ქიქოძე 1985: 302). იოანე ბაგრატიონის იდეის პრაქტიკული განხორციელება XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა, თუმცა მეორე ნახევრიდან მან ახალი ენერგიით დაიწყო განვითარება. განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან, მაშინ როცა სამოღვაწეო ასპარეზზე „თერგდალეულთა“ დასი გამოჩნდა. შევეცდებით პასუხი გავცეთ კითხვებს: რატომ არის დღეს ჩვენი ყურადღება მიმართული ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნებისაკენ? როგორ განვითარდა ურთიერთობა თერგდალეულებსა და რუსეთის

იმპერიის ცენზურას შორის? ან თერგდალეულებსა და ქართველ საზოგადოებას შორის? რა დასავლურ ღირებულებებზე ამახვილებდნენ ყურადღებას? როგორ და რატომ ავრცელებდნენ და ავითარებდნენ დასავლურ ღირებულებებს? რა იყო მაშინდელი ქართული საზოგადოების განვითარების მთავარი მიზეზი?

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული საზოგადოების განვითარების წინამძღოლი **ილია ჭავჭავაძე** იყო, მან დააარსა ქართული ჟურნალი - **„საქართველოს მოამბე“**, თუმცა ჟურნალმა მხოლოდ ერთი წელი (1863) იარსება და შემდეგ ილიამ მოღვაწეობა განაგრძო იმპერიის მოხელედ: ჯერ მომრიგებელ მოსამართლედ ქუთაისში, ხოლო შემდეგ დუშეთში. მიუხედავად ამისა, ქართული გაზეთის დაარსებისა და არსებობის იდეა ილია ჭავჭავაძეს არ განელებია, მისი თხოვნით და მოწოდებით 1866 წელს ახალი ქართული გაზეთი **„დროება“** დაარსდა, რომლის რედაქტორობაც დაევალა **გიორგი წერეთელს**. გაზეთის გარშემო თავი მოიყარეს სხვა თერგდალეულებმა: **აკაკი წერეთელმა** (1840-1915), **ნიკო ნიკოლაძემ, იაკობ გოგებაშვილმა** (1840-1912), **სერგეი მესხმა** და სხვა. გაზეთი კვირაში ერთხელ გამოდიოდა და მას სახელმწიფოს მხრიდან არანაირი ხელშეწყობა არ ჰქონდა, ფინანსების გარეშე კი მისი არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. **გიორგი წერეთელმა** სწავლის გასაგრძელებლად ევროპაში წასვლა გადაწყვიტა. ამის შემდეგ „დროების“ რედაქტორობა 1869 წელს **სერგეი მესხს** დაევალა. მან 14 წელი უხელმძღვანელა გაზეთს, 1883 წლამდე. ბოლოს ავადმყოფობის გამო, გაზეთი **ივანე მაჩაბელს** (1854-1898) ჩააბარა, თავად კი ორი თვის შემდეგ გარდაიცვალა. გაზეთი „დროება“ **სერგეი მესხის** რედაქტორობის პერიოდში რამდენიმე პერიოდად იყოფა. მისმა სისტემატიურმა და შეუწყვეტელმა მუშაობამ ქართული საზოგადოების განვითარებაში დიდი როლი ითამაშა, ამ ხნის განმავლობაში შეიქმნა სხვა ქართული გაზეთებიც, რომელთა რედაქტორებიც გაზეთ „დროებიდან“ გამოვიდნენ, მათ შორის **ნიკო ნიკოლაძე** და **ილია ჭავჭავაძე**. მძიმე გარემო პირობების მიუხედავად „დროების“ არსებობამ ხელი შეუწყო ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარებას. პუბლიცისტებმა თავიანთი შეხედულებები სხვადასხვა საკითხებზე და განსაკუთრებით დასავლურ ღირებულებებზე განავითარეს. თანაც იმდენად, რომ საჭირო გახდა დამოუკიდებლი ჟურნალ-გაზეთები დაეარსებინათ, რადგან ერთ რედაქციაში მათი განსხვავებული თეორიები ვეღარ თავსდებოდა. პუბლიცისტებს შორის დაპირისპირება დრამატული სახით განვითარდა დამოუკიდებელი რედაქციების პირობებში. ამ პროცესის კულმინაცია 1880 წელი იყო,

როცა ორი რედაქტორი **ნიკო ნიკოლაძე** და **ილია ჭავჭავაძე** პოლემიკამ ისე გაიტაცა, საქმე დუელამდე მივიდა და ერთ-ერთი დაიღუპებოდა კიდეც, რომ არა დუელის დროს ნიკო ნიკოლაძის პოლონელი მეგობრის, სეკუნდანტ **ნიკოლოზ სიმბორსკის** (1849-1881) ტირილი. ამ პროცესის მეორე მხარეს, იდეათა და აზრთა კონკურენციის პირობებში მათი ჟურნალ-გაზეთების წყალობით ქართულ საზოგადოებაში დასავლური ღირებულებების სწრაფი გავრცელება მოხდა. ამრიგად, მათ იდეათა და აზრთა კონკურენციის პირობებში ქართველი ერი მაშინდელი ცივილიზებული სამყაროს განვითარების პროცესში ჩართეს.

სადისერტაციო ნაშრომში შევეცდებით წარმოვაჩინოთ ქართველი მოაზროვნეების ნაშრომებიდან პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების იდეები, ღირებულებები და აზრის განვითარება. ამ იდეების განვითარებამ ქართული ღირებულებების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რაც ქართული ეროვნული (მიხაკო წერეთლისეული გაგებით, რომელიც მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ასპექტებს) იდენტობის საფუძველი გახდა.

XIX საუკუნეში, როდესაც რუსეთმა საქართველოს სამეფო-სამთავროები თავისი იმპერიის კოლონიებად აქცია, ქართველი საზოგადოების ნაწილი თავისუფლების, დამოუკიდებლობის იდეამ შეიპყრო. ნაწილი ეროვნული თვითშეგნების გადაგვარების გზას დადგა. რის წინააღმდეგაც საგანმანათლებლო მოღვაწეობა წამოიწყეს „თერგდალეულებმა“ **ილია ჭავჭავაძის** წინამძღოლობით. ისინი შეფარული, თუ ღია მოწოდებებით ქართველ საზოგადოებაში ავრცელებდნენ დასავლურ ღირებულებებს (თავისუფლების, კანონის უზენაესობის, თანასწორობის, საბაზრო ეკონომიკის, კაპიტალიზმის, ინდივიდუალიზმის, დემოკრატიის და სხვ.) საერთო ისტორიისა და კულტურის კონტექსტში. მათ მიერ გააზრებული და განვითარებული იდეების ტრანსლოკაცია მოხდა XX საუკუნეში, როდესაც საქართველო ორჯერ აღმოჩნდა პოსტკოლონიურ სიტუაციაში. საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის (1918 და 1991 წლებში) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი მათი ნამოღვაწარი იყო.

თავი I

დასავლური ღირებულებებისა და ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ისტორიოგრაფია

სადისერტაციო ნაშრომის - „დასავლური ღირებულებები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში“ - თამატიკის ისტორიოგრაფიას ორი ასპექტით განვიხილავთ:

1. თანამედროვე დასავლური ღირებულებების ისტორიოგრაფია;
2. ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიოგრაფია.

§1. თანამედროვე დასავლური ღირებულებების ისტორიოგრაფია

„თანამედროვე დასავლური ღირებულებების“ დეფინიციის გაგება, დამოკიდებულია დასავლეთის საზოგადოებისა და კულტურის მახასიათებლებზე. თუმცა, აღსანიშნავია ის, რომ როგორც ტერმინების - „დასავლური ღირებულებების“ და „დასავლეთის“ (Occident) გაცნობიერება, ისე მათი გამოყენების კონტექსტი, მუდმივად იცვლებოდა და იცვლება. ის ზოგჯერ გაუგებარიც კი იყო და არის, უფრო სწორად, ყოველთვის არ არის გასაგები. ის მუდმივად განახლებადი და ცვალებადია და სწორედ, ეს თვისება განსაზღვრავს მის მნიშვნელობას და აქტუალობას. დღეს, დასავლური ღირებულებების მატარებელ დომინანტ სივრცედ, ძირითადად, ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ერების საზოგადოებები მოიაზრება. მათი ფასეულობები ყოველდღიურ ცხოვრებაში თავისუფლების, კანონის უზენაესობის, თანასწორობის, საბაზრო ეკონომიკის, კაპიტალიზმის, ინდივიდუალიზმის და დემოკრატიის სახით ვლინდება. თანამედროვე მსოფლიოში, დედამიწაზე ერთი სახელმწიფო მოდელის - ლიბერალური დემოკრატიის - გაბატონების იურიდიული დოკუმენტი **„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაა“**, რომელიც 1948 წლის 10 დეკემბერს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერომ) გენერალურმა ასამბლეამ მიიღო. ეს დოკუმენტი დღევანდელი დემოკრატიული სახელმწიფოების სამართლებრივი ნორმებისა და საზოგადოებრივი მოწყობის სისტემების შექმნის მთავარი წყაროა. ამდენად, მას თანამედროვე დასავლური ღირებულებების განსაზღვრის საშუალებად ვიყენებთ. ის თანამედროვე დასავლური ღირებულებების უზენაესი „მმართველი“ და „ბატონ-პატრონია“. ეს დოკუმენტი მრავალსაუკუნოვანი ისტორიული პროცესების განვითარების მონაპოვარია.

თანამედროვე დასავლური ღირებულებების ისტორიოგრაფიის დაწერა, ფართო მასშტაბით, სადისერტაციო ნაშრომის ფორმატში შეუძლებელია. შევეცდებით მოკლე ანალიზი წარმოვადგინოთ, მათი ისტორიული გაგების გასააზრებლად და გავცეთ პასუხი კითხვებს: რა იყო და არის დასავლური ღირებულებები? როგორ და რატომ იცვლებოდა მისი გაგება? რა უდევს მათ საფუძვლად? რა ისტორიული განვითარება ჰპოვა? და რატომ მიმდინარეობს დღეს, მთელს დედამიწაზე დასავლური ღირებულების „translatio imperii et studi“? აღნიშნულ კითხვებზე პასუხი, ალბათ, ისტორიის პროცესის ტრადიციულ გაგებებში უნდა ვეძებოთ. თანამედროვე დასავლური ღირებულებები, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, ურთიერთგადახლართული სისტემებია. მათ დასამკვიდრებლად დასავლურმა სამყარომ დიდი გზა განვლო. მისი საფუძვლები წარმოჩენილია „ისტორიულად ტრადიციულ ქარგაში“ (კონსტანტინე მეგრელიძე): ანტიკური ხანის ბერძენი და რომაელი ავტორების ნაშრომებში, ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში, აპოლოგეტი მამებისა და შემდგომი თეოლოგების შემოქმედებაში, აღორძინების ხანის ჰუმანისტების ნაწერებში და სხვ.

ისტორიის ცივილიზაციის პროცესი მიმართული იყო და არის საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად და იქ ადამიანთა უფლებების დასაცავად. XIX საუკუნის ევროპული რევოლუციები და XX საუკუნის მსოფლიო ომები თანამედროვე ღირებულებათა სისტემის იურიდიულად დაფუძნების გარანტორი გახდა („ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“). მრავალფეროვანი და ურთიერთგადაჯაჭვული თანამედროვე დასავლური ღირებულებები, ერთიან სისტემაში,რომ ჩამოვაყალიბოთ და წარმოვიდგინოთ, საჭიროა იურიდიულ დოკუმენტად „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ მოვიშველიოთ. აღნიშნულ დოკუმენტში პოლიტიკური,

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ფასეულობები შეიძლება შვიდ ასპექტად წარმოვაჩინოთ:

1. თავისუფლება

2. კანონის უზენაესობა

3. თანასწორობა

4. საბაზრო ეკონომიკა

5. კაპიტალიზმი

6. ინდივიდუალიზმი

7. დემოკრატია

ეს ღირებულებათა სისტემები ერთმანეთს ავსებენ და ურთიერთჰარმონიაში მოდიან თანამედროვე დასავლურ ყოველდღიურ ცხოვრებაში. მათი საფუძვლიანი შესწავლა სადისერტაციო თემის ფორმატში შეუძლებელია, შევეცდებით, ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით, მათი მნიშვნელობის მოკლე მონახაზი წარმოვადგინოთ. სამეცნიერო სისტემაში მათი გააზრებისათვის, პირობითად ვანაწილებთ სხვადასხვა მიმართულებაში:

1. პოლიტიკურ ღირებულებათა სისტემაში: თავისუფლება, კანონის უზენაესობა და დემოკრატია;

2. ეკონომიკურ ღირებულებათა სისტემაში: საბაზრო ეკონომიკა და კაპიტალიზმი;

3. სოციალურ ღირებულებათა სისტემაში: თანასწორობა და ინდივიდუალიზმი.

თანამედროვე დასავლურ კულტურულ ღირებულებათა სისტემაში კი თითოეული მოიაზრება, რაც ამჯერად, სადისერტაციო თემის ცალკე კვლევის ობიექტს არ წარმოადგენს.

1.თავისუფლება. ბანალურ კითხვაზე „რა არის თავისუფლება?“ უამრავი თქმულა და დაწერილა, მათი შესწავლა და ანალიზი სადისერტაციო თემის ინტერესებს სცდება. აქ ყურადღება მიმართულია თავისუფლების ანთროპოლოგიურ გაგებაზე, როგორც პოლიტიკურ ღირებულებათა სისტემაზე. ეს ფასეულობა თანამედროვე ისტორიისა და ცივილიზაციის განვითარების საფუძველია. ამ სისტემის გასაგებად, თუ ქართულ ენას მოვიშველიებთ, მარტივად შეიძლება ითქვას, სიტყვა „თავისუფლება“, არსიდან გამომდინარე, გულისხმობს საკუთარი თავის უფალს. თუ უფრო კარგად ჩავუკვირდებით, ის ადამიანს, ქართველს, საკუთარი თავის ფლობის, კონტროლისაკენ

მოუწოდებს. ეს უკანასკნელი კი, დამოკიდებულია საკუთარი თავის შეცნობაზე („Nosce te ipsum“), რაც არის გარანტორი ადამიანის თავისუფალი არსებობის („Cogito, ergo sum“). „თავისუფლება“ თანამედროვე დასავლური გაგებით (თომას გრინი) პიროვნებისაგან თავის კონტროლს ემყარება - საზოგადოებაში ადამიანის კონტროლს - რაც ადამიანის პიროვნული უფლებებიდან გამომდინარეობს. ადამიანს მოეთხოვება მართოს საკუთარი თავი გარკვეულ პირობებში, გარკვეული ფორმებით. ასე წარმოიქმნება საზოგადოებრივი გარემო, სადაც ერთი ადამიანი მეორეს ახსენებს და მოუწოდებს: „შენი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი“.

თუ ისტორიულ საზოგადეოებებში „თავისუფლებას“, როგორც პოლიტიკურ და ანთროპოლოგიურ გაგებას, უფრო ფართოდ განვიხილავთ, მაშინ აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი იმპერია მოწოდებულია შექმნას ადამიანთა ორგანიზებული ქმედება ერთი მიზნისათვის, ანუ ადამიანის თავისუფლება მიმართოს დაკონსერვებული საზოგადოების სურვილისაკენ. სახელმწიფოს მართვის ნებისმიერი პოლიტიკური მოწყობა – დემოკრატიული, ტირანული, კომუნისტური თუ სხვა - თავისუფლებასთან აზრს კარგავს, როცა ეს უფლება არ არის დაცული. ისტორიულად, ამის კლასიკური მაგალითია რომის იმპერია და იესო ქრისტე. იმპერიების ხანმოკლეობის და დაშლის აუცილებლობის გარანტი ადამიანის თავისუფლების ფენომენია. ადამიანის მისწრაფება და სულისკვეთება მოახდინოს ქვეყნის მართვის ყველა უფლების მონოპოლიზირება, გამოწვეულია „თავისუფლების“ (თანამედროვე გაგებით) გაუცნობიერებლობით. ამას ადასტურებს **ევსები კესარიელის** (დაახ. 260-340) სიტყვებიც: როდესაც „პილატემ იმპერატორ ტიბერიუსს შეატყობინა იესოს მკვდრეთით აღდგომის შესახებ,.. ტიბერიუსმა სენატში მიიტანა ეს ამბავი, რომელმაც იგი უარყო, მიიჩნია, რომ ვიდრე ეს ამბავი გადამოწმებული არ იყო, ძველი კანონის თანახმად სხვაგვარად ვერ შერაცხავდნენ ღმერთად, თუ არა სენატის კენჭისყრითა და დადგენილებით. როდესაც რომაელთა სათათბირომ უარყო ჩვენი მაცხოვრის შესახებ უწყებული სიტყვა, ტიბერიუსმა არ უარყო პირვანდელი აზრი და ქრისტეს შესახებ არაფერი უჯერო არ განუზრახავს“ (ევსები კესარიელი 2007: 51-52) – ამ აზრის ინტერპრეტირებისას **ევსები კესარიელი** იმოწმებს **აპოლოგეტ ტერტულიანეს** (დაახ. 160-225). ამრიგად, უზენაესი ძალაუფლების მფლობელი ვერ აცნობიერებს საკუთარი თავის უფლებებს და მას გაურკვევლობა იპყრობს. შუა საუკუნეებში ქრისტიანობასა და „რომის იმპერიებს“ შორის შერიგება, როგორც რუსი ფილოსოფოსი **ნიკოლოზ ბერდიაევი** (1874-1948)

წერდა, გამოწვეული იყო იმით, რომ „მხოლოდ ქრისტიანობა ხსნის და ამტკიცებს ადამიანური არსებობის ორპლანიანობას; ქრისტიანობის თანახმად, ადამიანი ყოფიერების ორ პლანს ეკუთვნის, სულიერს და ბუნებრივ-სოციალურს, სამეფოს ღვთისას და სამეფოს კეისრისას, თავისუფლებას და აუცილებლობას“ (ბერდიაევი 2001: 42). თუმცა, ქრისტიანული აზროვნება ადამიანის თავისუფლების გაგებას მუდამ პირვანდელ დეფინიციასთან აბრუნებდა და აბრუნებს.

ახალი ისტორიის ეპოქაში ევროპულმა და ამერიკულმა რევოლუციებმა „თავისუფლება“ პოლიტიკურ სისტემად ჩამოაყალიბა, ფრანგი განმანათლებლების დეფინიციებს XIX საუკუნეში პოლიტიკური ელემენტები შეემატა. იურიდიულად, XX საუკუნეში მან დედამიწის მასშტაბით, „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში“ ჰპოვა ასახვა. ამ დოკუმენტის პირველი მუხლში აღნიშნულია: „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით“ (www.lexilogos.com). მეორე მუხლში გრძელდება: „ამ დეკლარაცით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს...“ (www.lexilogos.com). და მესამე მუხლი: „ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება“ (www.lexilogos.com).

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლების ფორმალური განსაზღვრება გაგებულია, როგორც სხვებისადმი დაუმორჩილებლობა. ადამიანის თავისუფლება კონსტატაციის ან აღწერის საგანია. ის აბსოლუტურად თავისუფალია მაშინ, როცა აზრით თავისუფალია. ეს არის თვისუფლების ფუნდამენტური კონცეფცია. მის საწინააღმდეგოდ კი, არანაირი ეკონომიკური და სოციალური ემანსიპაცია არ შეიძლება განხორციელდეს (Monique Canto-Sperber 2003).

XIX საუკუნის ავტორები თავისუფლებას უფრო ფართო განსაზღვრებას აძლევდნენ. ინგლისელი ფილოსოფოსისა და სოციალ-ლიბერალისტი **თომას ჰილ გრინი** (1836-1882) ერთ-ერთ თავის ნოვატორულ ესეში სიტყვა „თავისუფლების“ ორ მნიშვნელობაზე ამახვილებდა ყურადღებას:

1. თავისუფლება არის განთავისუფლებად გაგებული თავისუფალი მოქმედების უნარი;

2. თავისუფლება არის საკუთარ თავზე ბატონობის მიმართება.

XIX საუკუნეში ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების თვისობრივი ცვლილება და მისი ახლებური გზით განვითარება მეტწილად ილია ჭავჭავაძეს უკავშირდება. ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების რეფორმატორი და წინამძღოლი ილია ჭავჭავაძე იყო. ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით, ამის დასტურად მისი მეტაფორული ნააზრევი ჩამოყალიბებულია მისივე „პოლიტიკურ მანიფესტში“ - „მგზავრის წერილებში“. საუკუნე-ნახევრის წინ **ილია ჭავჭავაძე** ალეგორიებით ცდილობდა ქართველი ერის გამოღვიძებას. ქართული იდენტობების შეცნობას და საქართველოში (იურიდიულად – რუსეთის კოლონიებში: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში) ევროპული translatio rovolutii (გ.ქ.) განხორციელებას.

თუ რა საშუალებით და როგორ შეიძლებოდა XIX საუკუნის ქართული საზოგადოების გამოღვიძება? ილია ჭავჭავაძემ მდინარე თერგის ბუნებრივ თვისებებში აღმოაჩინა: „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი...“ (ჭავჭავაძე 1988: 23). სწორედ თერგის მსგავსად დღე და ღამ მოუსვენრობით, მოძრაობით, შეიძლება მიღწევა საწადელისა, ილია აღტაცებულია თერგის თვისებებით, რომელიც სტეფანწმინდაში დაღამებისას კიდევ ერთხელ შეიცნო „ყველა დადუმდა და შენ არ სდუმობ, თერგო! მერწმუნეთ, მე მესმის ამ ხმაგაკმენდილს ქვეყანაში თერგის დაუჩუმარი ჩივილი...“ (ჭავჭავაძე 1988: 24).

თავისუფლების შესახებ ფრანგი ეპისკოპოსისა და თეოლოგის **ჟაკ-ბენი ბოსსუეტის** (1627-1704) შეხედულების ინტერპრეტირებისას **ილია ჭავჭავაძე** წერდა: „თავისუფლება იგი ყოფა-მდგომარეობაა ადამიანისაო, ამბობს ბოსსუეტი თავის მსოფლიო ისტორიაში, საცა ყოველი ემორჩილება მარტო კანონსა და საცა კანონი უძლიერესია ყოველ ცალკე კაცზედაო; ასეთის თვალით უყურებდა თავისუფლებას ძველი რომაელი და ძველი ბერძენიო. ეს ჭეშმარიტი და ზედმიწევნილი მნიშვნელობა თავისუფლებისა ახლაც ცნობილია და აღიარებული ახლანდელ მეცნიერთა და სახელმწიფოთაგან. ჭეშმარიტი, რიგიანი აგებულება და წყობილება კაცთა საზოგადოებისა სწორედ ამ ქვაკუთხედზედ უნდა იყოს ამოყვანილი. საცა ეგ არ არის, იმ კაცთა საზოგადოებური ცხოვრება, რომელიც ერთმანეთზედ დამოუკიდებლად და გადუბმელად შეუძლებელია, მარტო ძალმომრეობაა, ერთმანეთის თელვაა, ერთმანეთის ჩაგვრა და ძარცვა-გლეჯა. მაშინ ყოფა ადამიანისა ნადირთ ყოფაა და ადამიანი, ეგ კერძი

ღვთისა, ნადირად გადაქცეულია, იმიტომ, რომ თვითვეულის სვე-ბედი თვითვეულის ფარ-ხმალით საგერი და სატევია და არა საერთო მფარველობისა და შემწეობისაგან ნათავდებები და დაკუთვნებული. ამ ყოფით ცხოვრება ცნობიერს და ჭკვათამყოფელს სულიერს არ შეუძლიან და თვით იმ კრებულს ჭკვათამყოფელს სულიერთა, რომელსაც ჩვენ კაცთა საზოგადოებას ვეძახით, მიზეზი არსებობისა და ყოველივე მნიშვნელობა ეკარგება და უბათილდება“ (ჭავჭავაძე 1887: 1-2). ქართული ისტორიული პროცესის განვითარებისათვის კი „თავისუფლებას“ სხვა დატვირთვაც ჰქონდა. **ილია ჭავჭავაძე** თავის „მანიფესტში“ („მგზავრის წერილებში“), თავისუფლება და დამოუკიდებლობა დაკარგულ ქართველ ხალხს **ლელთ-ღუნიას** სიტყვებით ახსენებდა: **„ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუნდეს“** (ჭავჭავაძე 1988: 30). ეს სატკივარი ილია ჭავჭავაძემ ორიგინალურად, მხატვრული ფორმით ჩამოაყალიბა: „მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი. **„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“** - სთქვი შენ და მე გავიგონე“ (ჭავჭავაძე 1988: 32).

2. კანონის უზენაესობა. კანონის უზენაესობა, ისევე როგორც სხვა დასავლური ღირებულებები ყოველდღიურ ცხოვრებაში და ისტორიის პროცესში ურთიერთგადა-ხლართული სისტემაა. შესაბამისად მასზე ყურადღებას ვამახვილებთ სხვადასხვა საკითხების განხილვისას. აქ, შევეცდებით წარმოვაჩინოთ კანონის უზენაესობის ტრადიციული გაგება და მისი ისტორიოგრაფია. თანამედროვე გაგებით „კანონის უზენაესობა“ ისტორიკოსთა შესწავლის ობიექტი არ გამხდარა, თუმცა ავტორთა ყურადღება მიმართულია მისი გენეზისის, ისტორიულად იდენტური სტრუქტურის შესწავლისადმი.

დღევანდელ მსოფიოში გაბატონებულ უზენაეს კანონს წარმოადგენს 1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული - საერთაშორისო აქტი **„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“** (www.lexilogos.com). ის არის მთავარი წყარო დღევანდელი სახელმწიფოების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მიმართულებების განვითარებისათვის. ევოლუციონისტური თვალსაზრისით, ეს დოკუმენტი არის ცივილიზაციის ისტორიის მონაპოვარი და ის არის შედეგი ანტიკური ეპოქიდან განვითარებული დასავლური ღირებულებების. ამ დოკუმენტის უშუალო წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს 1789 წელს საფრანგეთის რევოლუციის დროს მიღებული **„ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“**, რაც გახდა საფუძველი

XIX საუკუნის დასავლური ღირებულებებისა და აზროვნების განვითარების. დასავლურ ღირებულებათა სისტემაში კანონის უზენაესობის უფრო ღრმა საფუძვლები ანტიკურ და ქრისტიანულ აზროვნებაშია მოსაძიებელი. ძველ ბერძნულ და რომაულ რაციონალისტურ კულტურას, უპირველეს ყოვლისა, ონტოლოგია აინტერესებდა, მაკროკოსმოსის კანონზომიერებათა ახსნას მიელტვოდა. ადამიანი იქ ყურადღებას იპყრობდა, როგორც ბუნების მწყობრი სისტემის ერთ-ერთი საფეხური - ,,საზოგადოებრივი ცხოველი". ლოგიკა და ფიზიკა წინა პლანზე იდგა, სინამდვილის ინტელექტუალურ-რაციონალისტური განსჯა მიმართული იყო ფილოსოფიისაკენ, ხოლო ბიბლიურ სამყაროში ფილოსოფიის ადგილი წინასწარმეტყველმა, მახარობელმა, თუ მოციქულმა დაიკავა. მათ ჭეშმარიტება ხილულად, ხშირად კი უხილავად, ცნებებით გამოუხატულ შინაარსად ეცხადებოდათ. ისინი უზენაესს უფრო თავიანთი ნებელობით წვდებოდნენ. ფსიქოლოგია, როგორც პიროვნული ფსიქოლოგია და ეთიკა აქტუალური გახდა, ხოლო ზნეობრივი აღზრდა და ,,საქმის ფილოსოფია" უმნიშვნელოვანესი.

ქრისტიანული მსოფლმხედველობა კანონის უზენაესობას ბიბლიის ტექსტებით საზღვრავდა. რომის იმპერიისა და ქრისტიანობის ფასეულობათა სინთეზით შუა საუკუნეებში შეიქმნა პოლიტიკური იდეოლოგია - ხელისუფლების უფლისგან მომდინარეობის შესახებ და შესაბამისად უზენაესი კანონების ერთი პიროვნების ხელში ლეგიტიმაციას ახდენდა. ძველ აღთქმაში **დანიელ წინასწარმეტყველი** ბაბილონის მეფე **ნაბუქოდონოსორ II-ს** (დაახ. ქ. შ. 634-562) მიმართავს: „მეფეო, შენ ის მეფეთა მეფე ხარ, რომელსაც ზეციერმა ღმერთმა ხელმწიფება, ძალა და დიდება უბოძა" [დან. 2, 37]; ასევე: „მიეცა მას ხელმწიფება, დიდება და მეფობა, რათა ყველა ხალხი, ტომნი და ენანი მას ემსახურონ. მისი ხელმწიფება საუკუნო ხელმწიფებაა, ბოლო არ ექნება მას და მისი სამეფო არ დაიქცევა". [დან. 7, 14] ახალი აღთქმა **იესო ქრისტეს** პირით იგივეს ქადაგებს: „მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმერთისა" [ლუკ. 20, 25], [მარკ. 12, 17], [მათ. 22, 21]. პილატესადმი მიმართული იესოს სიტყვები: „არ გექნებოდა არავითარი ხელმწიფება ჩემზე, მაღლიდან რომ არ მოგცემოდა. ამიტომ უფრო დიდი ცოდვა აქვს მას, ვინც ჩემი თავი გადმოგცა შენ" [იოან. 19, 11] მსგავსის გამომხატველია. **პეტრე** და **პავლე** მოციქულების ეპისტოლეებში დადასტურებულია საერო ხელისუფლების ღვთისგან მომდინარეობა: „პატივი ეცით ყველას; გიყვარდეთ ძმობა; გეშინოდეთ ღმერთის; პატივი მიაგეთ მეფეს" [1. პეტრ. 2, 17] და „დაე, ყოველი სული უზენაეს

ხელმწიფებას დაემორჩილოს, ვინაიდან არ არსებობს ხელმწიფება, თუ არა ღმრთისაგან: დიახ, ყოველი ხელმწიფება ღვთის მიერ დადგენილია“ [რომ. 13, 1]. ყოველივე ზემოთ ხსენებული შუა საუკუნეებში ქრისტიანული-დასავლური სახელმწიფოს პოლიტიკური მოდელის ჩამოყალიბების ფუნდამენტურ საფუძვლად იქცა.

მოგვიანებით, უზენაესი ხელისუფლების განხორციელება ეფუძნებოდა ახალი ისტორიის დაწყებას, ანუ ახალი იმპერიის ჩამოყალიბებას, რომელიც კვლავ ძველი იმპერიების მემკვიდრედ აცხადებდა თავს. რაც რენესანსულ საზოგადოებას წარმოშობდა. პოლიტიკურ ღირებულებათა სისტემაში აბსოლუტიზმი და კულტურულ ღირებულებათა სისტემაში რენესანსი გახდა საფუძველი ახალი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების, ანუ ძალაუფლების დანაწილების და ახალი ცხოვრების დაწყების გარანტორი, რა თქმა უნდა ანტიკურ და ქრისტიანულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული. ახალი ცხოვრების ღირებულებათა სისტემა თავისთავად მოიცავდა ეკონომიკურ და სოციალურ სისტემებს.

აღმოსავლეთში, კონკრეტულად საქართველოში ჯერ მონღოლურმა ჯალაბობამ (XIII-XIV სს.), ხოლო შემდეგ ოსმალეთისა და ირანის გაბატონებამ (XV-XVIII სს.) დასავლური ღირებულებების განვითარება შეაჩერა. დასავლური ღირებულებზე განვითარებული საზოგადოების მიღწევები საოცნებო გახდა. ისტორიის პროცესის განვითარებით, დასავლური ღირებულებების კვლავ განვითარების შემდგომ მცდელობებს სხვა შემაფერხებელი გარემო პირობები შეხვდა. დასავლეთში შედარებით სტაბილურმა გარემო პირობებმა განვითარების სხვა ფაზაში გადაინაცვლა. განსაკუთრებით XVIII საუკუნის საფრანგეთში განმანათლებლობამ ახალი, რადიკალურად განსხვავებული ცხოვრების წესები განავითარა. კანონის უზენაესობის თვალსაზრისით, ხელისუფლება ხალხის ხელში უნდა გადასულიყო. ერთპიროვნული მმართველობა მრავალპიროვნულ მმართველობას უნდა შეეცვალა, ამ იდეებმა საზოგადოებაში განვითარება ჰპოვა, რამაც პოლიტიკურად ახალი ხელისუფლების მოდელი ჩამოაყალიბა - რევოლუციური გზით, ლიბერალური დემოკრატია. შესაბამისად, დაიწყო მთელს მსოფლიოში, ამჯერად მთელს დედამიწაზე ფრანგულ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ღირებულებათა სისტემის გავრცელება, რაც თავისთავად ორმაგ დონეზე ხორციელდებოდა: translation imperii et studii.

ახალი დროიდან, უფრო სწორად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის რევოლუციების შემდეგ, ისტორიის პროცესი მსოფლიოში კანონის

უზენაესობის დასამყარებლად, უკვე მრავალგზის ისტორიულ ტრადიციას ეყრდნობოდა და თუ სადმე სათანადო ცოდნა არ ჰქონდათ, ის მაინც სტრუქტურულ მსგავსებას ავლენდა შუა საუკუნეების პროცესებთან. შუა საუკუნოვანი ქრისტიანი მოაზროვნეები ისტორიის და მისი დასასრულის შენარჩუნებას მთელი ძალებით ცდილობდნენ. როგორც XIX საუკუნეში გიზომ ისტორიის ევოლუციის მწვერვალი ბურჟუაზიის ტრიუმფში დაინახა, ისე ფეოდალური საზოგადოება თავისი ორი გაბატონებული კლასით - რაინდობა და სამღვდელოება (chevalerie et clergie - ქრეტიენ ტრუელი) - ისტორიის დასასრულად მიიჩნეოდა“ (Le Goff 1964: 246-247). ასეთი გაგება განსაკუთრებით გავრცელებული იყო ახალგაზრდა შეერთებულ შტატებში. ყოფილი კოლონისტები თავიანთი სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობისას, აბსოლუტური სისტემის შეცვლისას, ძველ მსოფლიოს გამოცდილებას იყენებდნენ და ხელმძღვანელობდნენ. რაც ინგლისური იმპერიის ცივილიზაციიდან თავის დასახსნელად მათ ოპტიმისტურად განაწყობდა. ამრიგად, god’s own country („ღმერთის ქვეყანა“-გ.ქ.) – „მეხუთე იმპერია“ ჩამოყალიბდა. წინამორბედი იმპერიის მსგავსად ახალი იმპერიის განვითარება ამერიკის კონტინენტის კოლონიზაციაში გამოვლინდა (s. Manifest Destiny). დაახლ. 1900 წლისათვის ამერიკული იმპერიის იდეა გამართლდა. გახდა აღორძინებული, როცა პაციფისტებმა (მაგ.: ფილიპინებზე) „ცივილიზაციის სინათლე“ კიდევ უფრო დასავლეთით გადაიტანეს. (ჯორჯ ბერკელეისა და იოსიაჰ შტრონგის მოსაზრებები).

აქ არ შევჩერდებით „დემოკრატიის“, როგორც დასავლური პოლიტიკური ღირებულების სისტემის განხილვაზე. ის დღევანდელ ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს და ამიტომ ცალკე საკითხად გამოვყოფთ (იხ. 7. დემოკრატია).

გაეროს გენერალური ასამბლეის, რომლის შტაბ-ბინაც ნიუ-იორკში მდებარეობს, მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებული იურიდიული დოკუმენტის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ამოცანის შესრულებას „...უნდა ელტვოდეს ყველა ხალხი და სახელმწიფო, რათა ყოველი ადამიანი და საზოგადოების ყოველი ორგანო, ნიადაგ გაითვალისწინებს რა ამ დეკლარაციას, მიისწრაფოდეს სწავლა-განათლების მეშვეობით ხელი შეუწყოს ამ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას და მათი საყოველთაო და ეფექტიანი აღიარება-განხორციელების უზრუნველყოფას ნაციონალური თუ საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებებით როგორც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ხალხებში,

ასევე ამ სახელმწიფოების იურისდიქციისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიათა ხალხებში“ (www.lexilogos.com).

3. თანასწორობა. დასავლურ ღირებულებათა სისტემაში თანასწორობის მნიშვნელობის გარკვევისას აღსანიშნავია, რომ როგორც სხვა ღირებულებების, ისე ამ ღირებულების გაგება სხვადასხვა ისტორიულ დროში სხვადასხვაგვარად ხდებოდა. ჩვენ მას ვიყენებთ თანამედროვე ეგალიტარული გაგებით (მაიკლ უოლცერი), რომელიც მიმართულია ყოველდღიური ცხოვრების განვითარებისკენ ყველა სფეროში. იურიდიული თვალსაზრისით, თანამედროვე მსოფლიოში დამკვიდრებული „თანასწორობის“ გაგება ჩამოყალიბებულია „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ პირველი მუხლის პირველ წინადადებაში: „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით“ (www.lexilogos.com). ამ მუხლის გამოძახილი მრავალი ქვეყნის, თუ საერთაშორისო ორგანიზაციის დოკუმენტში აისახა.

ისტორიულად, „თანასწორობის“ ღირებულებათა სისტემის თავდაპირველი გაგება ანტიკური ხანის ფორმულაში „ius respicit aequitatem“ („თანასწორი უფლებების პატივისცემა“) გამოიხატა. შუა საუკუნეების ქრისტიანულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ჩამოყალიბდა დოგმა: „უფლის წინაშე თანასწორობა“. შუა საუკუნეების ქართულმა რენესანსულმა აზროვნებამ აბსოლუტიზმის შეზღუდვის პირობებში ჩამოაყალიბა პოლიტიკური ფორმულა „თანადგომითა და ერთნებობითა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 2008: 407). გენდერული თანასწორობის ქართული აზროვნების ნორმას „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ (შოთა რუსთაველი 1957: 14) - აფორიზმი გამოხატავდა. ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ცნობიერება თანასწორობის შესახებ წარმოჩენილია ანდაზაში: „ყველა კაცი სიკვდილის შვილიაო“.

„თანასწორობამ“ თანამედროვე გაგებით, დასავლურ ღირებულებათა სისტემაში პოლიტიკური საფუძველი საფრანგეთის რევოლუციის (1789 წელი) შემდეგ დაიმკვიდრა. ამ დროიდან ის მიმართული იყო ფეოდალიზმისა და მისი სოციალური იერარქიის შესაცვლელად. სოციალური მიმართულების ღირებულებათა სისტემაში თანასწორობის პრინციპის მთავარ სამართლებრივ საფუძველს კი, ბუნებითი სამართალი წარმოადგენს, რომელიც ყველა ადამიანს თანაბარ პირობებში აყენებს, რაც

ობიექტური თვალსაზრისით, უთანასწორობასთან შეიძლება გამართლებული იყოს. XVIII საუკუნიდან დასავლურ ღირებულებათა სისტემაში თანასწორობის შესახებ მნიშვნელოვანი შეფასებები კეთდებოდა.

ადამიანთა შორის თანასწორი თავისუფლების უზრუნველყოფის სურვილი გამოწვეულია არა რესურსების გათანაბრებით, „არამედ ყველასთვის მოქმედების რეალური შესაძლებლობების გარანტირების მოთხოვნით. სოციალიზმის მიზანი თანასწორობის ფორმალური კონცეფციის რეალიზაცია კი არა, თითოეულისთვის სოციალური ცხოვრების ფარგლებში საკუთარი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარების შესაძლებლობის გარანტიაა“ (კანტო-სპერბერი 2010). თანასწორი თავისუფლების საზოგადოება თავისი არსით უპირისპირდება სოციალურ რეალობას, დამოკიდებულებებისა და პრივილეგიებისგან შემდგარ იერარქიებს, როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ სფეროში. **თოუნი** და მოგვიანებით **ნორბერტო ბობიო** ამბობდნენ, თანაბარი სოციალური თავისუფლების ამა თუ იმ ფორმის ძიება მიმართულია ინდივიდების დაცვისკენ, ისე, რომ მათ შორის განსხვავებები დისკრიმინაციას არ იწვევდეს.

თანასწორი თავისუფლების იდეალი არ იწვევს პირობების მსგავსებას. „თანასწორობა ესაა მრავალი ელემენტისგან შემდგარი იდეა, რომელსაც შეუძლია სიტუაციებისა და ადამიანის ცხოვრების გამომხატველი საშუალებების მრავალფეროვნების გათვალისწინება“ (კანტო-სპერბერი 2010). ამ იდეის კონკრეტული გამოხატულება ამერიკელი ფილოსოფოსის **მაიკლ უოლცერის** რთული ეგალიტარიზმია. **უოლცერი** სხვადასხვა სოციალურ სფეროებს შორის განსხვავებებს განიხილავდა, სადაც თითოეული ცალ-ცალკე ერთი მიმართულების კეთილდღეობას ემსახურებოდა და თანასწორობის განსხვავებულ ფორმებს გამოხატავდა.

თანასწორობის უფლება ნაწილობრივ განსაზღვრული სოციალური პირობებიდან გამომდინარეობს, მაგრამ ის არ არის გარემოებებზე დამოკიდებული. პირიქით უფლებები ესაა პრეტენზიებსა და მოთხოვნებზე (მათი ლეგიტიმურობა დასამტკიცებელია) პასუხის გაცემის სტაბილური ისტორიული ხერხები. მთავარი მათი პრაქტიკული გამართლებაა და არა საკითხის თეორიული დასაბუთება ან ლეგიტიმაცია. თანასწორობის მსგავსი ისტორიული გაგება XIX-XX საუკუნეების სოციალურ-პოლიტიკურ თეორიებთან არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, თანასწორობის უფლების განსაზღვრება საბოლოოდ გაცნობიერებული არ არის. მისი უფრო

საფუძვლიანი შესწავლა და საკითხთა დაკონკრეტება ალბათ, დღევანდელი სახელმწიფოების ღირებულებათა სისტემების ყურადღების ობიექტი უნდა იყოს.

შარლ რენუვიე თანასწორობის ღირებულებათა სისტემაში საკუთრების საკითხის გარკვევისას ასკვნის, რომ ის „საბედისწერო წინააღმდეგობას“ შეიცავს. საკუთრების თანასწორობა სიკეთეა, რადგან თავისუფლების გარანტიას იძლევა, მაგრამ ადამიანების უმრავლესობაში მისი თავისუფალი განხორციელება ხელს უწყობს ამ უფლების დაკარგვას. აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა - როგორ შეიძლება, რომ თითოეულმა შესძლოს საკუთრების შესაბამისი გამოყენების ისე, რომ არ დაზარალდეს საკუთრების თანასწორობა და ინდივიდუალური პროექტების განხორციელება? ჯერ-ჯერობით, ამ კითხვაზე ყველაზე მისაღებ პასუხად, საკუთრების თანასწორობის ზოგადი გააზრებისას **ჰობჰაუსის** მოსაზრება შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საკუთრების თანასწორობა აქსიომად არ უნდა მივიღოთ. პირიქით, საჭიროა ამა თუ იმ საზოგადოების შიგნით მისი განსაზღვრებისა და გამართლების საკითხებზე მუდმივი დისკუსია.

სოციალური თვალსაზრისით, საკუთრება ორი მიმართებით ვითარდება: ერთი - იურიდიულად, როცა საზოგადოებრივი ორგანიზაცია მართლწესრიგის ორგანოების დაცვითი მექანიზმის საშუალებით, საკუთრების მხარდაჭერისა და გამოყენების გარანტიას იძლევა. მეორე - უფრო მნიშვნელოვანია, რადგან საკუთრების ექსპლოატაცია საზოგადოების დახმარებას გულისხმობს. ერთის მხრივ, საზოგადოება საკუთრებაში სამუშაოდ დასაქირავებელ პერსონალს ამზადებს, ხოლო მეორეს მხრივ, საზოგადოება იქ წარმოებული პროდუქციის რეალიზების ბაზარს სთავაზობს. ამიტომ საკუთრებიდან მიღებული მოგების ნაწილის საზოგადოებისთვის დაბრუნების შესახებ მოთხოვნა ლეგიტიმურია. აქ სულაც არაა აუცილებელი საუბარი გადანაწილების ან სოციალური სამართლიანობის შესახებ. **ჰობჰაუსი** საზოგადოების მოვალეობას დასაცავად მიიჩნევდა, რომ ყველას ღირსეულად თანასწორი არსებობის უფლება მიენიჭოს და ასე შეგროვებული სოციალური შემოსავლები ამ მიზნის მიღწევას უნდა ხმარდებოდეს. მაგრამ საკუთრების უფლებასა და გარანტიის უფლებას შორის წონასწორობა მიუღწეველია. დასავლურ ფასეულობათა განვითარებისას მისი გააზრება შეიძლება თავდაპირველ პოზიციებს დაუბრუნდეს.

თანამედროვე დასავლური ისტორიოგრაფიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა თავისუფლების კვაზინორმატიული გაგება ჩამოაყალიბა, რომ თავისუფლების იდეის

ადეკვატური გაგებისას ყოველი საზოგადოება განაწილების ხერხებსაც აწესებს. მათთვის ერთის მხრივ, „კონკრეტული“ თავისუფლება - თავისუფლება აღჭურვილია საშუალებებით, რომ თითოეულს მოქმედების უნარის განხორციელების შესაძლებლობა მისცეს. მეორეს მხრივ, „თანასწორი“ თავისუფლება - თავისუფლება, რომელიც თითოეულისთვის ავტონომიის პირობების უზრუნველყოფის მოთხოვნას გამოხატავს და „ყველა არა თავისუფალის ემანსიპირების“ სურვილს: ერთადერთი გზა, როცა თავისუფლების უფლების განხორციელება და ამ უფლებით სარგებლობა ყველასთვის თანაბრად ქმედითი შეიძლება გახდეს. როგორც კანტო-სპერბერი მიიჩნევს თავისუფლების გაგების ასეთი „სოციალიზაცია“ ლიბერალიზმის მიერ იყო მომზადებული (კანტო-სპერბერი 2010). ისტორიის პროცესში „თანასწორობის“ არსის აპოლოგიისთვის, რაც სოციალური უთანასწორობით არის გამოწვეული ყოველდღიურ ცხოვრებაში, შეიძლება იესო ქრისტეს მიერ მოსწავლეებისადმი ნაქადაგები სახარებისეული სიტყვები მოვიშველიოთ:

„ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი.

ნეტარ არიან მგლოვიარენი, ვინაიდან ისინი ნუგეშცემულნი იქნებიან.

ნეტარ არიან თვინიერნი, ვინაიდან ისინი დაიმკვიდრებენ მიწას.

ნეტარ არიან სიმართლისათვის მშიერ-მწყურვალნი, ვინაიდან ისინი გაძღებიან.

ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულნი იქნებიან.

ნეტარ არიან წმიდანი გულითა, ვინაიდან ისინი ღმერთს იხილავენ.

ნეტარ არიან მშვიდობის მყოფელნი, ვინაიდან ისინი ღმერთის ძეებად იწოდებიან.

ნეტარ არიან სიმართლისათვის დევნილნი, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი“

[მათ. 5, 3-10]

4. საბაზრო ეკონომიკა. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში“ საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ფუნდამენტურ საკითხზე ადამიანის მოღვაწეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში თავისუფალი, თანასწორი, სამართლიანი, სოციალურად დაცული საქმიანობის შესახებ 23 მუხლში აღნიშნულია:

„1. ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარი შრომის თანაბრად ანაზღაურებისა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

3. ყოველ მუშაკს აქვს უფლება იღებდეს სამართლიანსა და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას თვითონ მისთვის და მისი ოჯახისათვის და რომელსაც, როცა აუცილებელია, ემატება სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახსრები.
4. ყოველ ადამიანს აქვს უფლება შექმნას პროფესიული კავშირები და შევიდეს პროფესიულ კავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად“.

საბაზრო ეკონომიკა გაჭირვების წინააღმდეგ პროტესტით იკვებება, გაჭირვების, რომელსაც ამდენი მამაკაცი და ქალი განიცდის. მისი წყაროა სურვილი - არ შეურიგდეს იმას, რომ მრავალი ადამიანის სიცოცხლე უძლურობით, სიღატაკით, უიმედობით არის გაჯერებული. ეს სენტიმენტალიზმი კი არა, ადამიანთა სიღარიბის წინაშე მორალური და პოლიტიკური მგრძნობიარობის გამოხატვა, აგრეთვე საერთო კეთილდღეობის მოქმედების მოტივაციაა.

საბაზრო ეკონომიკა გამომდინარეობს აღწერებიდან და ანალიზებიდან, მაგრამ ასევე განწყობილებებიდან და რეაქციებიდან, რომლებიც შორს სცდება პოლიტიკური მოძრაობებისა და თეორიული არგუმენტების ჩარჩოებს. **დიურკჰეიმი** საბაზრო ეკონომიკის შესახებ წერდა: „არ არის მეცნიერება, თავისებური მინიატურული სოციოლოგია, ეს ტკივილის ზოგჯერ კი მრისხანების ყვირილია, რომელსაც ის ადამიანები გამოსცემენ ყველაზე მწვავედ, რომ შეიგრძნობენ ჩვენს კოლექტიურ სირთულეებს“. ამ ყვირილს თავისი საფუძველი რეალობის აღწერისა და გაგების გარკვეულ ხერხში აქვს: მისი სათავეა მტკიცე რწმენა, რომ გაჭირვება არა მხოლოდ ბუნებრივი აუცილებლობიდან აღმოცენდება არამედ მას იწვევს სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებიც, რომლებზედაც ადამიანებს შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა. საბაზრო ეკონომიკა უპირველეს ყოვლისა შთაგონებულია სურვილით დაიცვას თითოეულის შესაძლებლობა იცხოვროს პირადი სოციალური და ეკონომიკური ჩაგვრისგან თავისუფალმა.

საბაზრო ეკონომიკის განვითარების დასავლური ღირებულება ძირითადად შეერთებულ შრომას ემყარება, რაც ასოციაციების შექმნაში გამოიხატა. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 20 მუხლში აღნიშნულია: „1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების თავისუფლებისა. 2. არავის იძულება არ შეიძლება რაიმე ასოციაციაში შესასვლელად.“

5. კაპიტალიზმი. თანამედროვე ფრანგი ფილოსოფოსი **მონიკ კანტო-სპერბერი** ლიბერალური და სოციალისტური ფესვების, ძიებებს შორის შეხების წერტილების პოვნას ცდილობს. მისი ტექსტი დაიწერა, როგორც ავტორის მიერ იტალიელ, ბრიტანელ, გერმანულ და ამერიკელ კოლეგებთან ერთად შედგენილი და გასულ წელს ფრანგულ ენაზე გამოსული ანთოლოგიის „ლიბერალური სოციალიზმის“ შესავალი.

დავიწყოთ სოციალიზმით. ჯერ კიდევ XIX საუკუნის წლებში წარმოიშვა სოციალიზმის ინტერპრეტაცია, რომელსაც აღშფოთებდა ინდივიდუალური თავისუფლება, სამოქალაქო საზოგადოების ავტონომია, სამართალი და დემოკრატია. მისი მხრიდან მესიანიზმზე, უტოპიზმზე და ეკონომიკური დეტერმინიზმის ყველა ფორმაზე „რაც ადამიანის მოქმედების როლის უარყოფა იქნებოდა“ უარის თქმამ იგი საუკუნეების მიჯნაზე მარქსიზმთან ფრონტალურ შეტაკებამდე მიიყვანა. ლიბერალიზმისადმი კუთვნილება რაზედაც ლიბერალი სოციალისტები საუბრობდნენ მარქსიზმზე მათი უარის თქმის შედეგია.

6. ინდივიდუალიზმი. ინდივიდუალობის, ამ სიტყვის ყველაზე ღრმა აზრით, დაცვა დასავლური ღირებულებების ცენტრში დგას, რაც მას სხვა სოციალისტური მოძრაობებისგან რადიკალურად განასხვავებს. თანამედროვე ინდივიდუალობის შესახებ ფიქრები წარმოიშვა თვითრეალიზაციისა და თვით სრულყოფის თეორიებიდან, რომლებიც XIX საუკუნის ბოლოს ინგლისელმა **ჯონ სტიუარტ მილმა** და **თომას გრინმა** შემოგვთავაზეს. მათი იდეები აიტაცეს ამერიკელმა ფილოსოფოსმა **ჯონ დიუიმ**, XX საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგმა სოციალისტ - ჰუმანისტებმა, აგრეთვე **ლეონ ბლუმმა** თავის უკანასკნელ ნაშრომში „მთელი კაცობრიობისთვის“.

თანამედროვე ინდივიდუალობის განვითარებას თან ახლავს სოციალურ სამყაროზე მისი დამოკიდებულების ზრდა. **დიურკჰეიმმა** ეს სირთულე საუკუნეზე მეტი ხნის წინ ჩამოაყალიბა, და ის მალევე ცენტრალური გახდა ადამიანური ემანსიპაციის ლიბერალ-სოციალისტური კონცეფციისთვის. როგორ უზრუნველვყოთ ადამიანის პიროვნების მაქსიმალური განვითარება ისე, რომ ვაიძულოთ ის მიიღოს დამოკიდებულება, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია, როგორც აღიარებული და გაცნობიერებული რეალობა? გადაწყვეტა რომელსაც გვთავაზობენ ფრანგი ფილოსოფოსები **რენუვიე** და **ფუიე**, და რომელსაც იცავენ როსელი და ლიბერალ-სოციალისტების უმრავლესობა, იმაში მდგომარეობს, რომ სოციალურ ცხოვრებასთან კავშირი განვიხილოთ როგორც დაფუძნებული ნებაყოფლობით ვალდებულებებზე,

კონტრაქტებზე, ასოციაციებსა და კოლექტიურ ინიციატივებზე, რომლებიც არა უბრალოდ არ გარიყავენ პიროვნებას, არამედ ხელსაც კი უწყობენ პიროვნებასა და მისი კრიტიკული შესაძლებლობების განვითარებას. კერძოდ, საკუთარი ინდივიდუალობის განცდას აძლიერებს თოთოეული ადამიანის მიერ თავისი სოციალური და პროფესიული როლის ინტერპრეტაცია. კოლექტიური ცხოვრება, განსაკუთრებით ინფორმაციის ფართოდ გავრცელებისა და სწრაფი კომუნიკაციის საუკუნეში, ამკვიდრებს, ინდივიდუალობისთვის საფრთხის შემცველ კომფორმიზმსა და ერთგვაროვნებას.

ინდივიდუალიზმის ასეთი დაცვა თითქოს მხოლოდ იმ ინდივიდებთან მიმართებაში შეიძლება გამოიყენო, რომლებსაც გარკვეული ცხოვრებისეული პროექტის მხარდაჭერის - ეკონომიკური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის - შესაძლებლობა აქვთ. რა შეიძლება იყოს ასეთი მისწრაფებების აზრი მათთვის, ვინც სიღატაკის პირობებში ცხოვრობს, ვისთვისაც ხელმისაწვდომი არაა სწავლა და განათლება, ვინც ზოგჯერ წერა-კითხვა არ იცის, არა აქვს ოჯახური და სოციალური ორიენტირები, ხშირად ძალადობის სამყაროში, ან ისეთ საზოგადოებაში ცხოვრობს, სადაც ფარული დისკრიმინაციის მსხვერპლია? ამგვარ ვითარებაში რა აზრი აქვს ცხოვრებისეულ პროექტზე საუბარს? ამ შეკითხვაზე საზოგადოების ტრადიციული პასუხი სოციალური მხარდაჭერაა: ასეთ ადამიანებს ეძლევათ მინიმალური შემოსავალი, აგრეთვე სოციალური გარანტიების წყება. ესაა მინიმუმი იმისა, რისი გაკეთებაც შეუძლია საერთოეროვნულ სოლიდარობას, მაგრამ არავინ არასოდეს მიიჩნევდა, რომ ეს შეიძლება საკმარისი იყოს. გრძელვადიან პერსპექტივაში ყველაზე ეფექტიანი რესურსების გამრავლება კი არ არის, არამედ ავტონომიის, ინიციატივის გამოვლენისა და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების უნარის მინიჭება. ბოლო ხანებში ბევრი პოლიტიკური ფილოსოფოსი უჭერს მხარს „აღიარების პოლიტიკას“. მაგრამ ეს აღიარება არ უნდა იყოს მხარდაჭერის უფრო რაფინირებული და უფრო ლმობიერი ფორმა. ის უნდა იყოს აქტიური, რომელიც ინდივიდს მისი ქმედუნარიანობის აღდგენის პროცესში ისეთ სოციალურ სფეროში ჩართვას, რომელშიც მას თავისი კომპეტენტურობის გამოვლენა შეუძლია. ინდივიდუალური ავტონომიის ხელმისაწვდომობის გარდა ემანსიპაციის სხვა გზა, უკიდურესი უკმარისობის სიტუაციებშიც კი, არ არსებობს. ეს არა მხოლოდ მატერიალური სახსრებისა და ინტელექტუალური განათლების საკითხია, არამედ თავისუფლებისა და საკუთარი უფლებების შეგრძნებისაკენ სწრაფვის საკითხიც არის.

7. დემოკრატია. შეკითხვაზე - რა არის დემოკრატია? თუ ეტიმოლოგიას გამოვტოვებთ, მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკური ავტორებიდან მოყოლებული დღემდე უამრავი დაწერილა, იწერება და დაიწერება. შევეცდებით ისტორიული, ტრადიციული გაგებიდან გავაანალიზოთ: თუ რა ისტორიული განვითარება ჰპოვა უახლეს ისტორიაში დემოკრატიამ?

ამერიკის შეერთებული შტატების როგორც მეხუთე იმპერიად განხილვა საკმაოდ აქტუალური თემა გახდა თანამედროვე პოლიტოლოგიურ და ფილოსოფიურ მეცნიერებებში, **ფრენსის ფუკუიამამ** მსგავსად შუა საუკუნეების ისტორიკოსებისა შტატების ლიბერალური დემოკრატიის ტრანსლირებით დაინახა „ისტორიის დასასრული". XX საუკუნეში ამ პოლიტიკურ-ფილოსოფიური მრწამსის ჩამოყალიბების თაობაზე, XXI საუკუნის დასაწყისში მარგარეტ ბრენსონმა, სტივენ შეხტერმა და ტომას ვონცამ თავიანთ ნაშრომში „პოლიტიკური იდეების კვლევა" უძღვნეს სტატია: „ამ საუკუნის დასაწყისში, ერთმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა წამოჭრა უმნიშვნელოვანესი სადაო საკითხი. საბჭოთა კავშირში კომუნიზმის დამარცხებისა და მსოფლიოს სხვა კუთხეებში ტოტალიტარული ხელისუფლებების დამხობის კვალად ერთმა საპატივცემულო პოლიტიკურმა ფილოსოფოსმა ფრენსის ფუკუიამამ იწინასწარმეტყველა „ისტორიის დასასრული". „მეტოქე პოლიტიკურ იდეებს შორის კონფლიქტის არ არსებობამ მონიშნა „ისტორიის დასასრული", აღნიშნავს იგი.

ფუკუიამას სჯეროდა, რომ ისტორიას განსაზღვრული ჰქონდა საბოლოო დანიშნულების პუნქტი. მან დაინახა „დემოკრატიული ძალების გამოჩენა მსოფლიოს ისეთ კუთხეებში, სადაც ისინი არასდროს იყო მოსალოდნელი". იგი ასევე ამტკიცებდა, რომ „არანაირად არ არსებობს თანამიმდევრული თეორიული ალტერნატივები ლიბერალური დემოკრატიის საპირისპიროდ" (დემოკრატია ემსახურება ინდივიდუალური კეთილდღეობისა და თავისუფლების დაცვას). მაშასადამე, „შესაძლებელია, რომ, თუ მოვლენები ისე განვითარდება, როგორც ეს ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ხდებოდა, იდეა საყოველთაო ისტორიის შესახებ, რომელსაც ლიბერალურ დელმიკრატიმდე მივყავართ, უფრო დამაჯერებელი გახდეს ადამიანებისათვის".

ფუკუიამა არც პირველი იყო და არც უკანასკნელი, რომელმაც გამოხატა დემოკრატიის, როგორც სახელისუფლებო სისტემის, საბოლოო გამარჯვების რწმენა. XX საუკუნის გარიჟრაჟზე, **ვუდრო უილსონმა** (1856 – 1924), რომელიც იმ ხანად კოლეჯის

პოლიტოლოგიის პროფესორი იყო, ხოლო შემდეგ ამერიკის პრეზიდენტი გახდა, იწინასწარმეტყველა: დემოკრატია თითქოს საყოველთაო ხდება... დემოკრატიის იდეის წამოყენება და დემოკრატიული ინსტიტუციების გავრცელება ყველაზე ღირსშესანიშნავი და არსებითია. მათ მოშალეს მონარქიისა და არისტოკრატიის თითქმის ყველა ჩამოყალიბებული ფორმა... და სავარაუდოდ დაიყვანენ პოლიტიკას ერთ წმინდა ფორმამდე ისე, რომ გამორიცხავენ ყველა სხვა სახელისუფლო ძალასა და ინსტიტუციას, გარდა არჩევნებისა და დემოკრატიული წარმომადგენლობისა, და დაიყვანენ ხელისუფლების ყველა ფორმა დემოკრატიამდე. უიდრო ვილსონი ვერ მოესწრო თავისი წინასწარმეტყველების განხორციელებას. XX საუკუნის პირველი ნახევარი დემოკრატიული ხელისუფლებების ჩამოყალიბების მცდელობის პერიოდია. თუმცა ისინი დამარცხდნენ გერმანიაში, იტალიაში, ჩინეთსა და რუსეთში. XX საუკუნის მეორე ნახევარში დემოკრატია ერთიმეორეს მიყოლებით ფეხს იკიდებს სხვადასხვა ქვეყნებში. „თავისუფლების სახლმა“ („Freedom House“) თავის წლიურ გამოკითხვაში – „თავისუფლება მსოფლიოში“ – დაითვალა 89 დემოკრატიული ქვეყანა, რაც ფაქტიურად, მსოფლიოს დამოუკიდებელი ქვეყნების თითქმის ნახევარს წარმოადგენს. ჰარვარდის უნივერსიტეტის პოლიტოლოგმა სემუელ ჰანტინგტონმა დემოკრატიის გავრცელება „თოვლის გუნდის“ აგორებას მიამსგავსა. „დემოკრატიის ჟურნალის თანარედაქტორი მარკ ფლეტნერი ამტკიცებდა რომ „დემოკრატია დარჩა სერიოზული გეოპოლიტიკური ან იდეოლოგიური მეტოქეების გარეშე“. იგი ასევე აცხადებდა, რომ „თუ ჯერ კიდევ არ მიგვიღწევია ფუკუიამას „ისტორიის დასასრულამდე“, ახლა მშვიდობიანი დემოკრატიის ჰეგემონიის ზღურბლზე მაინც ვიმყოფებით რაც ერთგვარ Pax Democratia-ს წარმოადგენს [დემოკრატიული მშვიდობა]“.

XX საუკუნის შეფასებისას, მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი პოლიტოლოგი რობერტ დალი ადასტურებს, რომ „მეოცე საუკუნე იქცა დემოკრატიის ტრიუმფის საუკუნედ“. თუმცა გვაფრთხილებს: „ამ ტრიუმფს სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ“. ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში ძირითადი პოლიტიკური ინსტიტუციები შესაძლოა სუსტი და დეფექტური იყოს. იგი ასკვნის: „დემოკრატიის ტრიუმფი საგრძნობლად ნაკლებ სრულყოფილი იყო, ვიდრე ამას ზოგჯერ წარმოადგენდნენ“.

„დემოკრატიის ჟურნალის“ თანარედაქტრი ლარი დაიმონდი ეთანხმება ამ გაფრთხილებას. 2002 წელს მან აღმოაჩინა, რომ მსოფლიოს 192 დამოუკიდებელი ქვეყნიდან 104 (ანუ 54%) კვლავ დემოკრატიული იყო, თუმცა აქედან 31 (ანუ 30%)

დემოკრატიული იყო მხოლოდ მათი საარჩევნო სისტემის წყალობით. დემოკრატიული სიის გარეთ დარჩენილ ქვეყნებს შორის მან აღმოაჩინა რომ 17-ს გაურკვეველი და ბუნდოვანი სტატუსი ჰქონდა, მაშინ როცა 71 (ანუ დაახლოებით მეოთხედი) თავისი არსით ავტორიტარული იყო“ [55. 6-7].

§2. ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიოგრაფია

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX-ს დამდეგის ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიის შესწავლას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა. ამასთან ერთად არც თუ ბევრია ისეთი გამოკვლევა, რომელშიც განხილულია ჩვენთვის საინტერესო პრობლემა. რომელშიც განხილულია ქართველი მოაზროვნეების დამოკიდებულება დასავლური ღირებულებებისადმი - პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის მოდელისადმი.

საკითხის ისტორიოგრაფიის მოკლე მიმოხილვა რამდენიმე ავტორთან არის წარმოდგენილი. მათ შორის, აღსანიშნავია: **ვახტანგ კოტეტიშვილი**, **ვარლამ დონაძე** და სხვ. **ვახტანგ კოტეტიშვილი** თავისი ნაშრომის „ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.)“ წინასიტყვაობაში მოკლედ მიმოიხილავს საკითხის ისტორიოგრაფიას „მართალია, ეს მახლობელი საუკუნეა (XIX – გ.ქ.), მაგრამ **ალექსანდრე ხახანაშვილის** გარდა, ამ საუკუნის ლიტერატურულ დოკუმენტთა სისტემაში მოყვანა და ანალიზი არავის უცდია“. **კიტა აბაშიძის** „ეტიუდები“ ავტორების დამოუკიდებელი გარჩევაა მხოლოდ. უფრო მეცნიერული და ღრმა არის **არჩილ ჯორჯაძის** გამოკვლევა „მასალები ქართული ინტელიგენციის ისტორიისათვის“, მაგრამ ლიტერატურის ისტორიისათვის მხოლოდ დამხმარე როლი ეკუთვნის. არის რასაკვირველია გამოკვლევები ცალკეულ ავტორთა შესახებ, რომელთაც ისტორიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვთ, როგორც დამხმარე მასალას, მაგრამ ეს გამოკვლევებიც მხოლოდ ზოგიერთების შესახებ არის დაწერილი. და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ჩვენი ავტორების ნაწარმოებნი ჟურნალ-გაზეთებში არიან გაფანტულნი, ანდა ხელნაწერების სახით მუზეუმის თაროებზე იმყოფებიან, ნათელი გახდება ის სიძნელე, რომელიც ამ საუკუნის

ლიტერატურის ისტორიის მკვლევარს ურთულებს საქმეს“ (კოტეტიშვილი 1959: 3-4). როგორც ვახტანგ კოტეტიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების, ამავე საუკუნის მკვლევართაგან ალექსანდრე ხახანაშვილს, კიტა აბაშიძესა და არჩილ ჯორჯაძეს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ.

რაც შეეხება საბჭოთა ისტორიოგრაფიის წარმომადგენლის **ვარლამ დონაძის** ისტორიოგრაფიულ ანალიზს, ის წერდა: „პირველი ქართველი საბჭოთა მეცნიერი (რევოლუციამდელ მკვლევარებზე აღარეფერს ვამბობთ), რომელმაც დიდი შრომა გასწია სამოციანელთა ლიტერატურული მემკვიდრეობის შეგროვებისა და შესწავლის საქმეში, იყო ნიჭიერი მკვლევარი პროფ. სიმონ ხუნდაძე (აქ ვარლამ დონაძეს შენიშვნა აქვს გაკეთებული, სადაც წერია: „ეს ოდნავადაც არ ჩრდილავს მისი წინამორბედი მოაზროვნეების **არჩილ ჯორჯაძის, ხომლელის, კიტა აბაშიძის, ვახტანგ კოტეტიშვილის, ივანე გომართელისა** და სხვათა დამსახურებას ამ მიმართულებით“ - გ.ქ.). იგი პირველი შეეცადა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის შუქზე ეჩვენებინა მათი იდეური მემკვიდრეობის ყველა მხარე. ამ მხრივ მის მიერ გამოთქმულ ბევრ მოსაზრებას დღემდე არ დაუკარგავს ცხოველმყოფელობა“. ვარლამ დონაძის შეფასება სიმონ ხუნდაძის შესახებ, საბჭოთა კონიუნქტურიდან გამომდინარეობს და შესაბამისად რადიკალურია.

ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიოგრაფია პირობითად შეიძლება სამ პერიოდად დავყოთ:

1. ეროვნული ისტორიოგრაფია (XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან - XX საუკუნის 30-იან წლებამდე)

2. მარქსისტული ისტორიოგრაფია (XX საუკუნის 20-იანი წლებიდან - XX საუკუნის 80-იან წლებამდე)

3. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია

1. ეროვნული ისტორიოგრაფია (XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან - XX საუკუნის 30-იან წლებამდე). ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების შესახებ პირველი შეფასებები თავად „თერგდალეულებს“ ეკუთვნით, **სერგეი მესხს, გიორგი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, ილია ჭავჭავაძეს** და სხვა. **სერგეი მესხი** წერდა: „ჩვენი უკანასკნელი თაობა ათასის მაგალითით დარწმუნდა, რომ ჩინოვნიკობა არც საკუთრივ იმათ და არც საზოგადოთ იმათ სამშობლო ქვეყანას მაგდენს სარგებლობას არ აძლებს

და კეთილს არას მატებს. ეს მოსაზრება დიდი ხანია ცხადია და ადვილად შესამჩნევი უნდა ყოფილიყო იმათთვის, რომელნიც მოგონებით დაბრმავებულნი არ იყვნენ და ჩვენ ნასწავლ ჩინოვნიკების ცხოვრებასა და ყოფაქცევას ხედავდნენ. მაგრამ ნათქვამია: ჭეშმარიტება სწორი გზით არასოდეს არ მოინახებაო. რაკი ჩვენი ახალ თაობა ნამდვილათ დარწმუნდა, რომ ეს ძველი გზა ყოველს შემთხვევაში გამოუსადეგარი და ხანდახან მავნებელი გზა იყო, შეუდგა ახალი გზის მონახვას და ამ ახალი თაობის საქებრათ უნდა ვსთქვათ, რომ ეს ახალი გზა იმათ მალე მონახეს, ეს გზა დასავლეთი ევროპის გზა არის“ (მესხი 1962: 270). აქ სერგეი მესხი სამართლიანად აღნიშნავდა XIX საუკუნის 60 წლებიდან ქართულ საზოგადოებაში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული ახალი თაობის მთავარ მისწრაფებებზე, ევროპული გზით ქვეყნის განვითარების ჭეშმარიტებაზე.

შემდგომი პერიოდის ავტორთაგან აღსანიშნავია: **ალექსანდრე ხახანაშვილის** (1864-1912), **არჩილ ჯორჯაძის** (1872-1913), **კიტა აბაშიძის** (1870-1917), **მიხაკო წერეთლის** (1878-1965), **ივანე ჯავახიშვილის** (1876-1940), **ვახტანგ კოტეტიშვილის** (1893-1937) და სხვათა შეფასებები და ნააზრევი.

არჩილ ჯორჯაძე კონკრეტულ პიროვნებებსა და პერიოდებს ეხება. მისი კლასიფიკაციის შედგენის ობიექტი ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ეტაპებია, რომელიც მაშინდელ საზოგადოებაში პოლიტიკურ ელიტასა და მოსახლეობას შორის მთავარი საკომუნიკაციო საშუალებით გაზეთითა და ჟურნალით ხორციელდებოდა. „მესამოცე წლებიდამ დღევანდლამდე ჩვენს წინ იშლება მხოლოდ სამი დიდი ორგანული მოვლენა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა - ნაციონალური-ლიბერალიზმი მესამოციან წლებისა, მარქსიზმი მეოთხმოც-და-ათიან წლებისა და სოციალიზმ-ფედერალიზმი მეოცე საუკუნის დასაწყისისა[1]. ყველა სხვა მიმართულებას ან დამოუკიდებელი ზრდა დამთავრებული ხასიათი არა ჰქონდა, ან კიდევ გარდამავალი იყო მათი საზოგადო მსოფლ-მხედველობა. არც მარქსიზმს, არც სოციალ-ეროვნულ მიმართულებას არ უთქვამთ ჯერ თავიანთი უკანასკნელი სიტყვა. მოსალოდნელია ამ იდეიურ მოვლენათა ევოლუცია მახლობელ მომავალში. რაც შეეხება ნაციონალ-ლიბერალებს, მათ ჯერ ხნობით ნამდვილი ღირსეული მემკვიდრენი არ

[1] არჩილ ჯორჯაძის შენიშვნა: „ამ საზოგადოებრივი მოვლენათა ჩამოთვლით ჩვენ არა ვწყვეტთ „დასობის“ საკითხსა. დასი თუ ჯგუფი მეტი იყო ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვიდრე ზემოთ აღნიშნულ ორგანულ მოვლენათა რიცხვი.“

გაუჩნდათ. და ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეს არის დიდი უკუღმართობა და ღრმა ანომალია“ (ჯორჯაძე 1989: 392). არჩილ ჯორჯაძე XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველ საზოგადოებაში წარმოშობილ მიმდინარეობებიდან „ნაციონალ-ლიბერალების“ გუნდის, რომლის წინამძღოლიც ილია ჭავჭავაძე იყო, მემკვიდრეს XX საუკუნის დასაწყისში ვეღარ ხედავდა.

ქართველი სამოციანელების ისტორიულ-ლიტერატურული-კრიტიკული შეფასება **კიტა აბაშიძეს** ეკუთვნის: „ევროპის ამ საუკუნის ლიტერატურის მსვლელობა მიდიოდა ამ გზით: რომანტიკულ ლიტერატურას მოჰყვა რეალური; ინგლისში **ბაირონსა** და **შელლის** მოჰყვა **ელლიოტი** და **დიკკენსი**, საფრანგეთში **შატობრიანის, ლამარტინის, ჰიუგოსა და დე ვინის** ადგილი დაიკავეს **ბალზაკმა, ფლობერმა** და **ზოლამ**. რუსეთში **პუშკინსა** და **ლერმონტოვს** მოჰყვა **გოგოლი, ტურგენევი და ტოლსტოი.** ქართულ ლიტერატურაში **ალექსანდრე ჭავჭავაძემ** დაიწყო რომანტიკული ლიტერატურა, **გრიგოლ ორბელიანმა** განაგრძო, **ნიკოლოზ ბარათაშვილმა** უმაღლეს წერტილამდის მიიყვანა; **ვახტანგ ორბელიანს, მამია გურიელს** წილად ხვდათ რომანტიზმის გედის სიმღერის შესრულება; **გიორგი ერისთავი** თავისი კომედიებით ჩვენს ლიტერატურაში რეალიზმის მამამთავრად შეიქმნა, ხოლო პოეზიაში რეალიზმის დამამკვიდრებლად გამოვიდნენ **ილია ჭავჭავაძე** და **აკაკი წერეთელი**. ჩვენი ლიტერატურა თუ მისდევდა, ამ შემთხვევაში, საზოგადოდ ევროპის ლიტერატურის მსვლელობას, თავისებურებაც ეტყობოდა: **ალექსანდრე ჭავჭავაძის** რომანტიზმს უფრო მეტად სპარსული ლიტერატურის ზეგავლენა ემჩნევა და ხორციელებისაკენ უფრო მიილტვის, ვინემ სულიერებისაკენ, ეს სულიერება კი ევროპული რომანტიზმის არსებითს მხარეს შეადგენდა და იგი ჩვენში **ნიკოლოზ ბარათაშვილმა** შემოიღო“ (აბაშიძე 1962: 148). **კიტა აბაშიძე** სამართლიანად მიიჩნევდა **ილია ჭავჭავაძისა** და **აკაკი წერეთლის** შემოქმედებას ევროპული ლიტერატურის ნაწილად, რომელსაც თავისი თვითმყოფადობა გააჩნდა.

2. მარქსისტული ისტორიოგრაფია (XX საუკუნის 20-იანი წლებიდან - XX საუკუნის 80-იან წლებამდე). ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიის შესწავლა საბჭოთა პერიოდში (XX საუკუნის 20-იანი წლებიდან - XX საუკუნის 90-იან წლებამდე) ახალ ფაზაში გადავიდა. განსაკუთრებით განვითარდა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ისტორიოგრაფიის ასპექტები. აღსანიშნავია, რომ ეროვნულმა ისტორიოგრაფიამ თავშესაფარი

ლიტერატურათმცოდნეობაში ჰპოვა. სამოციანელების იდეურ-ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული ლიტერატურის, პუბლიცისტიკის, ჟურნალისტიკისა და კრიტიკის ისტორიის მკვლევარებმა: **მიხეილ ზანდუკელმა, სიმონ ხუნდაძემ, გერონტი ქიქოძემ, პავლე ინგოროყვამ, გიორგი ჯიბლაძე, კონსტანტინე მენძველიამ, ვლადიმერ სიფრაშვილმა, ლეონიდე გორგილაძემ, მიხეილ გაფრინდაშვილმა, შოთა ბადრიძემ, პაატა გუგუშვილმა, ვარლამ დონაძემ, დავით გამეზარდაშვილმა, ავთანდილ თელიამ, იოსებ ბოცვაძემ, პროკოფი რატიანმა** და სხვებმა.

ქართველი ანთროპოლოგი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, ფილოლოგი, კრიტიკოსი და მთარგმნელი **გერონტი ქიქოძემ (1886-1960)**, თანამედროვე დასავლურ ღირებულებებთან მიმართებაში ცალკეული გამოკვლევები მიუძღვნა **ილია ჭავჭავაძეს, ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელს და სერგეი მესხს. გერონტი ქიქოძის** სამეცნიერო მოღვაწეობა და ნაშრომები მიმართულია ქართველი, ევროპული აზროვნების, მოღვაწეების შესწავლით და შეფასებებით. თანამედროვე მეცნიერული აზროვნებით აღჭურვილი, რომელმაც მნიშვნელოვანი შეფასებები მოგვცა ქართველ სამოციანელთა შესახებ. მან ქართული აზროვნების ისტორია ეროვნულ ჭრილში გაიაზრა და სამეცნიერო ენით დაასაბუთა მათი მნიშვნელობა თანამედროვე საქართველოსთვის. **მიხეილ ზანდუკელის** ნაშრომთაგან აღსანიშნავია - „თერგდალეულნი და ხალხოსნები ქართულს ლიტერატურაში (ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევის ცდა)“.

ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელმაც დაიწყო ქართველ სამოციანელთა პუბლიცისტური ნაშრომების კრებულის სახით გამოქვეყნება **სიმონ ხუნდაძე** იყო, რამაც დიდი როლი ითამაშა მათი შესწავლის საქმეში. მკვლევარი აღნიშნავდა: „...სამოციანელები ჩვენი საზოგადოების მაშინდელმა რეაქციონურმა ნაწილმა „თერგდალეულთა“ სახელწოდებით მონათლა: ისტორიამ ეს სახელწოდება დააკანონა, მაგრამ არა იმ გაგებით, რომელსაც მაშინდელი რეაქციონური ნაწილი აძლევდა ამ ტერმინს, არამედ სხვა შინაარსითა და სხვა მნიშვნელობით. ჩვენი **თერგდალეულები** აღიზარდენ 60-იანი წლების რუსეთის ახალ აზროვნების გავლენის ქვეშ და მათ მოინდომეს ამ ახალი იდეების გადმონერგვა და დამყნობა საქართველოს ნიადაგზე. ამრიგად, **თერგდალეულობა** თავისი ისტორიული მნიშვნელობით **არსებითად ნიშნავს ახალი იდეებისა და ახალი საზოგადოებრივი აზროვნების შემოტანას საქართველოში** თერგდალეულებმა ჩვენში განამტკიცეს ახალი საზოგადოებრივი მიმდინარეობა“. **სიმონ**

ხუნდაძე სამართლიანად მიიჩნევდა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლას ქართული საზოგადოებისთვის ახალი ცხოვრების დასაწყისად.

სიმონ ხუნდაძე XIX საუკუნის 50-60 წლებს სამ პერიოდად ჰყოფდა:

1) ეკონომიურად კრიზისი ნატურალური მეურნეობისა და კაპიტალისტური ურთიერთობის მშობიარობის პროცესები;

2) სოციალურად ძველი წოდებრივ საზოგადოებრივ ურთიერთობის რღვევა და ახალი სოციალური ფენების კონსოლიდაციის დასაწყისი;

3) იდეოლოგიურად 60-იანი წლების რუსეთის ახალ მიმდინარეობისა და პროგრესიულ-დემოკრატიული და რევოლუციონური აზროვნების გავლენით ჩვენს ინტელიგენციაში დაიწყო დიფერენციაცია, ძველი პატრიარქალური ოჯახი ქართული კულტურის მესვეურთა დაირღვა და ცხოვრების ახალ მოთხოვნილებათა ნიადაგზედ ახალი მიმდინარეობანი ჩამოყალიბდა სხვა გვარი იდეოლოგიითა და ზრახვებით.

ლეონიდე გორგილაძე (1914-1989) ნაშრომში **„ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“** - რადიკალური მარქსისტული ისტორიოგრაფიული მსოფლმხედველობით განიხილავდა თერგდალეულებს და კონკრეტულ მოღვაწეთა ნააზრევს უტოპიური-სოციალისტურ ჩარჩოში აქცევდა. „საქართველოში... მისი (უტოპიური სოციალიზმის - გ.ქ.) ისტორია დაიწყო 60-იან წლებში განმანათლებელთა უტოპიური სოციალიზმით, გაგრძელდა 70-იან წლებში ნაროდნიკული სოციალიზმის სახით და დამთავრდა 80-იან წლებში ნაროდნიკული სოციალიზმიდან მეცნიერულ სოციალიზმზე გარდამავალ მოძღვრებათა წარმოშობით“ (გორგილაძე 1967: 317). ავტორი ასეთი სულისკვეთებით ვრცლად განიხილავს **ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, ნ. ინაშვილის, ანტონ ფურცელაძის, ბოსლეველის** და სხვათა ნააზრევს.

მიხეილ გაფრინდაშვილი მონოგრაფიაში „ქართული განმანათლებლობა“ აღნიშნავდა, რომ XIX საუკუნის 60-80-იან წლებში ქართველმა სამოციანელებმა, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებაირახტრეებმა და სულისჩამდგმელებმა, უდიდესი როლი შეასრულეს ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბებასა და ეროვნულ გათვითცნობიერებაში. თუმცა ამით არ დასრულებულა მათი დიდი ისტორიული მისია. შემდგომ უაღრესად აქტიური როლი შეასრულეს პროლეტარულ-გლეხური იდეოლოგიის ფორმირებასა და სათანადო მოძრაობის აღმოცენებაში (გაფრინდაშვილი 1966: 196).

ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების შესახებ ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი წარმომადგენელი **ვარლამ დონაძე** იყო. მკვლევარი თავის ნაშრომში **„ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ“** აღნიშნავდა: „სამი იდეური წყარო კვებავდა ქართველ სამოციანელთა მოწინავე მსოფლმხედველობას: თვითმყოფადი ეროვნული კულტურის მდიდარი მემკვიდრეობა, რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნება და სოციალისტური მოძღვრებები“ (დონაძე 1970: 4). ავტორისეული შეფასების მეორე და მესამე წყარო მეტნაკლებად ეხება ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელს და სერგეი მესხს.

ვარლამ დონაძის გამოკვლევის მთავარი ობიექტი, სწორედ ჩვენთვის საინტერესო ავტორთა ახალი პერიოდის ისტორიის საკითხების შეხედულებების გამოკვლევაა. თუმცა მისი ნაშრომი მარქსისტული მეთოდოლოგიითაა გაჟღენთილი და საბჭოთა კონიუნქტურას ვერ სცდება: „ქართველ სამოციანელებს (ქართველ განმანათლებლებს), ანუ როგორც მათ ხშირად უწოდებენ „თერგდალეულებს“, განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნებისა და კულტურის ისტორიაში. ამ გამოჩენილ მოღვაწეთა სახელთან ორიგინალურადაა დაკავშირებული მედგარი და გაბედული ბრძოლა დრომოჭმული ფეოდალური იდეოლოგიისა და ბატონყმური წესების წინააღმდეგ, ცარიზმის მკაცრი კოლონიური უღლის დაგმობა, ეროვნული და სოციალური მოტივების წინ წამოწევა, მშობლიური ქართული ენის დაცვა ყოველგვარ წამბილწველთა, აუგად მხსენებელთა და უხეშ ასიმილატორთა შემოტევისაგან, მისი გახალხურება და შემდგომი განვითარება, საქართველოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის გამომზეურება, მისი ახალი მოტივებით გამდიდრება და მსოფლიოს პროგრესული იდეებით შევსება, ეროვნული პუბლიცისტიკის დაფუძნება, ახალი ქართული ლიტერატურის გაფურჩქვნა, მშობელი ხალხის მებაირახტრედ გამოსვლა, მისი პატრიოტული თვითშეგნების გაღვივება, საქართველოს ნათელი მერმისისათვის შეუნელებელი ბრძოლა და სხვ.“ (დონაძე 1970: 3). აქ ავტორი ცალსახად მიუთითებდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ საზოგადოებაში განვითარებულ ცვლილებებზე.

იმ საკითხების შესახებ რომელზეც თერგდალეულები მაშინდელი მიმდინარე ისტორიული პროცესების შესახებ წერდნენ პუბლიცისტურ სტატიებს. ნაშრომში განხილულია **ილია ჭავჭავაძის** შეფასება და დამოკიდებულება ისტორიის ახალი პერიოდის შემდეგ საკითხებზე: „ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელი

ბრზოლა“, „აფრიკისა და აზიის კოლონიური დაყოფა“, „მილიტარიზმისა და ომის საფრთხე ევროპაში“. **ნიკო ნიკოლაძის** შეხედულებები: „ევროპის კაპიტალისურ სახელმწიფოთა კოლონიური პოლიტიკა“, „სერბიისა და ბულგარეთის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა“, „საფრანგეთის ახალი ისტორიის ზოგიერთი საკითხი“. **სერგეი მესხის:** „აღმოსავლეთის საკითხი“, „მესამე რესპუბლიკის (საფრანგეთის) ისტორიული პროცესი“, „პატარა და დამონებული ერები“, „იტალიელი ხალხის განმათავისუფლებელ-გამაერთიანებელი ბრძოლა. გარიბალდი და მაძინი“. **გიორგი წერეთლის**: „ბალკანეთის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა“, „ჩეხი ხალხის ისტორიის ცალკეული საკითხები“, „შორეული აღმოსავლეთის ამბები“, „ევროპის ზოგიერთი გამოჩენილი პირი“.

სამოციანელთა, როგორც ისტორიის მკვლევართა შეფასებისას **ვარლამ დონაძე** წერდა: „ისტორიის რთულ მოვლენებზე დაკვირვებით, მისი პერიპეტიების შემაპირობებელ გარემოებათა ახსნით მათ სურდათ ამოეხსნათ მსოფლიო ისტორიის ზოგადი კანონზომიერების „სფინქსის საიდუმლოება“ და მოენახათ მშობლიური ქვეყნის განვითარების უკეთესი გზა... ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, გ. წერეთელი და სხვა სამოციანელები აღიარებდნენ მსოფლიო-ისტორიული პროცესის ერთიანობას. აქედან გამომდინარე, მათ საჭიროდ მიაჩნდათ მშობლიური ქვეყნის პრობლემები, მისი ისტორიული პროცესი გაეშუქებინათ მსოფლიო-ისტორიულ ასპექტში, საზღვარგარეთის ქვეყნების საშინაო ცხოვრებისა და აქტუალურ საერთაშორისო ამბებთან მჭირდო კავშირში“ (დონაძე 1970: 9). ამგვარად, ავტორი ცდილობდა თერგდალეულთა მსოფლმხედველობის გარკვევას.

ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების წარმომადგენელთა ნაშრომების გამოცემაში კოლოსალური სამუშაოები ჩაატარეს: **პავლე ინგოროყვამ, იოსებ ბოცვაძემ, დავით გამეზარდაშვილმა და სხვებმა.**

დავით გამეზარდაშვილის განსაკუთრებული ყურადღება ქართველ სამოციანელთაგან მიმართულია **ნიკო ნიკოლაძის** ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლაზე. ამის დამადასტურებლად ნიკო ნიკოლაძის რვატომეულის გამოცემის დასახელებაც კმარა. თუმცა, გარდა ამისა ნიკო ნიკოლაძის შესახებ აქვს გამოცემული სტატიები და ნაშრომები სხვადასხვა კრებულებში. ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიის და მისი პუბლიცისტიკის შესწავლაში მას კოლოსალური სამუშაოები აქვს ჩატარებული. დავით გამეზარდაშვილი წერდა: „თავის სახელოვან შვილთა შორის ქართველი ხალხი

ყოველთვის სიამაყის გრძნობით ასახელებს ნიკო ნიკოლაძეს. მშობელი ერის ასეთი სიყვარული და სიმპათია მან თავის სიცოცხლეშივე დაიმსახურა. ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან და გიორგი წერეთელთან ერთად, იგი სამოციანელთა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო.

განსხვავებით თავის დიდ თანამედროვეთაგან, ნიკო ნიკოლაძე არ ყოფილა პოეტი, ბელეტრისტი, - მხატვრული სიტვის ოსტატი; მათ გბერდით სამუდამოდ დგომის უფლება მან მახვილი პუბლიცისტურ-კრიტიკული კალმითა და ფართო მასშტაბის საზოგადოებრივი მოღვაწეობით დაიმსახურა. ადვილად წარმოსადგენია, თუ რაოდენ ძლიერი უნდა ყოფილიყო იგი თავისი მოწოდების სფეროში, როცა გასული საუკუნის მეორე ნახევრის ბუმბერაზი ქართველი მწერლები და მშობლიური ხალხის ფიქრთა მპყრობელნი - ილია და აკაკი მას ყველაზე უფრო საიმედო თანამებრძოლად და მოაზროვნედ თვლიდნენ.

ნ. ნიკოლაძე, პირველ ყოვლისა, დიდი ეროვნული მოღვაწეა. ამასთან, როგორც პუბლიცისტი და კრიტიკოსი, ნ. ნიკოლაძე გასცდა ეროვნულ საზღვრებს. რუსული და ევროპული აზროვნების ასპარეზზე იგი გავიდა როგორც გამოჩენილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ნიჭიერი მოწაფე და თანამებრძოლი, ფართო ერუდიციის მოაზროვნე და მებრძოლი ტემპერამენტით აღჭურვილი პუბლიცისტი.

მიუხედავად იმისა, რომ საბრძოლო ასპარეზად მან მთელი კულტურული მსოფლოს აზრთა ჭიდილის სარბიელი აირჩია და მოღვაწეობის სფერო ვიწროდ არ შემოუფარგლავს, ნ. ნიკოლაძემ მაინც წარმატებით დააღწია თავი ასეთ შემთხვევებში მოსალოდნელ პუბლიცისტურ შაბლონს, ტრაფარეტსა და მეცნიერულ სიღრმეს მოკლებულ დილეტანტურ ქადაგებას“ (გამეზარდაშვილი 1978: 140-141). ამრიგად, **დავით გამეზარდაშვილი** ცალმხრივად საბჭოთა კონიუნქტურიდან გამომდინარე აფასებს ნიკო ნიკოლაძის აზრებს და თითქმის პათეტიკურია. ასევე, კომპილაციურად განიხილავს მის წერილებსა და სტატიებს.

პროკოფი რატიანმა გამოსცა თავისი „რჩეული ნაწერები“ სამ ტომად (რატიანი პ. , 1984), სადაც ავტორი მოკრძალებით სთავაზობს მკითხველ საზოგადოებას, მთლიანად ილია ჭავჭავაძისა და მის თანამებრძოლების, სახელოვანი თერგდალეულების მოღვაწეობის, აზროვნებისა და შემოქმედებისადმია მიძღვნილი. პირველ ტომში თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებებია განხილული, მეორე ტომში წარმოდგენილია მონოგრაფიული გამოკვლევა, მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის

ფილოსოფიური, სოციალ-პოლიტიკური და პოლიტიკურ-ეკონომიკური შეხედულებების შესწავლისადმი, მესამე ტომში კი განხილულია ი. ჭავჭავაძის, ნ. ნიკოლაძის და ა. წერეთლის მსოფლმხედველობის ცალკეული საკვანძო საკითხები.

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების შესახებ, მარქსისტული მსოფლმხედველობის გავლენით ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მრავალი ნაშრომი შეიქმნა. განსაკუთრებით საინტერესოა: **ვლადიმერ სიფრაშვილის** „რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისა და თერგდალეულების იდეური ურთიერთობა (XIX ს. 60 წლებში)“ (1962); **ავთანდილ თელიას** „ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე“. **მიხეილ გაფრინდაშვილის:** „გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობა“ (1955), „ქართული განმანათლებლობა“ (1966), „ეროვნული და კლასობრივი ილია ჭავჭავაძის განმანათლებლურ-რევოლუციურ-დემოკრატიულ და უტოპიურ-სოციალისტურ მსოფლმხედველობაში“ (1987), „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები“ (სამ ტომად); **ავთანდილ იოსელიანი** - ნაშრომი: „საქართველოს ისტორიის პრობლემები და თერგდალეულნი“ (ქართული საზოგადოებრივი აზრისა და რევოლუციურ-დემოკრატიული ისტორიოგრაფიის საკითხები) (1972) და სხვა.

საბჭოთა ისტორიოგრაფიის თითქმის ყველა მკვლევარი პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე კვაზი-მარქსისტული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, რაც შეიძლება მათი ნაშრომების მთავარ ნაკლად მივიჩნიოთ.

3. უახლესი ისტორიოგრაფია. თანამედროვე ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენელთაგან ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების შესახებ განსაკუთრებული ყურადღება და ახლებური გააზრება ეკუთვნის **აკაკი ბაქრაძეს**. მას შესწავლილი და გააზრებული აქვს, როგორც მთლიანად XIX საუკუნის პერიოდის ქართული საზოგადოების განვითარების ისტორია, ისე კონკრეტული პიროვნებების. რაც წარმოჩენილია მის ცალკეულ სტატიებში და კრებულებში. ასევე, მონოგრაფიები აქვს მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის და სხვათა მოღვაწეობაზე.

დღეს, უახლესი ქართული ისტორიოგრაფია რამდენიმე მიმართულებით ვითარდება. საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991), ქართველ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ყურადღება ძირითადად ექცევა, ისტორიული პროცესის შესწავლის რამდენიმე მიმართულებას: ეროვნული და საეკლესიო ისტორია, ცნებისა და გლობალური ისტორია, საეკლესიო და გლობალური ისტორია, ასევე

ქრონიკა. სამწუხაროდ, ნაკლები ყურადღება ეთმობა თანამედროვე ისტორიოგრაფიული დისციპლინების ისეთ ასპექტებს როგორიცაა: პოლიტიკური, სოციალური, ტრანს-ნაციონალური, ეკონომიკური, უნივერსალური და მსოფლიო ისტორიოგრაფიები.

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების შესახებ უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიიდან აღსანიშნავია: **ვახტანგ გურული, სერგო ვარდოსანიძე, დიმიტრი შველიძე, ომარ გოგიაშვილი, აპოლონ სილაგაძე, ლევან გიგინეიშვილი, დავით მალაზონია, ომარ ნიკოლეიშვილი, მერაბ ვაჩნაძე, დავით სულაბერიძე, მურმან კვარაცხელია, მანანა ქაჯაია, ქეთევან ჯიჯეიშვილი** და სხვათა ნაშრომები.

ვახტანგ გურული ნაშრომში „ეროვნული ცნობიერება. სახელმწიფოებრიობა. პოლიტიკური ორიენტაცია“ საქართველოში ეროვნული ისტორიის განვითარების საფრთხეების შესახებ წერს: „XIX საუკუნის მიწურულიდან და XX საუკუნის დამდეგიდიან ერთიანი ქართული ცნობიერების, ქართველთა ერთობის ორ საშიშ მტერს მესამე შეემატა. ეს იყო პარტიული აზროვნება. პოლიტიკური პარტიების აღმოცენებით, საბოლოოდ დასამარდა ეროვნულ მოძარობაში არსებული კრიზისის დაძლევის და ქართველთა ერთიანობის მიღწევის იმედი. საქართველოს პოლიტიკური პარტიები განსხვავდებოდნენ თანადროული (XX საუკუნის დამდეგის) ევროპული პოლიტიკური პარტიებისაგან, სრულ იდენტურობას ამჟღავნდებდნენ რუსეთის პოლიტიკურ პარტიებთან. ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს პოლიტიკური პარტიები არ წარმოადგენდნენ ფართო მასების ღია, ლეგალურ გაერთიანებებს. პარტიებმა საქართველოში, რუსეთის მსგავსად, საიდუმლო სექტები სახე მიიღეს, ისინი კონსპირაციულად, არალეგალურად არსებობდნენ და ხალხთან, საზოგადოებასთან კავშირი თითქმის არ ჰქონდათ. სწორედ ამიტომ, საქართველოში დამკვიდრდა არა მარტო პარტიული აზროვნება, არამედ პარტიულ-სექტანტური აზროვნება. პარტიულ სექტანტური აზროვნება ნოყიერ ნიადაგზე მოხვდა. 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში პარტიულ-სექტანტურმა აზროვნებამ დათრგუნა ყოველივე საერთოქართული. თუმცა, წინა ეპოქის ეროვნული მოძრაობის მონაპოვრის ლიკვიდაცია „პარტიელებმა“ ვერ შეძლეს. ამის დამადასტურებელი იყო ავტონომისტთა და ავტოკეფალისტთა მოძრაობა. ეს იყო აშკარა პროტესტი კუთხური, კლანური და პარტიულ სექტანტური აზროვნების წინააღმდეგ. დამარცხების შიშით შეპყრობილმა „პარტიელებმა“ 1907 წლის 30 აგვისტოს კუთხური, კლანური და პარტიულ-

სექტანტური აზროვნების წინააღმდეგ ყველაზე თავგამოდებული მებრძოლი, ქართველი ერის სულიერი მამა და საქართველოს უგვირგვინო მეფე ილია ჭავჭავაძე მოკლეს. ასპარეზი „პარტიელებს“ (სოციალ-დემოკრატებს, სოციალისტ-ფედერალისტებს, სოციალისტ-რევოლუციონრებს) დარჩათ“ (გურული 2008: 34). ვახტანგ გურული XIX-XX საუკუნეების მიჯნას ქართულ საზოგადოებაში დაქსაქსულობასა და დაპირისპირებაზე მიუთითებდა.

სერგო ვარდოსანიძე - სერგო ვარდოსანიძე ნაშრომში **„ქართული ეროვნული ცნობიერების პრობლემები“** ილია ჭავჭავაძის როგორც ისტორიკოსის შეფასებისას აღნიშნავს: „ი. ჭავჭავაძის მთელი მოქმედება საქართველოს ისტორიის მხატვრლი გარდასახვის იშვიათი მაგალითია, მაგრამ ეს არ არის ისეთი გარდასახვა, რომელშიც სჭარბობს ფანტაზია და ისტორიული სიმართლისაგან მოწყვეტა“ (ვარდოსანიძე 2004: 24).

სერგო ვარდოსანიძე ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების შესახებ წერს: „გ. წერეთელი ილ. ჭავჭავაძესთან, აკ. წერეთელთან, ნ. ნიკოლაძესთან ერთად ბევრს აკეთებდა იმისათვის, რათა ცარიზმის მძაფრი რეაქციის ხანაში ქართველ ხალხს არ დაეკარგა თავისი ეროვნული მეობა“ (ვარდოსანიძე 1986: 28-29).

ეროვნული ისტორიის აღდგენისას **სერგო ვარდოსანიძე** სტატიაში „ქართული ეროვნული ცნობიერება“ წერს: „საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ადასტურებს, რომ ჩვენი წინაპრების თავგანწირვის, თავისუფლებისაკენ სწრაფვის იდეალები ნასაზრდოები იყო მაღალი ეროვნული ცნობიერებით, რამდენი მრავალრიცხოვანი ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაწინაურებული ხალხი გაქრა, აღიგავა მიწისაგან პირისა ეროვნული ცნობიერების დაქვეითების გამო, ამიტომ დამპყრობლები ცდილობდნენ წაეშალათ ჩვენი ხალხის ინდივიდუალობა, ეროვნული ტრადიციები.

XIX საუკუნის II ნახევარში ი. ჭავჭავაძე სვამდა კითხვას - რამ გადაგვარჩინა, როგორ შევძელით ათასი ჯურის დამპყრობლებთან გამუდმებული ბრძოლები? როგორ შევინარჩუნეთ ჩვენი ეროვნული თავისთავადობა? მან ამ კითხვაზე პასუხი გასცა თავისი პრაქტიკული საქმიანობით. ქართული ეროვნული ცნობიერების აღმავლობა-განვითარება დაკავშირებული იყო მთელ რიგ კონკრეტულ ისტორიულ პირობებთან“ (ვარდოსანიძე 2004: 51). სერგო ვარდოსანიძე საქართველოს ისტორიაში ილია ჭავჭავაძის როლზე მიუთითებდა.

ასევე, სერგო ვარდოსანიძე ეროვნული ისტორიის განვითარების წარმოჩენისას აღნიშნავდა: „XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს სინამდვილეში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი მიმდინარეობა: ეროვნული და კოსმოპოლიტური.

ეროვნული მიმდინარეობის მესვეურთა: ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ე. თაყაიშვილის, ივ. ჯავახიშვილის, კირიონ II-ის იდეების ხორცშესხმად უნდა მივიჩნიოთ 1917 წლის მარტში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, 1918 წლის 26 იანვარს ქართული უნივერსიტეტის დაარსება (ივ. ჯავახიშვილმა აქ მოიწვია დიმიტრი გულია აფხაზური ენის კურსის წასაკითხავად) და 1918 წლის 26 მაისს - საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება“ (ვარდოსანიძე 2004: 55-57).

თანამედროვე ეროვნული და საეკლესიო ისტორიოგრაფიის განვითარების მნიშვნელობაზე **სერგო ვარდოსანიძე** წერს: „XXI საუკუნის დასაწყისში გლობალიზაციის პროცესი დაჩქარდა. საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, გახდა გაეროს, ევროსაბჭოს წევრი, დღის წესრიგში დგას ევროკავშირის, ნატოს წევრობა. საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოდის დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოთა კანონმდებლობასთან. იკვეთება პირველი ნაბიჯები სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ. გლობალიზაცია პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში სახეზეა. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ ვითარებაში? თუ საზოგადოებაში არ დამკვიდრდა აზრი იმის შესახებ, რომ აუცილებელია ჩვენი ცხოვრების ყველა სფერო შესაბამისად მოემზადოს ამ პროცესებში მონაწილეობის მისაღებად ისე, რომ მაქსიმალურად შეეძლოთ ქართული სახელმწიფოებრივი, ეროვნული და რელიგიური თავისთავადობის დაცვა, მომავალში უფრო დიდი საშიშროების წინაშე აღმოვჩნდებით“ (ვარდოსანიძე 2004: 59-60). სერგო ვარდოსანიძე თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის გამოწვევებზე სამართლიანად მიუთითებდა.

2008 წელს **ომარ გოგიაშვილის** მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფია **„ილია დღეს“** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომია თანამედროვე ისტორიოგრაფიაში. ნაშრომში წარმოდგენილია ილია ჭავჭავაძის მეცნიერული და პოლიტიკური კვლევის მეთოდის სრულყოფილი ანალიზი; ილიას პოლიტიკური ფილოსოფიის არსებითი ნიშნები; ილიას „საერთო ნიადაგის“ ეროვნული იდეოლოგია და პოლიტიკური იდეოლოგიები, ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმის სრულყოფილი ანალიზი, მათი

ურთიერთშეღწევის პერსპექტიული ტენდენციები; სოციალ-დემოკრატიის ევროპული, რეფორმისტულ- ევოლუციური ბუნება და რუსული ვარიანტის (ბოლშევიზმის) კონფრონტაციული ხასიათი; სახელმწიფოსა და ერის არსი, სახელმწიფოს მმართველობის ფორმები, უნიტარიზმი და ადგილობრივი მმართველობა, ავტონომიის ფორმები; პიროვნების როლი ისტორიაში, პოლიტიკური ლიდერები, პარტიები, ოპოზიცია, თაობათა ბრძოლა; დემოკრატია და საარჩევნო სისტემები, ადამიანის უფლებები, თავისუფლება, მოვალეობები, კერძო საკუთრება, პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილებები და ინტერესები; კანონის უზენაესობა, ადგილობრივი სპეციფიკის აუცილებელი გათვალისწინება კანონშემოქმედებაში; პოლიტიკა და მეცნიერება, მეცნიერება და სარწმუნოება, მართლმადიდებლობა და ქართველობა, ეროვნული და რელიგიური შემწყნარებლობა; ეროვნული განათლება, მეცნიერება, კულტურა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ იდეოლოგიაში; ერი და სახელმწიფო, ისტორია და გმირი წინაპრები და სხვ.

ნაშრომში განხილული პრობლემები მართლაც უაღრესად მრავალფეროვანია, მაგრამ არსებითი ის არის, რომ არც ერთ დებულებას დღეს მნიშვნელობა და აქტუალურობა არ დაუკარგავს. უნდა დავეთანხმოთ ავტორს, რომ დღევანდელი საქართველოს წინაშე არ დგას არც ერთი მნიშნელოვანი პრობლემა, რომელზეც არ ეფიქროს, არ ეკამათოს, არ ეოცნობოს და არ ებრძოლოს თავის დროზე ილია ჭავჭავაძეს.

თავი II
დასავლური პოლიტიკური ღირებულებები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. თბილისისა და ქუთაისის გიმნაზია დამთავრებული ქართველი ახალგაზრდები უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთის უნივერსიტეტებში (ძირითადად პეტერბურგსა და მოსკოვში) მიდიოდნენ. მათი ნაწილი მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში გავრცელებული ახალი იდეებით ბრუნდებოდა სამშობლოში. ისინი აღჭურვილნი იყვენენ - ფრანგი განმანათლებლების იდეებით - გონებრივი განვითარების რაციონალური სისტემით, პოლიტიკური თავისუფლების იდეით და სხვა. ამ შემთხვევაში, ქართველი „განმანათლებლების“ წინ საკმაოდ რთული ამოცანა იდგა: მათი ახალი იდეების გავრცელების „ასპარეზი“ რუსეთის იმპერიის მიერ შევიწროვებული ქართული საზოგადოება იყო. ახალი იდეების დამკვიდრებას საქართველოში ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა.

დღეს, ქართული სახელმწიფოს საძირკველი, სწორედ XIX საუკუნეში უნდა ვეძებოთ და ისიც ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში, მაშინ როცა ქართველმა სათანადოდ გააცნობიერა, შეაფასა და აღწერა რუსეთის კოლონიალური ხელისუფლების ქვეშ მყოფი საქართველო. ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში დასავლური პოლიტიკური ღირებულებების შესავალში უნდა გამოვყოთ **ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“**, რაც ქართული ისტორიოგრაფიის მიერ მიჩნეულია ილია ჭავჭავაძის ცხოვრების და მოღვაწეობის საპროგრამო გეგმად. მეტიც, პოლიტიკური თვალსაზრისით, ის დამოუკიდებლობა დაკარგული ქართული საზოგადოებისათვის ეროვნული სახელმწიფოს შექმნის მანიფესტი აღმოჩნდა. **„მგზავრის წერილებიდან“** ჩვენ გამოვყოფთ ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ აზრს საქართველოს რუსეთისგან ხსნის თაობაზე, რომელიც XIX საუკუნის შუა წლებში აქტუალური იყო და რაზეც **ილია ჭავჭავაძე** რუსეთის ცენზურიდან გამომდინარე მხატვრული ფორმით, ქვეტექსტების სახით ამახვილებდა ყურადღებას. „დაღამდა, მაგრამ არ ვიცი, რას ვიქმოდი, რომ იმედი არა მქონდეს კვლავ გათენებისა. სიცოცხლე

სიცოცხლედ-ღა ეღირებოდა?.. მიყვარს, ბუნებავ, შენი დაწყობილობა, რომლის მეოხებითაც ყოველი ღამე თენდება ხოლმე... დაჟინებით ყურდაცქვეტილი გონებას ვადევნებ თერგის თავზედ ხელაღებულის დენის ხუილსა. ყველა დადუმდა და შენ არ სდუმობ, თერგო! მერწმუნეთ, მე მესმის ამ ხმაგაკმენდილს ქვეყანაში თერგის დაუჩუმარი ჩივილი. არის ადამიანის ცხოვრებაში იმისთანა წუთნი მარტოობისა, როცა ბუნებას შენ თითქო შენსას აგებინებ და იგი თავისას შენ გაგებინებს. ამიტომაც შეგიძლიან სთქვა, რომ მარტოობაშიც არსად მარტო არა ხარ, ჰოი, ორფეხო ცხოველო, რომელსაც ადამიანს გეძახიან. ამ ღამეს ვგრძნობ, რომ ჩემის ფიქრებისა და თერგის ჩივილის შუა არის რაღაც იდუმალი კავშირი, არის რაღაც თანხმობა. გული მიტოკს და მკლავი მითრთის. რისთვის? დროს დავაცალოთ ამის პასუხის მიცემა“ (ილია ჭავჭავაძე 1988: 24). - აქ ილია ჭავჭავაძის მიერ ეროვნული ღირებულებები და იდენტობების შეცნობა და აღმოჩენაა დაფიქსირებული. „თერგის“ მოძრაობაში მან დაინახა სიცოცხლის არსი, რუსეთის იმპერიის კოლონიად ქცეული და დამონებული ხალხის ხსნის, ეროვნული თვითშეგნების გაღვივების და ქართული საზოგადოების ჩამოყალიბების მთავარი „ხატი“. აქ ილია ჭავჭავაძემ „დრო“ შეაჩერა, დრო როცა ქართველს რაციონალური შეფასება მიეცა აწმყოსათვის. რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი და დამონებული ქართველობისათვის. აქ ილიამ დრო, ქართველი ერის გამოფხიზლებას, თვითგამორკვევას, ერად ჩამოყალიბებას დაუმორჩილა.

ისტორიის აპოლოგიისა და ისტორიის პროცესის გააზრებისას მნიშვნელოვანია **ილია ჭავჭავაძის** მოსაზრება: „როცა საზოგადო მნიშვნელობის აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ თვითონ თქმა ქმნად გადიქცევა ხოლმე. ამ გზით სულჩადგმული ცხოვრება მოედანზედ გამოდის და შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა აღარ უქმობს, არამედ იღვიძებს და ფრთას ისხავს. ეს შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა სათავეა ყოველის წარმატებისა და მაგ ძალის ძლიერებაზედ დამოკიდებულია ყოველი იმედი ცხოვრების წინ-წადგომისა და განკარგებისა...

გარნა იქ კი, საცა ეგ მადლიანი ძალა შემოქმედობისა აღძრულია, ადამიანი გრძნობს, რომ იგი შვილია გუშინდელისა, მოჭირნახულეა დღევანდელისა და დამბადებელია ხვალისა. წარსული, აწმყო და მომავალი - ერთ რთულ, დაურღვეველ ჯაჭვად მიაჩნია და იმ ჯაჭვში თავისი-თავი რგოლად, წინასა და უკანაზედ მტკიცედ გადაბმულად. მაშინ ადამიანი თავის თავს მართლა-და ადამიანადა სცნობს, ეგ ცნობა საკუთარის თავისა ღირსებას უღვიძებს, საკუთარის თავის ღირსება ჩაგრულ ყოფას ვერ

ათმენინებს და დამკლავებული გამოჰყავს ცხოვრების მოედანზედ საომრად და საბრძოლველად. გმირებს, სახელოვანს კაცებს, დიდებულ მოღვაწეებს ქვეყნისას - ეგ შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა ჰბადავს.

რაკი ადამიანის ცხოვრებაში ერთხელ დაიძრა შემოქმედობითი ძალი, ერთს ნამოქმედს სხვა სამოქმედო საგანი ზედ მოჰყვება, ერთი მეორეს ჰშობს, მეორე მესამეს და ეგრე გაებმის ხოლმე ის ფერადი გრეხილი ცხოვრების მოძრაობისა, რომელსაც ისტორიას ეძახიან. ეგ შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა შექმნის ისტორიას; უმაგისოდ ნურა ერი ნუ დაიქადებს, ისტორიის ღირსი ერი ვარო. უწინ, როცა ჩვენში ეგ შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა ფეხადგმული იყო, აკი ისტორიაცა გვქონდა, აკი გმირებიცა გვყვანდა, აკი დიდი მწერლებიც და პოეტებიც აღმოგვიჩნდნენ, აკი იმ აღმატებულ ყოფა-ცხოვრებამდინაც მივაღწიეთ, რომლის დიდებულებამაც თამარ მეფე საუკუნოდ სახსოვარი გახადა ჩვენთვის...“ (ილია ჭავჭავაძე 1987: 273-274).

ამ ღირებულებებს შესწირა ილია ჭავჭავაძემ თავისი ცხოვრება და სიცოცხლე. მან პრაქტიკულად განახორციელა თავისი სიტყვები: „კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულაღტყინებულსა. ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოვნახავ და, თუ ვიპოვე, ვეთაყვანები“ (ილია ჭავჭავაძე 1988: 23).

ქართული პოლიტიკური ელიტის ნააზრევის ერთ-ერთი პირველი ისტორიოგრაფიული შეფასება ეკუთვნის **არჩილ ჯორჯაძეს**: „როდესაც ჩვენ მესამოციანებზე ვლაპარაკობთ, ეს იმას ჰნიშნავს, რომ სახეში გვყავს განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფი და მხედველობაში ვიღებთ განსაზღვრულ მსოფლმხედველობას და მცნებას. ამიტომ ამ ჯგუფის კერძო პირების სოციალ-პოლიტიკური აზროვნება ზოგიერთ შემთხვევაში არ ჰსახავს მესამოციანთა, როგორც ჯგუფის იდურ მიმართულებას… პოლიტიკური ტერმინოლოგიის მიხედვით ძალიან ძნელია „მესამოციანობის“ დახასიათება ერთის განსაზღვრულის დოქტრინით. „სოციალისტი“ **ნიკოლაძე** (ნიკო ნიკოლაძე - გ.ქ.) ბევრს სწერს და ჰქადაგებს ლიბერალურ პრინციპთა ფარგალში. ერობა, მუნიციპალიტეტი და სხვა ამ ხასიათის თვითმოქმედების საჭიროება ჩვეულებრივი საგანია მისი საუბრისა. მეორეს მხრით, „ლიბერალი“ **ჭავჭავაძე** (ილია ჭავჭავაძე - გ.ქ.) დემოკრატიულ ნიადაგზე სდგას, როდესაც თავისი ხელოვნურ კალმის ნაწარმოებით ცხოვრების ძირითად რეორგანიზაციის საჭიროებაზე გვითითებს. **სერგეი მესხს** და **გ. წერეთელს** კიდევ

საშუალო ადგილი უჭირავთ. პირველი თითქოს უფრო ლიბერალიზმს თანაუგრძნობს, მეორე დემოკრატიზმს. სინამდვილესთან უფრო ახლო იქნება ვსთქვათ ის, რომ „მესამოციანობა“ არის ახალი ერა ჩვენს კულტურაში, მან შემოიტანა ჩვენში მეცხრამეტე საუკუნეში ევროპაში მოარული სოციალ-პოლიტიკური თეორიები და ფორმულები. პირველ ხანაში იგი „ნაროდნიკულ“ ლიტერატურის ზედგავლენის ქვეშ იმყოფება. თანდათან ამ გავლენას თავიდან იშორებს, და მესამოციანებიდან იწყება გაევროპელება ქართულ აზროვნებისა. და თუ მაინც და მაინც საჭიროა დეფინიცია, ამ ეპოქის მთავარი დამახასიათებელი თვისება - ლიბერალიზმ-დემოკრატიზმშია. იმ დროინდელი ჩვენი ცხოვრების სოციალური პირობები იმგვარი იყო, რომ სოციალიზმი ჩვენში უფრო ინტელექტუალური მოთხოვნილება იყო, ვიდრე პრაქტიკული ფორმულა მოქმედებისა. ეს არ უნდა გვავიწყდებოდეს თვით ნ. ნიკოლაძის სოციალიზმის გახსენების დროსაც“ (ჯორჯაძე 1989: 281-282).

ვახტანგ კოტეტიშვილი ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარების შესახებ წერდა: „...ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეს“, რომელიც დაარსებულ იქმნა 1863 წელს. ეს იყო ნამდვილი ევროპული ხასიათის ჟურნალი, რომელმაც თუმც ერთ წელზე მეტი ვერ იარსება, მაგრამ ღრმა კვალი გაავლო ჩვენი საჟურნალო ცხოვრების ისტორიაში... „საქართველოს მოამბემ“ უხვად მოაბნია ახალი ცხოვრების თესლი, და თუ რუსეთში იტყოდნენ ჩვენ ყველანი გოგოლის „შინელიდან“ გამოვედითო, ასევე უნდა ითქვას ჩვენშიაც, რომ „საქართველოს მოამბის“ კალთიდან გამოვიდნენ ყველა ის მიმართულებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მეცხრამეტე საუკუნეში (სამოციანი წლებიდან)... „საქართველოს მოამბემ“ შეკუმშულად სთქვა ყველაფერი, რასაც გაშლა და განვითარება შემდეგ მიეცა სხვა და სხვა სახით“. (კოტეტიშვილი 1959: 408-409)

ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში დასავლური პოლიტიკური ღირებულებების გარკვევამდე საჭიროა, გავარკვიოთ საკითხის ისტორიოგრაფია იმ ასპექტებით, რომელიც განაპირობებდა და განაპირობებს პოლიტიკური სისტემების განვითარებას:

1. პოლიტიკური თავისუფლება - ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში;

2. კანონის უზენაესობა - ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში;

3. დემოკრატია - ქართულ საზოგადოებრივ პოლიტიკურ აზროვნებაში;

ამ სამი ღირებულების ფონზე განვიხილავთ **ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლისა** და **სერგეი მესხის** დასავლური პოლიტიკური ფასეულბების შესახებ აზრს.

§ 1. ილია ჭავჭავაძე დასავლური პოლიტიკური ღირებულებების თაობაზე

დღეს, დამოუკიდებელი საქართველოს საძირკველი XIX საუკუნეში უნდა ვეძებოთ და ისიც **ილია ჭავჭავაძის** შემოქმედებაში, მაშინ, როცა ქართველმა სათანადოდ გააცნობიერა, შეაფასა და აღწერა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების ქვეშ მყოფი საქართველო. **ილია ჭავჭავაძის** ნაშრომთაგან აღსანიშნავია „მგზავრის წერილები“, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია ილიას ცხოვრების და მოღვაწეობის საპროგრამო გეგმად. „მგზავრის წერილებიდან“ ჩვენ გამოვყოფთ რამდენიმე პრობლემატურ საკითხს, რომელიც XIX საუკუნის შუა წლებში აქტუალური იყო და რაზეც ილია რუსეთის ცენზურიდან გამომდინარე მხატვრული ფორმით, ქვეტექსტების სახით ამახვილებდა ყურადღებას.

1. **საქართველო-რუსეთი-ევროპა.**

ილია ჭავჭავაძემ რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკური სისტემა აღწერა და მისი „ნამდვილი სახელი“ წარმოაჩინა „მგზავრის წერილებში“. სადაც ავტორი პირველ პირში მოგვითხრობს „რუსეთიდან“ „საქართველოში“ მიმავალ მგზავრის ფიქრებზე. ასევე, გზად შემომხვდარ რუს სამხედროსა და შემდეგ ქართველ მეგზურს შორის დიალოგზე. აქ, ნაწარმოებში წარმოდგენილი სიმბოლოების მნიშვნელობაზე ვახტანგ გურული წერს:

„**ეტლი** - ჩამორჩენილი რუსეთი.

მეეტლე და ოფიცერი - ჩამორჩენილი რუსეთის ღვიძლი შვილები.

ეტლით მგზავრობა - აუტანელი და საშიში.

მგზავრი - ვითარებას იძულებით შეგუებული საქართველო.

ფრანგი - მგზავრის აუტანელი ყოფის შემცნობი ევროპელი.

ეტლით მგზავრობის პერსპექტივა - ცივილიზებული სამყაროსაგან ჩამორჩენა“ (გურული 2006: 22-23).

ერთადერთი ვისაც რუსეთიდან საქართველოში მომავალი ილია ემშვიდობება ევროპელია – ფრანგი, რომელიც გარკვეული სიმპატიით არის განწყობილი ქართველი მგზავრისადმი. ევროპელი ქართველის გაცნობის მნიშვნელობას უსვამს ხაზს და ილიას თხოვს მომავალში მათი შეხვედრის შემთხვევაში, ეს მათი ნაცნობობა იყოს საფუძველი მათი ურთიერთობის. „თუ შევხვდეთ ერთმანეთს კიდევ როდისმე, გთხოვთ მიცნობდეთ“ (ილია ჭავჭავაძე 1988ა: 10). აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნემდე საქართველოს და ევროპას ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდა, მაგრამ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობით, საქართველო-ევროპის ურთიერთობის პოლიტიკური გზა, მხოლოდ რუსეთზე გადიოდა.

„ფრანციელის“ დამოკიდებულება რუსული სამგზავრო ეტლისადმი, რომელიც კარგად გამოხატავს XIX საუკუნის რუსეთის ხელისუფლების „პოლიტიკურ მანქანას“ დამცინავი და ირონიულია. კარგად იცის ევროპელმა ამ ეტლის წარმომავლობა, მაგრამ ქართველს ცოდნას და აზროვნებას უმოწმებს, „- ეგ ეტლი ვისი მოგონილია? - მკითხა მან და მიმიშვირა ხელი ფოშტის პოვოსკაზედ, რომელზედაც ჯერ არგამოფხიზლებული „იამშჩიკი“ უგემურად სთვლემდა.

- რუსისა, - ვუპასუხე მე“ (ილია ჭავჭავაძე 1988ა: 10).

ფრანგი სიბრალულს გამოხატავს ქართველის, რუსული ეტლით მგზავრობაზე, რაც სიმბოლოა საქართველოს რუსული „პოლიტიკური მანქანით“ სიარულის. „მებრალებით, რომ თქვენ იძულებული ხართ მაგას გაალაყებინოთ ტვინი და გაადღვებინოთ გულ-მუცელი“ (ილია ჭავჭავაძე 1988ა: 10). ქართველის კომენტარი ევროპელის ნათქვამზე, „არა უშავს-რა. მთელი რუსეთი მაგით დადის და მე რა ღმერთი გამიწყრება, რომ დამიშავდეს რამე“ (ილია ჭავჭავაძე 1988ა: 10). რაც თავის დამშვიდების და ბედთან შეგუების გამომხატველია, ევროპელში აღშფოთებას იწვევს და კითხვას სვამს: „მაგით დადის?! იმიტომაც შორს არის წასული!..“ (ილია ჭავჭავაძე 1988ა: 10). რუსულ ეტლში მჯარი ქართველის შემხედვარე ფრანგი, რომელიც კარგად აცნობიერებდა იმ ტრაგიკომედიას, რა ყოფაშიც ქართველი იყო ახითხითდა და თავის დასმულ კითხვას თვითონვე პასუხობდა „მაგით დადის!.. ვიღა დაეწევა!..“ (ილია ჭავჭავაძე 1988ა: 10). დამოუკიდებელი ქვეყნის წარმომადგენლისგან ასეთი დამოკიდებულება, ალბათ ბუნებრივიცაა.

2. ილია ჭავჭავაძე პოლიტიკური თავისუფლების შესახებ. XIX საუკუნეში, როდესაც რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია და დაიწყო თავისი პოლიტიკის

გატარებაა დადგა საფრთხე ქართველ ერში ეთნიკური თვითშეგნების დაკარგვის, რის წინააღმდეგაც გამოვიდა ქართული პოლიტიკური ელიტა ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით. მათ პირიქით, გააღვივეს ეთნიკური თვითშეგნება, სწორედ საერთო ისტორიით და კულტურით. თანაც ისე, რომ XX საუკუნეში საქართველოში გაბატონებული კომუნისტური წყობის შემდგომ, სწორედ, ილიას იდეებზე მოხდა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ილია ჭავჭავაძის იდეებმა გამოიწვია პოლიტიკური აზროვნების გარეშე დარჩენილ ქვეყანაში, აზრის კვლავ აღორძინება – **„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუნდესო“** (ილია ჭავჭავაძე 1988: 32). - შევეცდებით, გავცეთ პასუხი კითხვებს: რა დასავლურ ღირებულებებზე ამახვილებდა ყურადღებას ილია ჭავჭავაძე? როგორ აფასებს ილია ევროპის ურთიერთობას ქართველთან და რუსთან? და ა.შ.

ყურადღება დასავლური პოლიტიკური ღირებულებებიდან პირველ რიგში მიმართული იყო პოლიტიკური თავისუფლებისკენ, რა თქმა უნდა ანთროპოლოგიური თვალსაზრისით. „თავისუფლება“ მათი გაგებით ეს იყო პოლიტიკური მიზანი, მათი ცხოვრების ლაიტმოტივი და პოლიტიკური სულისკვეთების განმსაზღვრელი. თუმცა, მაშინდელ კოლონიურ სახელმწიფოში ამ საკითხის ღიად დაყენება რეპრესიების გამომწვევი იყო. ამას ემსხვერპლა XIX საუკუნის I ნახევარში ბევრი ქართველი. ამის გამო „თერგდალეულები“ უფრო რთულ და შორსმჭვრეტელურ გზას დაადგა. მათ კარგად ახსოვდათ მშობლების და წინაპართა ყოფა-ცხოვრება, ისინი დაიბადნენ და გაიზარდნენ რუსეთის იმპერიის კოლონიური რეპრესიების პერიოდში. ამრიგად, მათ ცხოვრებისეული დიდი გამოცდილება ჰქონდათ. ამიტომ, ქართველ ხალხთან სათქმელი სხვა გზით და სხვა საშუალებით უნდა მიეტანათ. ასეთი საშუალება, მაშინ ჟურნალ-გაზეთები იყო. პირველად, **ილია ჭავჭავაძის** პოლიტიკური აზროვნება „მგზავრის წერილებში“ გამოიკვეთა, სადაც მას ღრმად აქვს გაცნობიერებული, საქართველოს მდგომარეობა მაშინდელ მსოფლიოში.

თავისუფლების შესახებ ფრანგი ეპისკოპოსისა და თეოლოგის **ჟაკ-ბენ ბოსსუეტის** (1627-1704) შეხედულების ინტერპრეტირებისას **ილია ჭავჭავაძე** წერდა: „თავისუფლება იგი ყოფა-მდგომარეობაა ადამიანისაო, ამბობს ბოსსუეტი თავის მსოფლიო ისტორიაში, საცა ყოველი ემორჩილება მარტო კანონსა და საცა კანონი უძლიერესია ყოველ ცალკე კაცზედაო; ასეთის თვალით უყურებდა თავისუფლებას ძველი რომაელი და ძველი ბერძენიო. ეს ჭეშმარიტი და ზედმიწევნილი მნიშვნელობა თავისუფლებისა ეხლაც

ცნობილია და აღიარებული ეხლანდელ მეცნიერთა და სახელმწიფოთაგან. ჭეშმარიტი, რიგიანი აგებულება და წყობილება კაცთა საზოგადოებისა სწორედ ამ ქვაკუთხედზედ უნდა იყოს ამოყვანილი. საცა ეგ არ არის, იმ კაცთა საზოგადოებური ცხოვრება, რომელიც ერთმანეთზედ დამოუკიდებლად და გადუბმელად შეუძლებელია, მარტო ძალმომრეობაა, ერთმანეთის თელვაა, ერთმანეთის ჩაგვრა და ძარცვა-გლეჯა. მაშინ ყოფა ადამიანისა ნადირთ ყოფაა და ადამიანი, ეგ კერძი ღვთისა, ნადირად გადაქცეულია, იმიტომ, რომ თვითვეულის სვე-ბედი თვითვეულის ფარ-ხმალით საგერი და სატევია და არა საერთო მფარველობისა და შემწეობისაგან ნათავდებები და დაკუთვნებული. ამ ყოფით ცხოვრება ცნობიერს და ჭკვათამყოფელს სულიერს არ შეუძლიან და თვით იმ კრებულს ჭკვათამყოფელს სულიერთა, რომელსაც ჩვენ კაცთა საზოგადოებას ვეძახით, მიზეზი არსებობისა და ყოველივე მნიშვნელობა ეკარგება და უბათილდება“ (ჭავჭავაძე 1887: 1-2).

3. ილია ჭავჭავაძე კანონის უზენაესობის თაობაზე. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რუსეთში 1864 წელს ჩატარებული სასამართლო რეფორმის შემდეგ დაფუძნდა და წლების განმავლობაში წარმატებით ფუნქციონირებდა. მიუხედავად ამისა, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მეფის რუსეთის მმართველობას ამიერკავკასიაში, მათა შორის საქართველოში არ დაუნერგია. ამას რეგიონის მოსახლეობის განვითარების დაბალი დონით ამართლებდნენ და ამბობდნენ, რომ ისინი ამისთვის მზად არ იყვნენ. არადა, არსებობს ცნობები, რომ რუსეთის იმპერიის გუბერნიების, კერძოდ, საქართველოს წარმომადგენლები რუსეთის იმპერიას ხშირად მიმართავდნენ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების თხოვნით.

ილია ჭავჭავაძე, ისევე, როგორც იმდროინდელი ქართული საზოგადოება, საკმაოდ უნდობლად უყურებდა რუსეთის იმპერიის ჩინოვნიკურ სასამართლოს. ამიტომ, იგი დიდი იმედით უყურებდა საზოგადოების, ხალხის ფართო ფენების მონაწილეობას მართლმსაჯულების განხორციელებაში. თვითონ ილია ამის მნიშვნელოვან ფორმად ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას მიიჩნევდა.

ილია ჭავჭავაძე წერდა: „მსაჯული ის რჩეული კაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი. ერთის სიტყვით, ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა. იგი განხორციელებული ნამუშია და განსაკუთრებული სინდისია მთელი ერისა, ერის უკეთეს კაცთაგან შეძლებისამებრ გაწმენდილი და კუთვნილ სიმაღლეზე დაყენებული“ (www.msajuli.ge).

ილიას და ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილს, პირველ ხანებში რეალური იმედი ჰქონდათ, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოშიც დამკვიდრდებოდა და ამისათვის რეალურად ემზადებოდნენ კიდეც.

ილია ჭავჭავაძე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამუშავების დროს კატეგორიულად მიიჩნევდა, რომ „უწინარესად თვითონ მოსამართლენი უნდა იყვნენ ადგილობრივი ანუ ქართული ენის მცოდნენი“ (www.msajuli.ge).

ილია ჭავჭავაძე წერდა: „აბა ერთი მიბრძანეთ, მოსამართლენი აქაური ენის მცოდნენი რომ არ იყვნენ, რომ ადვოკატებმა და ბრალდებულებმა მჭევრმეტყველობის ყაბახი გამართონ სასამართლოში რუსულად, ქართულმა ნაფიცმა მსაჯულმა მარტო ბუზები მოიგერიოს თუ რა ქნას და თუ ნაფიც მსაჯულს კანონად დაუდებთ რუსული ენის ცოდნას, მარტო მოსახლეობამ (ჩინოვნიკებმა) იცის ჩვენში რუსული, მაშინ სამართალი ხომ მაინც ჩინოვნიკების სამართალი იქნება და არა ერისა“ (www.msajuli.ge).

ქართველ მოღვაწეებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების იმედი თავის დროზე თვითონ მეფის რუსეთმა გაუჩინა - ცარისტულმა ხელისუფლებამ მეცხრამეტე საუკუნის დამლევს ამ ინსტიტუტის შემოსაღებად გარკვეული ღონისძიებების გატარებაც კი დაიწყო.

პირველი ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე საქართველოს პრესაში გაჩნდა 1895 წლის მაისში. ამ საკითხზე შედგა კავკასიის იურიდიული საზოგადოების კრება, რომელზეც გამოვიდა ცნობილი რუსი იურისტი, იმჟამად სენატორი ა. კონი.

მომდევნო წლებში, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურობამ კრებაზე შექმნა „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემმუშავებელი“ კომისია, რომლის წევრიც იყო ილია ჭავჭავაძე.

თუმცა, მეფის რუსეთის მმართველობის მიერ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება არ მომხდარა. 1889 წლის 15 აპრილის გაზეთი „ივერია“ წერდა: „ცარიზმმა ქართველ ხალხს არათუ მთლიანად სამართლიან სასამართლო სისტემაზე უთხრა უარი, არამედ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების „წყალობაც“ კი წაართვა“ (www.msajuli.ge).

„ოთარაანთ ქვრივში“ ილია წერდა: „მე მარტო ისა ვარ, რომ ჩემს ჯავრს არავის შევარჩენ, ტყუილ-უბრალოდ არავის დავეჩაგვრინები. თუ გაჭირდა, რკინის ქალამნებს

ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემდინ ვივლიო“ (ილია ჭავჭავაძე 1988ბ: 241).

4. ილია ჭავჭავაძე დემოკრატიის შესახებ. ილია ჭავჭავაძის მიერ მაშინდელ მსოფლიოს პოლიტიკური მოვლენების, ღრმა ცოდნამ საფუძველი მისცა, კარგად გაეანალიზებინა მიმდინარე პროცესები და შეექმნა საფუძველი, საქართველოში დაენერგა ისეთი პოლიტიკური აზროვნება, რაც საშუალებას მისცემდა გადაერჩინა ქართველი ერი. ერთი შეხედვით ეს შეუძლებელიც კი ჩანდა მსოფლიოში გაბატონებული იმპერიების ბინძური პოლიტიკის („გათიშე და იბატონე“) ფონზე.

XIX საუკუნეში, როდესაც რუსეთმა საქართველო დაიპყრო და დაიწყო თავისი პოლიტიკის გატარება, დადგა საფრთხე ქართველ ერში ეთნიკური თვითშეგნების დაკარგვისა. ეს საფრთხე გააცნობიერა ილია ჭავჭავაძემ. ილიამ პირიქით გააღვივა ეთნიკური თვითშეგნება, საერთო ისტორიასა და კულტურაზე დაყრდნობით, დამოუკიდებლობის, თავისუფლების, დემოკრატიულობისა და ლიბერალურობის შეფარული თუ ღია მოწოდებით. ლელთ-ღუნიას სიტყვები „ჩვენი თავის ჩვენადვე ყუდნება“ – მხატრული, მოხეური კილოთი ნათქვამი, დამოუკიდებლობის და თავისუფლების დეფინიციაა. „საქართველოს მოამბის“ 1863 წლის №11-ში, ილიას რედაქტორობით დაიბეჭდა კირილე ლორთქიფანიძის კომპილაციური თხზულება „ჩრდილოეთის ამერიის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეები“, სადაც ავტორს შეერთებული შტატების ინგლისის კოლონიური მფლობელობისაგან განთავისუფლებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მაგალითზე მიანიშნებს საქართველოს განთავისუფლებას და დამოუკიდებლობის აღდგენას. აღსანიშნავია ამ თხზულებისათვის თანდართული სიტყვათა განმარტებანში სიტყვა დემოკრატიის ახსნა, რომელიც ა.შ.შ.–ის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ნიშანსვეტია „დემოკრატიაა ხალხის მმართველობა ე.ი. იმისთანა ხალხის მმართველობა, რომლეშიაც უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ხალხსა, რომლის წევრებსაც თანასწორი სიმაღლე აქვსთ. იმ კაცს, რომელიც ხალხის მმართველობის დაწესებულებისათვის ზრუნავს, ეძახიან „დემოკრატიას“ “ (ლორთქიფანიძე 1863: 34). 1888 წელს ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილში „წოდებათა თანასწორობა“, სადაც ის მართალია თავად-აზნაურთა წოდების წინააღმდეგ გამოდის, მაგრამ თავის თავად სტატიის სათაური დემოკრატიის ერთ-ერთი დეფინიციაა ილიას მიერ შემოთავაზებული. სწორედ დემოკრატიას გულისხმობს ილია, როცა წერს „ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც კაცთა ურთიერთობაში შესაძლებელი

იყოს რომელსამე წოდებამ ცალკე ბინა გაიკეთოს, ცალკე ინტერესები შემოიღობოს, შემოიფარგლოს, და ამით რაიმე ხეირი და სიკეთე ჰნახოს საბოლოოდ. ამისთანა წყობა და აგებულობა საზოგადოებისა, თუ ერისა, დიდხანს თავს ვერ დაიჭერს და, ვითარცა ქვიშაზე აგებული სახლი, პირველ ქარის შებერვაზედ დაიფუშება“ (ილია ჭავჭავაძე 1987გ: 19).

ილია ჭავჭავაძე 1887 წელს სტატიაში **„პარლამენტი თუ სამინისტრო“** წერდა: „აშკარაა, რომ დღეს გერმანიაში ორი დედააზრი დაეჯახა ერთმანეთს და თვითვეული მათგანი ჰლამობს გამარჯვებასა. ერთის დედააზრის მიმდევარია ბისმარკი და მეორისა პარლამენტის მომხრენი. მინამ ეგ დედააზრნი ეგრე მედგრად გაემკლავებოდნენ ერთმანეთს ცხოვრებაში ადგილის დასაჭერად, ჯერ, რასაკვირველია, მეცნიერებაში იყვნენ დაჯახებულნი და სახელგანთქმულ მეცნიერთა შორის დღეს ერთის მომხრენიც მოიპოვებიან და მეორისანიც, ნამეტნავად გერმანიაში. ამ სახით ამ საგანზედ, რომლის გამოც დღეს იბრძვიან გერმანიაში, ორგვარი მდინარეობაა აზრისა, ერთი მეორის წინააღმდეგია და ერთსაც და მეორესაც მეცნიერი მომხრენი ჰყავს. ამიტომაც მეტისმეტი უმართებულობა იქმნება, დღევანდელი მოქმედება ბისმარკისა მარტო მის თვითნებობას და ჯიუტობას შევწამოთ. შესაძლოა იგი რწმენითაც მოქმედობდეს, რწმენით, რომელიც ჩვენის აზრით შეუწყნარებელია, მაგრამ დამყარებული კია სახელ-განთქმულ მეცნიერთა მოძღვრებაზედ. მართალია, რწმენა ყოველთვის ჭეშმარიტებად მისაღები არ არის, მაგრამ პატივსაცემი კი ყოველთვის არის.

გამოჩენილს მეცნიერს ლორენც შტეინს, რომელიც მეორე გამოჩენილ მეცნიერ გნეისტთან ერთად ავტორიტეტად არის ცნობილი გერმანიაში საპოლიტიკო საქმეთა ცოდნასა და ახსნაში და რომელიც – ჩვენში კი ითქვას – ცოტა თვალდახუჭული უყურებს ეგრეთწოდებულს “პარლამენტარობას”, მოჰყავს ორ-გვარი მაგალითი პარლამენტარობისა: ერთი, საცა აღმასრულებელი ძალი სახელმწიფოსი, ესე იგი სამინისტრო, სრულად ემორჩილება რჯულთმდებელს პარლამენტსა, როგორც მაგალითებრ, ინგლისია, და მეორე, საცა სამინისტრო თითქმის დამოკიდებული არ არის პარლამენტზედა, როგორც დღეს გერმანიაშია. თქმა არ უნდა, რომ შტეინს უფრო გერმანიის წესი მოსწონს და სწუნობს ინგლისის წესსა. შტეინის სიტყვით, ინგლისის სამინისტრო სახელმწიფოს მოსამსახურე არ არის; იგი არის ყურმოჭრილი ყმა იმ დასისა, რომელიც სხვადასხვა შემთხვევისა გამო ჰმეტობს პარლამენტში და რომელიც

ცვალებადია. იგიო, ამბობს შტეინი, წარმომადგენელია პარლამენტში გაუფლებულის დასისა და ამიტომაც ზოგადი ხასიათი მთავრობისა ინგლისში იგია, რომ თავისით მთავრობას არა ხასიათი არა აქვსო. იქ პასუხისგება სამინისტოსი ფუჭი სიტყვააო, იმიტომ, რომ მინისტრების დამოუკიდებლობასთან ერთად მათი პასუხისგებაც გაჰ-ქრაო, რადგანაც რაკი დასი განაგებს და მართველობს, ეგ პასუხისგება უმიზეზოაო. შტეინის აზრით, - რაკი მინისტრები გაუფლებულის დასის წარმომადგენელნი და წინამძღოლელნი არიან და უნდა იყვნენ კიდეც, თუ არა და, უნდა დაეთხოვონ თავიანთ თანამდებობას, მაშ არავითარი შემთხვევა არ იქნება შესაძლებელი, რომ სამინისტრო პარლამენტის სურვილის აღმსრულებელი არ იყოს ყოველთვის. რაკი ესეა, მიზეზიც პასუხისგებისა თავის დღეში არ აღმოჩნდება. თუ მიზეზი პასუხისგებისა სათავეში მოწყვეტილია, პასუხისგება რიღას მაქნისია. ამაზედ ამყარებს შტეინი თავის აზრს იმის შესახებ, რომ ინგლისში პასუხისგება მინის-ტრებისა უქმი სიტყვააო და სწუნობს იქაურს რიგსა და წესსა.“ (ილია ჭავჭავაძე 2007: 65-71). აქ აშკარაა, რომ ილია ჭავჭავაძეს ლორენც შტეინის მოსაზრებას იზიარებს და გამოხატავს სიმპატიას გერმანული პოლიტიკური მოწყობის მიმართ.

ილია ჭავჭავაძე გარდა ზემოთ აღნიშნული გერმანული სახელმწიფო მოწყობის ფორმატისა, ასევე მისთვის სანიმუშო და გამჭრიახ პოლიტიკოსად გერმანიის კანცლერს ოტო ფონ ბისმარკს მიიჩნევდა. ქართველი მოაზროვნე სტატიაში „დაძაბული პოლიტიკური ვითარება ევროპაში“ წერდა: „ის გაჭირებული მდგომარეობა, რომელმაც ამ რამდენისამე ხნის წინად შეაფიქრა მშვიდობისმოყვარენი ევროპაში, ზოგირეთის სიტყვით, ეხლა საკმაოდ განელდა და მშვიდობიანობისაკენ მიდრიკაო. ზოგნი კიდევ მაინც იძახიან, რომ განსაცდელის ღრუბელი ჯერ არ გადუყრია საპოლიტიკო ცასაო და განსაცდელი მაინცდამაინც მოსალოდნელიაო. მშვიდობიანობის მსურველნი და მოყვარენი იძახიან, რომ სულ ტყუილი ფართი-ფურთი იყოვო, რასაც აქამდე ან ერთი ან მეორე მხარე ქადულობდა. ბისმარკს შინ საქმე გაუჭირდაო და იძულებულ შეიქმნა შიშის ზარით ემოქმედნა თავისის სიტყვის და სურვილის გასაყვანად გერმანიაში, რომელიც მის მიერ მოწვეულია ახალის რეიხსტაგის დეპუტატთა არჩევანისათვისაო და თუ ამ შიშმა ეს სამსახური გაუწია ბისმარკსა, მერე ყოველისფერი დალაგდება და დაწყნარდებაო.

ომიო, იძახიან სხვანი, მარტო მაშინ ასტყდებაო, თუ ბისმარკი მოიწადინებსო და ამასთანაც უმატებენ, რომ ბისმარკი საქვეყნოდ ამბობსო, ომი სულაც არ უნდა გერმანიას

და გერმანია პირველი არ ამოიღებს ხმალს ქარქაშიდამ, თუ ზედ არ მოესევა ვინმე და მაშინ მეტი რა გზაა, მტრის მოსაგერებლად მზად უნდა ვიყვნეთო. ამ სახით სჩანს, ვითომ გერმანიის მხრით მოსალოდნელი არ არის რაიმე უეცარი განსაცდელი. იქით საფრანგეთი თავის ბედის გამგებელთა კაცთა პირით დღე მუდამ არწმუნებს ქვეყანასა, რომ მშვიდობიანობის მსურველია და არავითარი შიში არ მოელის ამ მშვიდობიანობასაო. ეხლახან საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ფლურანსს გამოუცხადებია, რომ ჩვენის ელჩებისაგან მიღებულმა ამბებმა სრულიად გადაგვიყარეს ყოველივე შიში მშვიდობიანობის დარღვევისაო. ბოლგარიის საქმეა და ამაზედაც ამბობენ, რომ იმედია აქაც ევროპა სამშვიდობო გზაზედა სდგასო, იმედია, არც ეს საქმე ჩააგდებს ევროპას განსაცდელშიო და ყველაფერი ყოველთა სასურველად გათავდებაო. ავსტრიამაც, თუმცა დელეგატებიც მოიწვია, რომ ჯარისათვის 25 მილლიონი გამოსთხოვოს და გარდა ამისა მომეტებულის დახარჯვის ნებაცა, თუ ვინიცობაა საქმეთა ვითარება და საჭიროება მოითხოვს, მაგრამ იგი ავსტრიაც კი ანუგეშებს ქვეყანას, რომ შიში არაფრისაა და თუ ჩვენ ვემზადებით, მარტო იმისათვის, რომ ყოველ შემთხვევისათვის მზად ვიყვნეთო. ერთის სიტყვით, საიდაც კი მიიხედავთ, ყველანი იმას იძახიან, რომ მშვიდობის წყურვილია ჩვენი წყურვილი და სახელმწიფოს გამგებელნი კაცნი რაც ძალი და ღონე აქვთ იძახიან, საშიშარს ხმებს არავითარი საბუთი არა აქვს და სულ ყველაფერი მოგონილი ამბავია მარტო იმისათვის, რომ ბირჟას ელდა სცენ და ხარბმა კაცებმა ბირჟაზედ მოთამაშეებმა, ამ არევდარევაში ხელი მოითბონ.

რასაკვირველია, ეს შიშის ხმები ჟურნალ-გაზეთობამ მოჰფინა ქვეყანაზედ და არც ის არის საკვირველი, რომ მთელი ოფიციალური ევროპა ეგრე გულმოდგინედ უარჰყოფს იმ ხმებსა და ქვეყანას ამშვიდებს, არაფრის შიშიაო. აქ ერთი მოსწრებული სიტყვა ბისმარკისა გვაგონდება. ჟურნალ-გაზეთობის მიერ მოფენილს ხმას ნუ დაიჯერებთ იმ დრომდე, ვიდრე ოფიციალურად უარყოფილ არ იქმნესო, სთქვა ერთხელ ჭკვამახვილმა ბისმარკმა“. (ილია ჭავჭავაძე 2007ბ: 90-91).

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის აზრები – დღესაც აქტუალურია ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის, მისი მოღვაწეობა – მაგალითია თითოეული პატრიოტი ქართველისთვის, მისი ნამოქმედარი – დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს საძირკველია, რადგან როგორც ილია აღნიშნავდა „ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი... ყოველთვის ძირიდამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდამ ამაღლებულა“, თანამედროვე ქართული სახელმწიფოს

საძირკველი ქართველი ერია და მისი წარსული, XIX საუკუნეში კი, როცა დადგა საფრთხე ქართველი ერის დედამიწის ზურგიდან გაქრობის, სწორედ ილიამ გააღვივა ქართველ ერში ეროვნული თვითშეგნება. ბოლოს გვსურს ილიას სიტყვები მოვიშველიოთ, „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის... ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი...“

§ 2. ნიკო ნიკოლაძე დასავლური პოლიტიკური ღირებულებების თაობაზე

დღეს, XXI საუკუნის დასაწყისში დასავლურ ღირებულებებზე საუბრისას, მაშინ როცა ქართული სახელმწიფო ევროკავშირისა და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისაკენ („ნატო“) ისწრაფვის, უნდა ვითვალისწინებდეთ და ვიზიარებდეთ „მეორე თერგდალეულად“ წოდებული **ნიკო ნიკოლაძის (1843-1928)** ნააზრევს: „ერთი და იგივე ძალა მართავს ქვეყნიერების ფიზიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას, ის, რომელიც მთვარეს აბრუნებს დედამიწის ირგვლივ და მათ ორივეს მზის გარშემო,.. ორიენტაცია შთაგონებით არ ხერხდება, ხალხი, როგორც ყველა ცოცხალი არსება, თავისთავად მუდამ იქით იქცევს პირს, საიდანაც მზე სხივს ჰფენს და ღვივის. საქართველო წარსულში ორიენტაციას ყოველთვის იქით მიმართავდა ხოლმე, საიდანაც სინათლე და მოძრაობა მოდიოდა. შემცდარია, ვინც ფიქრობს, ვითომც რომელიმე მეფეს, წოდებას ან თაობას თავის ნებაზე შეძლებოდეს საქართველოს აქეთ და იქეთ მიბრუნება, სანამ განათლება და ცხოვრება ბიზანტიაში ენთო, საქართველოსაც მზესუმზირასავით თვალი იქეთ ეკავა, როცა სპარსეთი აყვავდა ინდოეთის კულტურაზე დაწაფებით, ჩვენი აღორძინებაც მისკენ მიიმართა, აზრი მისკენ გვქონდა, პეტრე დიდისა და ეკატერინე მეორის ამაგმა რუსეთი რომ გააჩაღა, საქართველოც ძალაუნებურად მან წარიტაცა ფიზიკის კანონით. როცა სხვადასხვა ძალა ერთ და იმავე საგანს თავისკენ უქაჩავებს, ამ საგნის მდებარეობას სწყვეტს მებრძოლი ძალების უძლიერესობა, - საგანს, უნდა თუ არ უნდა, ყოველთვის მომრევი გადაითრევს“ (ნ. ნიკოლაძე 1917).

ნიკო ნიკოლაძის ცხოვრების მეორე ეტაპზე, უფრო სწორად ერთი ეპოქიდან მეორე ეპოქაში გარდამავალ პერიოდში, მისი ყურადღება მიმართული იყო საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, პოლიტიკური ერთეულის ბედზე. სტატიაში

„საქართველოს ორიენტაცია“ აღნიშნავდა: „ორიენტაციის საგანი ქართველობისათვის არც უცხოა, არც უცნობი, ბევრჯერ, განსაცდელის ხანაში, მას წინ ატუზვია საბედისწერო კითხვა: „ვის მივმართოთ, რა გზა გვიჯობსო?..“ ამ კითხვას დღემდი ხალხში და მწერლობაში „ქართლის ცხოვრების“ მიმართულება ერქვა. ეხლა კი, როცა მას „საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია“ უწოდეს, გვგონია, ვითომ ახალი რამ გაგვეჩინოს და ამ ძველ ამოცანას ჩვენს ქეიფზე ვატრიალებთ...

აქედან ცხადია, „ორიენტაციაში“ ჩვენ სარჩევი და სადავო არა გვაქვს რა... გონიერება იმას უნდა ვალიოთ, რომ ფხიზლად თვალი ვადევნოთ, თუ ჩვენს გარშემო რა ძალები ვარჯიშობენ, რა ურთიერთ განწყობილებაში დგებიან?“ (ნიკო ნიკოლაძე 1917)[2].

ნიკო ნიკოლაძეს საქართველოს ისტორიის სამ დიდ ეპოქაში მოუწია ცხოვრება. ის იყო 1. რუსეთის იმპერიის მოქალაქე (1843-1918); 2. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოქალაქე (1918-1921) და საბჭოთა მოქალაქე (1922-1928). თითოეულ მათგანში მისი წვლილი შეუფასებელია. შეუფასებელია, როგორც გადატანით, ისე პირდაპირი მნიშვნელობით:

1. კოლონიური საქართველოს - რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში - სადაც დაიბადა და სიცოცხლის დიდი ნაწილი გაატარა. ის ეწეოდა აქტიურ ჟურნალისტურ მოღვაწეობას, შემდეგ არჩეულ იქნა ქალაქ ფოთის მერად (1894-1912).

2. დამოუკიდებელი საქართველოს - საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებაში. ის იყო დელეგაციების წევრი სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციის მოლაპარაკებებზე.

3. საბჭოთა საქართველოს - საბჭოთა კავშირში. ის დაუბრუნდა თავის პირველ საქმიანობას - ჟურნალისტიკას და სიცოცხლეც ამ პროფესიით დაასრულა.

ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით, **გერონტი ქიქოძე ნიკო ნიკოლაძის** წერდა: „ნიკო ნიკოლაძეს რამდენჯერმე შევხვდი მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. იმპერიალისტური ომის დროს ეს მხრებში ოდნავ მოხრილი მოხუცი ქარიშხალივით იჭრებოდა გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის ოთახში, რუკას მივარდებოდა და ხელის ფართო მოძრაობით საერთაშორისო პოლიტიკის პერსპექტივებზე იწყებდა მღელვარე და შთაგონებულ საუბარს. ეტყობოდა, რომ ის შეჩვეული იყო მსოფლიოს მაშტაბით

[2] **ნიკო ნიკოლაძე**. საქართველოს ორიენტაცია. - სამერმისო, „საქართველო“, 1917, 16 დეკემბერი.

აზროვნებას; მაგრამ მისი პოლიტიკური პროგნოზი ყოველთვის უცდომელი არ იყო. ის შეცდა 1873 წელს, როცა პარიზში, ლუი ბლანთან საუბრის დროს, ხანმოკლე არსებობა უწინასწარმეტყველა ახლად დაარსებულ მესამე რესპუბლიკას. ის შეცდა 1918 წლის შემოდგომაზე, როცა ევროპიდან ახლდა დაბრუნებულმა განაცხადა, შეუძლებელია გერმანიის დამარცხება მოკავშირეების მიერო. ორიოდე კვირის შემდეგ გერმანიამ იარაღი დაჰყარა.

ის არ იყო მჭევრმეტყველი, მისი სტილი ნერვიულობას და აზრთა სიჭარბეს მოწმობდა. სტილის საკითხში ის მონტენს ეთანხმებოდა: ის უპირატესობას აძლევდა უბრალო, გაუშალაშინებელ ენას, ნოყიერსა და ცოცხალს, სხარტსა და შემჭიდროებულს, თავისუფალს ყოველივე პრანჭიობისა და კეკლუცობისაგან. მას ჰქონდა მხატვრული ინტერესი და გემოვნება. ამას მოწმობს მისი კრიტიკული წერილები ქართულ და ევროპულ ლიტერატურაზე. ესთეტიკურ საკითხებში ის წინააღმდეგი იყო როგორც ტლანქი უტილიტარიზმისა, ისე ცხოვრებიდან გამოთიშული ხელოვნების იდეისა“ (გ. ქიქოძე 1963: 193-194).

1. ნიკო ნიკოლაძე პოლიტიკური თავისუფლების შესახებ. ნიკო ნიკოლაძის ინტერესი დასავლური პოლიტიკური სისტემების მოდელებისადმი გამოხატულია მის მრავალ პუბლიცისტურ ნაშრომში. ამ საკითხთან დაკავშირებით მისი ისტორიოგრაფიული ნააზრევი კარგად ჩანს **1875 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში - „სოციალურ და პოლიტიკურ გარდაქმნათა შესახებ“**: „კაცობრიობის ისტორიაში ჯერ კიდევ არ ყოფილა მაგალითი, რომ თუნდაც ერთი რომელიმე ოდნავ სერიოზული ცვლილება ხალხის ბედში (მე ვლაპარაკობ, რასაკვირველია არა ომების შესახებ, არამედ მხოლოდ საზოგადოებრივი ვითარების შეცვლათა შესახებ) მომხდარიყო ახალი მოძღვრების, ანდა პროპაგანდის მხოლოდ პრაქტიკული, უარმყოფელი, მხარეების ძალით. ისეთმა გონიერმა ადამიანებმა, როგორიც იყვნენ **პლატონი** და **სოკრატე**, ისე გააკრიტიკეს ძველი სამყარო, რომ მისი საზოგადოებრივი წყობილებისა და სულიერი ცხოვრებისაგან ქვა ქვაზე არ დატოვეს, მაგრამ არა მათ შეარყიეს ეს სამყარო, არა მათ შეცვალეს კაცობრიობის ბედ იღბალი. საჭირო იყო **ქრისტეს** მოძღვრების მთელი „დადებითი“, „შემოქმედებითი“ მხარე იმისათვის, რომ ხალხებს შეეცვალათ თავიანთი შინაგანი და საზოგადოებრივი ცხოვრების წყობილება. მაგალითისთვის ჩვეულებრივად მიღებულია **საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასახელება** (ვინაიდან სხვა შესაფერისი მაგალითი არაა).“ ნიკო ნიკოლაძის ნააზრევიდან უნდა აღნინიშნოს, მისი ერთ-ერთი

პირველი სტატია: **„რამდენიმე სიტყვა ერთი მეტად ძველი საკითხის გამო“**. სტატია ფრანგი ისტორიკოსის **ზიბელის** წიგნის - **„საფრანგეთის რევოლუციის ისტორიის“** რეცენზიას წარმოადგენდა, იგი 1864 წელს დაიბეჭდა. ნიკო ნიკოლაძე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დასავლური პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ისტორიაზე. ნიკო ნიკოლაძე შეეხო **მონარქიიდან რესპუბლიკაზე** გარდამავალ მოვლენას - საფრანგეთის რევოლუციას. ნიკო ნიკოლაძე ზიბელს აკრიტიკებდა:

„ზიბელი თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს იმ მოვლენებს, რომელთაც საფრანგეთის დიდი რევოლუცია შეამზადეს და თითქმის მისი წინამორბედები იყვნენ“ (ნ. ნიკოლაძე 1962: 195).

ნიკო ნიკოლაძე უშუალოდ საფრანგეთის რევოლუციის გამომწვევ მიზეზებად ასახელებდა: **რეფორმაცია - უპატენტო მეცნიერები - მიწა - ხელოსნები.**

ნიკო ნიკოლაძე **ლუდოვიკო XVI-ის** სახელმწიფო სისტემის აღწერისას, ეყრდნობა **ფრანგ განმანათლებლებს**, მიუთითებს იმაზე, რამაც დიდი როლი ითამაშა რევოლუციის მიღწევაში. ის ორ მნიშვნელოვან სოციალურ ჯგუფზე ამახვილებდა ყურადღებას: სოფლის მიწაზე მომუშავე გლეხებსა და ქალაქის ხელოსნებზე. ნიკო ნიკოლაძე წერდა:

„მთელი მიწა მაშინ მხოლოდ და მხოლოდ არისტოკრატიას ეკუთვნოდა, ესე იგი აზნაურობას, სამღვდელოებას და მონასტრებს, იგი განაწილებული იყო არისტოკრატიის მდიდარ წევრებს შორის, ისე, რომ არსებობდა მხოლოდ დიდი, საადგილმამულო საკუთრება, ხოლო წვრილ მესაკუთრეებზე ლაპარაკი სულაც არ იყო.

არისტოკრატია ერთ მამულად გაერთიანებულ თავის მიწებს იჯარით აძლევდა ერთს ხელში, შემდეგ მამულის ერთი მოიჯარადრე იჯარით აღებულ მიწებს ანაწილებდა პატარა ნაჭრებად და მათ აძლევდა იჯარით, დიდი გადასახადით. ამრიგად, მიწა მრავლის ხელში გადიოდა, ვიდრე მიწისდამმუშავებელ გლეხს მოხვდებოდა. მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი არაა: მიწის პატარა ნაკვეთები იჯარით აიღებოდა არა თვით მიწის-დამმუშავებელთაგან, არამედ მეტ ნაწილად წვრილი მოიჯარადრეებისაგან, რომელნიც მის დასამუშავებლად ქირაობდნენ მოჯამაგირე - მიწის დამმუშავებელებს, რასაკვირველია, მეტად დაბალ ფასად. სხვაგვარად ხომ უმუშევარი გლეხი და მისი ოჯახი შიმშილით ამოწყდებოდა! იგი იძულებული იყო მთელი წელიწადი ჩალის ფასად ემუშავნა მოიჯარადრესთან, ანდა იმგვარივე ხელფასით მუშაობას იწყებდა ქალაქად. გლეხობის უმიწობას უსაშინელესი შედეგები

ჰქონდა: მთელი თემები იღუპებოდა შიმშილისაგან, რომ არაფერი ითქვას სხვადასხვა სნეულებაზე, რომელნიც უჭმელობისაგან წარმოსდგება“ (ნ. ნიკოლაძე 1962: 205-206).

გლეხის ასეთ დამოკიდებულებას მიწისადმი ნიკო ნიკოლაძე ასე ხსნიდა:

„რომელი სულელი გაბედავდა ჩაეფლა ოფლითა და შრომით მოპოვებული ფული ისეთ მიწაში, რომელიც მას ნამდვილად ჩამოერთმეოდა მფლობელის კაპრიზით, დღეს თუ არა, ხვალ მაინც? აქ ისე კი არ იყო, როგორც მიწის სათემო მფლობელობისას: უკანასკნელ შემთხვევაში მიწის დამმუშავებელი მიწას ფლობს სრულად გარკვეული წლების განმავლობაში, მან იცის, რომ ამ წლების გასვლის შემდეგ მას ამ მიწას ვერავინ წაართმევს და ამისთვის, თუ მიწის ნაკლებობა იგრძნობა, ანოყიერებს მას, აუკეთესებს, ფულს ხმარობს, მაშინ როცა მფლობელს უფლება აქვს წაართვას მიწა პირობის შეკვრის მეორე დღესვე, ან როცა მას მოუნდება. გარდა ყველა ამისა, არსად არ იყიდებოდა ზედმეტი ხორბალი, თუ კი იგი შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ მოვიდოდა, რადგან გზების მდგომარეობა იმდენად სავალაო იყო, რომ ძლივს შეეძლოთ ხორბლის მიზიდვა მეზობელ ქალაქამდე. ეს ვითარება მეტად სწევდა უკან მიწათმოქმედებას.

ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა თითქმის მთელი ფრანგი ხალხი, იშვიათი გამონაკლისის გარეშე. ამასთან ერთად არ უნდა იქნეს დავიწყებული, რომ ამ გამონაკლისს წარმოადგენდნენ არისტოკრატები, რომელთაც ხალხი, მათი ბოროტმოქმედებისათვის, მეტად ძლიერი ბუნებრივი მიზეზით, გულგრილად ვერ უცქეროდა და რომლებშიც მას არ შეეძლო არ დაენახა თავისი შეურიგებელი მტრები. ამ ვითარებამ გამოიწვია რევოლუცია, რომელმაც ძველი სოციალური წყობილება დაამხო. მაგრამ იმისათვის, რომ დანგრეულიყო მაშინდელი სოციალური წყობილება, უნდა გამორკვეულიყო ის რწმენანი, რომელნიც ამ წყობილების ქვაკუთხედად იდვნენ და ეს წინასწარი სამუშაო თავს იდვა რეფორმაციამ.

... როგორ ფიქრობთ, მკითხველო, მართალინი არიან უპატენტო მეცნიერნი, რომელნიც ამას ამბობენ? თუ შემდეგ კითხვას ამზადებთ: როგორღა დაიწყო რევოლუცია პარიზში, სადაც, როგორც ცნობილია, სულაც არაა მიწის დამმუშავებლები და იგი რატომ არ დაიწყო პროვინციებში? აბა, ამაზეც იმავე მეცნიერებს ვკითხოთ, რომელთაც ზევით დავეკითხეთ!

ისინი ამბობენ: როცა რომელიმე სახელმწიფოში ხალხის მოღვაწეობის რომელიმე მნიშვნელოვანი დარგი შებოჭილია, იგი, ამის გამო, სხვა დარგების მოშლასაც იწვევსო.

თუნდაც ისინი ადრე კარგ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ, ეს მნიშვნელოვანი დარგები თავის უსუსურ მდგომარეობაში რჩებიანო.

რადგან საფრანგეთში მიწათმოქმედება უკიდურესად შევიწროვებული იყო მიწის მუშაკთა უმამულობის გამო, ამიტომ სახალხო მოღვწეობის სხვა ყველა დარგი, როგორიცაა: ვაჭრობა, მრეწველობა და ა.შ., უნდა არა ნაკლებ სავალალო მდგომარეობაში აღმოჩენილიყო, მაგრამ, ფრანგ მინისტრებს ეჩვენებოდათ, რომ მრეწველობა და ვაჭრობა გაფურჩქვნილი იყო და, რომ ამიტომ, ცუდი არ იქნებოდა მათი ცოტა შევიწროება. როგორ შეევიწროებინათ? გადაწყვიტეს შემოეღოთ შემავიწროებელი საამქრო დაწესებულება. რომელიც ჩანასახშივე სპობდა ყოველგვარ სიახლესა და და გაუმჯობესებას მრწეველობაში. ეს ცოტაა: მიწის დამმუშევბელთა ცხოვრების მსგავსად მოაწყეს ცხოვრება ხელოსნების, ფაბრიკის მუშების: რადგან მუშა სამუშაოს იღებდა არა იმისაგან, ვისაც ეს სამუშაო სჭირდებოდა, არამედ მდიდარი კაპიტალისტისაგან, ისევ მეორე, მესამე ხელიდან, ამით იგი, მიწის მუშის მსგავსად, მდიდარი კაპიტალისტისაგან განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში ვარდებოდა. ამ მიზეზებმა ხელოსანი ისეთსავე გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა, როგორშიც მიწის მუშა იმყოფებოდა. ხელოსანი არისტოკრატში, სასულიერო პირში, კაპიტალისტში თავის მტერსა ხედავდა და ცდილობდა მათ დამცირებას, მათთან გათანაბრებას. პარიზში კი ძალიან ბევრია ხელოსანი ოსტატები. აი სწორედ ამიტომ პარიზში დაიწყო რევოლუცია“ (ნ. ნიკოლაძე 1962: 207-208).

2. ნიკო ნიკოლაძე მმართველობის ფორმების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის შესახებ. XIX საუკუნის ქართველი მოაზროვნის განსაკუთებული ყურადღება დასავლური პოლიტიკური სისტემების მოდელებისადმი იყო მიმართული. გარდა ზემოთ აღნიშნულისა ნიკო ნიკოლაძის ნაშრომებიდან აღსანიშნავია **1866 წელს გამოქვეყნებული სტატია: „მოკლე განხილვა მმართველობის სხვადასხვა ფორმისა“.** საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის განმარტება: „მმართველობის ფორმას ან სახეს უწოდებენ იმ წესს და დაწყობილებას, რომელიც არსებობს სახელმწიფოში ხალხის სამართავად დაწესებულია სამგვარი უფლება 1. **სჯულისდამდები** (საკანონმდებლო - გ.ქ.), 2. **აღმასრულებელი ანუ ადმინისტრატიული** და 3. **სამსჯავრო** (სასამართლო - გ.ქ.)“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 370).

ავტორი სტატიაში მმართველობის ორ ძირითად ფორმას: **მონარქიასა** და **რესპუბლიკას** გამოყოფს, რომლებსაც **ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების** მაგალითზე განიხილავს.

ნიკო ნიკოლაძის სტატიაში განხილული მონარქიული სისტემა, შემდეგი სტრუქტურის მიხედვით, შეიძლება წარმოვიდგინოთ:



დესპოტური მონარქია - „როცა ხელმწიფე თავის ნებაზედ მართავს თავის სამფლობელოს, არ მიხედავს არა კანონს და თავის ქვეშევრდომებს ისე ექცევა, როგორც თვითონ უნდა და ეხალისება, მაშინ ამგვარ მმართველობის დესპოტურს ეძახიან. დესპოტურს სახელმწიფოში მმართველობის უფლება დაყოფილი არ არის. თუმცა იქ დაწერილი სჯული არსებობს, მაგრამ საქმით იმას არ ასრულებენ. აქ ხელმწიფის და იმისი მმართებლობის ნება სჯულზედ უმაღლესია. მცხოვრებლების სიცოცხლე და საკუთრება სრულიათ იმათს ხელშია. დესპოტური მმართველობის ფორმა არსებობს მხოლოდ გაუნათლებელს ქვეყნებში, სადაც ხალხი დაცემული და დამონავებულია, მაგალითად სპარსეთში, ჩინეთში და სხვა აზიის სახელმწიფოებში“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 371).

აბსოლუტური მონარქია - „რომელს სახელმწიფოშიაც ხელმწიფე მარტო თავის სახელით და უფლებით ამტკიცებს და გამოსცემს კანონებს და ამ კანონების ძალით თვითონ მართავს ხალხს, იმ სახელმწიფოს მმართველობას ჰქვიან გარეშეუსაზღვრელი (შეუზღუდავი-გ.ქ) ან აბსოლუტური და ხელმწიფეს - თვითმპყრობელი, აბსოლუტურს სახელმწიფოებში სამგვარი უფლება (სჯულის დამდები, აღმასრულებელი და სამსჯავრო) მხოლოდ ხელმწიფეზედ არის დამოკიდებული. ხელმწიფე ნიშნავს მოხელე

კაცებს, რომელნიც მარტო იმის წინაშე არიან პასუხის მგებელნი“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 371).

კონსტიტუციური მონარქია - „გარეშესაზღვრულს (შეზღუდული-გ.ქ.) ან კონსტიტუციურს უწოდებენ იმ მმართველობას, რომელშიაც ხელმწიფის უფლება გარეშეზღუდულია კონსტიტუციით. კონსტიტუცია ანუ ხარტია არის წესდება. რომელიც განსაზღვრავს ხალხის და ხელმწიფის უფლებას. ამგვარ წესდებას ურთიერთის თანხმობით ხელმწიფე და ხალხის წარმომადგენელი დეპუტატები შეადგენენ და დაამტკიცებენ. კონსტიტუციური მმართველობა არსებობს ყოველს ევროპის სახელმწიფოებში, რუსეთის და ოსმალეთის გარდა“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 371).

მონარქიული მმართველობების ამ ზოგადი აღწერის შემდეგ ნიკო ნიკოლაძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს „კონსტიტუციურ მონარქიას“ და მას ინგლისის მაგალითზე განიხილავს:

„რადგან ის არის წარმომადგენელი ნამდვილის კონსტიტუციისა და ხალხის თვით-მმართველობისა. ანგლიის სახელმწიფო დაწყობილება მაგალითად აქვთ ევროპაში ყველა განათლებულ ხალხებს და როდესაც ისინი თავიანთს კონსტიტუციას ადგენდნენ, იმას ბაძავდნენ და იქიდან ბევრი გადმოიღეს...

...კონსტიტუციით ხელმწიფეს დიდი უფლება აქვს, მაგრამ ნამდვილად, საქმით ხელმწიფე კი არ მართავს ქვეყანას, იმას მართავს თვითონ ხალხი, ე. ი. ხალხის წარმომადგენელი პირები, რომელთაც ეკუთვნისთ სჯულის-დამდები უფლება. კონსტიტუციურს ქვეყნებში სამი უფლება ცხადად არის განსაზღვრული და ერთი მეორეს პირდაპირ არ ექვემდებარება. სჯულის დამდები უფლება პარლამენტის ხელშია, აღმასრულებელი - მინისტრების, რომელთაც ხელმწიფე ნიშნავს. მსაჯულებს თუმცა მმართებლობა ნიშნავს, მაგრამ იმას არ შეუძლიან ერთხელ დანიშნული მსაჯული თანამდებობიდან გადააყენოს, თუ სამართლით არ დამტკიცდა იმის დანაშაულობა და უკანონო ქცევა. მაშასადამე, მმართველობას სამსჯავრო უფლებაზედაც არა აქვს დიდი გავლენა. ამ სამ უფლებათაგან სჯულის დამდები უფლება უაღრესი არის. საქმით მმართებლობას პარლამენტი აძლევს მიმართულებას, თუმცა სახელით ხელმწიფე ითვლება სახელმწიფოს მმართველათ. კონსტიტუციურის ხელმწიფის მნიშვნელობა სწორეთ განიმარტება ამ სიტყვებით: **ხელმწიფე მეფობს და არა მართავს (Le roi régne, mais ne gouverne pas)**“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 372).

ნიკო ნიკოლაძის სტატიაში განხილული კონსტიტუციური მონარქიის სისტემა, შემდეგი სტრუქტურის მიხედვით, შეიძლება წარმოვიდგინოთ:



საკმარისია, ნიკო ნიკოლაძისეული კონსტიტუციური მონარქიისთვის დამახასიათებელი ზოგიერთ ტერმინთა განმარტება, რათა წარმოვაჩინოთ მისი ცოდნა და დამოკიდებულება მმართველობის ამ ფორმისადმი:

პარლამენტარი - „ხალხის წარმომადგენელი პირი, რომელსაც სჯულისდების უფლება აქვს“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 372).

პარლამენტი - „პარლამენტში წევრები სიტყვით და ბაასით განიხილავენ საქმეს. თვით სიტყვა პარლამენტი აქედგან წარმოსდგა: ფრანცუზულათ parlement ნიშნავს ლაპარაკს, საუბარს“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 376).

პრეროგატივი - „ხელმწიფის უფლება და უაღრესობა“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 372).

სივილ-ლისტი - „ხელმწიფეს თავის საჭიროებისათვის და სასახლის სარჩენლად დანიშნული ჯამაგირი“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 372).

სამინისტრო პარტია და ოპოზიცია - „იმ პარტიას, რომელსაც მინისტრების მხარე უჭირავს, სამინისტრო პარტია ჰქვიან; წინააღმდეგ პარტიას ოპპოზიციას ეძახიან“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 375).

დებატი - „პარლამენტის ბაასი“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 376).

მიტინგი - „საქმის გასასჯელად საზოგადო საჭიროებისათვის შეყრილი ხალხი, შედგენილი კრება“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 377).

პეტიცია - „ქაღალდზე შედგენილი თხოვნა პარლამენტის სახელზე, რომ ამა და ამ მიტინგმა ასე გადაწყვიტაო ესა და ეს საქმე და სთხოვენ იმას იქონიოს მხედველობაში ეს აზრი და საქმეც ისე გადაწყვიტოს“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 377).

სესსია - „პარლამენტის ყრილობა, დეპუტატები წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეგროვდნენ სატახტო ქალაქში და მაშინ გაიხსნება პარლამენტი, რომლის საქმობაც რამდენსამე თვეს გასწევს და როცა გაათავებს მიმდინარე საქმეებს, ისევ დაიშლება“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 378).

ტრონით-სიტყვა - სიტყვა, რომელსაც ყოველი სესსის გახსნის დროს ხელმწიფე წარმოსთქვამს პარლამენტში“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 378).

ადრესსი - „ტრონით-სიტყვაზე პარლამენტის მიერ შედგენილი პასუხი“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 378).

დეცენტრალიზაცია - „როცა მაზრები[3] და ქალაქები თვითონ განაგებენ თავიანთს შინაურს საქმეებს და ამაში ცენტრალურს მმართველობას არ დაეკითხებიან“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 379).

ეს სიტყვები და განმარტებები, მცირე ჩამონათვალია დასავლური პოლიტიკური სისტემის ტერმინთა, რომლებიც ქართულ სალიტერატურო ენაში პირველად ნიკო ნიკოლაძემ დაამკვიდრა.

სანამ **რესპუბლიკური მმართველობის ფორმისადმი** ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულებას შევეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია სიტყვა - **რევოლუციის** - მისეული ერთ-ერთი დეფინიციის გაცნობა: „ხელმწიფეები და მინისტრები ხშირად არ აღასრულებენ კონსტიტუციას, ცდილობენ, რომ გააძლიერონ აღმასრულებელი უფლება და სჯულის-დამდები დაამცირონ. ამის გამო დრტვინვა და უკმაყოფილება იბადება ხალხში; ხალხის წარმომადგენლებს და ხელმწიფის შუა მოხდება ხოლმე შეტაკება და განხეთქილება, რომელიც ზოგჯერ თავდება რევოლუციით, ე.ი. ხალხის ადგომით და მმართველობის გამოცვლით“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 380).

მონარქიული მმართველობის ფორმების განხილვის შემდეგ ნიკო ნიკოლაძე რესპუბლიკურ მმართველობის ფორმებს განიხილავს.

[3] რუსეთის სამეფოს გეოგრაფიულ-ადმინისტრაციული დაყოფის ერთეული, დაახლოებით რაიონული მაშტაბის ერთეულის აღმნიშვნელი.

ნიკო ნიკოლაძის სტატიაში განხილული რესპუბლიკური სისტემა, შემდეგი სტრუქტურის მიხედვით, შეიძლება წარმოვიდგინოთ:



არისტოკრატიული რესპუბლიკა - „როდესაც სახელმწიფოს არისტოკრატები მართავენ“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 381).

ოლიგარქიული მმართველობა - „თუ უზენაესი უფლება რესპუბლიკაში რამდენიმე გვარმა ან პირმა ჩაიგდო ხელში“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 381-382).

ტირანიული რესპუბლიკა - „როდესაც ერთი კაცი მოიგდებს ხელში უზენაესს უფლებას რესპუბლიკაში, იმას ტირანს ეტყვიან და ამ გვარს მმართველობას ტირანიას“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 382).

დემოკრატიული რესპუბლიკა - „თუ რესპუბლიკას მართავენ მთელის ხალხისგან ამორჩეული კაცები“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 382).

ნიკო ნიკოლაძე განსაკუთრებულ ყურადღებას **დემოკრატიულ რესპუბლიკაზე** ამახვილებს და მას **ამერიკის შეერთებული შტატების** მაგალითზე განიხილავს: „ახლანდელს დროში ყველა რესპუბლიკაზედ უფრო შესანიშნავი არის ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები. ამ სახელმწიფოს წესი და დაწყობილება მაგალითად აქვთ სხვა რესპუბლიკებს. ამისთვის ჩვენ აქ მოკლედ განვსჯით იმის მმართველობის ფორმას“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 382). ნიკო ნიკოლაძე ასკვნიდა: **„სამი უფლება: სჯულის-დამდები, აღმასრულებელი და სამსჯავრო შეერთებულს შტატებში უკეთ და უფრო სწორად არის განსაზღვრული, ვინემ ევროპის კონსტიტუციურ სახელმწიფოებში“** (ნ. ნიკოლაძე 1964: 383).

ნიკო ნიკოლაძის სიმპატია აშკარაა დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ, რომელიც მან განიხილა ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე. ნიკო ნიკოლაძის მსჯელობა ძალზე საინტერესოა:

„ახლანდელს დროში ყველა რესპუბლიკაზედ უფრო შესანიშნავი არის ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები. ამ სახელმწიფოს წესი და დაწყობილება მაგალითად აქვთ სხვა რესპუბლიკებს. ამისთვის ჩვენ აქ მოკლედ განვსჯით იმის მმართველობის ფორმას. ჩრდილოეთის ამერიკის დიდი რესპუბლიკა შემდგარია 36 ნაწილისაგან, რომელთაც შტატები ჰქვიან და ამის გამოც ამ სახელმწიფოს უძახიან შეერთებულ შტატებს. ის არის კავშირი ან ფედერაცია შტატებისა. თვითეულს შტატს აქვს თავისი საკუთარი მმართველობა, რომელიც მართავს შტატს და განაგებს თავის შინაგან საქმეებს. იმ გვარის საქმეებისათვის, რომელიც მთელს კავშირს შეეხება, არის დაწესებული საკავშირო ან ფედერატიული მმართებლობა. შეერთებულს შტატებში საკავშირო მმართებლობა რესპუბლიკის პრეზიდენტის და კონგრესის ხელშია. აღმასრულებელი უფლება ეკუთვნის პრეზიდენტს. ის არის თავი რესპუბლიკისა, ჯარის და ფლოტის უფროსი; ის ნიშნავს სტატს-სეკრეტრებს (მინისტრებს), ელჩებს და მოხელე კაცებს სხვა და სხვა თანამდებობაზედ რესპუბლიკაში. პრეზიდენტს ირჩევს მთელი ხალხი 4 წლის ვადით. სჯულის-დამდები უფლება კონგრესის ხელში არის. კონგრესს შეადგენენ წარმომადგენელთ პალატა და სენატი. კონგრესის წევრებს ხალხი ირჩევს. პალატაში წარმომადგენლებს შტატები ირჩევენ მცხოვრებლების რიცხვის დაგვარად. სენატში თვითოეული შტატი გზავნის 2 სენატორს. როგორც კონსტიტუციურს სახელმწიფოში, ისე ამერიკის რესპუბლიკაშიც, კანონის პროექტი, ბილლი, მხოლოდ მაშინ შეიქმნება სჯულად, როდესაც წარმომადგენელთ პალატა და სენატი დაამტკიცებენ და ამასთანავე პრეზიდენტიც ხელს მოაწერს. მაგრამ კონსტიტუციურს სახელმწიფოებში ბილლი, პარლამენტისაგან დამტკიცებული, დაიშლება, თუ ხელმწიფემ თანხმობა არ გამოაცხადა; შეერთებულს შტატებში კი პრეზიდენტის უარ-უოფა (veto) ვერ ჩაშლის ბილლს. როდესაც პრეზიდენტი ბილლის წინააღმდეგი არის, იმან უნდა დაუბრუნოს ეს ბილლი კონგრესს და წარმოადგინოს მიზეზი, რომლის გამო ის მავნებლად რაცხს ახალს კანონს. კონგრესმა ახლად უნდა განიხილოს ეს ბილლი პრეზიდენტის შენიშვნით და თუ ორმა მესამედმა იმის წევრებთაგანმა ხელახლა მიიღო ბილლი, მაშინ ის კანონად გადაიქცევა პრეზიდენტის ნება-დაურთველადაც, თუ არა და ბილლი გაუქმდება. სამი უფლება:

სჯულის-დამდები, აღმასრულებელი და სამსჯავრო შეერთებულ შტატებში უკეთ და უფრო სწორად არის განსაზღვრული, ვინემ ევროპის კონსტიტუციურს სახელმწიფოებში. სამივე უფლება ხალხისაგან წარმოსდგება. აღმასრულებელის უფლების თავს, პრეზიდენტს, და სჯულის-დამდებს უფლებას, კონგრესს, როგორც ზევითა ვსთქვით, ხალხი ირჩევს. მსაჯულებსაც, რომლების ხელშია სამსჯავრო უფლება, ხალხი ირჩევ, ასე რომ ეს უფლებაც თავისუფალია; ის დამოკიდებული არ არის აღმასრულებელის და სჯულის-მდების უფლებებზედ. კონსტიტუციით სამივე სახელმწიფო უფლება ისეა განსაზღვრული, რომ ერთს უფლებას არ შეუძლიან მეორის დამორჩილება და ხელში ჩაგდება. ამის გამო ვერც ერთი უფლება ვერ გაძლიერდება ისე, რომ ხალხის თავისუფლების შევიწროვება შეეძლოს. პრეზიდენტი და ყველა სამოქალაქო მოხელე კაცები შეერთებულ შტატებში პასუხის-მგებელნი არიან თავის მოქმედებისათვის ხალხის წინაშე. თუ ვინიცობაა იმათ შესწამეს და დაუმტკიცეს რესპუბლიკის და კონსტიტუციის მუხანათობა, მაშინვე სამსახურიდან დაითხოვენ და მიეცემიან შესაფერის სასჯელს.

შეერთებული შტატების მოქალაქენი სჯულით ყველანი თანასწორნი არიან, შთამომავლობით ერთს მეორეზედ არავითარი უპირატესობა არა აქვს. არავის არა აქვს ნება სახელ-იწოდოს რომელიმე სათავადო ან სააზნაურო ტიტულით. კონგრესსაც არა აქვს უფლება დააჯილდოვოს რომელიმე მოქალაქე სათავადო ან სააზნაურო ტიტულით. თუმცა სჯულის დამდების უფლება კონგრესის ხელშია, მაგრამ ეს უფლებაც შეზღუდულია. შ. შ. მოქალაქენი ისე ფრთხილნი და ეჭვიანნი არიან იმათის თავისუფლების შესახებს საქმეებში, ისე ერთგულნი არიან თავის კონსტიტუციისა, რომ თავიანთ წარმომადგენლებსაც არ აძლევენ ნებას იმის საფუძვლებს შეეხონ.

ამერიკის რესპუბლიკაში სრული თავისუფლებაა სიტყვისა, ბეჭდვისა და სვინდისისა, ე. ი. სარწმუნოებისა; ვისაც რა სარწმუნოება მოსწონს, იმ სარწმუნოების აღიარება შეუძლიან. კონგრესს არა აქვს ნება გამოსცეს ამ თავისუფლების შემავიწროებელი კანონი. კონგრესს აგრეთვე არა აქვს ნება შეაყენოს Habeas Corpus-ის მოქმედება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ამ წესდების შეყენებას მოითხოვს საზოგადო კეთილ-მდგომარეობა, აღრეულობის და მტრის თავდაცემის დროს.

თვითოეულს შტატს იმგვარი დაწყობილება აქვს, როგორც მთელს კავშირს. სჯულის-დამდები უფლება, მთელის კავშირისავით, ორის პალატის ხელშია - სენატის და წარმომადგენელთ პალატისა. სენატორებს და წარმომადგენლებს აქაც ხალხი ირჩევს.

აღმასრულებელი უფლება შტატებში ეკუთვნის გუბერნატორს, ხალხისავე ამორჩევით. მსაჯულებიც ხალხისაგან ამორჩეული პირები არიან. ჩრდილოეთის ამერიკის რესპუბლიკაში სრული დეცენტრალიზაცია არსებობს. როგორც ზევითა ვსთქვით, შტატები თვითონ განაგებენ თავიანთ საკუთარ საქმეებს; კავშირის ცენტრალურს მმართველობას ნება არა აქვს ამ საქმეში გაერიოს. გარდა ამისა შტატებშიაც მაზრების, ქალაქების და სოფლების საზოგადოებებს თვითმმართველობა აქვთ მინიჭებული, ე. ი. თვითონ განაგებენ... თავიანთს ჩვეულებრივს საქმეებს“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 382-384).

ნიკო ნიკოლაძე თავის სადოქტორო ნაშრომის **„ევროპის ცხოვრება“** პირველივე გვერდებზე აღნიშნავს: „და ჩვენც პირველი პოლიტიკური ნარკვევის საგნათ ავირჩიეთ საკითხი - რამდენად სერიოზული და მტკიცეა ევროპის საზოგადოების დღევანდელი განწყობილება და მაშასადამე რამდენად სანდოა მისი გადასვლა ცოტად თუ ბევრად კაცთმოყვარე სურვილების სფეროდან ცხოვრების სფეროში“ (ნ. ნიკოლაძე 1962: 400).

ნიკო ნიკოლაძის ნაშრომებში კარგად ჩანს **სოციალისტური სისტემის** ჩამოყალიბების საფუძვლები და მიზეზები, რასაც ადგილი ევროპაში XIX საუკუნეში ჰქონდა. საინტერესოა, ასევე მისი დამოკიდებულება ევროპის სახელმწიფოების წყობილებისადმი: „ევროპის ყველა სახელმწიფოს ყაზარმული წესწყობილების“ მიზეზს ნიკო ნიკოლაძე ხედავს:

„მნიშვნელოვანი იყო საერთო ინსტინქტური მიდრეკილება შეძლებული ხალხისა უზრუნველეყო თავისი ცხოვრება შრომით, სახელმწიფო ორგანიზმის იმ ნაწილების შეცვლის მეშვეობით, რომელნიც ხელს უშლიდნენ ისეთი ურთიერთობის დამყარებას, რომელიც განსაზღვრავდნენ ასეთ ცხოვრებას.

როგორადაც რბილად არ უნდა გამოეთქვათ ეს მისწრაფება თავისი არსით საწინააღმდეგოა და სასიკვდილოდ მტრული საზოგადოების მეორე ნაწილის - უზრუნველყოფილთა მისწარაფებისა - შეინარჩუნოს თავისი პრივილეგირებული მდგომარეობა და მკერდით დაიცვას ის, რაც მათ ტკბილ, უზრუნველ, უშფოთველ ცხოვრებას უქმნის, ესაა ყველა ცხოველის იდეალი. ამ მისწრაფებათა მტრული განწყობილება განსაზღვრულია მით, რომ უმცირესობის მიერ მოპოვებული მშვიდობიანობა დამყარებულია უმრავლესობის, მუდმივ შრომაზე, ამ შრომის ექსპლუატაციაზე; ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ყოველი თვით მეტად მცირე გამოვლინება მოსვენებითი ცხოვრების მიმსწრაფი ხალხისა ან სხვისი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების და სხვისი შრომით თავისი არსებობის

უზრუნველყოფის მოსურნეობისა ყოველთვის დიდი წინააღმდეგობას იწვევს იმ ხალხში, რომელთაც მოუსწრიათ უზრუნველი ცხოვრების შექმნა სწორედ ამ შრომის ექსპლუატაციით.

1848 წელს საფრანგეთში ღარიბმა ხალხმა სერიოზულად დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ მოეწყო უკეთესი ცხოვრება თავისთვის და არა მდიდირებისათვის. ეს სურვილი სრულიად ბუნებრივია, მაგრამ იგი ადრე თუ გვიან საქმით უნდა გამოჩენილიყო. ეს ყველასა აქვს შეგნებული. მაგრამ ყველა არაა იმის თანახმა, რომ ერთნაირად ბუნებრივი და აუცილებელია წინააღმდეგობა იმათი მხრიდან, ვის ჯიბესაც ასეთი სურვილი ვნებს. სულ სხვაა - ერთგვარად ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი ა, თუ არა ეს მისწრაფებანი, მაგრამ ჩვენ ამა საკითხს არ ვეხებით, იმიტომ, რომ ჩვენი აზრით თუ სამართლიანობა ქვეყანაში რაიმე როლს თამაშობს, განსაკუთრებით იდეალისტებისა, მეტა ფიზიკოსებისა და სხვა მორალისტების ტრაქტატებში და არა ცხოვრებაში. ამგვარად ღარიბი ხალხის მისწრაფებათა გამოხატულებამ გამოიწვია აღშფოთება და, რაც უარესია, მეტად მძაფრი წინააღმდეგობა საზოგადოების უზრუნველი ნაწილისა. ბრძოლა დიდხანს ფარულად მიმდინარეობდა: **საქმე დაიწყო ბღვერით (1848 წლის 17 მარტს), შემდეგ მუქარით (16 აპრილს), შემდეგ საქმე ხელჩართულ ბრძოლაზე მიდგა (15 მაისს) და ბოლოს სცენაზე კარტეჩიც იქნა გამოძახებული (24-26 ივნისი).** ფარდა დაეშვა ათასობით უსამართლოდ და გამოუძიებლად დახოცილ და ათეული ათასობით სხვა მუშებზე, რომლებიც აგრეთვე სასამართლოსი და გამოძიების გარეშე იქნენ გადასახლებულნი აფრიკაში და საფრანგეთის ოკეანისიქითა კოლონიებში.

უზრუნველყოფილ ხალხს ძლიერ კარგად ესმოდა, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი მათი გამარჯვებისა იყო ის მდგომარეობა, რომ სამმართველო მექანიზმი სამხედრო ძალასთან ერთად მათ ხელში იყო. ბუნებრივია, რომ აქედან მათ გამოიტანეს დასკვნა ამ მექანიზმის გაძლიერებაზე, ამ ძალის გაზრდაზე, რომ შემდეგაც მოხერხებულად ესარგებლათ მით. ამაში მდგომარეობს, განსაკუთრებულად საფუძველი მმართველობის ყოვლად შემძლებლობისა, რაც ასე განუსჯელად აოცებს ევროპულ საზოგადოებას და რაც ასე ძლიერ შეურაწყოფს მას.*([4])

[4] აქ ნიკო ნიკოლაძეს სქოლიოში აღნიშნული აქვს: „მეტყვიან: 1851 წლის 2 დეკემბრის სახელმწიფო გადატრიალებაო? მაგრამ ეს გადატრიალება ყველა გონიერ ხალხისაგან მიჩნეულია მხოლოდ საქმის გარეგანი ცვლილებად, რომლის არსიც შეიცვალა 1848 წლის ივნისში (ამასთან დაკავშირებით ასეთი გამოთქმაც კი არსებობს: si Napolèon III est le père du coup d'Etat du 2 dècembre, le general Cavaignac en est le grand père (როცა ნაპოლეონ III გახდა 2 დეკემბრის გადატრიალები მამა, მაშინ გენერალი კავაიანცი იყო

არა არის რა დედამიწაზე მუდმივი ამიტომ ოდესმე მთავრობის ხელისუფლება დაკარგავს უზრუნველყოფილ კლასთა ხელშეწყობას. მაგრამ თუ გვინდა ზუსტად ვიცოდეთ, როდის დადგება ეს დრო ამ განშორებისა, უნდა მოვისაზროთ, - გაქრა თუ არა ის პირობები, რომელთაც ეს კავშირი წარმოშვეს, თუ გაძლიერდნენ თვით უზრუნველი კლასები იმდენად, რომ შეუძლიათ საკუთარ ძალას დაეყრდნონ მთავრობის მექანიზმისა და შეიარაღებული ძალების დახმარების გარეშე.

საკმარისია ეს საკითხი წამოვაყენოთ, რომ დავინახოთ უზრუნველყოფილ კლასთა და მთავრობის ხელისუფლების შორის კავშირის სიმტკიცე.

მართლაც ახლანდელ დროში მუშების მისწრაფება ბევრად ძლიერია ვიდრე 1848 წელს; უზრუნველყოფილ ხალხთა უკმაყოფილება და შიში მართალია ისე მკვეთრი არაა, როგორც ოცი წლის წინ იყო მაგრამ არანაკლებ საფუძვლიანი და ძლიერია; თვით უზრუნველყოფილი კლასები ახლა უფრო ძლიერია ვიდრე ოდესმე გრძნობდნენ მთელი თავისი მდგომარეობას უიმედობის იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება დატოვებს მათ და თავის წვრილმანი უკმაყოფილებას ხელისუფლებაზე სერიოზულ ზომამდე არ მიიყვანენ: ისინი ბევრს აპატიებენ ხელისუფლებას და მათ შორის წვრილამნი უთანხმოებანი გვაგონებს მხოლოდ ანდაზას: „ცოლ-ქმართა ჩხუბი უგუნურს მართალი ეგონაო“!“ (ნ. ნიკოლაძე 1962: 409-412).

ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულება დასავლური პოლიტიკური სისტემებისადმი კარგად ჩანს მის მიერ **1871 წელს დაწერილი სტატიიდან „რა არის კომუნა?“.** სტატიაში ავტორი ეხება პოლიტიკური მოწყობის ორ ფორმას: **კომუნიზმს და კომუნას.**

კომუნიზმი - „ეს უკანასკნელი უტოპიური სწავლა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ქონება და სიმდიდრე მარტო მთელ ხალხს, მთელ სახელმწიფოს უნდა ეკუთვნოდესო, რომელიც თითოეულ თავის წევრს უნდა აძლევდეს ყველაფერს, რაც კი მას დასჭირდება სიცოცხლეში, და სამაგიეროდ მისგან ყველაფერს იღებდეს რისიც გაკეთება ან მიცემა იმას შეეძლება ამ სწავლის აზრით, ყველა საჭიროებაზე უნდა ზრუნავდეს მთელი საზოგადოება ერთად, თავისი წარმომადგენელი მართებლობის ხელით, რომელიც თითოეულ პირს მოქმედებას, მუშაობას და მოთხოვნილების დაკმაყოფილებას უნდა აძლევდეს“ (ნ. ნიკოლაძე 1960: 469).

დიდი მამა - გ.ქ.)). ამას გარდა გადატრიალების მიმართ ბურჟუაზია ჩვენი პრანჭია ქალიშვილების მსგავსად იქცეოდა, რომელთაც სურთ „უმანკოებაც დაიცვან და კაპიტალიც შეინარჩუნონ“, მან კაბა აიწია და სავარძლის საზურგეზე მიყუდებულმა, მიბნედილად წაიჩურჩულა: „აჰ! რას მიშვრებით!“.“

კომუნა - „ეს კომუნა მარტო მთელი ქალაქის პარიჟის მმართველობის სახელია, როგორც ჩვენში ამბობენ: სოფელი, დაბა, ქალაქი, ისეთი მმართველობის რომელსაც სახეში აქვს მარტო სოფლის, ქალაქის ინტერესები. უწინდელ დროში და ეხლაც, საფრანგეთში თითქმის ყოველ სოფელს თავისი საკუთარი ამორჩეული მმართებლობა ჰყავს, რომელსაც სახელად მუნიციპალიტეტი, კომუნა ჰქვია, და რომელსაც სოფლის პოლიცია აბარია ხელში; ამ მუნიციპალიტეტის, კომუნის თავ იმერი არის, როგორც თფილისში.

წარსული საუკუნის დამლევს, როგორც საფრანგეთში დიდი რევოლუცია იყო, პარიჟშიაც დაარსდა ამორჩეული ქალაქის მმართველობა, რომელსაც სახლელად კ ო მ უ ნ ა ერქვა და რომელმაც საკვირველი გამბედაობა და ძალა გამოიჩინა საფრანგეთის დაცვაში და ამაღლებაში. აი ამ კომუნის მიმბაძაობით თხოულობდნენ შარშან პარიჟელები კომუნის დაარსებას, და ამ მიმბაძველობით დაარსეს, იმათ კომუნა წლეულს. მაგრამ ეს კომუნა სრულიადაც არ შეეხება კერძო პირების ქონებას და მთელი სახელმწიფოს მმართვას; ის არც სიმდიდრის და ქონების შეგროვებას აპირებს სახელმწიფოს ხელში, არც სახელმწიფოს ავალებს კერძო პირების რჩენას, აღზრდას და წინამძღომელობას“ (ნ. ნიკოლაძე 1960: 469-470).

ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულება ამ მოდელებისადმი კარგად ჩანს, როცა ის ერთმანეთს ადარებს: კომუნას, როგორც ფედერალური სისტემის ნაწილს და კომუნიზმს, როგორც ცენტრალური ხელისუფლების მომხრეს: „რამოდენა უშველებელი განსხვავებაა „კ ო მ უ ნ ი ს ტ ე ბ ს“ და „კ ო მ უ ნ ი ს“ მ ო მ ხ რ ე ე ბ ს შუა, დაგვანახებს ჩვენ ამ უკანასკნელის „ფედერალიზმი“, ესე იგი ის სწავლა, რომლის აზრით თითოეულ კერძო ქალაქს, თითოეულ მაზრას, იმოდენა თავისუფლება და თ ვ ი თ - ა რ ს ე ბ ო ბ ა (თვითმმართველობა - გ.ქ.) უნდა ჰქონდეს, რომ თავისებურად თავისი ნებით მთელი თავისი ცხოვრების გამართვა შეეძლოს, და ცენტრალურ მმართველობას მათზე ძალა და გავლენა არ ჰქონდეს. ეს მიმართულება როგორც მთელი ისტორია ამტკიცებს, განსაკუთრებით შეერთებული შტატების და შვეიცარიისა, მეტისმეტად მავნებელია კაცობრიობის წარმატებისთვის, და ამ უკანასკნელ საუკუნეებში ყოველი წარმატება, რომელიც ამ ორ გამოჩენილ რესპუბლიკებში მოხდა, მარტო იმით მოხდა, რომ ცენტრალურმა მართვამ ცოტ-ცოტათ შეიძინა ძველ დროში დაკარგული ძალა კერძო მაზრებზე. საფრანგეთში ფედერალურმა მიმართულებამ მარტო იმისთვის იშოვნა მომხრეები და გავლენა, რომ ნაპოლეონის მმართველობა, როგორც ზოგიერთი

მმართებლობები, მეტის მეტად ერეოდნენ კერძო მაზრების და სოფლების ცხოვრებაში, მაშინაც, როცა საქმის გარემოება და მნიშვნელობა ამ გარევას არ თხოულობდა. და ეს წამდაუწუმი გარევა აბეზრებდა, აბრაზებდა კერძო სოფლებს და მაზრებს, ეხლა ამ გაბრაზებამ იქამდი მიაღწია, რომ ბევრგან მაგალითად ლიონში, მარსელში და სხვაგანაც, იმოდენა თვითარსებობის შოვნას ცდილობენ, რომ არცერთ პრეზიდენტს, არცერთ ტიერს არ შეეძლოს შემდეგში მათ საქმეებში გარევა, მაგრამ ნაპოლეონებს და ტიერებს გარდა ქვეყანაზე ლინკოლნებიც მოიძებნებიან და ამერიკის უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ ლინკონს და ამერიკის კონგრესს იმოდენა ძალა და გავლენა არ ჰქონდათ კერძო შტატებზე, რომ მათში თავისი გადაწყვეტილებით მონობა მოესპოთ.

კომუნისტების აზრით კი რა საკვირველია კერძო სოფელს და მაზრას, როგორც კერძო პირს, თვით არსებობა და თავისი საკუთარი ქონება, ცხოვრება არ უნდა ჰქონდეს; ის უნდა დამოკიდებული იყოს თავის აღმზრდელ და დამცველ საზოგადო მამულზე - მთელ სახელმწიფოზე“ (ნ. ნიკოლაძე 1962: 460-471).

დასავლური ღირებულებების გასააზრებლად: ისტორიული პროცესის ანთროპოლოგიური და სოციოლოგიური ხედვა **ნიკო ნიკოლაძეს** ნაშრომებში პრიმიტიულად აქვს ჩამოყალიბებული. ისტორიის მეთოდოლოგიის, ისტორიული ტრანსფორმაციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მისი რელიეფურად გამოთქმული მეტაფორა: „ელაპარაკეთ რომელიც გნებავთ ღარიბს და უმტკიცეთ მას, თუნდაც მთელი წელიწადი, რომ მისი ფარღალალა ქოხი ოდნავადაც ვერ გაუძლებს ვერც არქიტექტურულ და ვერც ჰიგიენურ კრიტიკას. ვერავითარი არგუმენტით ვერ დაუმტკიცებთ მას, რომ უმჯობესია მიატოვოს ქოხი და იცხოვროს ღია ცის ქვეშ. მაგრამ აუხსენით ამ ღატაკს, რომ იმ მასალებიდან, რომლებიც მას გააჩნია, შესაძლებელია ახალი ქოხის აგება, დაუმტკიცეთ მას, რომ ეს შესაძლებელია და სასარგებლოა, ასწავლეთ მას როგორ ააგოს და რა აკეთოს, და იმწუთშივე გაგიგებთ. მაგრამ ის მაშინაც არ დაანგრევს თავის ქოხს, თუ სულელი არაა ხოლო სულელები ისევე ცოტაა ქვეყანაზე, როგორც გენიოსები. ის ჯერ ააგებს ახალ სახლს, ხოლო შემდეგ კი, თუ მისი ქოხი არ გამოადგა ბოსლად ანდა ძველმანთა შესანახ საკუჭნაოდ, დაანგრევს მას და მთელი თვის განმავლობაში გამოიყენებს ახალი სახლის გასათბობ შეშად. ეს ტრივიალური მაგალითი შეადგენს გამოუკლებლივ ყველა საზოგადოებრივ გარდაქმნათა ფილოსოფიას“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 259).

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ XIX-XX საუკუნეების ქართველი მოაზროვნის, ნიკო ნიკოლაძის მეცნიერული და ფილოსოფიური ნააზრევი გლობალური ისტორიოგრაფიის ნაწილია. კითხვას, თუ რომელი პოლიტიკური წყობა მიაჩნდა ნიკო ნიკოლაძეს სრულყოფილად? ის თავადვე პასუხობს 1875 წელს დაწერილ სტატიაში - „სოციალურ და პოლიტიკურ გარდაქმნათა შესახებ“: „ქვეყნიერებაზე ჯერ კიდევ არაა ისეთი ხალხი, რომლის საზოგადოებრივი წყობილება შეიძლებოდა ჩათვლილიყო დამაკმაყოფილებლად. უფრო ცივილიზებული და ბედნიერი ხალხები: ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები, - სხვაზე, რომ არაფერი ვთქვათ, - იტანჯებიან საზოგადოებრივი და ეკონომიური ურთიერთობის მოუწესრიგებლობით. მათ შეგნებული აქვთ, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობანი არ უნდა იყოს მარადიული, რომ უნდა მივისწრაფვოდეთ უფრო სამართლიანი წესრიგისაკენ, საზოგადოებრივი მოვალეობის და უფლებათა უკეთ განაწილებისაკენ. ახლანდელი წყობილებით უკმაყოფილება და ადამიანთა ურთიერთობის სფეროში „საზოგადოებრივი ჰარმონიის“ დამყარებისაკენ მისწრაფება ყველა ხალხის თვისებაა. პოლიტიკური ფორმები და მისწრაფებანი აქ არაფერშუაშია: როიალისტური ინგლისი, რესპუბლიკური საფრანგეთი, იმპერატორული გერმანია და ფედერალისტური ამერიკა სავსებით ერთნაირად იტანჯებიან ამ „მომავლის ავადმყოფობით“. მტკივნეულობის სიმწვავე, ავადმყოფობის ფორმები იმდენად არიან დამოკიდებულნი მმართველობის პოლიტიკურ ფორმაზე, რამდენადაც ეკონომიური მდგომარეობის პირობებზე. მხოლოდ მკურნალობის ხერხები და კრიზისების ძალა იმყოფება პირდაპირ დამოკიდებულებაში ქვეყნის წმინდა - პოლიტიკურ წყობილებასთან...“ (ნიკო ნიკოლაძე 1964: 256).

ამრიგად, უკვე XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ნიკო ნიკოლაძემ განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება დასავლური პოლიტიკური სისტემებისადმი და გააკეთა თავისი არჩევანი. ლეგალურ პრესაში ასეთი არჩევანის გაკეთება მხოლოდ დიდ ერუდიციასა და ცოდნას არ მოითხოვდა, ყოველივე ეს დიდ მოქალაქეობრივ გამბედაობასაც საჭიროებდა, ნიკო ნიკოლაძის ნააზრევმა დიდად შეუწყო ხელი ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარებას.

§ 3. გიორგი წერეთელი დასავლური პოლიტიკური ღირებულებების თაობაზე

დღეს, როცა ყურადღება მიმართულია, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან განვითარებულ ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში დასავლური ღირებულებების საკითხებზე, განსაკუთრებით საინტერესოა **გიორგი წერეთლის (1842-1900)** ნაშრომებში წამოჭრილი პრობლემები. „დიდი ხანი არ არის, რაც კაცმა იჭვნეულის თვალით შეჰხედა თავის სიცოცხლეს, დიდი ხანი არ არის, რაც გატანჯულმა ჩჩვილმა გულმა იგრძნო კაცობრიობის ტანჯვა და მწუხარება და იტანჯა იმის ბედნიერებისათვის. ეს მოძრაობა დაიწყო მეთვრამეტე საუკუნეში (თუმცა ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ წინათაც არა ყოფილიყოს ეს მოძრაობა, მაგრამ ის სუსტი იყო და მეთვრამეტე საუკუნეში კი ამ მოძრაობამ გარემოიცვა ჯერ ფრანცია და მერე მთელი ევროპა). გამოჩნდნენ კაცები, რომლებმაც მოიწანინეს ისეთი რამ მოიგონონ, რომ კაცობრიობის ბედნიერება და სიკეთე მიანიჭონ. დიდი და აღტაცებული იყო იმათი წადილი. ზოგი იმათგანი დიდის თავგანწირულობით მიეცა ამ დიდს საქმეს და არაფერი დაიშურა რა, რომ თავისი საყვარელი აზრი აღსრულებაში მოეყვანა. ჩვენ ვიცით ბევრი იმათგანი, რომელთაც თავი შესწირეს საზოგადო კეთილდღეობას და არ შეუშინდნენ არავითარს დაბრკოლებას.

ისინი სწორედ ჯვარს ეცვნენ ქვეყნისათვის და ქვეყანამ კი ვერა სცნა ვერც ისინი და ვერც ის ნათელი, რომელიც იმათ ქვეყნიერებას მოუტანეს. ქვეყნიერებამ, მეტად თავ-მძიმემ, მეტად მიუნდობელმა ყველა ახალის მოვლინებისადმი უარ-ჰყო ისინი და იმათი სწავლა უჭკვოთ და სემცდარად დასახა და თავის თავი მეტად ბრძნად გამოიხატა. ისინი, მართალია, გატაცებულნი იყვნენ თავისის იდეით და ადვილათ შეიძლებოდა, რომ თავის გატაცების დროს ისინი ილუზიაში ჩაცვივნილიყვნენ, მაგრამ ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ გაუტაცებლად ამგვარის საქმის წარმოებაც არ შეიძლება და გატაცებაშიაც ისინი თავისის უმანკო ზნეობით და გონივრობით შეუდარებლად მაღლა იდგნენ მთელს საზოგადოებაზედ. იმათ ბევრი ისეთი ნათელი და ჯანმრთელი აზრი გამოთქვეს, რომელიც მრავალ საუკუნოებს იცოცხლებს და კაცობრიობის ბედნიერების საფუძველად შეიქმნება“ (გიორგი წერეთელი 1931ბ: 128).

ის რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ქართულ საზოგადოებაში ეროვნულ თვითშეგნებაზე (ნაციონალური გრძნობა - გ. წ.) ამახვილებდა ყურადღებას და პარალელს ევროპულ საზოგადოებასთან ავლებდა. **გიორგი წერეთელი** ქვეყნის განვითარების მთავარ მოტივაციად „ნაციონალურ გრძნობას“ მიიჩნევდა: „ვინც კაცობრიობის სწავლას უმატებს, იმისი სახელი უკვდავად რჩება და ნიადაგ გადაეცემა ხოლმე შთამომავლობიდგან შთამომავლობაში. ამ გვარი სახელის დამკვიდრება ვის არ განამხნევებს დიდი ღვაწლის მოსატანად?.. მაგრამ ნაციონალური გრძნობა, რომელიც კაცს გულში ჩაუნერგავს შრომის სურვილსა თავის სამშობლოს საკეთილდღეოდ - ეს გრძნობა კიდევ მეტად წააქეზებს ხოლმე ყოველს ევროპელს მემამულეს თავის ქვეყნის წარსამატებლად“ (გიორგი წერეთელი 1931კ: 137).

XIX საუკუნეში რუსეთის კოლონისტური პოლიტიკის შედეგად დადგა საფრთხე ქართველ ერში ეროვნული ცნობიერების დაკარგვის, ქართული ენა იდევნებოდა საზოგადოებრივი დაწესებულებებიდან და ყოველდღიური ცხოვრებიდან. აქ კი, როცა საკითხი ეხება თანამედროვე დასავლური პოლიტიკური ღირებულებების გააზრებას, ერის თვითგამორკვევის პროცესში, მნიშვნელოვანია სიტყვა „ერის“ გაგება. **გიორგი წერეთელი** ერის განვითარების საფუძვლად **საერთო ისტორიასა** (რაც ერის ანთროპოლოგიური ფორმისა და საერთო საზოგადოებრივი აზროვნების საფუძველია) და **მშობლიურ ენას** (საზოგადოების ცხოვრებაში კომუნიკაციის მთავარი საშუალება) მიიჩნევდა. ერის მნიშვნელობას გიორგი წერეთელი სისტემურ („შინაგან“ და „გარეგან“) ახსნას უძებნიდა და პასუხობდა კითხვებს: რა შეიძლება გამოიწვიოს, რომელიმე მათგანის დაკარგვამ? წართმევამ? და რატომ იყო სამაგალითო დასავლურ ღირებულებათა სისტემის გამოცდილება?: ის წერდა: „ნაცია, ანუ ერთი ტომის ხალხი ეწოდება იმ ნაწილს კაცობრიობისას, რომელიც ცხოვრობს ერთს რომელსამე მხარეში დედა-მიწის ზურგზე. ის იმყოფება რამოდენიმე ათასი წლობით ერთსა და იმავე ბუნების გავლენაში. ამის გამო იმას მიუღია შესაფერი აგებულება, ჭკუა - გონება და შეუძენია ამ ჭკუა-გონების გამომთქმელი თავისებური ენა. ამას აქვს ორგვარი თვისება: შინაგანი, რომელიც ჩამჯდარია ამ ტომის თითოეული კაცების შინა აგებულებაში და ჭკუა-გონებაში; გარეგანი, რომელიც რამოდენათმე აჩვენებს შინაგანს თვისებასა და შეიცავს ამ ხალხის თითოეულს პირის სახესა, ტანის მოყვანილობას და სიტყვიერებას, ან სწორედ ვთქვათ, ხალხის ენას. ეს თვისებები არიან მიუცილებელნი, ურომლებოთაც ხალხის თვითარსი ცხოვრება შესაძლებელი არ არის. წაართვი იმას ერთი

ზემოხსენებული თვისებათაგანი და ის ხალხი ან სულ გადაგვარდება და ან მოკვდება. ვიტყვით მაგალითს: ბულბული ვერ გაუძლებს ძალდატანებასა და სული ამოხდება. ხალხიც აგრეა. მინამ იმას თავისი განუშორებელი თვისება აქვს ესე იგი, თავისი ტანის მოყვანილობა, სახე, ენა და ჭკუა-გონება, მინამ ამ ხალხსაც თავისი სახელი ეწოდება და აქვს თვითარსი ცხოვრება. მაგრამ თუ ამ ხალხს ერთი თავის უდიდესი თვისებათაგანი მოაკლდა, ის გადაგვარდება და პირვანდელი ხალხისა არა დარჩება რა. რადგან ყოველი ჩვენთაგანი ცდილობს, რაც შეიძლება, დიდხანს იცოცხლოს და რადგან კაცის ბუნებაა, რომ სიკვდილი ძალიან ეჯავრება, ამის გამო ყოველი კაციც უნდა ცდილობდეს თავის ხალხის კეთილ-წარმატებასა, ესე იგი იმან უნდა გაამჯობინოს და განაძრიელოს ამ ხალხის მიუცილებელი თვისება... ეს აზრი ძალიან კარგათ ესმისთ ევროპის განათლებლს ხალხებსა; ამის გამო ვინც უნდა იყოს თუნდ ანგლიელი, თუნდ ფრანციელი, თუნდ ამერიკელი, თუნდ იტალიელი და ან ვენგრიელი, - ყველა იმასა ცდილობს, რომ თავის სამშობლოს რითიმე გამოადგეს; ყველას თავის ხალხობით მოსწონს თავი. თუ ხალხი კეთილ-მდგომარეობაშია, მაშინ თითონაც მხიარულად და გულმაგრად არის, თუ ამ ხალხს უბედურება შეემთხვა რამე, მაშინ თითოეული მემამულეც სტირის და ცდილობს შეუმციროს თავის სამშობლოსა ცოდვა-ნაკითხი უბედურება...“ (გიორგი წერეთელი 1931კ: 137-138).

ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით, **გიორგი წერეთლის** შესახებ **გერონტი ქიქოძე** წერდა: „გიორგი წერეთელი ლიტერატურული მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა როგორც ტიპიური თერგდალეული. მაგრამ ჩქარა ის გამოეთიშა ილია ჭავჭავაძის ჯგუფს და მეორე დასის, ანუ ეგრეთ წოდებული „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფში შევიდა. მისი მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი მეორე დასის ისტორიასთან არის დაკავშირებული. მაგრამ ამ დასის დაშლის შემდეგ გიორგი წერეთელმა ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში დააარსა ყოველკვირეული გაზეთი „კვალი“, რომელიც შემდეგ ლეგალური მარქსიზმის ორგანოდ იქცა. ამგვარად, გიორგი წერეთლის ევოლუცია რამდენიმედ ქართულ საზოგადოებრივი აზროვნების ევოლუციას ასახავს მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან მეორე საუკუნის დასაწყისამდე“ (ქიქოძე 1963: 169).

გიორგი წერეთლის როგორც ისტორიკოსის შეფასებისას **სერგო ვარდოსანიძე** წერს: „საქართველოს უძველესი თუ შუასაუკუნეების ისტორია, ქართული ხელოვნების ისტორია, ნუმიზმატიკა, ეთნოგრაფია, საისტორიო სიტყვიერება, საქართველო და

მსოფლიო ისტორიის პრობლემები - აი, არასრული დახასიათება გიორგი წერეთლის... საკვლევაძიებო პრობლემატიკისა“ (ვარდოსანიძე 2004: 28).

ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების სხვა მოღვაწეების მსგავსად **გიორგი წერეთლის** ყურადღება მიმართული იყო დასავლურ პოლიტიკურ ღირებულებებზე: პოლიტიკური თავისუფლების, კანონის უზენაესობის, დემოკრატიის და სხვა საკითხებისაკენ. აღნიშნულ ღირებულებებთან დაკავშირებით აზრი განვითარებულია მის მრავალ ნაშრომში: „კორესპონდენციები“, „რამდენიმე აზრი ჩვენს ცხოვრებაზედ“, „განათლების გავრცელებაზედ საქართველოში“, „თვითმოქმედება“, „ორიოდე სიტყვა სოფლის ახალ მოხელეების ამორჩევაზე“, „ახალი სასამართლოს შემოღების გამო“, „სოფლის მოხელეების ამორჩევა“ და სხვ.

1. გიორგი წერეთელი პოლიტიკური თავისუფლების თაობაზე. გიორგი წერეთელი სტატიაში „თვითმოქმედება“ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მნიშვნელობას შემდეგნაირად განსაზღვრავდა: „ყველამ იცი, რომ უგუნური ძალს სუფევა არ არის საუკუნო, იმას აქვს ბოლო. მხოლოდ ერთი აზრი და სიმართლე არ დაითრგუნება და მხოლოდ იმისი სუფევა არის უკვდავი და გონების ტაძარი შეურყეველი. დიახ, მე ვთქვი, რომ ჩვენს დროს საუკუნოებიდამ დაჩაგრულმა ხალხებმა წამოიწიეს და თავისი თავი სცნეს, იმათ მოძებნეს თავის დაკარგული სიმართლე, თავისუფლება და ხალხობა. რადგანაც, როგორცა ვსთქვით, ძალადობა სდევს სიმართლეს, ამისთვის ასტყდა ბრძოლა რომელიც ჯერ არ შეჩერებულა. ამ ბრძოლის დასასრული ჯერ არა სჩანს ამ ახლო მომავალში. ჯერ ჩამყლაპელები ძლიერნი არიან, მაგრამ ამასთან ესეც არის, რომ ხალხებმა ბევრი რამ მოიპოვეს თუ სრულად არ მოუპოვებიათ თავისუფლება და ჯერ არ აღუდგენიათ თავისი დაცემული და მიწასთან გასწორებული ხალხობა. ჩვენი ქვეყანა ისეა აგებული, რომ აქ უბრძოლოდ არ გარიგდება რა. კაცი მაშინ მოიპოვებს ბედნიერებას, როდესაც ის ებრძვის თავის დამჩაგვრელს ძალას. მარტო ბრძოლა და ღვაწლი დაადგავს კაცს უკვდავების გვირგვინს. რათა? იმიტომ, რომ ის აღსრულებს სიცოცხლის დედა-კანონს, იმიტომ, რომ ის თავს იცავს, იმას არ უნდა რომ ვისმე გაექელვინოს, იმას არ უნდა რომ თავისი თავისუფლება, თავისი ენა, თავისი გრძნობა და აზრი სხვას მისცეს, ე.ი. სხვის გავლენას. კიდევ რათა? ამიტომ, რომ თავისუფლების, გრძნობის, აზრის და ენის მიცემით ის თავის სიცოცხლეზედ ხელს იღებს და ამით არღვევს ზემოთხსენებულს ბუნების კანონს“ (გიორგი წერეთელი 1931გ: 124).

გიორგი წერეთელი საზოგადოებაში დამკვიდრებული „თავისუფლების“ არასწორი გაგების კრიტიკისას აყალიბებდა მის არსსა და საფუძველს: „გარეგანს კაცის მმართვას მცირედი მნიშვნელობა აქვს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზედ, თუ როგორ მიჰყავს კაცს თავისი თავი და თავისი მოქმედება. სწორეთ რომ ვსთქვათ, მონა იმას კი არ დაეძახება, რომელიც სხვის ბარბაროსობას ითმენს, მონა ის არის, რომელსაც ვერ დაუძლევია თავისი საკუთარი უმეცრება, რომელიც ვერ შეჰბმია თავის ბიწიერს მიდრეკილებას, ვნებას, - და სხვადასხვა ქვეყნებში ყოფილან და ეხლაც არიან იმისთანა მამულის-მოყვარენი (პატრიოტები) რომლებიც მტარვალის მოკვლას თავისუფლებისათვის დიდ საქმედ რაცხვენ, მაგრამ ამათ ავიწყდებათ, რომ ეს მტარვალი არის სჯულიერი წარმომადგენელი იმ მილლიონ პირებისა, რომლებზედაც ის სუფევს. ის ხალხი, რომლის ხასიათიც არის პირუტყვობა, მონობა და ქედ-მოხრილობა, თავის დღეში თავისუფლებას ვერ მიიღებს, თუნდ ათასჯერ გამოცვალეთ იმის მმართველი და სრული ცვლილება მოახდინეთ იმის ქვეყნის დაწყობილებაში; და ვინემდის ის ცრუ აზრი არსებობს, რომ თავისუფლება მმართველობაზედ არის დამოკიდებული, მანამდის არავითარს რეფორმას მკვიდრი და პრაქტიკული შედეგი არ ექნაბ, თუ გინდ თვითონ რეფორმა საუკეთესო იყოს. თავისუფლების მკვიდრი საფუძველი კერძო პირების ხასიათზე უნდა იყოს დამყარებული“ (გიორგი წერეთელი 1931დ: 140-141). ასეთი სახით გაგებული თავისუფლება, თავისთავად თითოეული ადამიანის თავისუფლებისკენ მოწოდება, რაც სამოქალაქო საზოგადოების საფუძველია ყოველდღიურ ცხოვრებაში.

გიორგი წერეთელი ერის განვითარების და წინსვლის მთავარ გარანტორად თავისუფლებას მიიჩნევდა: „სადაც თავისუფლება არ არის, იქ სიცოცხლე არ არის, რადგანაც სიცოცხლე ყოველს მოქმედებას **თავისუფლად** აღმოშობს თავის შინაგანის და **არა გარეგანის** ძალით. რომელს ხალხსაც სრული თავისუფლება არა ჰქონია, იმას თავის დღეში ვერა გაუკეთებია რა ქვეყნისათვის. მაგრამ რომელი ხალხიც მომეტებულად თავისუფალი ყოფილა, ის მომეტებულად განათლებული, ბედნიერი, სამართლიანი, მოსიყვარულე ყოფილა. მრავალი მაგალითები გვიმტკიცებენ ამას: საბერძნეთი, ჩრდილოეთის შეერთებული შტატები, ანგლია, შვეიცარია და სხვა. რაც ძველ დროში ქვეყნიერებისათვის იყო საბერძნეთი, ის ანგლიაა ჩვენს დროში. რათაა? იმიტომ, რომ, როგორც ბერძნის, ისე ანგლიელის ბუნებაში თავისუფლების სიყვარული ძევს. ამერიკელისთვის (რომელიც ანგლიის რასას, ტომს ეკუთვნის) თავისუფლება ის არის,

რაც ეხლა ჩემთვის და შენთვის ჰაერი და პური. როგორც უჰაეროთ კაცი მოკვდება ისე თავისუფლების მოკლებით ამერიკელი მკვდარია, ამიტომ, რომ ის მოკლებულია იმ ძალას, რომელიც ატრიალებს იმის სიცოცხლის ჩარხს ამერიკელსა აქვს მომდრეკი ბუნება. ამისი პიროვნება არ შეიწყნარებს ყოველს იმის თავისფლების შემავიწროებელს ძალას. როგორც მცენარე ვერ აყვავდება უმზეოდ და უჰაეროთ, ისე ის ვერ გაიშლება წელში, თუ თავის თვალის წინ ვერ ჰხედავს გაშლილს თავისუფლებას, სადაც ყველა კაცი თავის თავის მეფეა და იმის პიროვნებას ვერა შემოჰზღუდავს რა. ამ ხალხს უყვარს ზღვა რათა? იმიტომ, რომ ჩაუდგავს იმას ყმაწვილობიდგანვე რაღაც გარე შეუწერელს ძლიერებას, რომლის ზვირთებიც თავისუფლად მჩქეფარებენ, რადგანაც ზღვა თავისუფალი და დაუმონავებელია ამიტომ იმას ეს ყუვარს, რადგანაც იმისი ბუნებაც იმისთანავეა. ამიტომ საბერძნეთის შემდეგ ჩვენ ვერა ვხედავთ იმისთანა თავისუფალს ხალხს, როგორიც ეს ხალხია. შეხედეთ ეხლა იმ ხალხს, რომელსაც თავის დღეში ზღვა არ უნახავს და მხოლოდ მობიბინე მწვანეს დაჰყურებს (როგორც ჩვენი ხალხი); ის ისეთივე მშვიდი, მიწყნარებული და მორჩილია, როგორც ცხვარი, ძროხა, რომლებიც თავის სიცოცხლეში მხოლოდ ბალახს დაჰყურებენ. მართლაც ყოვლის ფერი გვიმტკიცებს, რომ მიწის მხვნელი კაცი მშვიდი და მორჩილია, ის ყოველთვის ძველს მისდევს და ახალი ვერა გაიტაცებს რა. იმას ყოველისფერი წაართვით, ოღონდ ნუ მოუშლით ხვნა-თესვასა. თუნდა ჭირნახულიც წაართვით, ის კმაყოფილია ძროხასავით“ (გიორგი წერეთელი 1931გ: 126-127).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე **გიორგი წერეთელი** ასკვნიდა: „ამაზედ არის დამოკიდებული ნაციონალური პროგრესი (წარმატება). აი რა შეადგენს ანგლიის თავისუფლების ძალას. ანგლიელებმა იციან, რომ ისინი არიან თავისუფალნი არამთუ მარტო იმისთვის, რომ ისინი ცხოვრობენ თავისუფალის დაწესებულების მფარველობის ქვეშ, არამედ იმისთვისაც, რომ ყოველს წევრს საზოგადოებისას კარგათ ესმის თუ რა არის თავისუფლება; ამის გამო ისინი იცავენ თავის თავისუფლებას და ხმარობენ აზრის გამოთქმაშიაც. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ისინი ამ თავისუფლებას გამოხატავენ თავის ცხოვრებით და ენერგიული მოქმედებით, რომელიც შეჰფერის თავისუფალ ხალხსა. მრავალ შთამომავლობას გაუწევია დიდი შრომა, მინამ ანგლია ახლანდელს მდგომარეობაში ჩასდგებოდა. ამ შრომაში ჰქონდა მონაწილეობა უკანასკნელს მცირედ მცირედ შესანიშნავს პირსაც. ყველაფერი იყო ისე რიგათ წარმართული, რომ ეს განზრახვა გაემართლებინათ. შრომის მოყვარე და მომთმენი კაცები ყოველი წოდებისა –

ყოველგვარი მწსავლულნი, პოეტნი, ფილოსოფოსნი, სახელმწიფო კაცნი, ყველანი ერთად შრომობდნენ, ერთი შთამომავლობა განაგრძობდა წინაპრების შრომასა იმ აზრით, რომ შეიმუშაონ საზოგადო ხასიათი ქვეყნისა და დაადგინონ მტკიცე საფუძველზედ ამ ქვეყნის კეთილ-მდგომარეობა. ამ ღირსეულის ღვაწლმოსილის კაცების რიგმა დაადგინა წესი ხაოსისგან (საუწყობლობისგან). ამ სახით ჩვენ დავიმკვიდრეთ ჩვენი წინაპრების შრომის ნაყოფი და ამასთანავე მივიღეთ მოვალეობა, რომ ეს სამკვდრო ჩვენს შთამომავლობას გადავსცეთ, არამცთუ გაფუჭებული არამედ უფრო გაკეთებული“ (გიორგი წერეთელი 1931დ: 141-142).

თანამედროვე დასავლური ღირებულებების განვითარებაში ინგლისელების წვლილსა და მნიშვნელობას **გიორგი წერეთელი** დიდ შეფასებას აძლევდა: „უცხო-ქვეყნელებმა დიდი ხანია ყურადღება მიაქციეს ანგლიელების გასაკვირელს მხნეობას (ენერგიას), რომელიც შეადგენს მთელი ხალხის შესანიშნავს თვისებას, მხნეობას, რომელიც არ გაჰქრება სხვადასხვა დაწესებულებებში, არამედ დაიცავს სრულს თავისუფლებას აზრისას, სიტყვისას და მოქმედებისას.

„Que j’aime la hardiesse! Que j’aime les gens qui dissent ce qu’ils pensent?“ - ოხ, როგორ მიყვარს ანგლიელების გამბედაობა! ოხ, როგორ მიყვარან ის კაცები, რომლებიც ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ!“ – აი რას ამბობდა ვოლტერი ანგლიელებზედ. ასეთი პიროვნება არის მიზეზი ანგლიელის თავისუფლებისა; ესევე განამკვიდრებს იმის თავისუფლებას. იმათი მხნე და გამრჯელი პირები ხშირად შეუდგებიან საზოგადო მოქმედებას და ამ სახით მთელი საზოგადოება გაცოცხლდება და ამ კერძო პირების დახმარებით შესრულდება ძლიერი და ენერგიული მოქმედება მთელი ხალხისა“ (გიორგი წერეთელი 1931დ: 143).

ერის ძლიერების, საზოგადოების განვითარების საფუძვლად **გიორგი წერეთელი** დამოუკიდებლობას მიიჩნევდა: „თვითმოქმედება არის საფუძველი ნამდვილი გონების გახსნისა. ხალხისათვის ეს არის ჭეშმარიტი წყარო ნაციონალური მხნეობისა და ძლიერებისა. გარეგანი შემწეობა კაცს უფრო დაასუსტებს; მაშინ როდესაც შემწეობა, დამყარებული შინაგანს ძალაზედ, განაძლიერებს იმას. ეს იმით აიხსნება, რომ როდესაც კაცს ეძლევა გარეგანი შემწეობა, ის აღარ იმოქმედებს თავის საკუთარის სარგებლობისათვის და როდესაც კაცი იმყოფება სხვის გავლენის ქვეშ, მაშინ ის შეიქნება უძლური (გიორგი წერეთელი 1931დ: 139).

2. გიორგი წერეთელი კანონის უზენაესობის თაობაზე. კანონის უზენაესობის კრიტიკისას **გიორგი წერეთელი** აღნიშნავდა: „რაც უნდა კარგი დაწყობილება იყოს, ის მაინც ვერ მისცემს კაცს ნამდვილს შემწეობას. ყველაზე უკეთესი სახელმწიფოს დაწყობილება ის არის, რომელიც მომეტებულს თავისუფლებას აძლევს კაცს თავის განათლებისათვის და შეაძლებინებს იმას, რომ თვითონვე გააუმჯობესოს თავისი პირადი მდგომარეობა. მაგრამ ხალხი კი ყოველთვის დაჯერებული იყო და არის, რომ იმათი ბედნიერება სახელმწიფოების დაწყობილებაზედ არის დამოკიდებული და არა საკუთარს ყოფა-ცხოვრებაზედ. ეს უსაფუძვლო აზრი შეიქმნა მიზეზათ, რომ სჯულთდების მნიშვნელობა ასე რიგათ გაადიდეს და საზოგადო პროგრესიც იმის გავლენას მიაწერეს. ეხლა კი ზოგიერთმა პირებმა სცნეს ის ჭეშმატირება, რომ სჯულმა კერძოობითს მოქმედებას უნდა უჩვენოს მარტო საზღვარი, და თითონ არას დროს არ უნდა იმოქმედოს. ერთის სიტყვით მმართველობა და საკუთრება. ამისათვის ანგლიაში ამ 50 წლის განმავლობაში უმთავრესი ცვლილებანი იმაში მდგომარეობდნენ, რომ უწინდელი დაწესებულებაების ძალა გააუქმეს; ამისათვის, რომ არ არის იმისთანა სჯული, რომელმაც შეიძლოს უსაქმო კაცი შრომისმოყვარეთ გახადოს, ფულების მფანტველს ასწავლოს ფულის შენახვა და გარყვნილ კაცს პატიოსნება და თავის შეკავება ჩააგონოს და მიაღებინოს. ამ თვისებაების მოპოება კაცს შეუძლიან მხოლოდ თავისის საკუთარის ნიჭის ხმარებით და ვარჯიშობით, მხოლოდ თავისის ბეჯითი და დაუდგრომელი პატიოსანი მოქმედებით. გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ სახელმწიფოს ღირსება და ძალა დამოკიდებულია თითოეული პირების თვისებაზედ და არა სახელმწიფოს დაწყობილობაზედ, რადგანაც ხალხი შესდგება ცალკე პირებისაგან და ცივილიზაციის დანიშნულება ამ პირების განათლებაში და წარმატებაში მდგომარეობს“ (გიორგი წერეთელი 1931დ: 139-140).

კანონის უზენაესობას **გიორგი წერეთელი** ბუნების შეცნობაში ხედავდა: „...ბუნებაში ყოველს არსებას თავის დანიშნულება აქვს. ყოველს ცხოველს თავისი ადგილი აქვს. ის ცხოვრობს იმ სჯულით, რაც ბუნებას და იმის შინა-აგებულებას იმისთვის განუწესებია. ამისი ცოდნა კაცის გონებას ამდიდრებს და განსწმენდს იმას კაცმა ბუნება და იმისი არსებანი, იმდენათ უფრო ძლიერი და ამაღლებულია ის ამ ქვეყანაში; ამას გვიმტკიცებს მთელი ევროპის ხალხობა...“ (გიორგი წერეთელი 1931ბ: 53).

სასამართლო სისტემის განვითარებასა და მის მთავარ დანიშნულებაზე **გიორგი წერეთელი** წერდა: „საუკეთესო სასამართლო დაწესებულობა ის არის, რომელიც სამართლიანათ გადასწყვეტს ყოველგვარს დავას და რაც შეიძლება მალე გაასამართლებს მოდავეს და პასუხის მგებელს. ამ აზრით პოლიციას მოაშორა იმისთანა საქმეები, რომლის წარმოებაც იმის მოვალეობა არ უნდა ყფოილიყო და ყველა ამ გვარი საქმეები სამოსამართლო დაწესებულებას მიასაკუთრა. ამით პოლიციას გაუადვილა საკუთარი მოვალეობის ასრულება. დანაშაულობის გამოძიება, სადავო საქმეების გამოკვლევა, წვრილ საქმეების გადაწყვეტა და სასამართლოს გადაწყვეტილობის ასრულება, სულ ყველა ამ გვარი მოვალეობა გადაეცა სამოსამართლო დაწესებულებასა, გარდა იმ საქმეებისა, რომლების გადაწყვეტა სოფლის სასამართლოსა აქვს მინდობილი“ (გიორგი წერეთელი 1931ვ: 304).

3. გიორგი წერეთელი დემოკრატიის თაობაზე. გიორგი წერეთელი დასავლურ პოლიტიკურ ღირებულებათა სისტემიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ძლიერ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და მას ქვეყნის ხელისუფლებაში მოსული მმართველობის სისტემის საფუძვლად მიიჩნევდა: „ყოველი ხალხის მმართველობა არის გამომხატველი კერძო პირებისა. უკეთუ მმართველობა თავის აზრებით და მიმართულებით ხალხზედ მაღლა სდგას, ის მიუცილებლად ფრთებს დაუშვებს და გაუსწორდება მთელს ხალხს, და თუ ხალხს უკან ჩამორჩა, ის იძულებული იქნება წინ წავიდეს და დროების მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. საზოგადო ხალხის ხასიათი გამოიხატება იმის მმართველობაში და სჯულთდებაში. კეთილშობილს ხალხს პატიოსნად მმართავენ და განაგებენ, ხოლო ურწმუნო და წამხდარს – ამის წინააღმდეგ. თითოეული ხალხის თავისუფლება დამოკიდებულია იმის პოლიტიკურზედ და ზნეობითს ხასიათზედ. ის არის კერძო პირების მხნეობის, ნიჭიერების და გამრჯელობის შედეგი“ (გიორგი წერეთელი 1931დ: 140).

გიორგი წერეთელი ნიკო ნიკოლაძესთან მიწერ-მოწერით კამათისას თავის შეხედულებას პოლიტიკური გაერთიანების ჩამოსაყალიბებლად, ახალი პარტიის დასაარსებლად შემდეგნაირად აყალიბებდა: „ჩვენ უნდა მოვიქცეთ სიფრთხილით ჩვენი ღირსების დაცვით და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებით ყოველ საქმეში იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ მატერიალური საშუალება არ გვექნება და მხოლოდ გონებითი იარაღით ვიქნებით აღჭურვილნი; მასსას კი ხელში ექნება მატერიალური საშუალება, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ კარტინა შეიცვალა. ჩვენ გონებითს

საუნჯესთან მატერიალური საშუალება ჩაგვივარდა ხელში. მაშინ როგორ უნდა მოქცევა? თუ კი გაიხსენებ ჩვენი მომავალი პროგრესიული მასსის თვისებას, რომელიც მე ორი სიტყვით მოვიხსენე, იმის წადილს ჩვენი ქვეყნის თავისუფალი ძალის ექსპლოატაციისათვის, მაშინ ადვილათ შეგიძლია თუ რა დამოკიდებულებაში იქნება ის ჩვენთან, იმავე დამოკიდებულებაში, როგორც წარსული ახალგაზრდობა, მთავრობის ლუკმის შემყურე. ამ პროგრესულ მასსას ყოველსავე გააკეთებინებს კაცი, რაც რომ იმასგან შესაძლო იქნება, მაშასადამე, ჩვენს ახლანდელს განხეთქილებას საკუთრათ არავითარი მნიშვნელობა არ ექნება მომავლისათვის, თუ გვექნება მატერიალური შეძლება, ეს მასსა ჩვენი მაქებელი და მომხრე იქნება, თუ არ გვექნება და მაშინ რაც უნდა ახლა ვეფეროთ და გულჩვილობა გამოუჩინოთ, მაინც იმის თვალში ჩვენ არ ავმაღლდებით და ისე მოგვექცევა, როგორც ახლა და როგორც კიდეც აცხადებენ ამ მასსის წარმომადგენელნი“ (ხუნდაძე 1949გ: 120).

დემოკრატიულ სახელმწიფო წყობის ჩამოყალიბების საფუძველი საარჩევნო სისტემის განვითარებაა. ქართულ რეალობაში ამ სისტემის მუშაობა მთელ რიგ პრობლემებთან იყო და არის დაკავშირებული. როცა დამოკრატიული საზოგადოება საარჩევნო პროცესშია, მაშინ მას დიდი ყურადღება მართებს ღირსეული მმართველის ამორჩევისას. გიორგი წერეთელი რამდენიმე პრობლემაზე ამახვილებდა ყურადღებას: „აი ვსთქვათ სოფელში მოვიდა მოხელეების არჩევის დრო. გლეხობა რასაკვირველია კაცებს ეძებს. ხალხი ეძებს გამოცდილ, მცოდნე კაცებსა. გამოცდლები ძველი მოხელეები არიან. ზოგნი ეჭვობენ იმათ ამორჩევაზე, რადგან ადრე ის მოხელე უკანონოთ იქცეოდა და ქრთამს იღებდა, ან უსამართლოდ ირჯებოდა. ამას რასაკვირველია ყველა სოფელზე და ყველა მოხელეებზე არ ვამბობთ, რომ ასე უკანონოთ ირჯებოდნენ, მაგრამ ზოგგან ყოფილან: ამათ ამორჩევაზე ზოგი თუმცა თანახმა არ არის, მაგრამ იძახის ეჰ რა ვქნათ გამოცდილი კაციაო. ამასთანავე შეიძლება მოხდეს, რომ ამისთანა მოხელემ ზოგი გლეხიც მოიმხროს, რადგანაც ჯიბის გამსება უნდა უსამართლოთა და უკანონოთა“ (გიორგი წერეთელი 1931თ: 363).

თანამედროვე ტერმინი რომ გამოვიყენოთ „კორუმპირებული ჩინოვნიკი“ სახელმწიფოს განვითარების ყველაზე დიდი პრობლემა: „აი ამას არ უნდა დაჰყვნენ სოფლის ჩვენი გლეხები. გამოცდიება საქმისაგან არის, სულ ახლად ამორჩეული მოხელე ჭკვიანი და მართალი კაცი მალე გამოიცდება, ამას ფიქრი არ აქვს. თავის საქმეს მალე შეიტყობს და თუ ჭკვიანი და სვინდისიანი კაცია, უფრო კარდად შეიტყობს, უფრო

მალე გამოიცდება. ძველ გამოქნილ უკანონო, მოქრთამე და უსამართლო კაცებს დავეხსნათ, თავი დავანებოთ, თორემ თავის დღეში ჩვენ ვაგლახს ვერ გადავრჩებით“ (გიორგი წერეთელი 1931თ: 363).

გიორგი წერეთელი როგორც გამოცდილი პოლიტიკოსის, ისე გამოუცდელი პირის არჩევისას საზოგადოებას სიფრთხილისკენ მოუწოდებდა: „ძველ ავ კაცებს რომ თავს ვანებებთ, ახალ კაცების ამორჩევაზედაც ფრთხილად უნდა ვიყოთ. ზოგს ახალ კაცებს იქნება თვითონ უნდოდეთ, რომ მოხელედ ამოირჩიოს სოფელმა, იმ ფიქრით, რომ სოფლის საქმეები ხელში მექნებაო და ჯიბეს კარგად ავიმსებო. ამისათვის იქნება მომხრე კაცებიც იშოვნოს გლეხებში, დააჯეროს, რომ მე პატიოსნობით, სიმართლით, და უქრთამოთ გავაკეთებ საქმესაო, კანონიერად მოვიქცევიო. ამისთანა კაცებსა უნდა ერიდოს სოფელი, იმიტომ, რომ რაკი მოხელეობას დაიწყებს, იქნება ძველ უსამართლო მოხელეებს გადააჭარბოს. ამგვარათ ხალხი მოტყუვდება და ამისაგან არის კიდეცა, რომ ზოგ სოფელში იძახიან, ვინც უნდა დავაყენოთ მაინც თავისას არ იშლიანო, უსამართლოთ და უკანონოთ ირჯებიანო, აი ამიტომ კიდეც ამაზე სიფრთხილე უნდა ახალ კაცების ამორჩევაზე“ (გიორგი წერეთელი 1931თ: 363-364).

გიორგი წერეთელი ქართულ საზოგადოებას ადამიანის მოხელედ არჩევისას აფრთხილებდა: „კაი კაცივით ლაპარაკი ყველას შეუძლია. ქურდსაც, კაცის მკვლელსაც, მოქრთამესაც, უსამართლოსაც, ქვრივის და ობლის დამჩაგვრელსაც, ღარიბის თავში მცემელსაც, მაგრამ საქმე ის არის, რომ სანამ კარგა არ შევიტყოთ იმის კაი კაცობა იმისთანა კაცს არ უნდა დავუჯეროთ, არ უნდა მოვტყუვდეთ.

სიფრთხილე და სიფრთხილე გვმართებს. სათანადოთ უნდა ვეძებოთ და ვიპოვნოთ კაი მოხელეები.

მაშ რა ნაირი კაცები ამოვირჩიოთ, აქ უნდა მოვიხსენიოთ. ჩვენ გვინდა ჭკვიანი, მართალი, ადამიანისათვის თავგადადებული გამჭრიახე კაცები“ (გიორგი წერეთელი 1931თ: 364).

შემდეგ **გიორგი წერეთელი** სასურველი კანდიდატის თვისებებზე ამახვილებდა ყურადღებას: „ჭკვიანი კაცის საჭიროება ყველამ იცის. ქვეყანაზე ძვირფასი ჭკუისთანა არა არის რა. ჭკუა ბევრ გაჭირებითგან გამოიყვანს კაცს. ჭკვიანი კაცი ქვეყანას სიკეთით აავსებს, ჭკვიანი სხვასაც გააჭკვიანებს და ბევრ უბედურებისაგან გამოიხსნის. მაგრამ ჭკუასთან თუ კაცს სიმართლეც არა აქვს, კეთილი ხასიათი არა აქვს, ქვეყანას დააქცევს, მარტო თავის სიკეთეს და სიმდიდრეს ეძებს და სხვამ თუნდა თავი ქვასა ჰკრას არ

ენაღვლება. მართალი კაცი ღარიბისა, ქვრივისა და ობლის მფარველია, ყელამდის რომ ოქროში ჩასვა, გროშს არ დააკლებს, უსამართლობა ეჯავრება და ყველასაგან ნდობა აქვს, ყველა ერწმუნება. აი ამისთანა კაცია საჭირო სოფლისათვის.

რა სოფელი იქნება, რა ხალხი იქნება რომ ამ გვარი მართალი კაცი არ იყოს. ამისთანა კაცი ღარიბებში უფრო ბევრია, მაგრამ ესენი გულით და სიკეთით მდიდარნი არიან. აი ამისთანა კაცებს უნდა ვერწმუნოთ. იმათ კი ნუ დავუჯერებთ, ვინც კარგი ლაპარაკი იცის სიმართლეზე, ავზე და კარგზე და ვინც სიტყვით ასეთ სიკეთესა გვპირდებიან, რომ ეს არის ჩვენი საქმე გაკეთდაო და ესენი იქნებიან კარგი მოხელეებიო. საქმით კი ვინ იცის, რამდენი ღარიბისა, ქვრივისა და ობლის ქონება და მამული დაურბევიათ. რამდენი საწყალი დაუჩაგრავთ და რამდენი უცხო კაცი და ნათესავი შეუწუხებიათ. არა, ამისთანა მატყუარა მოლაპარაკე კაცები არ გვინდა.

ჩვენ ისინი მოვინდომოთ, ვისაც ალალ-მართალი ლუკმა პური უჭამიათ თავის ოფლითა, ვისაც თავისი სიცოცხლე სიმართლით გაუტარებია და ყელამდინ რომ ოქროში ჩასვა ერთს არ დააკლებდეს. მაგრამ ბევრჯერ მოხდება, რომ კაცი მართალი, სვინდისიანი იყოს, მაგრამ შორმხედველი ჭკუისა არ იყოს. ამისთანა მართალი კაცი არ გამოგვადგება იმიტომ, რომ ჭკუის პატრონი ავი ხასიათის კაცი იმას მოატყუებს თავის სარგებლობის გულისათვის. გაჭირებაში ხერხის მოგონება გაუძნელდება და ამით საქმე წახდება. რასაკვირველია, ისევ უსვინდისო ჭკვიან კაცს მართალი კაცი უნდა ვირჩიოთ. მაგრამ ყველას ისა სჯობია, მოვძებნოთ ისეთი კაცი, რომ ორივე ღირსება ჰქონდეს: ჭკვიანიც იყოს და მართალიცა. მოხელე ჭკვიანი და მართალი კაცი გვინდა.

ამ ორ კარგ თვისებას უნდა გამჭრიახობაცა. საქმეში გამჭრიახობა დიდი საქმეა. ბევრი ჭკვიანი კაციც ვიცით და მართალიცა: საქმე აქვს რამ გასაკეთებელი, დღეს ხვალობაზე აგდებს საქმესა, ჰაი დღეს გავაკეთებო, ჰაი ხვალაო; ამაობაში ერთიც ვნახოთ საქმე დატრიალდა და გაფუჭდა, ან თუ საქმეს აკეთებს ისე არ იწყებს როგორც საჭიროა, ან არა და ერთ საქმეს რომ აკეთებს მეორე ველარ გაუკეთებია, თუ ორივეს თავს უდებს ვერ მოუხერხებია; თუმცა ცდილობს, მაგრამ ხერხი არ იცის, ოსტატობა არა აქვს. ამიტომ კიდეცა გამჭრიახე, ხერხიანი, ხელჩქარი და მომარჯვებული კაცია საჭირო“ (გიორგი წერეთელი 1931თ: 364-365).

გიორგი წერეთელი არჩევნების დროს მთელ პასუხისმგებლობას ხალხს აკისრებდა და წერდა: „ყოველმა გლეხმა უნდა იცოდეს, რომ თუ იმის ამორჩეული კაცი ცუდი მოხელე გამოდგა, ეს იმისი ბრალია, რასაც უკანონობას, უსამართლობას და

უსვინდისობას მოხელე იზამს, ამაში ყველაფერში ამ უსამართლოებაშიაც და უსვინდისობაშიაც მოხელე კაცის ამომრჩეველსა აქვს წილდებულობა. ამიტომ რომ იმისი ამორჩევით დაუყენებიათ ისეთი კაცი. ბრალი სოფელს დაედება თუ მოხელე რიგიანი არ გამოვიდა.

მანამ ამორჩევამდინ რაც დროა, ყველამ სვინიდისიანათ უნდა იფიქროს კარგათ ასწონოს ყველა, ვისაც კი მოხელეთ დაყენება უნდა. პირფერობა, მიმხრობა მალე გამოუსადეგი გახდება, სავაგლახოს საქმეს ნუ გავიხდით და თვალი გავახილოთ, რომ ღარიბის შემწე და კეთილი გულის კაცები ამივირჩიოთ, თავი დავანებოთ ხარბ, თვალგაუმაძღარ კაცებს. ოღომც ღარიბისა და ობლის შემწე იყოს ვინმე, ხარბი და აბეზარი არ იყოს, ჭკვიანი და გამჭრიახე იყოს და არა უშავს რა, თუ ღარიბი იქნება, სიტყვა კაი კაცობაა, კაი კაცობას სიმდიდრე ვერ დაედრება. ნურც წლოვანობას უყურებთ, რომ არ იქნება თუ ბებერი არ იყოსო. სიბერე კარგია, მაგრამ ხშირად ყმაწვილი კაცი ჭკუითა და კაი კაცობით ბევრჯერა სჯობია ბერიკაცსა.

სიფრთხილე და სვინიდისიონობაა საჭირო მოხელეების ამორჩევაში. დაუდებრობა, ზანტობა, ერთმანეთზე საქმის მიგდება არ შეიძლება. არ უნდა ვთქვათ, რომ ეჰ მე არა მცალიან, ვინც უნდა ამოირჩიონო. მერე რომ საქმე გაგვიჩნდეს და სანანური გაგვიხდეს, ცხვირში ვიცეთ, რომ რატომ მეც არ გავერიეო ამ მოხელის ამორჩევაში. საქმე ის არის, რომ ყველა ხომ დღესვე არ იქნება, ხვალისთვისაც უნდა ვიფიქროთ.

კიდევ ვიტყვით სიფრთხილე სვინდისიანობა და საქმის დადევნება, ამორჩევის საქმეზე მუყაითობა, თორემ სანანური და სავაგლახო გაგვიხდება საქმე. კარგად დავიხსომოთ, რომ თუ სოფლის მოხელეებში უსამართლობამ, მექრთამეობა და უსვინიდისობა მოხდა რამე, ცოდვა სოფლის ხალხს დაედება კისერზე“ (გიორგი წერეთელი 1931ი: 373-374).

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ **გიორგი წერეთელი** ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნების ისტორიაში გამორჩეული ფიგურაა. მან გარდა პუბლიცისტური მოღვაწეობისა, დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა. პოლიტიკური თვალსაზრისით, ის ორიენტირებული იყო XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ საზოგადოებაში გაბატონებულ ფქისო-სოციალურ საკითხებზე. მისი ყურადღების ცენტრშია ჩამოყალიბების გზაზე მდგარი ქართული კაპიტალისტური საზოგადოება, რომელიც რუსიფიკატორული პოლიტიკის მსხვერპლი

იყო. ის თავისუფლების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის ღირებულებებს, ღიად, გადატანითი მნიშვნელობით და ქვეტექსტების სახით ავრცელებდა, რაც სამოქალაქო საზოგადოების შექმნის გარანტორი იყო. ბოლოს, შეიძლება მისი სიტყვებით დავასრულოთ: „თავისუფლება და ენერგიული მოქმედება შეადგენს ჩვენი ნაციონალური ძლიერების მიზეზს, რადგანაც სული თავისუფალი მოქმედებისა მარტო ერთ წოდებაში კი არ იპოვება, არამედ ის არის გამჯდარი მთელი ხალხის ძვალსა და რბილში და უმეტესად ის გამოიჩენს თავის ძალას დაბალ და ღარიბ ხალხში“ (გიორგი წერეთელი 1931დ: 145).

ზოგადად, **გიორგი წერეთლის** დასავლური ღირებულებებისადმი და მათ შორის პოლიტიკური სისტემებისადმი შეხედულება შეიძლება მისივე სიტყვებიდან გავიაზროთ: „ბევრსა ჰსურდათ კაცობრიობის გამომხსნელად გამხდარიყვნენ, მოიგონეს ერთი რამ აზრი, რომელიც იმათი ფიქრით გააბედნიერებდა მთელს ქვეყანას და მერე გინდა თუ არ გინდაო ეს აზრი უნდა აასრულოო. ამგვარი ხასიათი ჰქონდათ მომეტებულად იმ აზრებს და თეორიებს, რომლებიც კაცობრიობას ბედნიერებას ჰპირდებოდნენ. იმ აზრებში მხოლოდ ის აზრი არის ცხოველი და გამოსადეგი ყოველის მხრით, რომელიც ითხოვს ხალხის განათლებას, მხოლოდ ამ აზრის აღსრულება შეიძლება და მხოლოდ ამას შეუძლია კაცობრიობის გაბედნიერებაც“ (გიორგი წერეთელი 1931გ: 129).

§ 4. სერგეი მესხი დასავლური პოლიტიკური ღირებულებების თაობაზე

„მებრძოლ ჯარს მხნედ წინ მიუძღოდა ახალგაზრდა, შავგრუზათმიანი, ლურჯთვალებიანი, ვარდისფერლოყებიანი მედროშე. ის რამდენიმე ადგილას იჭრება, ნელ-ნელა სისხლიდან იცლება, ფითრდება და სუსტდება; ბოლოს მიწაზე ეცემა არაქათგამოცლილი, მგრამ დროშის ალამი მაინც მაღლა უჭირავს ხელში, რათა ის მტვერსა და ტალახში არ გაისვაროს. აი მასთან მორბის მეორე ახალგაზრდა მეომარი, ხელიდან დროშას ართმევს და იმედიანად წინ მიდის ახალი გამარჯვებისაკენ“ (ქიქიოძე 1963: 195) – წერდა **1937** წელს **გერონტი ქიქოძე** ნაშრომში **„სერგეი მესხი“**.

დღეს, როცა საკითხი ეხება: ქართულ საზოგადოებაში დასავლური ღირებულებების გააზრებას, ქართული სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, ქვეყნის დემოკრატიზაციას, მაშინ ამ საქმეში (თეორიული და პრაქტიკულ თვალსაზრისით) პირველდამწყები **სერგეი მესხის (1845-1883)** ნააზრევის გაცნობიერება, მხოლოდ წინ გადადგმული ნაბიჯია: „ყოველგვარი ცოდნისა, განათლებისა, ცხოვრების გაუმჯობესობისა და წარმატების წყარო ჯერ-ჯერობით დასავლეთი ევროპა არის. ყველა ხალხი და მათ შორის რუსებიც, ამ წყაროს ეწაფებიან და აქედან გამოაქვთ ყველაფერი, რაც კი საუკეთესოა, კაცის მანუგეშებელია და წინ წამწევი ხალხთა ცხოვრებაში. თავის თავისა და თავის ქვეყნის წინ წაწევა მხოლოთ იმას შეუძლია, ვისაც ევროპის ცხოვრება და მეცნიერება კარგათ და ჭეშმარიტათ გაუცვნია. გაუნათლებელსა და ღარიბ საზოგადოებას მხოლოთ ის კაცი მოუტანს სარგებლობას, რომელიც თვითონ ევროპულ სწავლა მეცნიერებაში განვითარებულია და თავის თვალით უნახავს და შეუსწავლია სიღარიბის მომსპობელი და კეთილ-დღეობის მომნიჭებელი სახსრები. სხვა არ იყოს-რა, უბრალო დანახვაც განათლებული ერთა ცხოვრებისა და მეცნიერების ნაყოფისა - არა მცირედ სარგებლობას მოუტანს ისეთის ქვეყნის შვილს, როგორიც ჩვენია. ტყუილად კი არ ამბობენ ჩვენში, როდესაც რომელიმე კაცის ღირსებაზედ იტყვიან: „ამ კაცს ქვეყანა უნახავს, განათლებული კაციაო!“ ამ აზრს თავის საფუძველი აქვს. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ახალი თაობა მარტო „ქვეყნის სანახავათ“ არ მიდის ევროპაში. ამ შემთხვევაში ისინი უფრო გონიერი აზრით ხელმძღანელობენ: ისინი მიდიან ევროპული სწავლა მეცნიერებისა და ცხოვრების გასაცნობათ და შემდეგ ამაების თავის ქვეყანაში დასამკვიდრებლათ. ვინ გაამტყუნებს იმათ ამგვარი განზრახვისათვის? ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ დასავლეთი ევროპის ცხოვრების წაბაძვა და იქიდან პირდაპირ მეცნიერების გადმოტანა ათას წილათ უკეთესი არ იქნება ჩვენთვის, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნიდან? განა ყოველთვის იმ წყაროს წყალი არ სჯობია, რომელიც პირდაპირ მიწიდან ამოჩუხჩუხებს და განა არ იცით, რომ წყაროდან მოშორებული წყალი ხანდახან ისეთ რამეებს შეითვისებს გზაში, რომ შემდეგ ამის გამოყენება თითქმის შეუძლებელია?“ (სერგეი მესხი 1962: 271).

XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნებიდან, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ **სერგეი მესხის** შეხედულებები დასავლური პოლიტიკური სისტემების შესახებ. რა საშუალებით და როგორ შეძლო სერგეი მესხმა ქართული ცივილიზაციის პროცესში თავისი წვლილის შეტანა? ეს ის საკითხია რაზეც ჩვენ გვსურს

გავამახვილოთ ყურადღება. დღეს ისტორიკოსები თუ სოციოლოგები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ევროპული ღირებულებები მუდმივად იცვლება, სხვადასხვა დროს ის სხვადასხვაგვარად გაიგებოდა. ამ პროცესის გასაგებად შეიძლება სერგეი მესხის, როგორც ისტორიის ფილოსოფოსის სიტყვებიც მოვიშველიოთ: „კაცობრიობის წარმატება... იმაში მდგომარეობს, რომ ძველი დამპალი და უვარგისი ცხოვრების, ჩვეულებებისა და შემცდარი აზრის ნაცვლათ შეითვისებს უმჯობესს და უსარგებლესსა. კაცობრიობას ისეთი თვისება აქვს, რომ ერთ ადგილზე გაჩერება, ერთი და იმავე ჩვეულებისა და აზრის სამუდამოთ შენახვა იმას არასოდეს არ შეუძლია. ის მუდამ წარმატებაშია, მუდამ წინ მიდის; ერთ უაზრო ჩვეულებას დააგდებს და მის ნაცვლად შემოიღებს მეორეს, უფრო საფუძვლიანს. დღეს ის ჰფიქრობს, რომ ერთი ნაწილი საზოგადოებისა მეორეს უნდა არჩენდეს, მეორესთვის, უნდა შრომობდესო, ხვალ კი მიხვდება, რომ ამნაირათ საზოგადოების დაყოფა უსამართლო საქმეა და მავნებელი ორივესათვის, როგორც მშრომელისათვის, ისე ტყუილა-მჭამელისათვისაც; დღეს ამბობენ, რომ ყოველმა კაცმა მარტო თავის მუცლისათვის, თავის კეთილ-დღეობისათვის უნდა იზრუნოსო („მე თუ არ ვიქნები, თუნდ ქვეყანაც დაქცეულაო“), ხვალ კი გაიგებენ, რომ ყოველი განცალკევებული კაცი საზოგადოების წევრია და მაშასადამე, ყოველი ღონისძიებას უნდა ხმარობდეს, რომ წარმატებაში შევიდეს ეს იმის გამჩენელი და დამარჩენელი საზოგადოება, მით უფრო, რომ საზოგადოების კეთილდღეობის შედეგი, კერძოთ, იმისივე კეთილდღეობა იქნება“ (სერგეი მესხი 1962: 74-75).

XIX საუკუნის დასავლურ ღირებულებათაგან აღსანიშნავია: პოლიტიკური თავისუფლება, განათლება, რელიგია, კანონის უზენაესობა, ხელოვნება, საზოგადოება, საბანკო საქმე, ასოციაციები, ქალთა საკითხი და სხვა. ეს საკითხები დღესაც აქტუალურია, მაგრამ ისინი თანამედროვე დასავლურ ღირებულებათა სისტემაში შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: თავისუფლება, სამართლის უზენაესობა, საბაზრო ეკონომიკა, კაპიტალიზმი, ინდივიდუალიზმი, თანასწორობა და დემოკრატია. აღნიშნული ღირებულებების განზოგადება შეიძლება ოთხი ასპექტით: სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული.

სერგეი მესხის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლასთან დაკავშირებით, როცა ის გაზეთ „დროების“ რედაქტორი გახდა, „თერგდალეულები“ გაფანტულები იყვნენ რუსეთსა და ევროპაში. ამასთან დაკავშირებით **ომარ კასრაძე** სწორედ შენიშნავდა: „რათა

ნათელი გახდეს ს. მესხის დამსახურება ქართული კულტურის... წინაშე, უადგილო არ იქნება ორიოდე სიტყვა მაინც აღინიშნოს, თუ როგორ გამოიყურებოდა აღნიშნულ პერიოდში საქართველო, უფრო სწორად, ლიტერატურული თბილისი. როგორც ცნობილია, 1869-1870 წლებში **ი. ჭავჭავაძე** დუშეთში იმყოფებოდა მომრიგებელ მოსამართლედ, **ა. წერეთელი** ქუთაისს არ სცილდებოდა, **ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე** და იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფებოდნენ. ამრიგად, მეფის რუსეთის მიერ კარგამოკეტილი მუდმივი ქართული თეატრის აღდგენა-დაარსებისათვის ბრძოლის პერიოდში ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების ტონის მიმცემად ძირითადად **ს. მესხი** ითვლებოდა, რომელიც თავისი მშობლიური ხალხის წინაპრების მსგავსად, მამაპაპური შემართებით უმკლავდებოდა ყოველგვარ სიძნელეებს, რაც კი წინ ეღობებოდა ქართველ ხალხს... იგი, როგორც მეფის რუსეთის მიერ დამონებული თავისი ქვეყნის გულმოკლული ჭირისუფალი, მხურვალედ ემსახურებოდა „დროების“ ფურცლებზე ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს და ამავე დროს თვითონვე გამოდიოდა ამა თუ იმ კულტურულ წამოწყებათა ორგანიზატორი“ (კასრაძე 1963: 143).

სერგეი მესხის ნაშრომების გამოცემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საბჭოთა ისტორიოგრაფიის წვლილი. **იოსებ ბოცვაძემ** გაზეთ „დროების“ ნომრებიდან ამოკრიბა **სერგეი მესხის** სტატიები და სამ ტომად გამოსცა. თუმცა, საბჭოთა ისტორიოგრაფიას **სერგეი მესხის** ნაზრევის შესწავლასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი პრობლემები ჰქონდა. მაგალითად: **მისი** შემოქმედების (პუბლიცისტიკის) თემატურად დაყოფა. ალბათ, ეს გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ მაშინდელი პუბლცისტების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისას ისინი ცდილობდნენ ერთ სტატიაში ყველაფრისთვის მოეყარათ თავი, ყველაფერს შეხებოდნენ და თავიანთი პოზიცია ყველაფრის თაობაზე წარმოეჩინათ. თუმცა მოგვიანებით ისინი მაღალ მეცნიერულ დონეზე მიჯნავდნენ სტატიის თემატიკას და მასში ჩამოყალიბებულ აზრებს. ასეა სერგეის შემთხვევაშიც. ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ უცნობ მოაზროვნეებზე და მათი იდეების წამოწევით თავიანთ შეხედულებებს ანვითარებდნენ.

1. დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის - კომუნიკაციის საშუალებების მნიშვნელობა. სტატიაში „თფილისი 8 მაისს“ **სერგეი მესხი**

ახლად დაარსებულ ქართული ჟურნალ „მნათობს“ ეხება. ის 1869-1872 წლებში **ნიკო ავალიშვილის** რედაქტორობით გამოდიოდა. „მნათობმა“ ქართული პუბლიცისტიკის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ის სამი წლის განმავლობაში სხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან: „ცისკართან“, „დროებასთან“ და „კრებულთან“ პოლემიკას აწარმოებდა. პირველ ქართულ ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ შემდეგ, რომელიც 1863 წელს **ილია ჭავჭავაძის** რედაქტორობით გამოდიოდა, ეს მეორე ჟურნალი იყო. პროგრესულად მოაზროვნე ქართველ სამოციანელთა სათქმელი ქართულ საზოგადოებას სწორედ ჟურნალ-გაზეთების წყალობით მიეწოდებოდა. რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი საქართველოს მოსახლეობისათვის სიმართლის თქმის (თუმცა შეფერვით), ეროვნული თვითშეგნების გაღვივების, დამოუკიდებლობის მოპოვების იდეის განვითარებისათვის, ეს იყო ერთადერთი გზა. ამდენად, მაშინდელი ქართული საზოგადოებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი გაზეთისა, თუ ჟურნალის დაარსებას. **სერგეი მესხი** ჟურნალ „მნათობის“ დაარსებაზე აღნიშნავდა: „ჩვენთვის ძლიერ სასიამოვნოა ახალი ჟურნალის დაარსება; ყოველი მამულის კეთილდღეობის მოსურნე უნდა შეხაროდეს ამისთანა შესანიშნავ საზოგადო საქმეს; ახლანდელ ჩვენს ღარიბ ლიტერატურაში არა თუ ჟურნალის გამოცემა, ორი დაბეჭდილი თაბახის გამოსვლაც შესანიშნავია“ (სერგეი მესხი 1962: 27-28).

სერგეი მესხმა ჟურნალ „მნათობის“ პირველ ნომერში **ინაშვილის** სტატია „საჭიროა თუ არა ქართული რიგიანი ჟურნალი“ შექებასთან ერთად გააკრიტიკა, იქ სადაც ინაშვილს „საქართველოს მოამბე“ მოჰყავდა მაგალითად, რომ საქართველოში ჟურნალები სარგებელს ვერ ნახავდნენ და ისევე მალე შეწყვეტდნენ არსებობას, როგორც „საქართველოს მოამბე“. მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს მოამბეს“ ერთ წელზე მეტ ხანს არ უარსებია, მან მაინც დიდად პროგრესული როლი შესარულა ქართული ხალხის ისტორიაში. ის რომ იმპერიის კოლონიურ პირობებში ეროვნული ჟურნალისა, თუ გაზეთის არსებობა ძალიან ძნელია, პრაქტიკულად შეუძლებელიც კი, რადგან იმპერია დაპყრობილი საზოგადოების განათლებულ ნაწილს სთავაზობს სახელმწიფო მოხელეს კარიერას, რომელიც იმპერიალისტურ ინტერესებს ემსახურება. ამას **სერგეი მესხი** ეკონომიკური გარემოებით ხსნიდა, თუმცა მასში ის სწორედ რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას გულისხმობდა, რასაც, მაშინ, ღიად ცენზურის პირობებში ვერ დაწერდა. „რედაქციამ (ჟურნალ „მნათობის“ – გ.ქ.) უნდა მიიღოს ყურადღებაში, თუ რა იშვიათად მოიპოება ჩვენში ასეთი ჟურნალის ხეირიანი თანამშრომელი და საზოგადო

მწერალი, რომელსაც შეეძლოს დაუჯილდოვებლად იშრომოს ჟურნალისათვის. ეკონომიური გარემოებისაგამო ყოველგან და აგრეთვე ჩვენშიც ნასწავლი და მცოდნე ხალხი თითქმის სულ ღარიბები არიან; ღარიბებს, რასაკვირველია, ყველაზე უფრო ლუკმა პური სჭირდება; ის შედის სამსახურში, კეთდება ჩინოვნიკათ და ხშირად სამსახურით ისეთნაირად არის ის შთანთქმული, რომ ვერ ახერხებს საზოგადო-სალიტერატურო საქმეებში მონაწილეობის მიღებას“ (სერგეი მესხი 1962: 28-29).

2. სერგეი მესხი პოლიტიკური თავისუფლების თაობაზე. თავისუფლების იდეა **სერგეი მესხის** ნაწერებში არაერთხელ გაჟღერებულა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი სტატიები, როგორც გაბნევით სხვადასხვა კონტექსტში, ასევე ცალკეულ პიროვნებებზე, რომლებიც თავისუფლების იდეას ეწირებოდნენ. **სერგეი მესხი** სტატიაში **„ამერიკის შკოლები“** პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებს ა.შ.შ.-ის ზოგად, მცირე ისტორიაზე, სადაც აღნიშნავს, რომ მას შემდეგ რაც **კოლუმბმა** ამერიკა აღმოაჩინა და იქ გადასახლდნენ ინგლისელები, ჰოლანდიელები და ფრანგები. „პირველად გადასახლებულებმა ნახეს, რომ ამერიკაში ძლიერ კარგათ შეიძლება ცხოვრება, თუ იმუშავებს კაცი, სამუშაო ადგილებს ყოველთვის ბლომათ იპოვის... პირველი გადასახლებულები იყვნენ... უმეტესი ნაწილი ანგლიელებისა და 1776 წლამდე ემორჩილებოდნენ ხოლმე ანგლიას (ინგლისს – გ.ქ.), ამ წელს კი ბევრი ომისა და ზიანის შემდეგ, ფრანცუზევის შეწევნით, ცამეტმა ამერიკის შტატმა (გუბერნიამ) მოიპოვა თავისუფლება და დააწესეს „რესპუბლიკა შეერთებული შტატებისა“. მას აქეთ დაიწყო ამერიკის კეთილდღეობა, წარმატება და სიმდიდრე; მას აქეთ გარდასახლებულების რიცხვი კიდევ უფრო გამრავლდა. ეხლა ამერიკის შეერთებული შტატები დაწინაურებულია სხვა განათლებულ ევროპის ხალხზე, როგორც საზოგადო განათლებით, ისე სიმდიდრით, შინაური დაწყობილებით და სხვა, ასე, რომ ყოველი ევროპის ხალხი იმას ბაძავს ხოლმე საპოლიტკო და საერო საქმეებში“ (სერგეი მესხი 1962ბ: 18-19). – აქცენტი და ყურადღება ა.შ.შ.-ზე XIX საუკუნის 60-იან წლებში ნაკარნახევია მსოფლიოს, მაშინ ჯერ კიდევ ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფოს სწრაფი განვითარებით სოციალური და ეკონომიკური კუთხით. მისი განვითარების და აღმავლობის საფუძველს კი **სერგეი მესხი** თავისუფლებაში ხედავს, რაც გახდა საწინდარი „კეთილდღეობის, წარმატების და სიმდიდრის“. მისი გაცნობა ქართველი მკითხველისათვის კი თავისთავად მოწოდებას გავს თავისუფლებისაკენ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ.

საინტერესოა, **სერგეი მესხის** შეხედულება სოციალური თავისუფლების თაობაზე, თავისუფლებისკენ მოწოდებაა სერგეი მესხის სტატია **„არსენა“**, ის ქართველი ეროვნული გმირის არსენა მარაბდელის თაობაზე წერდა: „იმის თავისუფლების მოყვარეობამ, იმის პატიოსნებამ და ღარიბების შემბრალებელმა გულმა ვერ გაუძლო, ვერ მოითმინა ამისთანა წყობილება საზოგადოებისა (ბატონ-ყმური საზოგადოება - გ.ქ.), სრულიათ მოშორდა ამ საზოგადოებას“ (სერგეი მესხი 1962გ: 184). სამართლებრივი თვალსაზრისით, **სერგეი მესხი** მასზე აღნიშნავდა: „ავაზაკობა და შარა-გზაზე ვისიმე გაძარცვა, რასაკვირველია, ცუდი რამ არის; კაცი არ მოიწონებს ამისთანა ყოფაქცევას, მაგრამ, თუ სადმე უნდა მიაქციოს კაცმა ყურადღება „შემწყნარებელ მიზეზს“, უეჭველია აქაც უნდა მიაქციოს“ (სერგეი მესხი 1962გ: 184-185). **სერგეი მესხი არსენას** არაჰუმანურ საქციელს ევროპის ხალხების ყოფასა და მდგომარეობას ადარებდა: „როცა კომუნა დაწესდა პარიჟში და რომლის ნამდვილი მიზეზი იგივე მტრობა და ლუკმა-პურის მოპოვების სურვილი იყო.. პარიჟიდან გაქცეული კომუნის მომხრეები სწერენ საფრანგეთის ბურჟუას: „იცოდეთ, რომ ადრე თუ გვიან, ჩვენ თქვენზე ძლიერნი ვიქნებით და მაშინ საშინლათ გადაგიხდით. მაშინ არ დაგზოგავთ იმათ, რომელთაც 1848-1871 წწ. დახოცეს ხალხი. თავებს გაგაყრევინებთ, თუნდ რომ ეს თავები ჭაღარა თმით გქონდეთ შემოსილი! თქვენ ცოლებსა და შვილებს სიკვდილი მოელის არცერთს არ გავუშვებთ ცოცხალხს: იქნება ღმერთმა ქნას, თქვენი დაწყევლილი გვარი სამუდამოთ მოისპოს. ბურჟუაზიის წევრნო, ჩვენ მოგკითხავთ თქვენ ანგარიშს!“ აი როგორი საზარელი და საშინელი სიტყვებით მიმართავენ საფრანგეთის ღარიბები საფრანგეთისავე მდიდრებს! დიახ, გამწარებული კაცი ბევრს უმსგავსობებას, ბევრს საშინელ საქმეს ჩაიდენს და ხანდისხან ეს საქმე იმას მიეტევება... ამის შემდეგ დიდად გასაკიცხი არ უნდა იყოს არსენა, რომელიც ხანდახან გაჭირვების დროს სომხებსა და ურიებს დაუხვდებოდა სადმე და ფულს ან სხვა რამეს გამოართმევდა, ისიც იმისთვის, რომ მშიერ-მწყურვალისათვის და ღარიბ-ღატაკისათვის მიეცა“ (სერგეი მესხი 1962გ: 185-186).

თავისუფლების სიმბოლო იყო იტალიერი რევოლუციონერი **ჯუზეპე მაძინი** (1805-1872), მისი მოხსენიება მაშინდელ ქართულ რეალობაში, თავისთავად რევოლუციის მოწოდებას ნიშნავდა. სერგეი მესხი სტატიაში **„მაძძინი“** წერდა: „1848 წელს თითქმის ყველა დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოებში რევოლუცია მოხდა, ყველგან ხალხი აუტყდა თავის მმართებლობას და რესპუბლიკის დაფუძენბას

ცდილობდა. ვგონებთ, არცერთ კერძო პირს არ ჰქონია ისეთი გავლენა ამ რევოლუციების ატეხაში, როგორც მაძძინს“ (სერგეი მესხი 1962ზ: 201-202).

ერის თვითგამორკვევის წინააღმდეგ მიმართული რუსეთის კოლონიუსტური პოლიტიკის შედეგად ბევრი ჟურნალისტი, თუ მეცნიერი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ისტორიის განვითარების პროცესი ხალხების დიდ ჯგუფებში, სახელმწიფოებში გაერთიანებისაკენ ისწრაფოდნენ. ასეთი, მეცნიერები ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების კრიტიკის საგანი იყო. მათ შორის **სერგეი მესხი** ერთ-ერთი პირველთაგანია. ის **1872 წელს** გამოცემულ სტატიაში **„ბიბლიოგრაფია“** წერდა: „მართალია, კაცობრიობის ისტორიაში ჩვენ ხშირათ ვხედავთ, რომ წვრილი, სუსტი ხალხები დიდ და ძლიერ ხალხს დაუპყრია და ხანდახან სრულიათაც მოუსპია, მაგრამ ამ შემთხვევაში ძლიერ ხალხებს განა კაცობრიობის სარგებლობა და არა საკუთარი თავისა ჰქონიათ მხედველობაში? ამ საქმეში ფიზიკურ ძალასა და ერთის მხრის მატარიელურ სარგებლობას ჰქონია ადგილი და არა ზნეობით მხარესა და კაცობრიობის წარმატების აზრს.

რაც უფრო რომელიმე ხალხი მრავალ-რიცხოვანიაო, ისე ეს ხალხი უფრო განათლებული და წარმატებულიაო! აბსურდი არ არის ეს აზრი? ჩამოთვალეთ, უფ. ავტორი, ეხლამდელი ევროპისა და აზიის ხალხები და გაიგებთ, რომ ამ აზრში ჭეშმარიტების ნატამალიც არ არის. შევადაროთ, მაგალითათ: ინდოეთი და ინგლისი, ჩინეთი და შვეიცარია, იაპონია და ბელგია, ოსმალეთი და იმის პატარა ქვეშევრდომი ხალხები და სხვა. ამ მაგალითებში დიდი მრავალ-რიცხოვანი ხალხები პატარა ხალხებზე უფრო დაწინაურებულნი არიან განა? იმათი ენა უფრო მდიდარია განა? უეჭველია, რომ მრავალ რიცხვში, შეიძლება, უფრო მომეტებული სწავლულები და მეცნიერები გამოვიდნენ; მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ ერის წარმატება სრულებით რიცხვზედ არ არის დამოკიდებული“ (სერგეი მესხი 1962ზ: 257).

ზემოთ დასმულ კითხვებს სერგეი მესხი შემდეგნაირად პასუხობდა და ქართველ საზოგადოებას დაფიქრებისკენ მოუწოდებდა, თუ რა მიზანი ამოძრავდებდა, ასეთი შეხედულებებისა და აზროვნების ადამიანებს. ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კოლონისტი სახელმწიფო ვერასდროს ვერ შეცვლის დაპყრობილ ხალხს, ვერ მოითვინიერებს თავის ჭკუაზე და ეს ისტორიამაც დაამტკიცა ინლისისა და ინდოეთის შემთხვევაში. თუმცა ამ საკითხზე სერგეის აღშფოთების მიზეზი და მიზანი სულ სხვა იყო - რუსეთის იმპერიის მიერ კოლონიად ქცეული საქართველო: „ბუნება თავის

ბეჭედს ადებს ყოველი ერის ენას, ხასიათს, ჩვეულებას და საზოგადო ცხოვრებას. აქედამ წარმომდინარეობს სხვა და სხვა ეროვნება და ამ ბეჭედის აღმოხოცვა შეუძლებელია: მაშ აგრეთვე შეუძლებელი უნდა იყოს ერთი ერისაგან მეორესი გადაკეთება. ინგლისელებს, რასაკვირველია, შეუძლიათ თავისი საკუთარი სახელმწიფო წყობილება და იქნება რამდენიმე საუკუნის შემდეგ თავის ენაც დაამყარონ ინდოეთში, მაგრამ ამით თქვენ გგონიათ ინდოელები და ინგლისელები ერთ ერათ, ერთი სხეულის ნაწილებათ შეიქმნებიან? ძლიერ შემცდარი ბრძანდებით, თუ ამას ჰფიქრობთ.

ძალ-დატანება და ფიზიკური ძალის ხმარება კაცობრიობის გონიერ მოქმედებას არ შეჰფერის. ძალ-დატანებით გაკეთებულ საქმეს არასოდეს მკვიდრი საძირკველი და დიდი ხნის სიცოცხლე არა აქვს. თუ არ ძალ-დატანებით, თუ არ გასაკიცხი საშუალების შემწეობით, ხალხი არასოდეს არ მიატოვებს თავის განსაკუთრებულ ცხოვრებას და ამგვარათ დაკარგულის აღდგენას ყოველთვის ეცდება. მაშასადამე, რა მნიშვნელობა აქვს იმ რჩევას, რომელსაც უფ. ავტორი იძლევა, რომ დიდი ხალხები წვრრილების გაუქმებას უნდა ცდილობდესო? რა მნიშვნელობა აქვს იმ რეცეპტს, რომლითაც იმას ჰსურს ამ საქმის სისრულეში მოყვანა?“ (სერგეი მესხი 1962ზ: 258).

3. სერგეი მესხი კანონის უზენაესობას თაობაზე. სერგეი მესხი სტატიაში: „„დროების“ კორრესპონდენცია“ წერდა: „სასამართოზე. ამ უკანასკნელთა მიმართებაში საინტერესოა ერთი მაგალითი, რომელსაც **სერგეი მესხი** ასახელებს. სადაც გამოხატულია ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ექს-აზნაურთა შეუგუებლობა ექს-გლეხებთან. „კ. (სერგეი მესხი არ აკონკრეტებს აზნაურის სახელს, რადგან ეს პრობლემა ზოგადად იდგა მაშინდელ საზოგადოებაში – გ.ქ.) საქმეზედ ძლიერ დიდი დავიდარობა იყო. აქ საქმე მდგომარეობდა იმაში, რომ აზნაურმა კ. შეგინებისათვის სილა გაარტყა გლეხს (მაგრამ მოსამსახურე კაცს). იმან იჩივლა. ქალაქის მომრიგებელ მოსამართლემ გადაუწყვიტა უ. კ-ს სამი თვის საპყრობილეში დამწყვდევა. ამით კეთილშობილების სისხლი აირია და ჩაირია. „რა ქვია, ვის ქვიაო, - ღაღადებდა ერთი კეთილშობილი კაცი, - გაქუცულ ყაზახს ყბაში რომ აზნაურმა შემოარტყას, რა უყოთ მერეო“. „ვეიპლაწ, სუნთლა არ გავსწორდით გლეხკაცთანო, - ყვიროდა მეორე ჩვენ ბულვარში, - ყაზახმა მომთხაროს გინებით და მე ისე უყურო?! ნეტაი მე, - რაღა მიჭირს!“ ვიღაცამ უთხრა: „იმ კაცმა, რომ შეაგინა, უნდა ეჩივლაო კ-ს და მაშინ იმ კაცს დასჯიდენო და თავის ხელით სამართლის გაჩენა კი არ შეიძლებაო“. კეთილშობილი გაჯავრდა! „რავა მოვითმენ მაგას, რავა? ქვის გული ხომ არა მაქვს! ყაზახმა, რომ შემაგინოს იქვე მოვკლავ, თუნდ

საციმბიროთ გავხდე ამწამს!..“ მომრიგებელ მოსამართლეს გადაწყვეტილობაზედ აპპელაცია მისცა ოლქის სასამართლოში, რომელმაც მოუკლო საპყრობილის ბორჯი სამი თვე ნახევრად... რაც უნდა ძლიერ იჯავროს აზნაურობამ ვერ მოეხმარება და არც უნდა მოეხმაროს. კანონი არ არჩევს გლეხს და აზნაურს. კანონის წინაშე ყველა სწორია“ (სერგეი მესხი 1962ა: 13).

დასვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული საზოგადოება მეტწილად ორიენტირებული იყო ბატონყმობის გაუქმების პრობლემებზე. მრავალსაუკუნოვანი ფეოდალური სისტემა იცვლებოდა ახალი კაპიტალისტური სისტემით, ეს კი მოსახლეობის გარკვეულ „სულისკვეთებაზე“ (ვებერი) იყო დამოკიდებული. აღნიშნული პრობლემა მნიშვნელოვანი იყო ახალი ქართული თაობისათვის. ისინი აქტიურად გამოდიოდნენ დაყმევებული გლეხების გასათავისუფლებლად, მათი უფლებების დასაცავად, თანასწორობის შესაქმნელად, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდების წასახალისებლად და გამოსავლენად და დემოკრატიული იდეების გასავრცელებლად, სამოქალაქო საზოგადოების შექმნის მიზნით... 60-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე ახალი ქართული თაობა უპირისპირდებოდა ცარიზმის იმპერიულ პოლიტიკას ცენზურის პირობებში ქვეტექსტების საშუალებით, ალეგორიებით სათქმელი მაინც მიქონდათ მოსახლეობამდე.

თავი IV
დასავლური ეკონომიკური სისტემები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში

თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაა. ის, რომ სახელმწიფოს ინტერესი მიმართულია ეკონომიკის განვითარებაზე, ამაზე სამინისტროს დასახელებაც მეტყველებს - „ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო“. დღევანდელი ქართული საზოგადოების ერთ-ერთი დიდი პრობლემაა კვლავ სოფლის მეურნეობა და რეგიონალური განვითარება. დედაქალაქი თბილისი ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ურბანულ „თავკომბალას“ გავს. დღევანდელი გაცხარებული დებატების დროს კი ავიწყდებათ წასული გამოცდილება, გამოცდილება. კერძოდ, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დასავლური ეკონომიკური ღირებულებების შესახებ ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების მიღწევები. რა თქმა უნდა, დღევანდელი სიტუაცია ბევრად განსხვავდება მაშინდელისაგან, მაშინდელი ქართული საზოგადოება რუსეთის იმპერიის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, მაგრამ პრობლემატური საკითხები უცვლელია, ყოველ შემთხვევაში, მეტწილად ანალოგიებს ვხედავთ მაშინდელ ეკონომიკურ პრობლემებსა და დღევანდელს შორის. ამის მიზეზი კი შეიძლება საზოგადოების იგივეობით აიხსნას, ან თუნდაც გარემო პირობებით. დასავლური ეკონომიკური ღირებულებების გავრცელებამ და განსაკუთრებით, კაპიტალიზმისა და საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე თეორიებმა აქტუალური გახადა **ადამ სმიტის, დევიდ რიკარდოს, ჟოზეფ პრუდონის** და სხვათა შეხედულებები. დასავლური ეკონომიკური ღირებულებების პროცესში დიდი როლი ითამაშეს XIX საუკუნის ქართველმა სამოციანელებმა.

§1. ილია ჭავჭავაძე დასავლური ეკონომიკური ღირებულებების თაობაზე

ილია ჭავჭავაძე დასავლურ ეკონომიკურ ღირებულებათა გააზრებისას ქართული საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესის შესახებ წერდა: „საქართველო დღე-ღამ იარაღით ხელში იდგა, მტერი ყოველ მხრიდამ მოწოლილი იყო. ჩვენი ხალხი თითქმის ორიათასი წელიწადი იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა, და ბოლოს მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს თვითმყოფობითი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავისი ვალი და ვახში არ დასდებია.

ვსთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის - რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლისღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო - და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?“ (ილია ჭავჭავაძე 1987: 150-151).

ივანე ჯავახიშვილი ქართველი მოაზროვნის ეკონომიკური შეხედულებების შეფასებისას წერდა: „ილია ჭავჭავაძის სიტყვებით, საქართველოს ეკონომიკური წესწყობილების ამ კარგს მხარეს „ყური აღარ ათხოვეს; გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდა უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში არამცთუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც“-ო (V, 204) და როგორც ეტყობა, საქართველოს მერმინდელი პოლიტიკური დასუსტების ერთ მთავარ მიზეზთაგანად ჩვენ მგოსანს სწორედ ეს გარემოება მიაჩნდა.

საქმე ის კი არ არის, სწორეა თუ არა თვით ილია ჭავჭავაძის ზემომოყვანილი განმარტება. აქ ყველაზე საყურადღებო ის გარემოებაა, რომ მან ჯერ კიდევ 1880 წ. აღიარა ისტორიული პროცესის გასაგებად ეკონომიკური საფუძვლის ცოდნის აუცილებლობა“ (ჯავახიშვილი 1938: 10).

1956 წელს **პავლე ინგოროყვას** რედაქციით გამოცემული **ილია ჭავჭავაძის** თხზულებათა სრული კრებულის, ათ ტომეულის, მეშვიდე ტომი „წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე“ შეიძლება ითქვას ქართული ეკონომიკის ისტორიის სახელმძღვანელოა. ნაშრომში წარმოჩენილია ილია ჭავჭავაძის აზროვნების განვითარება სხვადასხვა ეკონომიკურ საკითხებზე, როგორიცაა: „სოფლის მეურნეობა

და შეკავშირების საქმე“, „სააღებმიმცემო ჭირნახულის საქმე“, „მელიორაციის საქმე“, „მევენახეობისა და მეღვინეობის საქმე“, „მეგამბეობის სამქე“, „პურეულის საქმე“, „მესაქონლეობის საქმე“, „გზებისა და ბაზრის საკითხი“, „მრეწველობის საქმე“ და „საქართველოს საბანკო-საკრედიტო და საფინანსო საქმეები“. - ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური ნააზრევი ასეთ სისტემაში არც მანამდე და არც მის შემდეგ არავის მოუქცევია. ჩვენ მას ვიყენებთ როგორც წყაროს ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური სახითების ჩამოსაყალიბებლად.

1. ილია ჭავჭავაძე საბაზრო ეკონომიკის შესახებ. სტატიაში „ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი (1893)“ ილია ჭავჭავაძე ქართული ეკონომიკის ფუნდამენტური და ტრადიციული იდენტობის მარკერად პურსა და ღვინოს ასახელებს, ასევე XIX საუკუნის მიწურულს ქართველი საზოგადოების ეკონომიკური გონის დამორჩილებაზე მიუთითებს, რაც ქართველების მსოფლიო ცივილიზაციის პროცესში მომავალი წარმატების გარანტია იყო: „ჩვენ, ქართველები, პურისა და ღვინის პატრონების ვართ, ესე იგი, პურისა და ღვინის გამსყიდველნი ერთის მხრით, და მეორეს მხრით მსყიდველნი ყოველ იმისა, რაც ერთობ საჭიროა საყოველდღეო ცხოვრებისათვის. როგორც გამსყიდველნიც ვზარალობთ, რომ უფლება გვაიძულებს იაფად გავყიდოთ, და როგორც მსყიდველნიც, იმიტომ რომ სასყიდს ძვირად ვყიდულობთ, და იმოდენად ძვირად, რამოდენადაც სასყიდი საყოველდღეო ცხოვრებისათვის საჭიროა.

ამ სახით ვაჭრების ხელში იმ ყოფითა ვართ, რომ ერთს ტყავს ორგზით გვაძრობენ. ესეთი ყოფა ჩვენ ორგზით გვაკლებს და ჩვენს ვაჭრებს ორგზით ჰმატებს. ქართველობამ ამ ბოლოს ხანებში დააჯერა გული, რომ ამ ყოფით დგომა ცხოვრების მოედანზე შეუძლებელიღაა, რადგანაც მოასწავებს დედამიწის ზურგიდამ აგვას, თუ წამალი რამ არ დაიდვა და თუ ისე არ მოაწყო საქმე, რომ ამ გაჭირებიდამ თავი დაიხსნას.

ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამისთანა გაჭირებამ თვალი აუცილა ქართველობას თავის ყოფა-ცხოვრებაში ჩახედვისათვის. დღეს თვითეული ჩვენგანი ჰგრძნობს, რომ აქამომდე მივიწყებულს ეკონომიურს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის; რომ ეკონომიური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა, ტანში გამართვისა და აქ უნდა გავისარჯნეთ და ვიამაგოთ.

ეს კახეთის რკინიგზა, ეს ღვინის საქმე კახელებისა, ეს ხშირი ლაპარაკი ჩვენში, რომ კახელების ღვინის საქმის მაგვარ უნდა მოეწყოს ქართლის პურის საქმეცა და იმერეთის სიმინდისაო, ეს არა ნაკლებ ხშირი მითქმა-მოთქმა, რომ საადგილმამულო კრედიტის გარდა, სხვა მოკლევადიანის კრედიტის დაარსებაც საჭიროა ჩვენთვისაო, ეს სოფლის მეურნეობის წარმატებისათვის საერთო ფულის შედგენა გლეხობისაგან, და ფიქრი და ლაპარაკი თავად-აზნაურობაში, რომ ამისთანა რამ ამათაც შეადგინონ, - ყოველივე ეს ერთად და თვითვეულად ცალკე დღეს ყოველს, თუნდ ცოტაოდნად მიხვედრილს და გაგებულს ქართველს, ენაზე აკერია, ყველგან ამაებზე ჰლაპარაკობენ და ჰბრჭობენ და ზოგნი კიდეც შესდგომიან სიტყვა საქმედ აქციონ. ყოველივე ეს იმის მომასწავებელია, რომ ქართველობა ახალ და სწორ გზაზე გამოდის სამოქმედოდ, და იმედია, რომ იგი ბოლოსაც გაატანს. რადგანაც სწორე გზის პოვნა და მასზე სვლა ნახევრად გამარჯვებაა“ (ილია ჭავჭავაძე 1956ა: 8-9).

2. ილია ჭავჭავაძე კაპიტალიზმის შესახებ. XIX საუკუნის მიწურულს ილია ჭავჭავაძე კაპიტალისტურ საზოგადოებაში ფულის სისტემის პრობლემის კრიტიკისას წერდა: „ქადილი ოქრო-ვერცხლისა, რომ ყველაფერი ჩემიაო, ყველაფერს ვიყიდიო, გამართლდა ქვეყნის საუბედუროდ“ (ი. ჭავჭავაძე 1956ბ: 10).

„რაც გინდ ქუდი კახურად ჩავიკეცოთ, ყურთმაჯები ვაჟკაცურად მხრებზე გადავიყაროთ და, ისპაანის გაკოტრებულ უდა-აზნაურივით, ულვაშები გავიწკეპოთ, ჟანგმოკიდებული ხმალი ჩამოვიკანკუროთ და დოინჯის შემოყრით ვიძახოთ: ჰოი ხმალი პაპაჩემისაო, ფულის ბრძანებას და ბატონობას მაინც ვერსად გავექცევით, ვერსად ვერ დავემალებით: საცა იქნება და როცა იქნება, მოგვასწრობს და ქეჩოში წაგვავლებს ხელს, ან მეყმე და ან შიმშილით სული ამოირთვიო, გეტყვის.

მართალია, აქ ფული მეტისმეტად სულგრძელად გვექცევა, რადგან ორში ერთის არჩევანს ჩვენს ნებაყოფლობაზე აგდებს. მაგრამ ბევრი სახარბიელო არც ყმობაა და არც სულის ამორთმევა, თორემ ფული არც ყმობაა და არც სულის ამორთმევა, თორემ ფული არც ისე გაბედოვლათდებოდა, ერთიცა და მეორეც ჩვენს ნებაზე მოეგდო. წყეულ იყოს ამისთანა სულგრძელობა და ამისთანა გარემოება, რომელიც ან ყმობას გვიქადის, ან სულის ამორთმევას და, ამ ორს საარჩევანოს გარდა, სხვა გზას არ აძლევს ადამიანსა.

ნუ გეგონებათ, ვითომც ეს სულთა და ხორცთამხუთავი ძალღონე ფულს დაწერილ კანონისაგან ჰქონდეს მინიჭებული. ესეთი კანონი არა რჯულში არა სწერია, არა კანონმდებელს თავის-დღეში ფიქრადაც არ მოსვლია. ესეთი ძალ-ღონე ფულისა იმ

უწერულმა კანონმა შეჰქმნა, რომელსაც ცხოვრებას ეძახიან და რომლის ძალმომრეობა თვით დაწერილ კანონზე უძლიერესია და თავში გამწევი მოუდრეკლად. ჟამთა ცვლამ და ეკონომიურ შინაგან და გარეგან ვითარების წინსვლამ ისტორიაში ისე მოუმართა ფულს ხელი, რომ ყველგან და ყოველმხრივ ცხენის ძუის ბადე გააბა: გაინძრევით თუ არა, ამ ბადეში გაიხლართებით, როგორც ბუზი აბლაბუდაში“ (ი. ჭავჭავაძე 1956ბ: 11).

კაპიტალისტურ საზოგადოებაში ფულს დამონებული ადამიანის პრობლემისა და მისგან თავის დახსნის საშუალების გარკვევისას **ილია ჭავჭავაძე** წერდა: „აღვირაშვებულმა ფარფაშობამ ფულისამ ისე გაჰბაწრა და შესთოკა ადამიანი ეხლანდელ დროში, რომ ვისაც უფულობაში მოასწრო, იმის გაფულიანება თითქმის შეუძლებელიღაა პატიოსან შრომითა და გარჯითა, თუ ერთი უეცარი ბედი რამ არ მოევლინა, მაგალითებრ, შადრევანი ნავთისა, ან ყალბი ფული მართალ ფულად არ გაასაღა, ან შამპანურით სავსე ბოტლი ცარიელ ბოთლად არ შემოეპარა საბაჟოს, ან ერთზე ორი სარგებელი არ აიღო გასესხეულ ფულში და სხვა ამისთანა ჟამთა საფერ საქმეში კოჭი ალჩუდ არ დაუჯდა და სინდისმა არ დააბრკოლა. თუ არ ამ გზებით, დღეს კაცმა, მარტო და უფულომ, გაფულიანებაზე იმედი უნდა გადაიწყვიტოს, რადგანაც მეტ ფულიანი ნაკლებ ფულიანს ყოველგან სულსა ჰხდის, საცა კი მოასწრობს. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ფული ფულთან მიდისო. ჩვენ, ქართველები, უფულონი ვართ და თუ აგრეა, რამღა უნდა გვიშველოს? სადღაა და რაშიღაა ხსნა? ჩვენი დღევანდელი თავში საცემი საკითხი სწორედ ეს არის და სხვა არა-რა. ამას უნდა შევალიოთ ყოველი ჩვენი სულიერი და ხორციელი ღონე და გზა ხსნისა როგორმე გავიგონოთ, გავითვალისწინოთ.

ერთგვარი სახსარნი იმისთანანი არიან, რომ ჩვენს საკუთარს თაოსნობასა, მხნეობასა და საქმის გაბედულად შეჭიდებაზედ არიან დამოკიდებულნი. უნდა ვიცოდეთ, რომ რაც თვითეულ ცალკე კაცისათვის მიუწდომელია, ის ერთიანის შეკრულ-შებოჭვილ ღონით ვიმოქმედოთ: თვითეულის ცალკე გროში ერთად შევაგროვოთ, ღონე ღონეს შევაკეცოთ, შრომა შრომას მივუყენოთ და ამ გზით ბევრნი ერთად შევებნეთ უღელში ცხოვრების ავკარგიანობის საწეველად, რომ ჩვენი ნაოფლი, ჩვენი ნაღვაწი ჩვენვე გვრჩებოდეს, ჩვენვე გვრგებოდეს“ (ი. ჭავჭავაძე 1956ბ: 12-13).

ბოლოს, **ილია ჭავჭავაძე** ქართული ეკონომიკური სისტემის განვითარებისთვის ისტორიულ ტრადიციებზე ამახვილებდა ყურადღებას და ქართულ საზოგადოებაში ეკონომიკური სიძლიერის საფუძველს მიწის საკუთრებაში ხედავდა: „უეჭველია, ჩვენი

უწინდელი ეკონომიური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში... ჩვენა გგვგონია, სიკეთე ჩვენის ეკონომიურის აგებულებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა, ესეიგი მამულ-დედული, ცოტათ თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან. საკვირველია, რომ დღეს აქომამდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძევება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოთ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშრომელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზოგადოებისათვის, ვიდრე სხვა რამ. ხსნა ჩვენის ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო, და ვიდრე ამ წყობას უფრთხილდებოდნენ ჩვენი მეფეები, იმ დრომდე ქვეყანა ჩვენი ღონიერი ყოფილა და გასძღოლია მტერს ასე თუ ისე (ილია ჭავჭავაძე 1987: 151-152).

§2. ნიკო ნიკოლაძე დასავლური ეკონომიკური ღირებულებების თაობაზე

„დღეს ტყეები გამოგვეცალა ხელიდამ, ხვალ მიწა-წყალი გვეკარგება, ზეგ ვენახები გვიხდება, მაზეგ სწავლის შეძლებაც ხელიდამ გვიცურდება, მაშ ბოლოს რაღა დაგვრჩება, რითი გვედგება სული, რითი შეგვეძლება ცხოვრება?“ – კითხულობდა ნიკო ნიკოლაძე.

დასავლური ეკონომიკური სისტემებისადმი ნიკო ნიკოლაძის შეხედულებები, იმდენად არის აქტუალური, რამდენადაც ქართული საზოგადოების სწრაფი განვითარება თანამედროვე გლობალური-კომუნიკაციის ერაში, ასევე საქართველოს სახელმწიფოს სწრაფვა ევროპულ სივრცეში. ეს სწრაფვა კი უახლეს ისტორიაში ქართველების მხრიდან გაცხოველდა XIX საუკუნის II ნახევარში, მაშინ როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის კოლონიას წარმოადგენდა და ქართველი საზოგადოება იმპერიიდან თავის დახსნის გზებს ეძიებდა.

როგორი იყო ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულება დასავლური ეკონომიკური სისტემის მოდელებისადმი? და რა ეკონომიკურ ღირებულებებზე ამახვილებდა ის ყურადღებას? ჩვენ შევეცდებით პასუხი გავცეთ დასმულ შეკითხვას. ამ საკითხის

ისტორიოგრაფიასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში შეუსწავლელია, თუმცა ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური შეხედულებების კუთხით მას ზოგადად შეეხნენ **სიმონ ხუნდაძე, დავით გამეზარდაშვილი, აკაკი ბაქრაძე, ქეთევან ჯიჯეიშვილი** და სხვები.

1865-1872 წლებში **ნიკო ნიკოლაძემ** ევროპაში იმოგზაურა და იქაური განათლებაც მიიღო, რამაც მასზე დიდი გავლენა მოახდინა. ამ პერიოდში ნიკო ნიკოლაძის ინტერესი დასავლური ეკონომიკური სისტემების მოდელებისადმი გამოხატულია მის მრავალ პუბლიცისტურ ნაშრომში. XVIII-XIX საუკუნეებში უამრავი ეკონომიკური თეორია იქმნებოდა. ინგლისში, ადამ სმითის, დევიდ რიკარდოსა და სხვათა თეორიებმა საფუძველი დაუდო ინგლისისა და შემდგომ ევროპის სხვა ქვეყნების ეკონომიკური მეცნიერებების განვითარებას.

ნიკო ნიკოლაძემ ერთ-ერთ პირველ სტატიაში: „პრუდონის გარდაცვალების გამო“, რომელიც 1865 წელს დაიბეჭდა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ფრანგი ეკონომისტის **ჟოზეფ პრუდონის** ნაშრომებზე: „რა არის საკუთრება?“, „ეკონომიურ წინააღმდეგობათა სისტემა“ და სხვ. ნიკო ნიკოლაძე იზიარებდა პრუდონის შეხედულებებს ეკონომიური სისტემის თაობაზე, რადგან „პრუდონის მიზანი იყო სრულ არარაობამდე დაეყვანა ... ფული თუ, იგი საწარმოო იარაღებათ არ იქნებოდა ქცეული“.

ნიკო ნიკოლაძე ჟოზეფ პრუდონის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით მიუთითებს პრობლემაზე, რომელიც XIX საუკუნის კაპიტალისტურ საზოგადოებაში მწვავე საკითხს წარმოადგენდა. ეს იყო ერთი ნაწილის გამდიდრება, ხოლო მეორის გაღარიბება, რადგან „კაპიტალისტთა უმრავლესობა, მაგალითად უმჯობესად სთვლის თავისი კაპიტალი გამოიყენოს საბანკო და საბირჟო ოპერაციებისათვის, აჟიოტაჟისათვის და სხვ., ვინაიდგან ასეთი საქმე თუმცა სახიფათოა, მაგრამ გაცილებით უფრო შემოსავლიანია, ვიდრე სამანუფაქტურო სამიწათმოქმედო წარმოება. ეს საბირჟო ოპერაციები თუ ერთ ნაწილს სწრაფად ამდიდრებს, მეორე ნაწილს ისეთივე სისწრაფით აკოტრებს ხოლმე. ამგვარად ეს კაპიტალი ციყვის ბორბალს წააგავს, - ზრდის ნაცვლად იგი ერთ დონეზეა გაჩერებული და ერთი ჯიბიდან მეორეში გადადის“.



„პროცენტების გასაუქმებლად პრუდონმა მოიგონა სახალხო ბანკი თავისებური ორგანიზაცია. ეს ბანკი მწარმოებლებზე გასცემდა სესხს პროცენტების გადაუხდევნებლად. ასეთი ბანკის არსებობა შესაძლებლობას მისცემდა ყველა მწარმოებელს გამოეტანა სესხი მიწისა ან საწარმოო იარაღის შესაძენად; მოსახლეობის მწარმოებელ ნაწილს უკვე აღარ დასჭირდებოდა კაპიტალისტებისათვის მიემართა სესხის ასაღებად“.

პრუდონის ეკონომიკური სისტემის საბოლოო შედეგი და მიზანი ის იყო, რომ „საფრანგეთში მოგროვილ მთელ კაპიტალს საწარმოო იარაღად გადააქცევდა და იძულებულს გახდიდა თითოეულ მიწათმფლობელს მონაწილეობა მიეღო საკუთარი მიწების დამუშავებაში... საწარმოო იარაღები და თვით მიწა მათ განკარგულებაში იქნებოდა, მწარმოებლებს აღარ დასჭირდებოდათ არავითარი ქირის გადახდა, ვინაიდგან თვით კაპიტალისა და მიწის მეპატრონენი ჩაებმებოდნენ წარმოებაში და ამგვარად წარმოების მთელი შემოსავალი მწარმოებლის განკარგულებაში დარჩებოდა“.



პრუდონის ცხოვრების ლაიტმოტივი პოლიტიკური ცვილება იყო ეკონომიური განვითარების გზით და ეს კარგად ესმოდა ნიკო ნიკოლაძეს „პრუდონის უარყოფას უღრმესი აზრი აქვს: თუ იგი უარყოფს თანამედროვე ეკონომიურ უწესრიგობას იმიტომ, რომ მოსურნეა ეკონომიურ ურთიერთობათა უკეთესი, გონივრული ჩამოყალიბებისა. უკანასკნელს მთელი მისი სიღრმით პრუდონი თუმცა ვერ სწვდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფანატიკოსის რწმენით სწამს მისი გამარჯვება. თვით მას არა ერთხელ უღიარებია, რომ სავსებით ცხადათ არა ჰქონდა წარმოდგენილი საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეორგანიზაციის საშუალებები და თვით ამ ურთიერთობათა მომავალი სახე. მაგრამ ეს რეორგანიზაცია უნდა მოხდეს და რომ მან უნდა გამოიწვიოს უკეთესი საზოგადოებრივი წყობილება - ამაში იგი ვფიქრობ, არასოდეს არ დაეჭვებულა“ (ნიკო ნიკოლაძე 1962: 236-237).

პრუდონის ეკონომიკური თეორია მიზნად პოლიტიკურ ცვლილებებს ისახავდა. მისი თეორია გულისხმობდა კაპიტალისტური საზოგადოების, ორი ნაწილის - მდიდრებისა და ღარიბების ურთიერთკავშირს. „ამის მისაღწევად საჭირო იქნებოდა აღკვეთილიყო კაპიტალზე პროცენტების მიღების შესაძლებლობა; ისე, რომ კაპიტალისტს თავისი კაპიტალი ან შეეჭამა, ანდა პირდაპირ და უშუალოდ

წარმოებისათვის მოეხმარებინა. პროცენტების მოსპობის მიზნით პრუდონმა გამოიგონა სახალხო ბანკის სრულიად განსაკუთრებული ორგანიზაცია, რომელსაც სესხი მხოლოდ მ წ ა რ მ ო ე ბ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს უნდა ეძლია ყოველგვარი პროცენტის დარიცხვის გარეშე. რაკი ასეთი ბანკის არსებობა თითოეულ მწარმოებელს საშუალებას მისცემდა ესარგებლა კრედიტით, მიწის ან შრომის იარაღების შესაძენად, მაშინ მოსახლეობის მწარმოებელი ნაწილი კაპიტალისტებს აღარ მიმართავდა და ამრიგად მოისპობოდა პროცენტიანი შემოსავლის ერთი მნიშვნელოვანი წყარო და, მაშასადამე, პროცენტებს, მნიშვნელოვნად უნდა დაეკლო“ (ნიკო ნიკოლაძე 1962: 238). პრუდონის ამ თეორიის შეფასებისას ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავს: „პრუდონის აზრით მთელი ბოროტება, რომელიც აქვეითებს საფრანგეთს, გამოწვეულია ფულის მიზეზით. პრუდონის მიზანი იყო სრულ არარაობამდე დაეყვანა ეს ფული, თუ იგი საწარმოო იარაღებათ არ იქნებოდა ქცეული; მისი აზრით ფულის ერთად-ერთ დანიშნულებას ამ იარაღების ყიდვა შეადგენს, უკიდურეს შემთხვევაში იგი უნდა წარმოადგენდეს საშუალებას მრეწველობის ნაწარმოებთა გაცვლა გამოცვლისათვის“ (ნიკო ნიკოლაძე 1962: 238)..

ნიკო ნიკოლაძე პრუდონის, როგორც ერთ-ერთი რევოლუციური იდეების მქადაგებლის, თვისებათაგან ყურადღებას ამახვილებს ინფორმაციის გადმოცემისა და ლიტერატურულ ნიჭზე „თქვენ იცით, რომ ორმოციან წლებში ფრანგული ლიტერატურა მდიდარი იყო ურიცხვი ნაირნაირი სახისა და ხასიათის თეორიებითა და პროექტებით. ისინი გაცილებით რადიკალური იყვენ პრუდონის პროექტთან შედარებით. მიუხედავათ ამისა, ამ თეორიებს ბურჟუაზიაში იმ შიშის მეათედიც არ გამოუწვევიათ, პრუდონის სისტემამ რომ გამოიწვია, რადგან ხსენებული თეორიები ან ძალიან სუსტად იყვენ ჩამოყალიბებული, ან კიდევ დიპლომატიურ-ხელოვნური ელფერით ხასიათდებოდენ... პრუდონი კი თავის იდეებს პირდაპირ გამოხატავდა“. როდესაც ნიკო ნიკოლაძე ქართულ საზოგადოებას პრუდონის იდეებს აცნობდა, აქვე მის კრიტიკასაც არ ერიდებოდა „პრუდონის სისტემის შემოღება ვერ აღმოფხვრიდა საფრანგეთის საზოგადოებრივი წყობილების არსებით ბოროტებას - მეტოქეობის სრულსა და განუსაზღვრელ ბატონობას“.

ნიკო ნიკოლაძის სადისერტაციო ნაშრომში „ევროპის ცხოვრება“, რომელიც 1868 წელს გამოქვეყნდა, შედარებულია ფრანგული ეკონომიკის ორი სკოლა. ავტორის სიმპატია აშკარაა: „საფრანგეთის საზოგადოების და სხვათა შორის, მუშათა მოსახლეობის დიდ უმეტესობაში … გავრცელდა ისეთი საზოგადოებრივი თეორია,

რომელიც თავის გამოსავალ წერტილად აცხადებდა ეკონომიკურ საქმეებში სახელმწიფოს ჩაურევლობასა და საზოგადოების ცალკე წევრების უსაზღვრო პირად თავისუფლებას. რათა მკითხველთა ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილოთ, ვუწოდოთ ამ თეორიას მისი გამომგინებლების სახელი: მას სათავეში უდგას, ერთი მხრით სეის სკოლის ეკონომისტთა „პროგრესული ფრაქცია“. (ე.ი. ეკონომისტები, რომელნიც აღიარებენ ასოცოაციის და შეერთებულად მოხმარების სარგებლიანობას, მაგრამ განსაზღვრულ ფარგლებში), ხოლო მეორე მხრით - პ რ უ დ ო ნ ი და მისი მიმდევრები

… რამდენიც უნდა იტრაბახონ თავისი „პროგრსიულობით“, არსებითად ისინი თავის მოძღვარზე შორს როდი წასულან მაშასადამე, ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, თუ რა მისწრაფებანი აქვთ მათ, საით მიმართავენ ისინი ხალხსაცა და სახელმწიფოსაც. პრუდონზე მკითხველებს უფრო ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ და ამიტომ კარგი იქნება მასზე ცოტა უფრო მეტ ხანს შევჩერდეთ. კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ ჩვენ ამ პუბლიცისტის მიმართულებას კი არ ვირჩევთ, არამედ მხოლოდ ვაცნობთ მკითხველს“ (ნიკო ნიკოლაძე 1962: 414-415).

გარდა იმისა, რომ ნიკო ნიკოლაძე ქართველ საზოგადოებას აცნობს ფრანგი ეკონომისტის იდეებს, იქვე აკრიტიკებს კიდეც მას გარკვეულ საკითხებში, კეძოდ როდესაც პრუდონი უგულებელყოფდა საზოგადოების გარკვეულ ნაწილს: „მან (პრუდონმა) ცხოვრების მკაცრი გამოცდილებით შეიგნო და თავის ზურგზე გადაიტანა ის, თუ რაოდენ ძნელია ნიჭიერი პიროვნებისათვის, თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების დროს, გაჭირვების გადალახვა და გაუჭირვებელი ცხოვრებისაკენ გზის გაკვლევა. ყველაფერი, რაც ამნაირი პიროვნების გარშემო იყო, რაც მასზე დაბლა ან მაღლა იდგა, პრუდონისათვის უცხო რამ იყო. ის ადამიანები, რომელთაც დღევანდელი საზოგადოებრივი ურთიერთობები ხელს უწყობს, პრუდონს თავისი საყვარელი პროვნების მტრებად მიაჩნია. ამიტომ იგი სავსებით შემცდარად ფიქრობს, რომ არც ღირს თავის შეწუხება იმისთანა ადამიანებისათვის, რომელთაც უკვე საკმარისად მფარველობს თანამედროვე კანონმდებლობა და წესწყობილება. რაც შეეხებათ მასებს, რომელთათვისაც კანონმდებლობას არც არასოდეს უფიქრია ზრუნვა და რომელნიც ძალიან ცუდ პირობებში იმყოფებიან, პრუდონი მათ უყურებს, როგორც განწირულთ და არაფერი იმედი აქვს მათი ინიციატივისა, არ სწამს მათი მომავალი და ამიტომ იგი მათ ბედის ანაბარა სტოვებს“ (ნიკო ნიკოლაძე 1962: 415-416). იქვე, ნიკო ნიკოლაძე პრუდონის თეორიათგან მეორე პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას და მასაც

კრიტიკული თვალით უყურებს: „პრუდონი მთელ თავის სიყვარულს, მთელ თავის სიმპათიებს უძღვნის თავის საყვარელ და სვებედით თავის თანამოძმეს. იგი ცდილობს არგუნოს ყველაფერი, რაც კი ხელს შეუწყობს მას, რომ მუშის მდგომარეობიდან წვრილ მესაკუთრეთა კლასში გადავიდეს, არგუნებს - მთავრობის გავლენისაგან განუსაზღვრელ თავისუფლებას, კრედიტსა და შრომის ნაყოფის სრულს უზრუნველყოფას. ამ სამმაგი მიზნისათვის იგი მოითხოვდა სრულს „Laisser faire, laisser passe“[5] და ეს პრინციპი მისი განვითარების უკიდურეს საზღვრამდე მიჰყავდა. იგი მოითხოვდა „სახალხო ბანკის“ დაარსებას, ამარადისებდა ოჯახის ისეთ წყობას, რომლის დროსაც ოჯახის მეთაური ისარგებლებს, როგორადაც ინებებს, „თავისი მარჯვენის ნაყოფით“ და თავისი კერის სიმშვიდით, ხანდახან კი ბრძანებს კიდეც: ჩემი სურვილის ურჩობა არავინ გაბედოსო. ოჯახში ეს ბატონობა პრუდონის სისტემაში შედიოდა ისევე, როგორადაც გურიები შედიან მაჰმადის სისტემაში: როგორც პირველს ისე, მეორეს ეს მიაჩნიათ ჯილდოდ, რომელსაც ისინი გასცემენ მოთმინებისა და შრომაში გატარებული ცხოვრებისათვის. როგორც პირველის ისე მეორის სისტემაში იგი მაინც სავსებით თავის ადგილას არის, რამდენიც ნებავთ იყვირონ ჩვენებურმა პუბლიცისტებმა პრუდონის „აღმაშფოთებელ არათანმიმდევრობაზე“, რომლის გამოც იგი ქალთა მონობას აკანონებს.

...მაგრამ როგორც ორჯერ ორი ოთხია, ისეა დამტკიცებული, რომ ამნაირ მისწრაფებათა განხორციელება სრულიადაც ვერ სპობს თანამედროვე დაბრკოლებებს“ (ნიკო ნიკოლაძე 1962: 416-417).

ნიკო ნიკოლაძე ფრანგი ეკონომისტის კრიტიკისას თავის თეორიებსა და შეხედულებებს აყალიბებდა ეკონომიკის საკითხებში, და ეს შეხედულებები დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას: „თანამედროვე კანონმდებლობა საერთოდ და კერძოდ - ძალიან ემორჩილება მქონებელ კლასებს და ძალიან დაუნდობელია უქონელთადმი. ექსპლოატატო-რებისგან ამ უკანასკნელთა განსათავისუფლებლად საჭიროა ძირიან-ფესვიანად, თავით ბოლომდე გარდაქმნა ამ კანონმდებლობის საფუძვლებისა, რათა მუშათა კლასს, როდესაც უკეთესი მდგომარეობისაკენ მიისწრაფვის, მუდმივად არ აბრკოლებდეს ის პრივილეგიები და უპირატესობანი, რომელნიც მქონებელ კლასებს მოუსწრიათ შემოემტკიცებინათ განატაცებ თუ ნაქურდალ სიმდიდრესთან ერთად. საზოგადოების სარგებლობა მოითხოვს, რომ მან იზრუნოს, რათა ყველა მის წევრს

[5] „გვაცადეთ გაკეთება, გვაცადეთ მოხდეს“ (გ.ქ.).

თანაბარი შანსი ჰქონდეს არსებობისათვის ბრძოლაში გასამარჯვებლად. ხოლო ვიდრე საზოგადოება ყრუა ამგვარი მოთხოვნილებისადმი, ცალკე მისი წევრები, რომელნიც დაჯგუფებულნი არიან ასოციაციებსა და მსგავს საზოგადოებებად, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევენ რაიმე წარმატებას, როდესაც ისინი გაერთიანებული შრომით - საერთო ძალების, ხოლო გაერთიანებული მოხმარებით და უშუალო გაცვლა-გამოცვლით - საერთო სიმდიდრის ეკონომიზაციას მოახდენენ“ (ნიკო ნიკოლაძე 1962: 417).

შემდგომ პერიოდში **ნიკო ნიკოლაძის** ინტერესი დასავლური ეკონომიკური ღირებულებებისადმი კიდევ უფრო გაიზარდა და ის შეეცადა უფრო საფუძვლიანად შეესწავლა ის საკითხები, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა საზოგადოებაზე. ამ პერიოდში მისი ყურადღება ინგლისის ეკონომიკური თეორიებისადმი იყო მიმართული, რაც გამოიხატა მის სტატიაში **„ამხანაგობის ძალა“**, რომელიც **1870 წელს** გამოიცა, ქართველ საზოგადოებას აცნობდა ინგლისური ეკონომიკის გამომხატველ სოციალურ-ეკონომიკური გაერთიანების მნიშვნელობას. ამავე სტატიაში ნიკო ნიკოლაძე განმარტავს ვაჭრისა და ვაჭრობის არსს და ასევე პრიმიტიული სახით გადმოგვცემს ეკონომიკის ისტორიას.

ნიკო ნიკოლაძის განმარტებით **ვაჭრობა** არის საქონლის წაღებ-წამოღება სხვადასხვა ხალხებში - „ზოგიერთი გამბედავი კაცები მიდიან ჯერ მეზობელი და მერე შორეულ ხალხების სანახავად, იქ ისინი, რასაკვირველია, იმისთანა რასმე ნახვენ, რაც შინ ჯერ არ ენახათ, და თან წამოიღებენ რამდენსამე ამ გვარ გასაკვირველ საგნებს, შინ ამ საგნების შოვნას ბევრი ისურვებს და ამის გამო ამ საგნებს ფასი ედება. რაკი მგზავრები ამას დაინახავენ, მეორეჯერ წავლენ უცნობ ხალხთან, მიუტანენ იმათ გასაკვირვებელ ან გამოსადეგ თავიანთ საგნებს და მათ მაგიერ წამოიღებენ იმისთანებს, რომ შინ კარგი ფასი დაედოს“ (ნიკო ნიკოლაძე 1962: 87).

ვაჭარი - პირი რომელსაც, „თავის ხალხისთვის სხვა ქვეყნების საქონელი მოაქვს, და თავის ქვეყნიდგან ან სხვა იმავე ფასის საქონელი, ან ფული გააქვს“ (ნიკო ნიკოლაძე 1962: 87).

ნიკო ნიკოლაძე ეკონომიკის შესახებ აღნიშნულ ნარომში წერდა: „სხვა მეცნიერებებს შუა, ერთი მეცნიერებაა, რომელიც იკვლევს თუ რა რიგად გროვდება ხალხის სიმდიდრე და რა მიზეზებზე დამოკიდებულია ხალხის კარგი ან ავი

მდგომარეობა. ამ მეცნიერებას „საზოგადო“ (სოციალური, პოლიტიკური) ეკონომია ჰქვია.

როცა ამ მეცნიერებაში გართული სწავლულები დაუკვირდნენ ეხლანდელი ვაჭრობის საქმეს და მდგომარეობას, იმათ დაინახეს, რომ ეხლანდელ დროში საზოგადოებას და თვითონ ხალხსაც ძალიან ადვილად შეუძლია უვაჭრებოთ გაძლება, და თავიანთვის იმ მოგების შენახვა, რომელიც ეხლა ვაჭრების ჯიბეში რჩება.

აი, რაზეა დამოკიდებული იმ სწავლულების აზრი.

ეხლანდელ მდგომარეობაში საქონლის გამკეთებელი, ფაბრიკანტი, თვითონ კი არ ყიდის წვრილად თავის საქონელს: მისგან ყიდულოებს მდიდარი ვაჭარი, რომელსაც დიდი ქალაქში, ვთქვათ მოსკოვში, მაღაზია აქვს გამართული და შიგ სხვადასხვა ფაბრიკებში გაკეთებული საქონელი უწყვია - ამ ქალაქში მოდის სხვა ქვეყნის ვაჭარი, მაგალითად თბილისელი, და ყიდულობს მისგან საქონელს ნახევარს ნაღდად, ნახევარს ნისიად, ნისიად ყველაფერი ნაღდზე უფრო ძვირად ჯდება, - ერთი ეს, და მეორედ, დიდი ვაჭარს მაღაზიის მოჯამაგირეების ქირა და ხარჯი, თავის რჩენა, მოგება უნდა. მაშასადამე ის თავის საქონელს ბევრად უფრო ძვირად უნდა ყიდდეს, მანამ თვითონ ნაყიდი აქვს ფაბრიკანტიდან.

თბილისელ ვაჭარს ნაყიდი საქონელი თბილისს მოაქვს, ის ზოგს თვითონ თავის მაღაზიაში წვრილმანად ყიდის, ზოგს კი წვრილ-წვრილ მედუქნეებს „მეწვრილმანეებს“ აძლევს, ნახევარს ნისიად, როგორც თვითონ აქვს აღებული და ნახევარს ნაღდად. აქაც სწორედ ის ანგარიშია, როგორც მოსკოვსი იყო; თბილისელი ვაჭარი ბევრად უფრო ძვირად ყიდის მეწვრილმანეებზე თავის საქონელს, ვიდრე თვითონ უყიდია.

მეწვრილმანეს დუქანი ან პატარა ქალაქებში აქვს გამართული, მაგალითად დუშეთში, ან ონში, ან სოფლებში, ან და თვითონ თბილისის ქალაქის ნაპირის ქუჩებში. დუქნის ქირად, ხარჯად, და თვის დასარჩენად ის რამე მოგებას უნდა იღებდეს გაყიდულ საქონელზე, მით უფრო, რომ ისიც მყიდველებს ხშირად ნისიად აძლევს საქონელს.

ამნაირად, მოსკოვის და თბილისის ვაჭრების და მეწვრილმანის ხარჯი, მოგება და სარგებელი, რომ ვიანგარიშოთ, დავინახავთ, რომ ის საქონელი, რომელიც გამკეტებელს პირველად მანეთად გაუყიდია, ჩვენ მყიდველებს მომხმარებლებს, სამ მანეთად გვიჯდება.

რათ გადის ჩვენი ჯიბიდან ეს ნამეტანი ფული? განა არ შეიძლება ისე გაიწყოს საქმე, რომ პირდაპირ იმართებოდეს აღებ-მიცემობა გამკეთებელსა და მომხმარებელს შუა, და რაც ვაჭრებს მოგება ან სარგებლობა რჩებათ, ის თვითონ მყიდველის მომხმარებლის ხელში დარჩეს?

სწავლულებმა თქვეს, ეს დიახ შესაძლებელიაო.

ავიღოთ, სამაგალითოდ, ერთი შუათანა სოფელი, ან ორასიოდე კაცი, ერთ ალაგას მცხოვრები, დღეს ისინი ცალ-ცალკე ყიდულობენ თავიანთ საზრდოს და საქონელს მეწვრილმანეებთაგან. საქონელი არც ნამეტანი კარგია, არც იაფია. ეხლა ვთქვათ, რომ ას კაცს იმ სოფელში სჭირია ვთქვათ თითო ღერი სანთლის ყიდვა, თითოეულად, რომ მივლენ ისინი მეწვრილმანესთან, თითო შაური უნდა გადაიხადონ ვაი-ვაგლახიანი სანთლის ღერში, მაგრამ თითო შაური, რომ გამოეღოთ, კაცი გაეგზავნათ და გირვანქობით ან ოყობით ეყიდათ სანთელი იმავე ალაგს, სადაც თვითონ მეწვრილმანე ყიდულობს, მაშინ სანთელიც უკეთესი ღირსების ექნებოდათ, და იაფადაც დაუჯდებოდათ, - ასე რომ თვითონ მედუქნეზედ უფრო იაფად ექნებოდათ ნაყიდი, რადგანაც ნაღდი ფული ხელში ეჭირებოდათ.





ეს მარტო სანთელზე ვთქვით. მართალია, მარტო სანთელზე სოფლიდან ქალაქში კაცის გაგზავნა უანგარიშობაა, მაგრამ მარტო სანთელი, ხომ არ სჭირდება კაცს. სანთლის გარდა საპონია, შაქარი, ან ხანდისხან ხმელი თევზი, არაყი, და სხვა სოფელში გამოსადეგი საგნები. - ორს ან სამს თვეში, რომ ერთხელ სოფლელები ფულს გამოიღებდნენ და სანდო პატიოსან კაცს გაგზავნიდნენ ქალაქში ხორაგეულობის საყიდლად და მერმე ერთმანეთში გაიყოფდნენ ნაყიდ ფასად, მაშინ იმათ იმდენი სარგებლობა დარჩებოდათ, რომ ქალაქში კაცის გაგზავნას კი არა სახლიც, რომ ექირავათ

ხორაგეულობის დასაწყობად, იმის ხარჯსაც აუვიდოდნენ. და თუ კი ეს გაგზავნა ერთ-ჯერ, ორ-ჯერ სახეიროდ დარჩა რაღა დაუშლის მაშინ სოფლელებს სამუდამო დუქნის ან მაღაზიის გამართვას და ამორჩეული კაცისათვის ჩაბარებას? რა ძნელი იქნება მაშინ, რომ ის ამორჩეული კაცი, წელიწადში ოთხჯერ, ხუთჯერ წავიდოდეს მახლობელ ქალაქში და იქ თავისი სოფლელების ფულით ხორაგეულობას ყიდულობდეს?“ (ნ. ნიკოლაძე 1962: 89-90).

„ინგლისის ქვეყანაში ერთი პატარა ქალაქია, რომელსაც სახელათ რ ო ჩ დ ე ლ ი ჰქვია; ამ ქალაქში განსაკუთრებით ფაბრიკებია გამართული, და მუშები სცხოვრობენ. ოცდაათი წელიწადია მას აქეთ, ეს ქალაქი სხვა ქალაქებივით უშნო და ღარიბი იყო: კომლით გაშავებული ფაბრიკები თითქო სასაფლაოს ძეგლებივით დასცქეროდნენ შავ და დანგრეულ მუშების ქოხებს, რომელშიაც დღისით ადამიანის ლანდიც არა სჩანდა, იმიტომ, რომ დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ფაბრიკებში მუშაობდნენ, მწარე სიღარიბის გამო და მაინც სიღარიბეს თავიდან ვერ იშორებდნენ. მუშა ხალხი უგუნური, ბინძური, ლოთი და ავაზაკი იყო და პატრონებს იმათზე ცემა-ტყეპის მეტი არა გაუდიოდათ რა.

ათას რვაას ორმოცდა ოთხში, ესე იგი, ოცდა ექვსი წელიწადია მას აქეთ, ოთხი როჩდელელ მუშას გაეგონათ სადღაც, რომ კარგი იქნება ერთად ვყიდულობდეთ ჩვენ ხორაგეულობასო და ჩვენთვის საკუთარ პაწაწინა დუქანს გავმართავდეთო. მაგრამ, დუქანის გამართვას ფული უნდოდა. ამის გამო იმ ოთხმა მუშამ ერთმანეთს პირობა მისცეს, ყოველ კვირაში ჩვენი ჯამაგირიდან რამდენიმე გროში გადავდვათო და რაც შეიძლება მეტს ამხანაგებს გამოვაღებინოთ აგრეთვეო, ეს პირობა იმათ ძალიან მტკიცეთ შეასრულეს, და ორი წლის შემდგომ ერთ მოშორებულ ქუჩაში, ბნელ სარდაფში, გაიმართა „ამხანაგური მაღაზია“.

პირველათ, ამ მაღაზიას, ვინც გამართა, იმათ მეტი მყიდველი არავინ ყავდა. მაგრამ რაკი ხალხმა დაინახა, რომ შიგ სხვა ადგილებზე უფრო იაფად იყიდებოდა უკეთესი საქონელი, მალე მიატოვა სხვა დუქნები და საამხანაგო მაღაზიისკენ მიმართა. დიდი დაბრკოლება ამ შემთხვევაში ის იყო, რომ ეს მაღაზია ნისიათ არვის არ აძლევდა, სხვა დუქნებში კი მუშები ნისიათ დავალებული იყვნენ, და მათი ჯამაგირი პირდაპირ მედუქნეებს მიჰქონდათ. როგორც იყო, მუშებმა გაიჭირვეს საქმე, ნისიის ვალი გადაიხადეს, და საამხანაგო მაღაზიაში დაიწყეს ხორაგის ყიდვა. რამდენადაც მყიდველები მატულობდნენ, იმდენადაც მატულობდნენ ამხანაგები, და რადგანაც, მათი

პირობებისამებრ, მაღაზიას რაც სარგებლობა დარჩებოდა, თანხის გასადიდებლათ და ამხანაგობის სასარგებლოთ უნდა მოხმარებულიყო, ამხანაგებმა იმ სარგებლით გამართეს ფურნე, საცა იაფათ კარგს პურს აცხობდნენ, და ამნაირათ ცოტა-ცოტათ აუმჯობესებდნენ თავისი გამხანაგობის მდგომარეობას.

იმათი საქმე თანდათან უკეთ და უკეთ მიდოდა, რადგან ამორჩეული გამგებლები ერთიმეორის წინ ცდილობდა საზოგადო საქმის წარმატებას, და თვითონ ამხანაგები თავიანთი მხრით, დღე-და-ღამ თვალ-გამოხელილი იყვენენ იმაზე, თუ როგორ უფრო გავაუმჯობესოთ ჩვენი ამხანაგობის მდგომარეობაო. ამოდენა ცდას, მუყაითს და გულისყურის დადებას ცუდად არ ჩაუვლია. ეხლა ამხანაგობას აქვს როჩდელში მშვენიერი და უზარმაზარი სამეტაჟიანი ქვითკირის სახლი, რომელიც ამხანაგობის მაღაზიებისთვის არის გაშენებული. მშვენიერად გაწყობილ მაღაზიებში იყიდება ყველაფერი, რაც კი საჭიროა საზოგადოდ მუშას, ხორაგეული ვარ, თუ ტანსაცმელი, თუ სამუშაო იარაღი და სხვ. ზეითური ეტაჟები უკავია დიდ უშველებელ ზალას, საცა ათი ათასზე მეტი ამხანაგების კრება ეტევა ერთათ, - საამხანაგო ბიბლიოთეკას, რომელშიაც რამდენიმე ათასი უმჯობესი წიგნებია შეკრებლი, და საკითხავ ოთახს, საცა თითქმის ყველა ინგლისის და უმჯობესი საზღვარგარეთელი გაზეთებია შეკრებილი. გაზეთებს ამხანაგები იქვე კითხულობენ, წიგნები კი შინ მიაქვთ საკითხავათ, თითო-ორ-ორი კვირის ვადით.

რა-და-რა მშვენიერი და ხალხის სასარგებლო გაწყობილებაა ამ - „მუშების სასახლეში“, რომელიც ზოგიერთ სასახლეს უკან არ ჩამოუდგება, ამისი აღწერა ძალიან ბევრს დროს და ადგილს მოითხოვს. საკმაო იქნება ვთქვათ, რომ თვითონ მუშების მტრებიც კი ამბობენ, ჩვენ დღეში ვერ მოვიფიქრებდით, თუ მუშა კაცი ასე მშვენიერათ და თავის სხეულის და გონების სასარგებლოთ გაიწყობდა სახლს და საქეებსო.

სასახლის გაშენების შემდგომ, ამხანაგობამ მოინდომა საზოგადო აბანოების გაწყობა მუშებისთვის, და ეხლა ეს აბანოები კიდევაც მზათ უნდა იყვნენ; აბანოების გარდა ამხანაგობამ როჩდელის სიახლოვეს დიდი ადგილები იყიდა, ნაწილებათ გაჰყო, ზედ თითო ოჯახისთვის საკმაო სახლები გააშენა, თითო ეტაჟიანი, და ყველას წინ ბოსტანი დაატანა, უკან ბაღი. ეს სახლები იმ პირობებით მისცა თავის წევრებს, რომ იმათ თუთხმეტი - ოცი წლის განმავლობაში გადაეხადათ ამხანაგობისთვის სახლის ფასი, მისი სარგებლით. ყველას ძალიან გაუკვირდა, როცა დაინახეს, რომ თვითეულ მყიდველს წელიწადში იმაზედაც ნაკლები უნდა შეეტანა, სახლის ფასად, რაც უწინ

მარტო ქირაში აძლევდა სახლის პატრონებს. ამნაირათ ამხანაგობამაც ასარგებლა ფული, და მის წევრებსაც და მუშებს საკუთარი სახლები შეეძინათ, თითქმის ფულის დაუხარჯველათ, იმიტომ რომ ის ფული, რომელიც იმათ სახლის დაუხარჯველათ, ამიტომ რომ ის ფული, რომელიც იმათ სახლის ფასათ გაუვიდათ, სახლები რომ არ გაეშენებია ამხანაგობას, სახლის ქირად დაეხარჯებოდად.

ბევრი სხვა კარგი სამქე ქნა ამ ამხანაგობამ, მაგრამ ყველას ვინ მოსთვლის. დღეს, უწინდელი ოთხი წევრის მაგიერათ, რამდენიმე ათასი წევრია ამხანაგობაში და მისი სიმდიდრე მთელ ინგლისში განთქმულია. როჩდელი ეხლა მშვენიერი, განათლებული და მშვიდობიანი ქალაქია, შიგ განათლებული, ზრდილობიანი და პატიოსანი ხალხი სცხოვრობს, რომლის სარგებლობისთვის მთელ ინგლისში დაიარებიან მისი გამგებლები, უმჯობესი ხორაგეულის და მასალების საყიდელად.

ამასთან საქმე მოახდინა ოთხმა გაუნათლებელმა, ბნელმა მუშამ, და მათმა დაწყებულმა საქმემ ასე გაამშვენიერა და გააუმჯობესა მთელი ქალაქი და მისი მცხოვრებლების მდგომარეობა“ (ნიკო ნიკოლაძე 1962: 91-94).

ქართულ ისტორიოგრაფიაში ნიკო ნიკოლაძე ერთ-ერთ პირველ ისტორიკოსად გვევლინება, რომელმაც ეკონომიკის ისტორია გაიაზრა და პრიმიტიული ფორმით წარმოგვიჩინა, ის უძველესი დროიდან - XIX საუკუნემდე განიხილავს პროდუქციის მოთხოვნისა და ადამიანის მოთხოვნილების ფაქტორებს. ნიკო ნიკოლაძე წერდა, რომ მაშინ, როცა ადამიანი და „უწინ, როცა კაცი სიღარიბისა და უმეცრების მიზეზით, იმისთანა ცუდ მდგომარეობაში იყო, რომ თითქმის მხეცივით ცხოვრობდა, იმას, რასაკვირველია, ბევრი რამ არ სჭიროდა: ერთი ხამის პერანგი, ერთი ქალაბანი სადღესასწაულოთ, თხის ტყავის ხალთა ტანის დასაფარავი, - ამის მეტი იმას არა ჰქონდა რა, და არც სხვა საშვალება ჰქონდა, რომ უკეთესი რამ შეეძინა. მაშინ ბევრი ცოდნა და ჯაფა არ უნდოდა იმის საჭიროების დაკმაყოფილებას. შინ გაზრდილ ძროხას ის თვითონ დაკლავდა, ტყავს ნაცარს წააყრიდა, ბალანს ნაჯახის ტარით გააცლიდა და ორი სადგისის გაყრით ქალაბანი მზათ ჰქონდა. მისი ცოლი შიანურულად ხამს დაამზადებდა, ქმრის საპერანგოთ და თავის საკაბეთ, - ხალთაც ამ ნაირათვე ადვილი დასამზადებელი იყო.

მაგრამ როცა კაცი თან და თან უკეთეს მდგომარეობაში ჩავარდა, იმას ჩექმებიც დასჭირდა, ჩოხაც და ხეირიანი პერანგი; მისი ცოლი ლაინის კაბას და ხამის პერანგს აღარ დასჯერდა. სუფრაზე მარტო ლობიოსა და მჭადს გარდა, კვირაობით და უქმე

დღეობით დოში და ხორციც მოინდომეს, მათი საკმაზით. ყველა ამ საგნებს ერთი კაცი და ერთი ოჯახი ვერ დაამზადებდა.

მაშინ მუშაობა ისე გაიმართა, რომ რაც უფრო ეადვილება კაცს, და რაც მის გარემოებას უფრო მოუხდა, იმას მოკიდა ხელი. საცა, ვთქვათ, კარგი სახნავ-სათესი მიწა იყო, იქ კაცი მამულის მუშაობას მისდგა, სადაც ნამეტნათ ცოტა ადგილი იყო და უფრო მეტი წყალი, მდინარე ვარო, თუ ზღვა, - იქ კაცი თევზაობას, მენავეობას მიაწვა; სადაც ბევრი ნადირიანი ტყე იყო, იქ უფრო ნადირობა გახშირდა და სხვა.

...გადის დრო, და ზოგიერთი გამბედავი კაცები მიდიან ჯერ მეზობელი და მერე შორეულ ხალხების სანახავად, იქ ისინი, რასაკვირველია, იმისთანა რასმე ნახვენ, რაც შინ ჯერ არ ენახათ, და თან წამოიღებენ რამდენსამე ამ გვარ გასაკვირველ საგნებს, შინ ამ საგნების შოვნას ბევრი ისურვებს და ამის გამო ამ საგნებს ფასი ედება. რაკი მგზავრები ამას დაინახავენ, მეორეჯერ წავლენ უცნობ ხალხთან, მიუტანენ იმათ გასაკვირვებელ ან გამოსადეგ თავიანთ საგნებს და მათ მაგიერ წამოიღებენ იმისთანებს, რომ შინ კარგი ფასი დაედოს - ამნაირად იწყება ხალხში ერთი მხრითგან მეორეში საქონლის წაღებ-წამოღება, რომელსაც ჩვენ „ვ ა ჭ რ ო ბ ა ს“ ვეძახით.

ვაჭარს თავის ხალხისთვის სხვა ქვეყნების საქონელი მოაქვს, და თავის ქვეყნიდგან ან სხვა იმავე ფასის საქონელი, ან ფული გააქვს. ეს საქმე ადვილი საქმე არც ახლა არის, უწინ კი სწორედ გაჭირვება იყო, ასე რომ ბევრი ვაჭარი ჩამკვდარა გზაში, ბევრი დაღუპულა საქონლის წახდენით, დაწვით ან დაკარგვით, - ამას გარდა, ვაჭარი დროს ჰკარგავს ვაჭრობაზე, შრომობს, სცდილობს, უეჭველია, რომ ის ამას ამიტომ შვრება, რომ გამორჩენას მოელის. მანეთად ნაყიდ საქონელს, რომელიც ქირა-ხარჯით იმას, ვთქვათ, ექვს აბაზათ დასჯდომია, ის შვიდ, ან რვა აბაზათ ხან ორ მანეთად და მეტათაც ჰყიდის, და ამ მოგებით ის თავსაც ირჩენს, ოჯახსაც, და თან შავდღისთვისაც იმზადებს სარჩენს. სანამ ერთი ქვეყანა მეორედგან დაშორებული და გაყოფილი იყო ცუდი გზებით, ავაზაკობით და ხალხების ერთმანერთ-შუა მტრობით, მანამდის სწორეთ დიდი გაბედვა უნდოდა სავაჭროთ წასვლას, - მაშინ ვაჭარს დიდი გამჭრიახობა უნდა ეხმარა მოკლე, სანდო და სახეირო გზის გამოსაძებნათ, რომ საქონელი შინ საღათ და იაფად მოეტანა, ადგილებიც უნდა გამოეძებნა, საცა უფრო იაფად იყიდებოდა თვითონ საქონელი და სხვ. და სხვ. მაშინ ვაჭარი ხალხი სწორეთ ისევე საჭირო და სასარგებლო იყო ხალხისთვის, როგორც პურის მომყვანი და მხედარი, იმიტომ რომ ვაჭარი ეძებდა,

ჰპოულობდა და ყიდდა იმისთანა საქონელს, რომლის შოვნა ძნელი და შეუძლებელიც იყო კერძო პირებისთვის.

მაგრამ აქ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვაჭრებსაც კარგად ესმოდათ თავიანთი საჭიროება და სარგებლობა, და თავიანთი შრომით და მოხერხებით, კარგა ძალ სიმდიდრეს აგროვებდნენ.

შემდგომში გარემოება გამოიცვალა. გაიმართა კარგი გზები, ავაზაკობა შემცირდა, წასვლა-წამოსვლა ერთ ქვეყნიდან მეორეში ისე გაიაფდა და გაადვილდა, რომ უწინ თბილისიდან ქუთაისს ვერ ჩავიდოდა კაცი იმ ფულით, რომლითაც ეხლა ერთი თავიდან მეორემდე შეიძლება მთელი ევროპის გავლა, ამას მოჰყვა ვაჭრების რიცხვის გამრავლება, აღებ-მიცემობის მომატება და საზოგადოდ კაცის ცხოვრების გაუმჯობესება.

მაგრამ, ვაჭრების გამრავლებას ცუდი გავლენა ჰქონდა ხალხის მდგომარეობაზე. რაც უფრო მატულობდა ვაჭრების რიცხვი, მით უფრო მეტ რიცხვს მიჰქონდა მოგება და სარგებლობა, ან, როგორც სწავლულები ამბობენ, მით უფრო მეტი რიცხვი უმაქნისოდ სჭამდა პურსა. ამას გარდა ვაჭრები, და განსაკუთრებით ისინი, რომელნიც სხვებზე უფრო მდიდრები იყვნენ, აგროვებდნენ რაიმე საგანს, ან საქონელს, და ინახავდნენ სანამ სხვებს გამოელეოდათ; მაშინ გასაყიდათ გამოიტანდნენ და ისეთ ფასს ადებდნენ, როგორიც მათ გულს სურდა. ამ მიზეზებით, ვაჭრობა ხშირად ერთი-ორად ან სამად ხდის საქონელს, მაშასადამე ხალხი ტყუილა-უბრალოდ იხდის ფულს და ღარიბდება ვაჭრების გასამდიდრებლად“ (ნიკო ნიკოლაძე 1962: 86-88).

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ XIX-XX საუკუნეების ქართველი მოაზროვნის, ნიკო ნიკოლაძის მეცნიერული და ფილოსოფიური ნააზრევი გლობალური ისტორიოგრაფიის ნაწილია. მისი ეკონომიკის ფილოსოფიის არსი, მას მოკლედ და ლაკონურად აქვს გამოხატული: „რაც ზემოთ ვთქვით ისევე უეჭველია, როგორ აქსიომა: ორჯერ ორი ოთხია, მაგრამ ჩემი აზრი უფრო რელიეფურად გამოითქმის მეტაფორის ფორმაში. ელაპარაკეთ რომელიც გნებავთ ღარიბს და უმტკიცეთ მას, თუნდაც მთელი წელიწადი, რომ მისი ფარღალალა ქოხი ოდნავადაც ვერ გაუძლებს ვერც არქიტექტურულ და ვერც ჰიგიენურ კრიტიკას. ვერავითარი არგუმენტით ვერ დაუმტკიცებთ მას, რომ უმჯობესია მიატოვოს ქოხი და იცხოვროს ღია ცის ქვეშ. მაგრამ აუხსენით ამ ღატაკს, რომ იმ მასალებიდან, რომლებიც მას გააჩნია, შესაძლებელია ახალი ქოხის აგება, დაუმტკიცეთ მას, რომ ეს შესაძლებელია და

სასარგებლოა, ასწავლეთ მას როგორ ააგოს და რა აკეთოს, და იმწუთშივე გაგიგებთ. მაგრამ ის მაშინაც არ დაანგრევს თავის ქოხს, თუ სულელი არაა ხოლო სულელები ისევე ცოტაა ქვეყანაზე, როგორც გენიოსები. ის ჯერ ააგებს ახალ სახლს, ხოლო შემდეგ კი, თუ მისი ქოხი არ გამოადგა ბოსლად ანდა ძველმანთა შესანახ საკუჭნაოდ, დაანგრევს მას და მთელი თვის განმავლობაში გამოიყენებს ახალი სახლის გასათბობ შეშად. ეს ტრივიალური მაგალითი შეადგენს გამოუკლებლივ ყველა საზოგადოებრივ გარდაქმნათა ფილოსოფიას“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 259).

ამრიგად, უკვე XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ნიკო ნიკოლაძემ განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება დასავლური ეკონომიკური სისტემებისადმი და გააკეთა თავისი არჩევანი. ლეგალურ პრესაში ასეთი არჩევანის გაკეთება მხოლოდ დიდ ერუდიციასა და ცოდნას არ მოითხოვდა, ყოველივე ეს დიდ მოქალაქეობრივ გამბედაობასაც საჭიროებდა, ნიკო ნიკოლაძის ნააზრევმა დიდად შეუწყო ხელი ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარებას. დასავლური ეკონომიკური ღირებულებების გააზრებამ ხელი შეუწყო ქართულ საზოგადოებაში საბაზრო ეკონომიკისა და კაპიტალიზმის განვითარებას. რაც ნიკო ნიკოლაძისა და ილია ჭავჭავაძის თაოსნობით თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დაარსებაში გამოიხატა, ასევე მოგვიანებით ევროპული დონის ფაბრიკა-ქარხნებისა და საწარმოების ამუშავებაში.

§ 3. გიორგი წერეთელი დასავლური ეკონომიკური ღირებულებების თაობაზე

გიორგი წერეთლის მოსაზრებები ეკონომიკის შესახებ წარმოდგენილია ნაშრომებში: „ბანკის დაარსების გამო ქუთაისში“, „მლეთის სოფლის საზოგადოების სათემო განჩინების გამო“, „სიძვირე და მოქმედება მის კარგად მყოფობაზედ“, „ორიოდე სიტყვა ჩვენს უმთავრეს სარჩოზე“, „ორიოდე სიტყვა სოფლის ახალ მოხელეების ამორჩევაზედ“, „აბრეშუმის მოყვანა“ და სხვ.

რატომ ამახვილებდა ყურადღებას გიორგი წერეთელი დასავლური ეკონომიკური ღირებულებებისადმი? და რა მნიშვნელობა ჰქონდა მას ქართული საზოგადოებისათვის? ჩვენ შევეცდებით პასუხი გავცეთ დასმულ შეკითხვას. ამ საკითხის

ისტორიოგრაფიასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში შეუსწავლელია, თუმცა გიორგი წერეთლის ეკონომიკური შეხედულებების კუთხით მას სპორადულად შეეხო **სიმონ ხუნდაძე, ლეონიდე გორგილაძე, ვარლამ დონაძე** და სხვები.

დასავლური ეკონომიკური სისტემების შესახებ **გიორგი წერეთლის** ნააზრევზე **ლეონიდე გორგილაძე** მარქსისტული მსოფლმხედველობის ჩარჩოში განიხილავდა და მის ნააზრევს უტოპიურ-სოციალისტურ შეფასებას აძლევდა: „გ. წერეთლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შეხედულებებიც უტოპიური სოცალიზმის სამოსს ატარებენ. მას კარგად ესმის კაპიტალიზმის პროგრესულობა და ჩვენში მისი განვითარების აუცილებლობა, მაგრამ აშინებს მასების გაპროლეტარება და მოითხოვს ასოციაციებისა და ამხანაგობების დაარსებას და მათი შემწეობით ვაჭრობა-მრეწველობის სასურველი მიმართულებით განვითარებას. გ. წერეთელი ოუენს იმოწმებს და იმედოვნებს, როცა ღარიბის შრომით მდიდარი არ ისარგებლებს და დაკმაყოფილებული იქნება ყველა მისი ადამიანური მოთხოვნილება, მაშინ ქვეყანაზე ცუდკაცობა აღარ იქნება და სამართლიანი ცხოვრება დამყარდება.

გ. წერეთლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შეხედულებები ჯერ უტოპიური სოციალიზმის, ხოლო შემდეგ, 90-იანი წლებიდან მარქსიზმის სამოსს ატარებენ“ (გორგილაძე 1967: 324).

გიორგი ჯიბლაძე გიორგი წერეთლის შესახებ აღნიშნავდა: „გიორგი წერეთელი იყო იდეური ბელადი იმ ახალი, ეგრეთ წოდებული „მეორე დასისა“, რომელიც 70-იან, 90-იან წლებში მოღვაწეობდა და რომლის მიზანიც იყო - ხელოვნებასა და ლიტერატურაში განემტკიცებინა „შეუფერავი“ რეალიზმი, პოლიტიკურ ეკონომიაში გაეტარებინა ჯონ სტიუარტ მილის თეორია, რომელიც უარყოფდა ერის დაყოფას წოდებებად და აყენებდა მთლიანი, „ნამდვილი ერის“ იდეალს. დემოკრატიული წესწყობილება მიაჩნდა მას ასეთი ერის სახელმწიფოებრივ სისტემად, უარყოფდა თავადაზნაურობის საადგილმამულო ბანკს და მის ნაცვლად აყენებდა მოკლევადიანი სამრეწველო ბანკების იდეას. ეს უკანასკნელი მან მართლაც განახორციელა. ეს ბანკი ნამდვილად იყო კაპიტალიზმის ინტერესების დამცველი. არ შევეხებით ამ დასში წარმოშობილ ორ მიმდინარეობას, მაგრამ ვიტყვით, რომ ეს დასი არსებითად დარჩა საქართველოს ბურჟუაზიის იდეოლოგიად პოლიტიკაში, სოციოლოგიასა და

ხელოვნებაში. თავის დროზე ამ დასის თვალსაჩინო იდეური ბელადი იყო გიორგი წერეთელი“ (ჯიბლაძე 1958: 233).

1. გიორგი წერეთელი საბაზრო ეკონომიკის შესახებ. გიორგი წერეთელი საზოგადოების განვითარებისთვის საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელობას ყოველდღიურ ცხოვრებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა: „ანგლიელების უკეთესი პრაქტიკული აღზრდა მდგომარეობს კერძო პირების მხნეობაში, რომელიც არა თუ ერთგან ან ორგან მოქმედებს, არამედ მთელს საზოგადოებაში. შკოლები, აკადემიები და გიმნაზიები აძლევენ კაცს მარტო პირველს გახსნის თესლს. უფრო შესანიშნავია ის აღზრდა, რომელიც ჩვენ ყოველდღე გვეძლევა სახლში, ქუჩაში, სამუშავოებში, საფეიქროში და გუთანზედ, კანტორებში და ფაბრიკებში და ყოველს საზოგადო მოქმედების ცენტრში. ამ გვარი აღზრდა ანგლიელს მუშაობას ასწავლის და ამასთან აძლევს ღონისძიებას, რომ თავისუფალი კაცი გახდეს. დაბოლოვებითს აღზრდას, რომელიც საზოგადოების წევრების ხასიათის გაუმჯობესობაში მდგომარეობს, შილლერი უწოდებს „კაცობრიობის აღზრდას“. ამ აღზრდას კაცი ვერ შეიძინებს წიგნების კითხვით, ეს მდგომარეობს მოქმედებაში და თავის ყოფა-ქცევის თვალ-ყურის დევნებაში. ბეკონი ამბობს, რომ „მეცნიერება კაცს არ ასწავლის, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ის კაცმა ცხოვრებაში. ეს შეადგენს განსაკუთრებითს ცოდნას, რომელიც ამაზედ მაღლა სდგას და სადაც მეცნიერებას არ მიუწვდება თავისი გავლენა: ეს მოიპოვება გამოცდილებით“. – ეს აზრი მართალია. გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ კაცს უფრო მუშაობით შეუძლიან თავისი თავის გაუმჯობესება, მინამ კითხვით, რომ კაცობრიობას განაახლებს უფრო ცხოვრება, მოქმედება და პირადი თვისება კერზო კაცებისა, მინამ ლიტერატურა, სწავლა და სხვა“ (გიორგი წერეთელი 1931დ: 143-144).

XIX საუკუნეში ქართულ საზოგადოებაში საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა საბანკო სისტემის დაარსება იყო, რის შესახებაც **გიორგი წერეთელი** წერდა: „იმერეთი რომ ბუნებით მდიდარია და ამასთანავე სასარგებლო მდგომარეობა აქვს ევროპასთან სავაჭროდ, ეს ყველამ იცის; მაგრამ ამასთანავე ესეც ჭეშმარიტია, რომ ის ღარიბი ქვეყანაა, რომ იქ არც ვაჭრობა არის გავრცელებული და არც ხელოსნობა... ამ გვარს უფულო ქვეყანაში რა რიგი ვაჭრობა შეიძლება ან რანაირათ უნდა შეამუშაოს კაცმა დიდი-ძალი მიწა, თუნდა კიდეც დიდის მამულის პატრონი იყოს? ამისათვის ბანკის დაფუძნება იმერეთისათვის დიდი ბედნიერებაა, იმას დიდის სარგებლობის მოტანა შეუძლიან ფულის სესხებით,

მეორეს მხრით ბანკი ქვეყანას სარგებლობას მოუტანს ფულიდამ შემოსულის პროცენტით. ჩვენ ჯერ სწორეთ არ ვიცით, თუ როგორ უნდა იმერეთის თავად-აზნაურობას ბანკიდამ შემოსულის სარგებლის მოხმარება. მაგრამ სრული იმედი გვაქვს, რომ ამ სარგებელის მეტს ნაწილს ის მოახმარს იმ საქმეს, რომელიც აღრესია ნივთიერებითის სიმდიდრეზე და რომელზედაც არის დამოკიდებული ჩვენის ქვეყნის მომავალი სვე. ჩვენ ვამბობთ ახალის თავობის განათლებაზედ. ჩვენ ამაში მით უფრო დარწმუნებული ვართ, რომ წინათ ბევრი იმერეთის მებატონეებისაგან გაგვიგონია: თუ ბანკი დაარსდაო, იმის სარგებლით ყმაწვილები უნდა გამოიზარდონო“ (გიორგი წერეთელი 1931ა: 41-42).

ქართული საზოგადოების განვითარებისათვის საბანკო სისტემის მნიშვნელობაზე **გიორგი წერეთელი** წერდა: „შესაძლებელია ბევრნი ეჭვში შევიდნენ, რომ იმ ბანკმა, რომელსაც თავდაპირველად მხოლოდ რამდენიმე ათი ათასი თუმანი ექმნება, ქვეყანას იმდენი სარგებლობა შესძინოს. არც ჩვენ ვიტყვით, რომ იმას ახლავე შეეძლოს ქვეყნის გამდიდრება და განათლება; ჩვენ უფრო მომავალის დროისთვის ვამბობთ. ამგვარი საქმე თითქმის ყოველთვის მცირე კაპიტალით იწყება, რომელიც შემდეგ თან-და-თან იზრდება ამ შემთხვევაში ცხადს მაგალითს გვიჩვენებენ ევროპის ბანკები, რომელნიც ახლა აუარებელს ფულს აბრუნებენ, პირველად კი ბევრი იმათგანი მცირე კაპიტალით ყოფილან დაფუძნებულნი. ჩვენ მხოლოდ ამას ვამბობთ, რომ ბანკი ახლაც სასარგებლოა და მომავალში კიდევ უფრო მეტს სარგებლობას მოიტანს, თუ რიგიანად დააწესეს და კარგად წაიყვანეს იმისი საქმე. უეჭველია ყოვლის საქმის წარმატება იმაზედ არის დამოკიდებული, თუ როგორ გაუძღვებიან და წაიყვანენ. ეს ჭეშმარიტება ყველაზედ უფრო საგრძნობელია ბანკის და სხვა იმ გვარს საქმეებში, სადაც ნაღდი ფული მუშაობს. ბანკის საქმე დამოკიდებულია კრედიტზედ ე.ი. რწმუნებაზედ და ნდობაზედ. რწმუნება და ნდობა მაშინ ექნება ბანკს, როდესაც იმისი საქმე კარგად წავა, როცა ყველა დარწმუნებული იქნება, რომ იმაში შეტანილი ფული არ დაეკარგება და თავის დროს სარგებელით დაუბრუნდება. როდესაც საქმის კარგად წაყვანით ბანკი კრედიტს შეიძენს, მაშინ იმისი საქმე გაკეთდება. ყველა იმაში შეიტანს ფულს და რაც მეტს ფულს შემოიტანებენ ბანკში შესანახავად, იმის და გვარად იმას სარგებლის შემოსავალი მოემატება, რადგანაც ყოველი ბანკი შემოტანილს ფულში ნაკლებს სარგებელს აძლევს, გასესხებულში კი მეტს იღებს“(გიორგი წერეთელი 1931ა: 42).

ქართულ რეალობაში საბანკო სისტემის ამუშავებისა და განვითარებისთვის **გიორგი წერეთელი** თანამედროვე ტერმინი, რომ გამოვიყენოთ საჯაროობასა და კარგ „მენეჯმენტში“ ხედავდა: „სიფრთხილე უფრო იმისათვის გვმართებს, რომ ჩვენში ბანკი ახალი საქმეა და ჩვენ არა გვყავს ამ გვარს საქმეებში მცოდნე დახელოვნებული და გამოცდილი კაცები. ეს საქმე უთუოდ კარგად უნდა გაირჩიოს, როგორც იტყვიან უნდა აიწონოს და დაიწონოს. ამის გარჩევა, რა საკვირველია, ყველაზე უფრო ადვილი და სასარგებლო იქნება დაბეჭდილის სიტყვის საშუალებით. მაშინ ყველას შეეძლება თავისის აზრის გამოთქმა და ეჭვი არ არის, ვისაც კი ესმის ეს საქმე, იმას არ დაეზარება აზრის წარმოთქმა ამ საგანზედ. ამ გზით საქმე კარგათ აისახება, ერთი წარმოადგენს თავის აზრს, მეორე შენიშნავს იმისს საფუძვლიანობას ან ნაკლულევანებას, საქმე გაირჩევა ყოვლის მხრით; ცხადათ გამოჩნდება, რომლის აზრის მიღება ემჯობინება და რომლის უარყოფა. ამგვარად გასინჯვენ ხოლმე განათლებულს ქვეყნებში ყოველს საზოგადო საქმეს და ამიტომაც კარგათ მიყავთ ის. მივბაძოთ ამ შემთხვევაში მაინც იმათს მაგალითს და უეჭველია ეს მიბაძვა უსარგებლოდ არ ჩაივლის. რედაქცია დიდის სიხარულით დაბეჭდავს თავის გაზეთში ყოველგვარს ცნობას და სჯას, რომელიც ბანკის შესახები იქნება. ის ბედნიერად შერაცხსს თავის თავს თუ ცოტა ოდენი მაინც შემწეობა აღმოუჩინა ამ ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეს“ (გიორგი წერეთელი 1931ა: 43).

საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის კაპიტალისტური წყობა საზოგადოებაში სავალო პრობლემის გაჩენას იწვევს, ამ პრობლემის შესახებ გიორგი წერეთელი წერდა: „ზოგი იტყვის: მაშ უვალობა როგორ იქნებაო? უვალობა ხელის გაუმართაობა არისო და თუ ერთმანეთს ხელი არ გაუმართოთ, როგორ ვიცხოვროთო? მეც ვიტყვი ხელის გაუმართაობა იქნება. მაგრამ იმგვარი პირი უნდა გამართო, რომელსაც შეეძლოს ხელის გამართვის მაგიერობა. რა ხელის გამართვა არის ზოგისათვის, რომელიც მამულებს პრიკაზში აგირავებს და იქიდგან აღებულს ფულებს განცხრომის გზაზედა ჰფანტამს. ზოგი კიდევ რამდენიმე წლის გამოსავალს წინადღითვე ჰყიდის, ნეტავი ნახევარ ფასად მაინცა, მეათედათა და ვალს სიცოცხლეში რომ ვერ იხდის, უშვებს მომავალ პირზედ გადასახდელათა. ფული არა აქვს, - ნურც მიჰყვება დიდს ცხოვრებასა. რა მინდაო, რომ წამომიჭიმავენ დიდრონ მაღაზიებსა დიდრონ ვალითა და ბოლოს კოტრდებიან, არა აქვს ფული, - წავიდეს იმსახუროს; არ არის სამსახური - იმუშაოს, - უშველოს სასარგებლო და საჭირო ნივთების გაკეთებასა; ეს არა სჯობია, ვიდრე ჯიბეში ხელები ჩაუწყვია და ბოლთასა სცემს განათლებულ მაღაზიაში და ბოლოს ვალსაც აღარ აძლევს

იმასა, რომელსაც თავისი ქონება სრულებით იმისათვის მიუცია და ახლა ცოლითა და შვილით უბედურდება. მაშინ მაღაზიას გახსნის იმისთანა კაცი, რომელსაც შეძლება ექნება და რომელიც უფულო კაცზედ იაფათაც იყიდის და იაფათაც გაჰყიდის. მაშინ არც ასეთი სიძვირე იქმნება“ (გიორგი წერეთელი 1931ე: 278-279).

საბაზრო ეკონომიკა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური საფუძველია. თუმცა, მას ახასიათებს მთელი რიგი პრობლემატური საკითხები, მათ შორის **გიორგი წერეთელი** განსკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა რამდენიმე ფაქტორზე: „ჩვენ გამოვიკვლიეთ სიძვირე და შევიტყეთ, რომ ამ საშნიელი საზოგადო სენის მიზეზი არის ომი, განცხრომა და ამათგან დაბადებული ვალი. მაშასადამე ეს უკანასკნელი მიზეზები, რომ მოსვპოთ მაშინ აღარც სიძვირე იქმნება და ხალხიც კეთილათ იცხოვრებს.

მეტყვიან: რას ამბობ? ომსა და განცხრომას ყოველთვის წარმატება შემოუტანიათ საზოგადოებაშიო და ესენი რომ მოვსპოთ, წარმატებაც ხომ აღარ იქნებაო. სულაც არა! ომს თუმცა წარმატება შემოუტანია უწინდელს დროში, მაგრამ ახლა დაღუპვის მეტი არა შემოაქვს რა. უწინ თუ არ ომით, სხვა მხარეში შესვლა არ შეიძლებოდა და თუმცა ამ ომში ბევრს ხალხსაც და ქონებასაც ჰკარგავდნენ, მაგრამ სარგებელი ეს იყო, რომ იმ მხრის განათლება მოჰქონდათ შინა და იქაცა ვცელდებოდა. ახლა ყოველს მხარეში შესვლა ადვილია და დაუშლელი და ომის საშინელი ვნება რაღათ უნდა გავწიოთ? განცხრომას კი თავის დღეში ვნების მეტი სარგებლობა არა ჰქონია რა. განა საზოგადოებისთვის განცხრომის მიმყოლი სუსტი და სნეული ხალხი არის საჭირო? არა! საზოგადოება უნდა შესდგებოდეს სულ ღონიერი, გონიერი და შრომის - მოყვარე ხალხთაგან. რაც ომებზედ, განცხრომაზედ, ვალის სარგებელზედ, დავებისა და ავაზაკობის განხილვაზედ ფული და შრომა მიდის, იმისი ნახევარი, რომ საზოგადოთ სასარგებლო შრომაზედ მოვიხმაროთ მაშინ იმდენს ცხოვრებისათვის საჭირო ნივთებს და სიმდიდრესა შევყრიდით, რომ ყოველი სიაფეში და სიკმაყოფილეში იცხოვრებდა. მაშინ აღარც დავები, აღარც ავაზაკობა, აღარც ქურდობა და კაცის კვლა იქნებოდა!“ (გიორგი წერეთელი 1931ე: 280).

საბანკო სისტემასთან ერთად საბაზრო ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი საზოგადოებრივი კავშირების, ასოციაციების შექმნაა, რაზეც **გიორგი წერეთელი** სტატიაში „მლეთის სოფლის საზოგადოების სათემო განჩინების გამო“ წერდა: „ევროპაში გონების გახსნა და მეცნიერება ძალიან წარმატებაში

შევიდნენ. მაგრამ, რასაც მეცნიერება უნდა მსახურობდეს, ჯერ, სამწუხაროთ, უკან არის დარჩენილი. ჩვენ ვამბობთ თვით ხალხის კეთილ-დღეობაზედ. სხვა-და-სხვა ღონისძიება არის ნაჩვენები საზოგადო ცხოვრების გაუმჯობესებისთვის. უმეტესი ნაწილი იმათ შორის უქმათ აღმოჩნდა. ბოლო დროს შესდგნენ იმაზედ, რაც რომ უკეთესი იყო: კაპიტალის დაწესებაზედ ამხანაგობით, ამხანაგობით აღებ-მიცემაზედ და ბანკების შედგენაზედ; ფასი აღებ-მიცემობაში, პროცენტი ანუ სარგებელი ბანკში არის დადებული მცირე. საქმეს შეუდგებიან ხოლმე ძალიან ადვილათ თვით უღონონი და ღარიბნი: რამდენიმე ამხანაგი შეიტანს აბაზობით, მანეთობით, თუმნობით; ვისაც საკუთარი ფული არა აქვს, სესხულობს; ფული, რაც უნდა მცირე სარგებელი ჰქონდეს იმას, ძალიან მატულობს, თუ რომ ადამიანი გონივრულათ დააწესებს საქმეს. შულ ათი წელიწადია გასული, რაც ამხანაგობაები დაიწყეს ევროპასი და რა გვარათ გრძნობენ იმის საჭიროებას, რამდენათ არიან ახლა გავრცელებულნი, ეს სჩანს შემდეგის ფაქტიდამ: ანგლიაში – მთელს მცხოვრებლებში, ამხანაგობას ეკუთვნის ცხრიდან ერთი კაცი, ბელგიაში სამოცდა ოთხიდან – ერთი, ფრანციაში სამოცდა თექვსმეტიდან – ერთი, გერმანიაში – უფრო ნაკლებათ. ღიცხვი სხვადასხვა ამხანაგობის წევრებისა მარტო ანგლიაში და ფრანციაში შეადგენს ხუთს მილიონზედ მეტს.

გსურთ შეიტყოთ, რა მჭიდროთ ამყარებს ამხანაგობა კეთილდღეობას? შეადარეთ იმ კაცის ცხოვრება, რომელიც ამხანაგობას ეკუთვნის, ცხოვრებას იმ კაცისას, რომელიც ამხანაგობაში არ არის შესული. მაგალითათ მოგვყავს დაბალი ხალხი: ერთიც და მეორეც ამ უწყებას ეკუთვნიან. ამხანაგობის წევრი რამდენისამე წლის წინათ ყოფილა ღარიბი და ღატაკი; ახლა კი იმას იმდენი აქვს შეძენილი, რომ კმაყოფილათ სცხოვრობს. რომელს ამხანაგობასაც უკეთ მიჰყავს საქმე, იმის წევრებს ფოლიც ბლომათ აქვთ შეკრებილი, ასე რომ მარტო სარგებლით შეუძლიან სახლობა გამოკვებონ. გარდა ამისა, ის სწავლაზედაც ფიქრობს: შვილების სასწავლებლათ ამხანაგობები თვითონვე შკოლებს აწესებენ, თვით წევრებისათვის აწესებენ ბიბლიოთეკებს, საკითხავს კლუბებს. იმათ აქვთ პურისა და სხვადასხვა საჭირო მაღაზინები: როგორათაც წევრები, აგრეთვე გარეშე პირნი ყოველს ხორაგს, სავაჭროს ბევრით იაფათ პოულობენ ამ მაღაზიანებში, ვიდრე ბაზრებში და ბაზრის მოვაჭრეებში: იქ 15-20 პროცენტით ყოველივე ნაკლებია. თავიანთს სავაჭროს გასავრცელებლათ ისინი ხმარობენ უკეთესს ღონისძიებას, ზომიერებას და პატიოსნებას. ასე თითქმის ყველგან. ეს პატიოსნება აღმოაცინეს ნამეტნავათ ბანკების საქმეში. ამხანაგობით შედგენილი ბანკები დიდათ ვრცელდება. აქ

სარგებელი 10 პროცენტზე მეტი არსად არის, ესე იგი ორ შაურზედ მეტი მანეთზედ წელიწადში. აი რა არის ამხანაგობა, ან რა სასარგებლოა ისა მთელის საზოგადოებისათვის. იმედი აქვთ, თავისს დროზედ მთელი ვაჭრობა, აღებ-მიცემობა ყოველგან ევროპასი ამ გვარს ამხანაგობაზედ იქნება დამოკიდებული“ (გიორგი წერეთელი 1931მ: 59-60).

ქართველი საზოგადოების ყურადღებას **გიორგი წერეთელი** ამხანაგობების დაარსებასა და მნიშვნელობაზე ამახვილებდა: „ამხანაგობის ღირსება უფრო მაშინ შეგვიძლიან კარგათ დავაფასოთ, როდესაც წარმოვიდგენთ იმ კაცების ცხოვრებას, რომელნიც გაცალკევებით სცხოვრობენ, ამხანაგობას არ ეკუთვნიან. იმათი ცხოვრება იმათისვე არის მონებრივი: ისინი ბაზრის ვაჭრების ხელში არიან. ვთქვათ, ღარიბი კაცი ერთს თუმანს სესხულობს; ეს ერთი თუმენი იმას ძვირათ უჯდება: წელიწადში თხუთმეტ მანეთათ, ორ თუმნათ და უფრო მეტათ. ვალიდან ვერ გამოდის, ხორაგი, ყოველი გამოსაკვები აგრეთვე ერთი ორათ უჯდება იმას. ეს არის მიზეზი, რომ იმისგან ოფლით შეძენილი, ყოველი იმისგან ნაშრომი სხვებს მიაქვთ. ასეა მთელი იმისი ცხოვრება. ოჯახობის გამოკვება იმას არ შეუძლიან. ამის გამო უფრო გაძლიერდა ევროპაში პროლეტარიატ ანუ უკიდურესი სიღარიბე, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან არის გავრცელებული და ტვირთათ აწევს ევროპას. იმისი მოსპობა შეუძლიან მხოლოთ ასსოციაციას ანუ ამხანაგობას“ (გიორგი წერეთელი 1931მ: 61).

2. გიორგი წერეთელი კაპიტალიზმის შესახებ. ფულმა, როგორც კაპიტალისტური საზოგადოების ფუნდამენტურმა საშუალებამ XIX საუკუნეში ახალი მნიშვნელობა და დანიშნულება შეიძინა. მის შესხებ **გიორგი წერეთელი** წერდა: „მომატებისათვის გამართეს სხვა და სხვა ბანკები, რკინის გზისა და გემის კამპანიები. ფული მოეფინა ზღვასავით მთეს ქვეყანაზედ. ეს ფულის სიმრავლე სხვა ნივთების შედარებით დაბადებს კიდეც სიძვირესა; ფასის აწევა, ანუ უწინდელ ფასებზედ დამატება არის ხალხის ხელში ფულის გამრავლების მიზეზით, თუ არა სხვა-ფერ საიდგან მოუმატებდით ფასსა? ფასი რომ მომატებოდა და ფული კი არა, მაშინ ვერ შევიძლებდით ცხოვრებასა. ახლა ყოველ ნივთსა ვყიდულობთ ერთი ოთხათა-ხუთადა, როგორც ამ ორმოც სამოცი წლის წინათ ყიდულობდნენ; ამიტომ, რომ ახლა რამდენჯერმე მომატებული ფული ტრიალებს ხალხის ხელში. ფულის სიმრავლე, თუ ასეთისავე წარმატებით იმუშავებს, მგონია ამ ორმოცის წლის შემდეგ ჩვენი

შთამომავალთ ბედნიერად მივიჩნევთ, რომ ჩვენ ახლა ერთ თუნგ კახურ ღვინოში ხუთს მანეთს ვაძლევთ და ბატკანში სამს მანეთსა“ (გიორგი წერეთელი 1931ე: 276).

კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებიდან „ვალის“ შესახებ **გიორგი წერეთელი** წერდა: „ეს ვალი ამღებს ხომ სრულებითა ღუპავს, მაგრამ სიძვირესაც კი ხელს უწყობს; ვალით ნასყიდი საქონელი ერთი ორად უჯდებათ და ამიტომ ბოლოს ვეღარც შეუძლიანთ მიცემა. როდესაც ვაჭარი ვალითა ჰყიდულობს საქონელსა, მაშინ გამყიდავი ფასს უმატებს, ზოგჯერ მანეთზედ ათ შაურსა და ხუთ შაურზედ ნაკლებს კი აღარა, ამიტომ რომ სრულებით დარწმუნებული არ არის, რომ მიიღებს თავის ფულსა; და რადგანაც ვაჭარს ასე ძვირათა აქვს ნაყიდი, ხალხზედაც ძვირათ უნდა გაჰყიდოს“ (გიორგი წერეთელი 1931ე: 277-278).

გიორგი წერეთელი კაპიტალისტურ საზოგადოებაში ფულის ორ სახეს გამოჰყოფდა: „ნამდვილი ფული“ და „ტყუილი ფული“, მათ განმსაზღვრელად კი სავალო პროვლემას სახავდა: „ვალი გარდა ამისა აკეთებს ტყუილს ფულსა, რომელიც სრულებით ფული არ არის, მაგრამ ფულათ კი მიიღებენ და ამიტომ ხალხის ხელში ნამდვილს ფულს კიდევ ემატება ტყუილი ფული და ფულის სიმრავლე ჰბადებს მომატებულს სიძვირესა. ტყუილ ფულს ჩვენ ვეძახით ყოველ გვარ ქაღალდზედ ნაწერ პირობებსა: თამსაუქსა, ვექსილსა, ასიგნაცსა და სხვა. ამგვარი პირობაების წერილები არამცთუ სასარგებლონი არიან, ღუპავენ ხალხსა: დიდის სარგებლით ავიღე ათი თუმანი ვექსილითა და აქავე წავაგე ქაღალდში; რა ვქენი? ასის თუმნის მაგიერად გავხადე ორასი თუმანი, რომლისაგანაც ორსავეს სარგებელი მიაქვს, ვექსილს ცალკე და ფულს ცალკე და ამითი ხალხის ხელში მიუმატე ფული რომელიც ფასებს უმატებს“ (გიორგი წერეთელი 1931ე: 278).

გიორგი წერეთელი ქართულ განვითარებად კაპიტალისტურ საზოგადოებას ეროვნული ტრადიციის ერთ-ერთ მთავარ საბადოზე მიუთითებდა: „პურს დიდი საქმე უქმნია კაცის განვითარებისთვის. რაკი რომ პურის სარგებლობას მიმხვდარა კაცის ნათესაობა, და რაკი კაცს გამოცდილებით უსწავლია პურის მოყვანა, შემდეგ კაცსა ტყე-ტყე რბენისთვისაც თავი დაუნებებია. ნადირობა არც პურის მოყვანის შემდეგ მოუშლია, მაგრამ გარეულის ცხოველის დევნაში სულ არ გადაიკარგებოდა: ერთი, ორი, ან სამი დღით, რომ სანადიროთ წასულიყო, მერე მაინც ისევ შინ უნდა დაბრუნებულიყო; ამიტომ რომ შინ პურის მოსავალს ელოდა: თავის სახლობაც იმ დათესილ ყანასთან ეყენა და ყველანი აბიბინებული ყანის შემჩერენი იყვნენ; ყანას კი იმ ადგილიდგან

ფეხის მოცვლა არ შეეძლო და უხვის მოსავლით ჰპირდებოდა პატრონის ოჯახს კარგს და ზომაზე მომეტებულს სარჩოსა. მაშ, კაცს რომ კიდევაც ჰყვარებოდა თრევა და მუდამ წანწალი, პურის ყანა მაინც ადგილის გადაცვლის ნებას არ მისცემდა. ამ სახით პური ყოფილა იმის მიზეზი, რომ კაცს ფეხი დაუდგამს ერთს ალაგას და ოჯახობისთვის ხელი მოუკიდნია“ (გიორგი წერეთელი 1931ზ: 322).

გიორგი წერეთელი საზოგადოების განვითარების პროცესში ეროვნული პროდუქტის მნიშვნელობაზე წერდა: „ოჯახობა ბევრი ნივთის საჭიროებას მოაფიქრებინებდა: კაცს გარემო ხე-ტყე ბევრი ჰქონდა; მხოლოდ ერთიღა დარჩებოდა იმას, რომ ამ მასალებისაგან საოჯახო ნივთები მოეგროვებინა: გაჭირვება მაჩვენე, გაგცევას გაჩვენებო, - კაცსაც ასე მოუვიდა. თუმცა იმისი გონება პირველათ გამოუცდელი და ყოვლისფრის მიუხდომელი იყო, მაგრამ, როცა გაჭირვება დაადგა, მაშინ ჭკუასაც ჯაფა დაატანა და ამ ჭკუამ თან-და-თან უფრო და უფრო კარგი ავეჯულობა მოაგონებინა კაცსა. იმან თავისი მოსაზრებით ურემი გააკეთა, წისქვილი ააბრუნა; მიხვდა, რომ რაც უფრო კარგათ მომზადებულს მიწაში ჩასთესავდა პურსა, ისე უფრო ბევრი პური მოუვიდოდა; ამ რიგათ მიწის ასაჩეჩი საჩეჩიც (იმერულათ კავი) მოიგონა, მერმე გუთანიც გაიმართა.

აი, ახლა მოვედით იმდენ განათლებაზე, რამდენზედაც ჩვენ საქართველოს ხალხს მიუღწევია. ამას აღარ დასცილებია ჩვენი განათლება, ამაზე მეტად, ცუდი გარემოების გამო, აღარ გახსნილა ჩვენი ჭკუა; მაგრამ ევროპის ხალხები რომ ავიღოთ, იქ კი ბევრათ უკეთესი ავეჯულობა არის მოგონებული და ბევრათ უფრო დიდ საზრდოსა ჰკრეფავენ მიწისგან და ბევრზე ბევრათ უკეთაც ცხოვრობენ“ (გიორგი წერეთელი 1931ზ: 322-323).

გიორგი წერეთელი ქართულ საზოგადოებას ეკონომიკური განვითარების რუსულ მაგალითზე მიუთითებდა. ის კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებისათვის და საბაზრო ეკონომიკის ამუშავებისთვის, ქართველობას ქართულ საოფლებში „პურის მაღაზიებისა“ და „სასოფლო ბანკის“ დაარსებისაკენ მოუწოდებდა: „დიდი ხანია რუსეთის სოფლებში პურის მაღაზიებია გამართული, რომ ვინიცობაა შიმშილია, ან დაჭირება, იმ პურის მაღაზიებიდგან ხელი გაიმართლოს და ბევრჯერ გაჭირვების დროს ძალიან შემწეობასაც აძლევს გლეხობას თუ სათესლეთი, თუ ისევ პურათა. ამ გვარი პურის მაღაზიები ჩვენს სოფლებშიაც ზოგან გამართლეს ამ ახლო ხანებში და საჭიროც არის, რომ ყველგან დაწესდეს ამისთანა მაღაზიები.

ამას გარდა ზოგიერთ სოფლებში გხელობა ფულსა ჰკრეფს სოფლის საზოგადოებაში თავისის ნება-ყოფლობითა და ბანკსა მართავს. ამ ბანკითგან ვისაც გაჭირება ადგილია ფულს იღებს ცოტაოდან სარგებლით და ხელს იმართავს. ესეც ძალიან საჭირო რამ არის ჩვენი გლეხობისათვის, რადგანაც ეხლა ძალიან ბევრნი ფულს დიდის სარგებლით იღებენ ვაჭრებისაგან და დიდ ვალში ვარდებიან. ბანკი ამ შემთხვევაში ძალიან უშველიდა სოფლის ხალხსა“ (გიორგი წერეთელი 1931თ: 365).

კაპიტალისტურ საზოგადოებაში საბაზრო ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ეტაპზე გიორგი წერეთელი საგანმანათლებოს სისტემის საჭიროებაზე მიუთითებდა და ამ ყოველივეს გარანტორად ის კეთილსინდისიერი მენეჯმენტის არსებობის პირობებში ხედავდა: „ამის გარდა ძალიან საჭირო რამ არის შკოლების გამართვა; ამას ლაპარაკი აღარ უნდა, ჩვნმა გლეხმა ძალიან კარგად იცის, რომ წიგნის ცოდნა ძალიან საჭიროა და თუ წელში გამაგრდა, შკოლის გამართვაზეც უარს არ იტყვის.

მაგრამ პურის მაღაზიის, ბანკის და შკოლის გამართვას კაი მოთავე კაცები უნდა. თუ არ ქვეყნის სიკეთის მოსურნე კაცი, ქვეყნისათვის თავგადადებული ამისთანებში არ გამოდგება. სოფლის სიკეთის ზრუნვა მოხელეების მოვალეობაა, და ზემოთ, რომ მოვიხსენეთ მოხელეებიც იმისთანა საქმის მოთავეები უნდა გვყავდეს. მოხელეები სოფლისათვის თავგადადებულნი უნდა იყვნენ, სოფლის სიკეთეს და თავის საკუთარ სიკეთეს არ უნდა არჩევდნენ, როგორც თავისი თავისა და ცოლ-შვილის სიკეთე სურთ, სოფლის სიკეთეც ისე უნდა ჰსურდეთ. ღარიბისა და ობლის მფარველნი უნდა იყვნენ. არამც თუ ღარიბისა, მდიდრისაცა, რომ უსამართლობით გროში არავის არ დაეკარგოს, არავის არ წაერთვას, არავინ არ დაიჩაგროს“ (გიორგი წერეთელი 1931თ: 365-366).

ბოლოს, **გიორგი წერეთელი** კაპიტალისტურ საზოგადოებაში გაბატონებულ სავალო სისტემის შეფასებისას სხვადასხვა პრობლემატურ საკითხებზე ამახვილებდა ყურადღებას, რის საფუძველზეც ასკვნიდა: „ვალი ჩემის ფიქრით არის მემრისინდელი მოსავლისა წლეულსავე შეჭმა. ვისაც ფული არა აქვს და ჰყიდულობს ნივთებს ნისიათა, იმან რასაკვირველია, ვალი უნდა მისცეს შემდეგის მოსავლითგანა; ანუ ვინც რამდენიმე ხნის ჯამაგირს პირველათვე აიღებს, იმან შემდეგის სამსახურით უნდა გადაიხადოს ვალი“ (გიორგი წერეთელი 1931ე: 278). რაც შეეხება საბაზრო ეკონომიკის გააზრებისას, **გიორგი წერეთელი** XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებაში შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, გამოსავალს ასოციაციების შექმნაში ხედავდა, რაც საფუძველი უნდა გამხდარიყო საბაზრო ეკონომიკის განვითარების: „ყველა მაზრებში ადგილობრივს

მოხელეებს, რომელნიც მთავრობისაგან არიან დაყენებულნი... აგრეთვე ყველას, ვისაც სწავლას აქვს მიღებული და ესმის საქმის გარემოება. იმათ უნდა ჩააგონონ ხალხს, განუმარტონ, უჩვენონ მოსახმარი ღონის-ძიება ძნელი არ არის რა. დააწესონ ამხანაგობები, შეადგინონ კაპიტალები. აბაზობით და მანეთობით იმათ შეუძლიანთ იმდენი შეიძინონ, რომ საჭირო აღარ იყოს იმათთვის გარეშე სესხი, დამღუპავი იმათი შრომისა და ნაღვაწისა. გაიჩინონ პურის მაღაზინები, აქედან აძლიონ სესხათ პური ზომიერი სარგებლით, ან გაჰყიდონ ხოლმე და აქციონ კაპიტალათ (თავნათ) და ეს კაპიტალი ამუშაონ ხოლმე. ამხანაგობანი თვითონვე შეუდგნენ აღებ-მიცემობას: თვითონვე ჰყიდონ პური, ღვინო და სხვა ხორაგი და სავაჭრო. შხვას ნუ აძლევენ თავიანთ შრომას და ოფლს. დააწესონ სოფლებში პატარ-პატარა ბანკები, ბანკებს დაუნიშნონ ხუთიდან ათამდე პროცენტი ანუ სარგებელი...“ (გიორგი წერეთელი 1931მ: 62).

§ 4. სერგეი მესხი დასავლური ეკონომიკური ღირებულებების თაობაზე

თერგდალეულები ქართული საზოგადოების და იმპერიაში შემავალი ქართული პოლიტიკური ერთეულების ეკონომიკურ განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ქართველ სამოციანელთა შორის კი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სერგეი მესხი. ქართველ პუბლიცისტს XIX საუკუნის 70-იან წლებში ქართული საზოგადოების განვითარებაში „ლომის წვლილი“ მიუძღვის. როგორც ომარ კასრაძე შენიშნავს ეს ის პერიოდი იყო, როცა სხვა თერგდალეულები გაფანტულები იყვნენ ევროპაში თუ კოლონიალური რეჟიმის ჩინოვნიკურ თანამდებობებზე.

სერგეი მესხის ნაშრომების შესწავლასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საბჭოთა ისტორიოგრაფიის წვლილი. იოსებ ბოცვაძემ გაზეთ „დროების“ ნომრებიდან ამოკრიბა სერგეი მესხის სტატიები და სამ ტომად გამოსცა. თუმცა, საბჭოთა ისტორიოგრაფიას სერგეი მესხის შესწავლასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი პრობლემები ჰქონდა: დაუძლეველ პრობლემად ჩანს სტატიების თემატურად დაყოფა, რაც ახსნილია ზოგ სტატიაში რამდენიმე თემატიკის არსებობით. თუმცა ეს მხოლოდ სერგეის და სხვა მაშინდელი პუბლიცისტების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისას შეინიშნება, როცა ისინი ცდილობდნენ ერთ სტატიაში ყველაფრისთვის მოეყარათ თავი, ყველაფერს შეხებოდნენ და თავიანთი პოზიცია ყველაფერზე წარმოეჩინათ. თუმცა მოგვიანებით ისინი მაღალ მეცნიერულ დონეზე მიჯნავდნენ სტატიის თემატიკას და მასში ჩამოყალიბებულ აზრებს. ასეა სერგეის შემთხვევაშიც.

ეკონომიკის თაობაზე სერგეი მესხი თავისი რედაქტორობით გამოცემულ გაზეთ „დროებაში“ წერდა. მისი საგაზეთო სტატიები ეკონომიკური თვალსაზრისით მეტწილად ეკუთვნის მაშინდელ ქართულ საზოგადოებაში აქტუალურ საკითხებს: ე.წ. „საბანკო საქმეს“ და ამხანაგობებს (ასოციაციებს, „საზოგადოებებს“), გარდა ამისა მას აქვს ზოგადად ვაჭრობის თაობაზე მნიშვნელოვანი სტატიები. სერგეი მესხი სტატიებში ქართული ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვან თეორიების აყალიბებდა. ეს თეორიები მისი 14 წლიანი პუბლიცისტ-რედაქტორობის პერიოდში თანდათან ვითარდებოდა და იხვეწებოდა.

სერგეის სტატიებიდან ეკონომიკის თაობაზე აღსანიშნავია სტატიები: **„თფილისი, ივნისის 18“, „თფილისი 27 აგვისტოს“, „შორაპნის უეზდის საზოგადო პურის მაღაზიები“, „მეყველეთა ამხანაგობა“** და სხვ. ამ სტატიებიდან ჩვენ გამოვყოფთ რამდეინმე საკითხს: **1. საზოგადოებები; 2. საბანკო საქმე; 3. ქართველების ვაჭრობის პრობლემა; და 4. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.**

თითოეულ აღნიშნულ საკითხზე ეკონომიკის თემატიკაში ვეცდებით სერგეის დამოკიდებლება, შეხედულება, აზრის განვითარება ჩამოვაყალიბოთ, რაც საშუალებას მოგვცემს სერგეის ეკონომიკური თეორიის მონახაზი შევქმნათ.

ეკონომიკის თაობაზე სერგეი მესხის ერთ-ერთი პირველი სტატია არის - **„თფილისი, ივნისის 18“**. ამ სტატიის დაბეჭვდამდე გაზეთ „დროებაში“ ნაწილ-ნაწილ ქვეყნდებოდა თარხან-მოურავის სტატია - **„საჭიროა ჩვენთვის ურთიერთის შემწეობა, თუ არა?“. 1869 წლის 18 ივნისს** აღნიშნული სტატია სრულად გამოიცა და მას თან ერთოდა სერგეის სტატია. ის წერდა: „ჩვენ იძულებული ვიყავით ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაგვებეჭდა ზემოხსენებლი სტატია და ამიტომ შეიძლება გოხს მკითხველს ვერ დაუტოვა იმან ისეთი შთაბეჭდილება, როგორიც შეიძლებოდა დაეტოვებინა, ერთად რომ წაეკითხა, მაგრამ დარწმუნებული ვართ. რომ ამრიგადაც დაბეჭდილი, ზედიმოქმედებდა ის ბევრზე. ეხლა, როცა სტატია დაბოლოვდა, ხელახლად ერთად, რომ წაიკითხოს ის „დროების“ მკითხველმა და ჩაფიქრდეს იმ ჩვენი მეურნეობისათვის სასარგებლო აზრებზედ, რომლებიც იქ არიან გამოთქმულნი, უეჭველია დიდს სარგებლობას მოუტანს ეს. უ. თარხან-მოურავის სტატია შეეხება იმისთანა საგნებს, რომლებზედაც კარგად უნდა ჩაფიქრდეს, ჩვენი აზრით, ყოველი კეთილგონიერი და თავის თავის სიკეთის მოსურნე ქართველი“ (სერგეი მესხი 1962: 30-31).

ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს გავარკვიოთ, თუ რატომ მოუწოდებდა სერგეი ქართულ საზოგადოებას თარხან მოურავის სტატიაზე დაფიქრებისკენ? რა საკითხებზე იყო ყურადღება გამახვილებული აღნიშნული ავტორის სტატიაში? და სხვ?. დღევანდელი ქართული საზოგადოების მსგავსად, მაშინდელი ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი რომელიც მძიმე ეკონომიკურ ყოფაში იყო. ამ მდგომარეობიდან გამოსვლის გზებს ეძებდა სერგეი მესხიც, რომელიც ქართულ საზოგადოებას ე.წ. „გონებრივი იერიშის“ კითხვებს უსვავდა: „...განა არ ღირს ჩაფიქრება იმისთანა ფაქტებზე,.. რომ უმეტეს ნაწილს ჩვენ მებატონეებს (ნამეტურ თფილისის გუბერნიაში) დაგირავებული აქვთ თავიანთი მამულები? განა არ უნდა ჩაუფიქრდეთ

ჩვენ ჩვენ უხეირო და უანგარიშო ცხოვრებაზე? განა არ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ საშუალებებს, რომლებითაც სარგებლობენ თავისი მატერიალური ცხოვრების გაუმჯობესებისათვის სხვა განათლებული ერები და რომლებზედაც საუბრობს უ. თარხან-მოურავი? - მე მგონია, რომ - კი“ (სერგეი მესხი 1962: 31).

სერგეი მესხი „საზოგადოებების“ კონცეფციის ჩამოყალიბებამდე, ქართულ საზოგადოებას ტერმინის არსს განუმარტავდა: „ასოციაცია, ანუ შეერთებული ღონისხმარება ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ისეთი სახსარია, რომელმაც ყოველგან, სადაც კი არ შემოიღეს ის - ვაჭრობაში, ოჯახობაში, მოიტანა კეთილი ნაყოფი და ურიცხვი სარგებლობა. რამდენი მეოჯახეიბის ასსოციაციებია ევროპაში, რამდენი ხელოსნებისა, რამდენი ვაჭრებისა?! რუსეთშიაც არის ეხლა (ტვერის გუბერნიაში) რამდენიმე მეყველეების ასოციაცია“ (სერგეი მესხი 1962: 31).

„რატომ გამრავლდა განათლებულ ქვეყნებში ამ ცოტა ხანში ასე საოცრად ასსოციაციები? იმიტომ, რომ იქ იგრძნეს რა სარგებლობა მოაქვს ამას, მიხვდნენ, რომ გაცალკევებული კაცის შრომა ბევრს ვერაფერსა იქს და შეერთებულს შრომას კი ბევრი რამე შეუძლია ცხოვრების გაუმჯობესებისათვის იმისთანა, რომელსაც გაცალკევებული კაცები თავის დღეში ვერ შეიძლებენ“ (სერგეი მესხი 1962: 31).

„ამისთანა აზრები არაერთხელ გამოთქმულა „დროებაში“ და შემდეგომშიაც გვექნება ამაზე ყურადღება მიქცეული, ამიტომ, რომ ეხლანდელი ცუდი ეკონომიური მდგომარეობიდან გამოსვლისათვის, ჩვენი აზრით, ჩვენ მარტო შეერთებული შრომა და ძმური ერთობა გვიშველის“ (სერგეი მესხი 1962: 32).

სერგეი მესხი სტატიაში **„თფილისი 27 აგვისტოს“** ვაჭრის ინსტიტუტის წინააღმდეგ გამოდის და მას აკრიტიკებს, როგორც არამეწარმეს. ის მიიჩნევს, რომ მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის არ უნდა იყოს მესამე პირი, რადგან ამ უკანასკნელს ნაწარმის შექმნაში მონაწილეობა არ მიუღია. ამის მაგალითად კი კახელი ღვინის მწარმოებლები მოყავს: „ზოგიერთმა კახეთის მებატობეებმა გაიგეს, რომ შუამავლებს (ვაჭრებს) იმათსა და მომხმარებლებს შუა, ზიანი თუ არა, არაფერი სარგებლობა არ მოაქვთ მათს ღვინის ვაჭრობაში. მის მაგივრათ, რომ ჩვენი ნაწარმოებით ჩვენვე ვისარგებლოთ, სარგებლობს სულ სხვა პირი - რომელიმე ვაჭარი, რომელიც დაივლის ხოლმე ჩვენში სოფლებს, ყიდულობს იაფათ გლეხებისაგან მოწეულ ღვინოს, პურს და სხ., მიაქვს ესენი ქალაქებში და სამი-ოთხი იმ ფასათ ჰყიდის, რაც თითონ უჯდება; მის მაგიერათ, რომ თითონ მწარმოებელმა მიყიდოს იმას, ვისაც პირდაპირ

უჭირს და ამრიგათ თითონ მოიგოს, იგებს ვიღაც ვაჭარი, რომელსაც ნამუშევარის მოყვანაში არაფერი შრომა არ გაუწევია. ეს არც მომხმარებლისთვის არის სასრგებლო და არც გამყიდველ-მწარმოებლისათვის, რადგანაც ვაჭარი ორივეს ჰყვლეფს; მწარმოებლისაგან ყიდულობს ძალიან იაფათ, იმას ნამდვილ ფასზე ნაკლებს აძლევს და მომხმარებელს კი ნამდვილ ფასზე მომატებულს ართმევს; და ამრიგათ მარტო ვაჭარი სარგებლობს. ამიტომ, მე მგონია, კახეთის მებატონეებმა ძალიან კარგი ქნეს, რომ რამდენიმე კაცმა ერთად მოიყარეს თავი და სამი, თუ ოთხი ღვინის სარდაფები გახსნეს თფილისში. როგორც გავიგეთ, ამ ღვინის სარდაფების საქმე ძალიან კარგათ მიდის და ამის გამო, ამბობენ, ბევრს უნდა ამ საქმეში მონაწილეობის მიღებაო; ჩვენი აზრით, რაც უფრო მომატებული წევრები იქნება ამ კამპანიაში, ის სჯობია, ამიტომ, რომ უფრო დიდი ვაჭრების გამართვა შეიძლება. მე არ ვიცი, გააქვთ კახეთის მებატონეებს ღვინო საზღვარს გარეთ თუ არა. თუ ჯერ არა, შემდეგში, როცა ღონისძიება მოემატებათ, იმედია ამ საქმესაც მიაქცევენ ჯეროვან ყურადღებას“ (სერგეი მესხი 1962: 44).

გაზეთი „დროება“ როგორც კომუნიკაციის საშუალება თერგდალეულებსა და ქართულ საზოგადოებას შორის დიდ როლს თამაშობდა. სწორედ გაზეთ „დროების“ საშუალებით ეცნობოდა ქართული საზოგადოება დასავლური ცივილიზაციის განვითარების პროცესს. თერგდალეულთა იდეები და თეორიები ქართველი „მებატონეების“ თუ „გლეხებისათვის“ სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო. მაშინდელ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ყველა მიმდინარე საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებს თავისუფალი განვითარების მოწესრიგებულ, ეროვნულ გზას უსახავდნენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია: კახეთის მებატონეების მიერ თბილისში დაარსებული ღვინის საზოგადო მაღაზია, იმერეთის შორაპნის მაზრის საზოგადო პურის მაღაზია, მეყველეთა საზოგადოება. ის რომ ქართული საბაზრო ეკონომიკის, და საერთოდ ქართული საზოგადოების განვითარებაში, ამხანაგობები, თუ „საზოგადოებები“ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ამაზე მეტყველებს შორაპნის მაზრის მომრიგებელ შუამდგომლის ავალიანის წერილი სერგეი მესხისადმი: „მე არ მეგონა, თუ ასე კარგათ წავიდოდა ჩვენში საზოგადო პურის მაღაზიების საქმე. გლეხკაცები ხელაშვერით ილოცებიან ამ საზოგადო კეთილის საქმის დაწყებისათვის. ეხლა არის დაწესებული ამისთანა საზოგადო მაღაზიები წირქვალის, დარკვეთის, ზედარგნის, სკინდორის და კორბოულის სასოფლო საზოგადოებებში. ამათის მიხედვით დანაშთნი ჩემი

განყოფილების სოფლის საზოგადოებაებშიც მსურველნი არიან დააწესონ თავიანთვისაც წელს შემოდგომაზე ამისთანა მაღაზიები“ (სერგეი მესხი 1962: 50).

მაშინდელ დასავლურ სამყაროში („მთელი ევროპა, მთელი რუსეთი მოფენილია ამისთანა მაღაზიებით“ (სერგეი მესხი 1962: 51)) საზოგადოებების ჩამოყალიბა ინდუსტირული განვითარების ერთ-ერთი საშუალება იყო. ასეთი საზოგადოების შექმნით სახელმწიფო დაინტერესდა და ფართო აგიტაცია გამართა მოსახლეობაში. ასეთი ამხანაგობების შესაქმნელად სამართლებრივი ნორმებიც მიიღეს. სტატიაში **„საზოგადო პურის მაღაზიები“** სერგეი მესხი გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილი სტატიის პერიფრაზს ახდენდა: „გუბერნიის მთავრობამ შარშან აპრილში, ადგილობრივი პოლიციის საშუალებით, დაუწყო ჩაგონება სოფლის ხალხს, რომ სოფლებში საზოგადო პურის მაღაზიები გაემართა ისე, როგორც კანონშია მოხსენებული. ამ ცნობებიდამ, რომელნიც მის შემდეგ უეზდის ნაჩალნიკებისაგან მოსულა თფილისში, სჩანს, რომ თბილისის უეზდში 32 სოფელში არის გაართული პურის მაღაზიები, რომლებშიაც 3000 ჩეტვერტი პურია შენახული; ამას გარდა ამისთანა მაღაზიები გამართულია სიღნაღის უეზდის 33 სოფელში, სადაც აწყვია 3654 ჩეტვერტი ფქვილი. დუშეთის უეზდში, ყველა სოფლის საზოგადოებაში გამართულია მაღაზიები, სადაც საკმაოთ აქვთ დამზადებული პური, სიმინდი და ქერი, აგრეთვე თელავის უეზდშიაც გამართულია პურის მაღაზიები. რაც შეეხება გორისა და ახალციხის უეზდებს, თუმცა ჯერ ვერ მოუყვანიათ ეს საქმე სისრულეში, მაგრამ უეჭველია, რომ წელს იქაც გაიმართება პურის მაღაზიები, რადგან ამ საქმეს განსაკუთრებით ყურადღება აქვს მიქცეული“ (სერგეი მესხი 1962: 116).

დასვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული საზოგადოება მეტწილად ორიენტირებული იყო ბატონყმობის გაუქმების პრობლემებზე. მრავალსაუკუნოვანი ფეოდალური სისტემა იცვლებოდა ახალი კაპიტალისტური სისტემით, ეს კი მოსახლეობის გარკვეულ „სულისკვეთებაზე“ (ვებერი) იყო დამოკიდებული. აღნიშნული პრობლემა მნიშვნელოვანი იყო ახალი ქართული თაობისათვის. ისინი აქტიურად გამოდიოდნენ დაყმევებული გლეხების გასათავისუფლებლად, მათი უფლებების დასაცავად, თანასწორობის დასაცავად ყოფილ ბატონსა და ყმას შორის, საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად (რაც თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკების დაარსებაში გამოიხატა), კაპიტალის თანასწორობის შესაქმნელად, გარკვეული ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდების წასახალისებლად და გამოსავლენად; და

დემოკრატიული იდეების გასავრცელებლად, სამოქალაქო საზოგადოების შექმნის მიზნით... 60-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე ახალი ქართული თაობა უპირისპირდებოდა ცარიზმის იმპერიულ პოლიტიკას ცენზურის პირობებში ქვეტექსტების სახით, ალეგორიებით სათქმელი მაინც მიჰქონდათ მოსახლეობამდე.

თავი V
დასავლური სოციალური სისტემები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული საზოგადოება მეტწილად ორიენტირებული იყო ბატონყმობის გაუქმების პრობლემებზე. მრავალსაუკუნოვანი ფეოდალური სისტემა იცვლებოდა ახალი კაპიტალისტური სისტემით, ეს კი მოსახლეობის გარკვეულ „სულისკვეთებაზე“ (მაქს ვებერი 1920) იყო დამოკიდებული. აღნიშნული პრობლემა მნიშვნელოვანი იყო ახალი ქართული თაობისათვის. ისინი აქტიურად გამოდიოდნენ „დაყმევებული გლეხების გასათავისუფლებლად“, მათი უფლებების, თანასწორობის დასაცავად - ყოფილ ბატონსა და ყმას შორის, საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად (რაც თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკების დაარსებაში გამოიხატა), კაპიტალის თანასწორობის შესაქმნელად, გარკვეული ნიჭით დაჯილდოვებული - ახალგაზრდების წასახალისებლად და გამოსავლენად; და დემოკრატიული იდეების გასავრცელებლად, სამოქალაქო საზოგადოების შექმნის მიზნით... XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება უპირისპირდებოდა „ცარიზმის იმპერიულ პოლიტკას“. აღნიშნული ღირებულებების დასაცავად ცხარე კამათი მიმდინარეობდა ევროპაში. რევოლუციების ტალღამ გადაუარა მთელს ევროპას, სახელმწიფოების მოწყობა „საერთო ნიადაგზე“ (**არჩილ ჯორჯაძე**) მოახდინეს, თუმცა სახელმწიფოს „ეროვნული“ ფორმატი ერთი ძალის არსებობით სახელმიფოს განვითარებას აფერხებდა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაპირისპირებული იდეების მოუწესრიგებელი ფორმით არსებობას ბევრი პრობლემა ახლდა თან. რაც გამოწვეული იყო ახალი სახელმწიფოს შექმნის მოდელის, ფორმის ძიებით.

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ეპოქაში, ალბათ არსად მსოფლიოში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესები, ისე დრამატულად არ ვითარდებოდა, როგორც საქართველოში. და ალბათ, სწოედ ეს დრამატიზმი იზიდავს ადამიანს, თუ ისტორიკოსს საქართველოს ისტორიისადმი. დრამატული იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარიც, როცა მსოფლიო მოიცვა „ეროვნული“

და „სოციალური“ იდეების განვითარებამ და დაპირისპირებამ. ქართულ რეალობაში, ასეთი იდეების მედროშედ ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე გამოდიოდნენ. მაშინდელ მსოფლიოში, ამ იდეების დაპირისპირების ფონზე, ქართული საზოგადოების კონფლიქტი, სიმბოლურად ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს შორის დუელით გამოიხატა. მათი დაპირისპირების ასპარეზი მოუწესრიგებელი იყო, როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური გაგებით. ეს დაპირისპირება XIX საუკუნის ქართული საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების კონფლიქტის სიმბოლური, კულმინაციური მომენტი, უფრო იყო, ვიდრე - ისტორიული მოვლენა. ორივე მათგანის მიზანს ქართული საზოგადოების განვითარება და წინსვლა წარმოადგენდა სხვადასხვა გზით და საშუალებებით. ისინი ვერ შეთანხმდნენ და ვერ შექმნეს ურთიერთობის ისეთი ფორმა, რომ ორივეს „გზის“ არსებობის პირობებში მიაღწევდნენ მიზანს. მაგრამ ეს, არც ისე ადვილი იყო, საზოგადოების გენეტიკური ტრადიციიდან გამომდინარე. „ერთი გზა“ - „ერთი ჭეშმარიტება!“ იყო ფორმა მთელი შუა საუკუნოვანი ადამიანის აზროვნების განმსაზღვრელი! - რაც ახალ დროში, გაგებულ იქნა: უფრო ვიწრო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თუ სოციალურ სისტემის ინტერპრეტირებაზე. შესაბამისად სხვადასხვა შეხედულებებმა, წარმოშვა სხვადასხვა „გზები“, „ჭეშმარიტებები“ და ჯგუფები. თუმცა, მათ მცდელობებს უკვალოდ არ ჩაუვლია და ის გახდა საფუძველი ერთი იდეოლოგიის შესაქმნელად - „საერთო ნიადაგის“ თეორიის (**არჩილ ჯორჯაძე**) ჩამოსაყალიბებლად. ამ თეორიის პრაქტიკული განხორციელება კავკასიის გეოპოლიტიკური მდგომარეობის ცვლილებებით იყო გამოწვეული, მსოფლიო ტოტალიტარიზმისკენ მიისწრაფოდა და მაშინ ჯორჯაძისეული იდეები ნაადრევი აღმოჩნდა ქართული საზოგადოებისათვის. ის უფრო „მომავლის მსოფლიოში“ ქართული საზოგადოების მოწყობას შეიძლება ემსახუროს. თუმცა, ჯერ კიდევ მაშინ, რამდენიმე დასავლურმა საზოგადოებამ შეძლო დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა. ქართული საზოგადოება ჭეშმარიტად იდგა დემოკრატიული საზოგადოების შექმნის გზაზე. XIX საუკუნის 80-90 წლებიდან საქართველოში იქმნება ახალ-ახალი პოლიტიკური პარტიები. გარკვეული მიზნების მისაღწევად განსხვავებული იდეების არსებობის პირობებში იქმნებოდა პერსპექტივა ახალი სახელმწიფოს მოდელის შესაქმნელად. თუმცა გარკვეული პარტიები მოექცნენ ჩიხში. მათი იდეოლოგიის განვითარება გონებრივად შეიზღუდა, უფრო სწორად კი, ის რადიკალური იდეოლოგიების ზეგავლენის ქვეშ მოექცა. მარქსიზმის არასწორმა ინტერპრეტირებამ

გამოიწვია, პოლიტიკურად, არაჯანსაღი ჯგუფების შექმნა. მათ თავიანთი მიზნების მიღწევის ერთადერთ საშუალება, მოწინააღმდეგე ჯგუფების ფიზიკურ განადგურებაში დაინახეს. რადიკალურმა სოციალისტურმა იდეებმა, რომელიც ადამიანის „კუჭზე“ იყო ორინეტირებული, დამონებული მასების გამოფხიზლება და თანადგომა გამოიწვია. მასობრივი განადგურების პირობებში „ეროვნული“ იდეები უმცირესობაში აღმოჩნდა. მეტიც ტოტალურად რადიკალური „სოციალისტური“ იდეების გაბატონებამ ისინი იატაკქვეშეთში მოათავსა (1921-1991).

ქართული მცირე რენესანსის განვითარება პოლიტიკური აზრის გააქტიურებაშიც გამოიხატა. XIX საუკუნის ბოლოსთვის უკვე არსებობდა ქართული პოლიტიკური პარტიები: ეროვნულ-დემოკრატები, სოციალ-დემოკრატები, ფედერალისტები, ანარქისტები და სხვა, მაგრამ რუსი ხალხის ბატონობის პირობებში მათ შორის დაპირისპირება გამუდმებით მწვავდებოდა.

ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა: „1861 წელს, თებერვლის 19-ს, როგორც ვიცით, რუსეთში გამოქვეყნდა მანიფესტი ბატონ-ყმობის გადავარდნის შესახებ. მაგრამ ეს მანიფესტი არ შეეხებოდა კავკასიას და კერძოდ საქართველოსაც. აქ მხოლოდ სამზადისი უნდა დაწყებულიყო, რის ბრძანებაც მოუვიდა მთავარმართებელ ბარიათინსკის. 1861 წლის 29 მარტს კი თბილისის გუბერნაატორს ორლოვსკის მოუვიდა ბრძანება, რომ მოეწვია თავადაზნაურობის კრებები და შესდგომოდა საკითხის გარკვევას. ამავე მიზნით იყო შექმნილი ე.წ. „საბატონო გლეხების მომწყობი ამიერ-კავკასიის კომიტეტი“ (Закавказский комитет по устройству помещичьих крестьян). ამ საკითხის გარშემო ცხარე განგაში დაიწყო. მართალია, თავადაზნაურობა პირდაპირი ბრძოლის გაშლას ვერ ბაედავდა, რადგან ეს რეფორმა „ზემოდან“ ხდებოდა, მეფის ბრძანებით, მაგრამ არა პირდაპირი გზით კი ცდილობდნენ თავისი უპირატესობის შერჩენას. ქართლ-კახეთის თავადაზნაურობამ თავის პროექტში გარკვეულად აღიარა, რომ იგი აასრულებს თავის უქვეშევრდომილეს მოვალეობას მეფის წინაშე, მსხვერპლს გაიღებს, მხოლოდ სამაგიეროდ ანაზღაურებას მოითხოვს. რაც შეეხება გლეხთა განთავისუფლებას მიწის მიზომვით, ამაზე, ხომ გადაკვრითაც არ იყო სიტყვა ნათქვამი. ასე ფიქრონდა და ამისთვის ყოველ გზასა ცდიდა ჩვენი თავადაზნაურობა. მათთვის „საბედისწერო“ დღე თანდებოდა, და ამ დროს, თვით მათი წრიდან გამოსული ახალგაზრდობის საწინააღმდეგო აზრი რა განწყობილებასაც შექმნიდა, თავისთავადაც აშკარა არის... „თერგდალეულთა“ მედროშე ილია ჭავჭავაძე იყო. ნიკო ნიკოლაძე ამის

შესახებ 1873 წლის „კრებულში“, სხვათა შორის სწერდა: „რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს-ო“. და ამ დროშაზე მთავარ ლოზუნგად ბატონყმობის უარყოფა და გლეხკაცობის მიწიანად განთავისუფლება ეწერა (კოტეტიშვილი 1959: 284-285).

„ეს არ იყო ერთი გარკვეული და მტკიცე პროგრამა, რომ „თერგდალეულები“ წარმოვიდგინოთ როგორც სკოლა ან როგორც პარტია, ეს იყო ერთი მიზნისკენ მიმავალი ახალგაზრდობის კავშირი, პროგრესულად მოაზროვნე, რადიკალურად მეოცნებე, რომელსაც განწყობილება და ტემპერამენტი უფრო აკავშირებდა, ვიდრე პროგრამული დისციპლინა“ (კოტეტიშვილი 1959: 289).

§ 1. ილია ჭავჭავაძე დასავლური სოციალური ღირებულებების თაობაზე

1877 წელს ილია ჭავჭავაძე წერდა: „1864 წელს მოხდა ჩვენში ყმების განთავისუფლება. მოისპო ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქელვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს. ეს ერთი დიდი და უკეთესი მხარე ამ სახელოვანი ცვლილებებისა. აქ ყოველივე დამოკიდებულების კავშირი სამუდამოდ გადაწყდა; ერთს ჩამოართვეს ის რაც სიმართლის შეურაცხყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის რაც უსამართლოდ წართმეული ჰქონდა. ამ მხრით, ორთა შუა ხელის მოსაკიდებელი და სავიდარაბო არა დარჩენილა-რა, ჩემსას და შენსას ამ მხრით მათ შორის ადგილი აღარ ჰქონდა. მაშასადამე, აქ საჭირო არ იყო განსაზღვრა უფლებისა და მოვალეობისა. ხოლო ბატონ-ყმობის საქმეში არის მეორე მხარეც, რომელსაც ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. განთავისუფლებულ გლეხს დაბინავება უნდოდა. უამისოდ გლეხის განთავისუფლება იმას ეგვანებოდა, რომ კაცისათვის გეთქვათ: წადი, თავისუფალი ხარ, რომ შიმშილით მოკვდეო. ჩვენდა საკეთილოდ ეს ასე არ მოხდა“.

ილია ჭავჭავაძის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა მეტწილად მიმართული იყო ქართულ საზოგადოებაში დასავლური სოციალური ღირებულებების დასამკვიდრებლად. მისი აზროვნების ისტორიოგრაფიული შეფასება ეკუთვნის **არჩილ ჯორჯაძეს.** ის გამოკვლევაში „პუბლიცისტი - ილია ჭავჭავაძე“ წერდა: „მე-19-ე

საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენ არ ვხედავთ შეგნებულ დაკავშირებას ძველის ცხოვრებისას ახალთან, შეგნებულს განმარტებას ეროვნულს პრინციპისას. ჩვენს ლიტერატურაში ჩივილი და გოდება ისმოდა დაკარგული თავისუფლების გამო, ხოლო ამ ლიტერატურის უილაჯო, უიმედო და ურწმუნო კილო სასოწარკვეთილებაში აგდებდა ჩვენს გადაგვარების გზაზე დამდგარ საზოგადოებას და მას თავის ეროვნულ ვინაობის აღდგენის სურვილს უკარგავდა. ასე, რომ მე-19-ე საუკ. მეორე ნახევარი რომ დადგა, ჩვენ სრულებით მოუმზადებელნი ვიყავით მოქალაქობრივ ცხოვრების ეროვნულ ნიადაგზედ გადმონერგვისათვის. აუცილებლად საჭირო იყო გაგვეგო, შეგვწევს თუ არა ღონე ახალ ცხოვრებისათვის, საჭირო იყო იმისი ცოდნა, რომ ეს ახალი ცხოვრების დენა არ ჩანთქავს ჩვენს პიროვნებას, რომ ჩვენ გავუმაგრდებით გარემოებათა ცვლილებას და რომ ხალხს აქვს თავისი მომავალი, ყველა ამისათვის საჭირო იყო ორის აზრის განმტკიცება: ბატონ-ყმობის უარ-ყოფა და ეროვნული ვინაობის განმარტება. ილია ჭავჭავაძე ერთი იმ მწერალთაგანი იყო, რომელიც სწორედ ამ გზას დაადგა, თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი ცხოვრების ეროვნულ მხარეს იგი უპირატესობას აძლევდა. ეროვნულ და ეკონომიურ ცხოვრების ერთმანეთთან დაკავშირება მას ჰქონდა შეგნებული, ამისათვის ჩვენ არ შეგვიძლია მის ეროვნებას „უნიადაგობა“ დავწამოთ“ (ჯორჯაძე 1989: 50).

ვახტანგ კოტეტიშვილი - ილია ჭავჭავაძის შეფასებისას ის აღნიშნავდა: „მართალია, ხალხური შემოქმედების არსენალიდან ი. ჭავჭავაძეც საკმაოდ ბევრ მასალას იღებს, ანდაზებისა და სიტყვის მასალათა სახით და სხვ., მაგრამ ეს იმდენად არ არის საინტერესო, რამდენადაც ის თითქმის ხელშეუხებელი „სული“, რომელიც ხალხის წიაღიდან ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში არის გადასული, იქა ჰფეთქს, როგორც საკუთარსა და მორგებულ სხეულში. კითხულობთ ი. ჭავჭავაძის ნაწერებს და სრულიად გარკვეულად გრძნობთ, რომ ეს კაცი კი არ გწერთ, არამედ გესაუბრებათ, და გესაუბრებათ იმ ლექსიკონიტ კი არა, რომელიც წიგნებიდან მოდის, ხშირად სქემად ქცეული და გამოფიტული, არამედ ცოცხალი სიტყვით. აქ თქვენ ძარღვსა გრძნობთ, ხორცს, და, თუ გნებავთ, იმ სინოყივრეს, რომელიც მხოლოდ დედამიწასა აქვს.

ჩვენ, მწიგნობრობას შეჩვეულთ, ხშირად გვეჩვენება, რომ ი. ჭავჭავაძის ენა რაღაც თავისებურია; ამ ენას აქვს თავისი კონსტრუქცია, თავისი სინტაქსი და თავისი მხატვრული სურნელებაც. და რატომღაც მგონია, რომ ი. ჭავჭავაძის ნაწარმოების, მწიგნობარ წრეებზე უკეთესად ის გლეხი გაიგებს, რომელიც წიგნს დაშორებულია,

რადგან ი. ჭავჭავაძემ თავის შემოქმედებაში სწორედ ეს ცოცხალი, გლეხური ენა გააბატონა და, როგორც საღი სათავე, დაუპირისპირა იმ ენას, რომელიც წიგნებში იყო ფეხმომტკიცებული, სხვადასხვა „თეორეტიკებით“ დამძიმებული და უსიცოცხლო“ (კოტეტიშვილი 1967: 25-26).

XIX საუკუნეში, როდესაც რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია და დაიწყო თავისი პოლიტიკის გატარება, ქართველ ერში ეთნიკური თვითშეგნების დაკარგვის საფრთხე დადგა, რის წინააღმდეგაც სამოღვაწეო ასპარეზზე **ილია ჭავჭავაძე** თავისი დასით (თერგდალეულები) გამოვიდა და მან პირიქით საერთო ისტორიით და კულტურით ეთნიკური თვითშეგნება გააღვივა. თანაც ისე, რომ XX საუკუნეში საქართველოში გაბატონებული კომუნისტური წყობის შემდგომ, საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენა სწორედ ილიას იდეებზე მოხდა. ჩვენ გავაანალიზებთ **ილია ჭავჭავაძის** პოლიტიკურ აზროვნებას, როგორც ისტორიულ მოვლენას XIX საუკუნის საქართველოში. ეს იყო უპრეცედენტო მოვლენა, რომელმაც გამოიწვია პოლიტიკური აზროვნების გარეშე დარჩენილ ქვეყანაში აზრის კვლავ აღორძინება – **„ადრიდა ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდა“.** ჩვენ შევეცდებით გავცეთ პასუხი კითხვებს: რა დამოკიდებულება ჰქონდა ილიას ქართველ ერში ფესვგადგმულ კომპლექსებზე? როგორი გამოვლინება ჰქონდა კუთხოვნობის პრობლემას ქართველ ერში?

ჩვენს მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის ძიებისას, ილიას პუბლიცისტიკიდან აღსანიშნავია, 1862 წელს ესკიზებისა და ფრაგმენტების სახით გამოქვეყნებული წერილები, საერთო სათაურით: **„ცისკარი“ 1857 წლიდან – 1862 წლამდინა“**, ასევე 1866 წელს დაწერილი წერილი სათაურით: **„ზოგიერთი რამ“**.

ყიზილბაშური და ოსმალური ბატონობის შედეგად დაბეჩავებულ ერს, რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში ადამიანისგან სიკეთის ჩადენა საკვირველად მიაჩნდა და ამის ჩამდენი მის თვალში დაცინვის საგანი ხდებოდა. ილია წერს: „მე ვიცნობ ერთ კაცს, რომელმაც სიმართლისათვის სამსახური დაჰკარგა, მაგრამ არც ერთმა ქართველმა ეს არ დაიჯერა, და იგი, სიმართლისათვის გამოგდებული სამსახურიდამ, საზოგადოებაში არამც თუ ნუგეშსა, შეურაცხყოფას პოულობდა“ (ილია ჭავჭავაძე 1953ბ: 451). ეს ერთი კაცი შესაძლოა ილია იყო, რომელიც სვამდა კითხვას „რატომ?“ და ცდილობს რეალურად შეაფასოს ქართველ ერში შექმნილი სიტუაცია. „თვითონ (ქართველი – გ. ქ.) რომ სიკეთეს გადაჩვეულა, სხვისგანაც სიკეთე აღარა

სჯერა; აღარა სჯერა, რომ დედამიწაზედ, საცა თვითონა სცხოვრობს და ათასი კიდევ სხვა მისი მსგავსი, აღარა სჯერა – რომ იმ დედამიწაზედ კაცი არის, რომელსაც სიკეთე სიკეთისათვის უყვარს, რომელსაც იმოდანა სულის ძალაცა აქვს, რომ თუ გაჭირდა, სიკეთისათვის თავსაც დასდებს“ (ილია ჭავჭავაძე 1953ბ: 451).

ქართული საზოგადოების დანამცეცებას და გაუცხოებას ილია ჭავჭავაძე რუსულ **ჭრიანტელს** ამსგავსებს, „როგორც ჭრიანტელს თავისი მასალა, ისე ჩვენს საზოგადოებას თავისი წევრნი ცოტად თუ ბევრად თავის გემოს აძლევენ, და არ ითქმის რომ ის გემო ერთობ გემრიელი იყოს. მწარეა, როგორც ხარდალი... ცივია, როგორც ყინული, მჟავეა, როგორც ძმარი, ფხიანია, როგორც თევზი და თევზივით პირუტყვი იმ ანდაზის ძალით, რომლითაც თევზი პირუტყვობაში თავს იმართლებს: პირი წყლით არა მქონდეს სავსეო, მეც ვილაპარაკებდიო“ (ილია ჭავჭავაძე 1953ბ: 451-452).

საუკუნეების განმავლობაში საქართველო მტრების შემოსევის ასპარეზი იყო. ძნელია მსოფლიო ცივილიზაციის დამპყრობელთაგან ჩამოთვალო ტირანები, რომელთაც საქართველოზე თავიანთი კვალი არ დაუმჩნევიათ, აქ მცხოვრებ ხალხს კი, რაღაც ღვთაებრივი ძალით, რომელსაც „უფლის წყალობა“ შეიძლება ვუწოდოთ ან სულაც, პირველი საუკუნიდან მოყოლებული „ღვთისმშობლის წილხვდომილობა“, გადარჩა. ქართველმა ხალხმა გაუძლო მსოფლიოს თითქმის ყველა დამპყრობლის ბატონობას, მაგრამ ამ ბატონობამ ქართველი ერი XIX საუკუნეში შეგუებამდე მიიყვანა, რის წინააღმდეგაც ილია ჭავჭავაძემ გაილაშქრა „ბედი რა არის? ბედს თვითონ კაცი ჰქმნის და არა ბედი კაცსა. ჩვენი თავის მტრები ჩვენ თვითონ ვართ, ამის აღვიარება ჩვენ გულს გვიძმარებს და ამიტომაც ყველაფერს ბედს ვაბრალებთ“ (ილია ჭავჭავაძე 1953ბ: 452). ილია, ერის მდგომარეობის შემფასებელი კითხვაზე „რათა ვართ ესე?“ პასუხობს: „იმიტომ, რომ ჩვენ აზრსაც, გრძნობასაც გადავჩვეულვართ. მერე ასე გადავჩვეულვართ, რომ ცოცხალი აზრი, პატიოსნური გრძნობა, უანგარო გულმხურვალება, თავგამოდებული ხალისი რომ ვნახოთ, ვერც კი ვიცნობთ. ეს კიდევ არაფერი, რომ ვერ ვიცნობთ: ავიღებთ და იმასაც ლაფში გავსვრით, იმ მიზეზით, რა მიზეზითაც დიდხანს ბნელს საპყრობილეში დამწყვდეული კაცი, როცა მზეზე გამოვა, თვალებზედ ხელს იფარებს, რადგანაც სინათლეს ისე გადაჩვეულა, რომ სინათლე თვალებსა სტკენს, და ამის გამო რაც ნათელია, ბრწყინვალე, იმას თვალების აფარებით აბნელებს“ (ილია ჭავჭავაძე 1953ბ: 453).

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ ყურადღებას ქართველი ერის შურისა და მტრობის კომპლექსებზე ამახვილებს. ისტორიულად, ქართველ კაცს უამრავი დამპყრობლის შემოსევისას მტრისგან თავის დასაცავად, თვითგადარჩენის ფსიქიკა ჩამოუყალიბდა, რისი გამოვლინებაც სამშობლოს ღალატი და მტრის ინტერესების დაცვა იყო. ილია ჭავჭავაძე შემდეგნაირად ხსნის: „ჩვენ არ ვამტყუვნებთ იმისთანა პირს, ყველგან ჩვენ გარშემო იგი ხედავს მხოლოდ მტრობას, შურსა, ღალატობასა, მოდი აქ და ნუ შეგიშინდება გული; ჩვენ მხოლოდ გვებრალება იგი, რომ ამაობაში ისე გაბეცებულა, რომ იქაცა შიშობს, სადაც შიში არ არის; იქა ხედავს შურს და მტრობას, სადაც გულწრფელი შენიშვნა არის სიკეთისაც და სიცუდისაც.“ აქვე ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის კიდევ ერთ კომპლექსს გამოჰყოფს, რომელსაც „ყიზილბაშობის“ სახელით ნათლავს, „გულის შემაზრზენი, კაცის ღირსების დამმდაბ-ლებელი პირფერობა, ურცხვი ტყუილი ქება, საძაგელი კლაკვნა და პირიდამ თაფლის დენა“ და თუ სხვაც, ასე არ მოიქცა „სულ ყველაფერი უზრდელობა და ლანძღვა ჰგონია“ (ილია ჭავჭავაძე 1953ბ: 456).

ილია ჭავჭავაძე შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებს, რასაც თეთრის და შავის გარჩევაში ხედავს, „რაც ადრე კაცს ჰგონებია დაურღვეველ ჭეშმარიტებად, ხშირად მოხდება, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია, ასე რომ კიდეც გვიკვირს, ადრინდელ კაცს როგორა სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე ჭეშმარიტებად, როგორ არა ჰქონია იმოდენა გონიერება და მხედველობა, რომ თეთრი და შავი გაერჩივა, თეთრისათვის თეთრი დაერქმია, შავისათვის – შავი“ (ილია ჭავჭავაძე 1953ბ: 462).

განსაკუთრებული სიმწვავით ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის დაქუცმაცებულობას და ურთიერთგაუცხოებას უსვავს ხაზს, როგორც სოციალურ ფენებს შორის „არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანი და უჩინონი – ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის, თავადს აზნაური სძულს, აზნაურს – თავადი, გლეხს – ორივე“ (ილია ჭავჭავაძე 1953ა: 74). ასევე ილია ჭავჭავაძე გამძაფრებული კუთხოვნობის თვითშეგნებაზე ამახვილებს ყურადღებას, ალბათ, სწორედ ეს უკანასკნელი კომპლექსი განსაზღვრავდა ქართველი ერის დანაწევრებას და სხვა ზემოთ ჩამოთვლილ მთელ რიგ-კომპლექსებს. კუთხოვნობის გამძაფრებული თვითშეგნება არის XIX საუკუნის ქართველი ერის ყველაზე საშიში კომპლექსი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ის საფუძველს ერთიანი ქართული სამეფოს დაშლიდან იღებს და გრძელდება 1907 წლამდე, იქამდე როცა

საქართველოში მოკლეს პუბლიცისტი, რომელიც წერდა: „ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანნი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელიღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა, რომელთაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში, თუ ლხინში, ერთად ძმურად უწნევია, რომელსაც ერთისა და იგივე ენით ჭირში უგლოვნია, ლხინში უმხიარულნია, და რომელიც დღესაც ერთისა და იგივე ენით – თუ არაფერს აკეთებს – თავის მოძმეს მაინც აბეზრებს ღმერთთანაცა და კაცთანაცა.

იმერელი, გურული, მეგრელი, ქართლელი, კახელი – ეს ცალ-ცალკედ მითვისებული, კერძოობითაც მიღებული, განმაყოფელი სახელები, ჩემის ზემოხსენებულის სიტყვის ცხადი მაგალითებია“ (ილია ჭავჭავაძე 1953ა: 75). არასრულფასოვანი ქართველობის კომპლექსი, რომელსაც შეიძლება „ჩურჩუტობაც“ კი ვუწოდოთ, XIX საუკუნის ქართული კუთხეების თითქმის ყველა წარმომადგენელში ცოცხლობდა. ასეთი კუთხეები, როგორც მაშინ, თანამედროვე მსოფლიოშიც ბევრ ქვეყანას აქვს, მაგრამ მათში, მხოლოდ ერთი კუთხეა ასეთი, მაგალითად: გერმანიაში – ბავარია, იტალიაში – სიცილია, საბრძნეთში – კრეტა და ა. შ. ეს ფენომენი ყველა ქვეყანაში ისტორიულად არის ჩამოყალიბებული, „იქ, სხვა ხალხში, სადაც თითეულს პირს თავის დამოკიდებულება თავის ხალხთან არ შეუწყვეტია და სისხლში და ხორცში გამჯდარი აქვს, იქ მაგისთანა სახელები შინაურობაში იხმარება ურთიერთის გასარჩევად და არა საქვეყნოდ, საგარეოდ. მარსელში მცხოვრებელი ფრანცელი, რასაკვირველია, ფრანციელსავე ეტყვის, მარსელი ვარო, მაგრამ უცხო ქვეყნელს კი ეტყვის, ფრანციელი ვარო. ეგ იმას ნიშნავს, რომ იგი შინაურობაში მარსელელია და გარეობაში – ფრანციელი. უხოსათვის ერთი იმათგანია, საცა ყველანი ამისათვის ცხოვრობენ და ყველასათვის თითონა ცხოვრობს...“ (ილია ჭავჭავაძე 1953ა: 75-76). მაგრამ ქართველ ერში ილია ჭავჭავაძემ ის პრობლემა შენიშნა, რომელიც სხვა ქვეყნების კუთხის წარმომადგენლებისგან „შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე“ მცხოვრებ ხალხს განასხვავებდა. „ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მახლობლებისათვის და არც უცხოსათვის. იმერელი – იმერელია, გურული – გურულია, მეგრელი – მეგრელია, ქართლელი – ქართლელია, და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან“ (ილია ჭავჭავაძე 1953ა: 76).

სიტყვა „ქართველი“ ადამიანთა კრებულის აღმნიშვნელი, რომელიც XIX საუკუნეში აღარ აღნიშნავდა „შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე“ მცხოვრები ხალხის ზოგად სახელს, ისე სიტყვა „მამულიც“ ადამიანთა კრებულის, ამ შემთხვევაში ერთი ერის განსახლების ადგილი, აღარ აღნიშნავდა ზემოთ აღნიშნული ხალხის საერთო ადგილს, ილია ჭავჭავაძე წერდა: „მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრისკაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზედ სადავო საჩივარია; მამულისათვის ძლევა-მოსილობა – მოგებული საქმის განაჩენის პირია, ჯეროვნად შემოწმებული; მამულის სიმაგრე – ტურუშული ღობეა, ვენახ გარშემო შემორტყმული; მამულის პატივი – ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულისშვილობა – მხვნელისა და მთესველია სახელიღაა“ (ილია ჭავჭავაძე 1953ა: 78).

ამრიგად, **XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ ქართველ ერში კომპლექსები გამოავლინა: სიკეთის ვერ შეცნობა, ბეთთან შეგუება, როგორც შურისა და მტრობის, ისე შავისა და თეთრის ვერ გარჩევა, „ყიზილბაშობა“ – პირფერობა. ეს ყოველივე ქართველ ერში, შექმნილი სიტუაციის გააზრებას უწყობდა ხელს და კუთხოვნობის თვითშეგნება გამძაფრებულ ქართველში ქმნიდა საფუძველს, საერთო ქართულზე ეფიქრა.** ბოლოს გვსურს **ვახტანგ კოტეტიშვილის** სიტყვებით დავასრულოთ: „მართალია, ილია ჭავჭავაძე ნაწილობრივად მსხვერპლი იყო საზოგადოებისა და მისი დიდი ჭკუა და უნარი ყოველმა დარგმა გაინაწილა იესო ქრისტეს კვართივით, რამაც რელიეფობა დაუკარდა მის გარკვეულ, თუმცა დაქსაქსულ ნააზრევს, მაგრამ მაინც მის აზრთა შინაგანი მთლიანობა საოცარია, აზრთა დამორჩილება და თავისუფალი დენა ხომ იშვიათია. ეს საუკეთესო მაჩვენებელია ფიქრის სიღრმის და გამძლე ცოდნისა. რა საკითხის შესახებ არ ამოიღო ხმა ილია ჭავჭავაძემ? მაგრამ ყველგან შესაფერი და მეტად მოფიქრებული პასუხი გასცა“ (კოტეტიშვილი 1959: 301).

§ 2. ნიკო ნიკოლაძე დასავლური სოციალური ღირებულებების თაობაზე

ნიკო ნიკოლაძის ინტერესი დასავლური სოციალური სისტემების მოდელებისადმი გამოხატულია მის მრავალ პუბლიცისტურ ნაშრომში. ის დასავლური

სოციალური სისტემის გააზრებისას ინდივიდუალიზმის საკითხზე ისტორიოგრაფიულ აზრს ანვითარებდა. ნიკო ნიკოლაძე სტატიაში **„რამდენიმე სიტყვა ერთი მეტად ძველი საკითხის გამო“** ევროპაში XVIII საუკუნის ბოლოდან დაწყებული რევოლუციის ტალღის საფუძველს **რეფორმაციაში** ხედავდა. მან კათოლიკური სამყაროს პოლიტიკური სისტემა აღწერა და კათოლიკური სამყაროს ხელისუფალნი მკაცრად გააკრიტიკა: „კათოლიკურ სამღვდელოებას, რომელიც თავის წარმოშობიდანვე ცდილობდა ქვეყნად განემტკიცებინა ქრისტიანობის შერყვნილი პრინციპების ბატონობა, როგორც ჩანს თავისი საქმეები ისე კარგად მიჰყავდა, რომ მოასწრო დაერწმუნებინა თითქმის მთელი ქვეყანა მოციქულთა მოადგილეების, ე. ი. **პაპების უცვლელობის ბრმა მორჩილებაში**. რაკი ხელში ეპყრა მთელი დასავლეთ ევროპის ახალგაზრდობის ზნეობრივი განვითარება, იგი სისტემატურად აჩლუნგებდა თავის აღსაზრდელთა ყველა ძალას, მათ ჯანსაღ აზრსა და აზროვნების შესაძლებლობას, განსჯას. ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანის ყველა ეს კუთვნილება სარწმუნოებრივ საგნებში შეცვლილი იქნა აღმზრდელთა განმარტებების ბრმა მორჩილებით. სამღვდელოებამ, რომელიც თავისთვის ასეთ ბრწყინვალე და სასარგებლო მდგომარეობაში იმყოფებოდა, ცხადია შესაძლო თავის აღსაზრდელებში და სულიერ შვილებში შთაენერგა გრძნობა **„არა იაზროვნეთ, არამედ ისმინეთ“**. ამის მიღწევა საკმაოდ ძნელი იყო: **მოაზროვნე, ე. ი. უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანი ხანდახან ვერ შეურიგდება იმ აზრს, რომელიც მას არამართებულად მიაჩნია...**

არცერთ ადამიანს, როგორი იდიოტიც არ უნდა ყოფილიყო იგი, არ შეეძლო არ ეგრძნო მაშინდელი საზოგადოებრივი უწესოება, მაგრამ მეორე მხრით, ვერცერთი ადამიანი, რაც არ უნდა ჭკვიანი ყოფილიყო იგი, ვერ გაბედავდა საჯაროდ გამოეთქვა უკმაყოფილება მაშინ გაბატონებულ უწესობაზე. ეს ცოტაა: ათასიდან ცხრაასოთხმოცდაცხრამეტ მცხოვრებს არა მხოლოდ ეშინოდა უკმაყოფილების გამოთქმისა, არამედ ცეცხლზე უარესად ეშინოდათ ეგრძნოთ უკმაყოფილება, განეცადათ იგი და ეღიარებინათ საკუთარი სინდისის წინაშე. ქვესკნელის მილიონი წამება ემუქრებოდა თავისი საშინელებებით მას მაშინდელი საზოგადოებრივი წყობის უცოდველობის წამიერ დაეჭვებისათვის.

...როგორც მაგალითად მათრახით, წამებით, გადასახლებით, კოცონით. **თავის სულიერ სამწყსოს უტენიდნენ თავებში, დასავლეთში, რომ ყველაფერი, რაც კი უსამართლოდ გეჩვენება, სამართლიანია, რომ ყველაფერი შავი თეთრია, ხოლო თეთრი**

შავია, და რომ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ეს ასეა და დადგენილია უმაღლესისაგან, ხოლო მიწიერ ურთიერთობათა ამ უმაღლეს დადგინებაში დაეჭვება მიდის იმ პატარა კარამდე, რომელზეც მსხვილად აწერია: „წარიკვეთე იმედი სამუდამოდ“...

... მაგრამ, ასე არ ფიქრობდნენ ისინი, ვინც ნათელი, მხიარული სახით წამებაზე მიდიოდა: ისინი ამბობდნენ, რომ ჩვენ, მართალია, ჩვენი რელიგიური რწმენისათვის უნდა ვეწამოთ, სამაგიეროდ ჩვენს შემდეგ გამოჩნდებიან სხვები, რომელნიც ჩვენს საქმეს განაგრძობენ, რომ ამ სხვებს მტერთა ინტრიგები, ვერაგობა და წამებანი ვერას დააკლებენ. უცნაური საქმეა - მართლაც ასე მოხდა: XV საუკუნის დასაწყისში გაჩნდა **იოანე ჰუსი** (იან ჰუსი - გ.ქ.), ხოლო XVI ს-ის დასაწყისში **ლუთერი** (მარტინ ლუთერი - გ.ქ.)“ (ნ. ნიკოლაძე 1962: 195-197).

ნიკო ნიკოლაძე რეფორმაციის ეპოქას სამი პრინციპით ახასიათებს:

1. უმეტესობას კათოლიკობისაგან ნაქადაგევი დებულებების ჭეშმარიტებაში დაეჭვების ეშინოდა.

2. მათ მიერ ნაქადაგევი **ძმობის პრინციპი** არ შეიძლებოდა პირადპირ გამომდინარე ყოფილიყო მაშინ გაბატონებული პაპის უფლებიდან.

3. **ცალკეული პიროვნების ბატონობის პრინციპი** იყო ძმობისაკენ გარდამავალი საფეხური.

ნიკო ნიკოლაძე სვამს მეტად საინტერესო კითხვას: „მკითხველმა შეიძლება იკითხოს: რა კავშირი არსებობს ჰუსსა თუ ლუთერსა და საფრანგეთის რევოლუციას შორისო? პირველთა მიერ მოხდენილი რეფორმაცია წმინდა რელიგიური იყო, მაშინ როცა საფრანგეთის რევოლუცია მიმართული იყო განსაკუთრებით წოდებათა უთანაბრობისა და ეკონომიური უთანასწორობის შერყევის და ნგრევისაკენ“ (ნ. ნიკოლაძე 1962: 198).

ნიკო ნიკოლაძე რეფორმაციისა და რევოლუციის წინამძღვრების შედარებისას ასკვნიდა: „პირველ შემთხვევაში რეფორმაციას, თუ მას სურდა გაემარჯვნა, უნდა დაენგრია მთავარი ძალა: მისი ბრმა მორჩილება მთელი კათოლიკური სამყაროში, ხოლო ამ ძალის დანგრევა შეიძლებოდა მიღწეული ყოფილიყო მხოლოდ საღვთისმეტყველო კამათის გზით. მეორე შემთხვევაში - რევოლუციას, რომელსაც სურდა მთელი ხალხის სოციალური უფლებები გაეთანაბრებინა, მოწინააღმდეგენი ჰყავდა აზნაურების, სამღვდელოების სახით, ე. ი. ყველა პრივილეგირებული კლასის სახით; ცხადია, აქ არ შეიძლებოდა მოქმედება საღვთისმეტყველო კამათით, აქ საჭირო

იყო სქოლასტიკურ მსჯელობებზე შედარებით უფრო მოქმედი და დამარწმუნებელი არგუმენტები“ (ნ. ნიკოლაძე 1962: 199).

ნიკო ნიკოლაძე სტრუქტურულ მსგავსებას ხედავდა და პარალელებს ავლებდა რეფორმაციასა და რევოლუციას შორის: „კათოლიკური სამყაროს მეთაურმა, პაპმა, შეწყვიტა ქრისტეს მოადგილეობა უკვე იმიტომ, რომ იგი მეფურად ცხოვრობდა, მაშინ როცა ქრისტეს საბრძანებელი „ამქვეყნიური“ არაა; გარდა ამისა, პაპებისა და კათოლიკე მღვდელების უპირატესობის ბოროტმოქმედებანი იმ დროს წარმოსდგებოდნენ ნაწილობრივ უქორწინო ცხოვრებისაგან, რასაც არ შეეძლო მოციქულებრივი მისიის განგრძობისათვის ხელი შეეწყო არა გარეგანი ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი ქ რ ი ს ტ ი ო ნ ო ბ ი ს გავრცელებისათვის, არამედ უბრალოდ, ქრისტიანული ძმური სიყვარულისა და რწმენის პრინციპისათვის, რომელიც პირველ მოციქულთაგან იყო ნაქადაგევი. პაპის ხელისუფლებამ, ე. ი. სამღვდელოებამ მიიღო მთელი უწინდელი იერარქია, თვით იერარქიულ საფეხურთა დასახელებათა შენარჩუნებითაც კი, ერის კაცთ წაართვა ყოველგვარი შესაძლებლობა თუნდაც საკუთარ საქმეებზე მსჯელობისა, ჩაერია უაღრესად პირადულ, ოჯახურ საიდუმლოებაში, მართავდა სინდისსა და საქციელს ერისკაცთა, რომელნიც ვერ ბედავდნენ, თუნდაც ფიქრში, განესაჯათ თავისი სულიერი მწყემსები.

ყველა ამასთან ერთად უნდა გავიხსენოთ სასულიერო პირთა საერთო მატერიალური სიმდიდრე, ერისკაცთა დიდი უმეტესობის წარმოუდგენელი სიღარიბე...

რაც შეეხება იმას, რომ ეკლესია, თავისი ზნეობრივი გავლენით ამართლებდა ყველა ამგვარ ძალდატანებას და არ ექომაგებოდა დაჩაგრულთ და მის მსგავსთ, მაშინ ეს გახსენებანი შეავსებენ საერთო სურათს, ისევე, როგორც გახსენებანი ინკვიზიტორებზე, ჯალათებზე, კოცონებზე და რომის მეუფეთა უცოდველობის მათ მსგავს არგუმენტებზე. ყველაზე მთავარი, რაც თვალში გვეცემა, არის მაშინდელი სოციალური დაწყობილობის მკვეთრი არათანაბრობა: ფეოდალური სისტემა, რომელსაც გილიოტინით თავი მოჰკვეთეს 89-92 წლებში, ალბათ იმისათვის, რომ რამდენიმე წლის შემდეგ აღმდგარიყო ბურჟუაზიის ახალი სახელით, ჰუსისა და ლუთერის საუკუნეში თავისი განდიდების სიმაღლეზე იდგა. საითაც არ გაიხედავდი, ყველგან ჩანდა ძალის ბატონობა სუსტებზე, გაიძვერობის წარმატება და მაშინდელი მოსახლეობის მთელი მასის მკაცრი წამება.

რას წარმოადგენდა რევოლუციამდელი ევროპის სურათი? იმასვე, რასაც რეფორმამდელი, იმავე სახით: კათოლიკური სამღვდელოების ისეთივე

აღვირახსნილობა, ძალის უპირატესობა, ყველას მოსყიდულობა, რადგან იგი ემსახურებოდა არა მშრომელთა სარგებლიანობას, არამედ თითქმის მხოლოდ და მხოლოდ მის მფლობელს; წამება, ტანჯვა, გადასახლება, სიკვდილით დასჯა - აი რა მოელოდა მაშინ იმას, ვისაც დაუსაბუთებლად დაასმენდნენ, რომ იგი არსებული წყობილების გამო უმნიშვნელო სიტყვიერ უკმაყოფილებას გამოთქვამს“ (ნ. ნიკოლაძე 1962: 199-201).

რევოლუციის არსის უკეთ შესაცნობად ნიკო ნიკოლაძე მეტაფორას მიმართავდა: „ჩვენ არ გვექნება წარმოდგენა შენობაზე, თუ არ ვიცით, რა მასალისაგან არის იგი აგებული; სწორედ ასევე, რევოლუციის საქმე არამკაფიოდ იქნება გამოსახული, თუ არ დავინახეთ, თუ როგორი იყო რევოლუციამდელი პერიოდის, ჰუსის გამოჩენიდან 1792 წლის რევოლუციამდე, მოღვაწეთა წინასწარი სამუშაო“ (ნ. ნიკოლაძე 1962: 201).

ნიკო ნიკოლაძის აზრით: „იოანე ჰუსი და მისი პარტია დამარცხდნენ იმიტომ, როგორც ვთქვით, რომ ჯერ არ იყო დრო დამდგარი ძმობის ქადაგებისათვის, რომ ეკლესიის უფლების ავტორიტეტისაგან უნდა წარმოშობილიყო არა ძმობის, არამედ პიროვნების ბატონობის, ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ი ზ მ ი ს პრინციპი“ (ნ. ნიკოლაძე 1962: 202). ავტორი დაასკვნის: „რეფორმაცია შეეხო საზოგადოების მხოლოდ იმ ფენებს, რომელთათვისაც ინდივიდუალიზმის პრინციპს არსებითი სარგებლობა მოჰქონდა; აი რატომ ჩასჭიდა ხელი ლუთერის მოძღვრებას მთელმა საშუალო კლასმა, მთელმა ბურჟუაზიამ. სოფლის მოსახლეობა უღრმეს უვიცობაში ჩაფლული, არსობითი პურის ლუკმისათვის მზრუნველი, განყენებულ თეოლოგიურ კამათში იოტის ოდენა სარგებლობასაც ვერ ხედავდა, იგი ზრუნავდა მხოლოდ იმაზე, რომ მარჩენალი მიწა არ წართმეოდა. ამაში მდგომარეობს არსებითი განსხვავება საფრანგეთის რევოლუციისა რეფორმაციისაგან. დაბალი კლასის მთელი მასა, ანდა როგორც ზებელი ეძახის, შავი ხალხი, მისი მდგომარეობის მაშინდელ პირობებში ხარბად მოეკიდა რევოლუციას; იგი ხედავდა, რომ მასთან იყო დაკავშირებული ყველა თავისი ინტერესით, რომ იგი ანიჭებს მას არსებით სარგებლობას, მაშინ, როცა საფრანგეთის საშუალო კლასი გულგრილად ეკიდებოდა რევოლუციას, ლაფაიეტსა და მირაბოსთან ერთად წესიერების აღდგენისათვის, კ ა ნ ო ნ ი ე რ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ს ა მ ე ფ ო ს ა თ ვ ი ს, მშვიდობისათვის ზრუნავდა. თავისთავად ცხადია, რომ ფრანგი ხალხის დაბალი ფენა, ე. ი. სოფლის მკვიდრნი და ქალაქის მუშები რევოლუციის საქმეს ისე გულცივად და პასიურად ვერ მოეკიდებოდნენ, როგორც რეფორმაციის საქმეს ეკიდებოდა უმაღლესი

კლასი და პირიქით, ფრანგმა საშუალო კლასმა იგრძნო, რომ რევოლუცია მისთვის არ ხდება და მას უნდა მოჰკიდებოდა არა ისე მხურვალედ და აქტიურად, როგორც საშუალო კლასი ექცეოდა რეფორმაციას“ (ნ. ნიკოლაძე 1962: 202).

ნიკო ნიკოლაძემ სტატიაში: „პრუდონის გარდაცვალების გამო“, რომელიც 1865 წელს დაიბეჭდა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ფრანგი ეკონომისტის პრუდონის ყოველდღიურ პოლიტიკურ გაზეთზე „ხალხის წარმომადგენელი“, „ხალხი“ და სხვ.

ნიკო ნიკოლაძეს ჟოზეფ პრუდონის ცხოვრებითა და მოღვაწეობით, როგორც ჩანს აღფრთოვანებული იყო. „დასაფლავების დღეს დილით მის ბინაზე გახვრეტილი გროშიც კი არ აღმოჩნდა. პრუდონის მეგობრები და ნაცნობები იძულებული იყვენ ერთმანეთში მოეგროვებინათ მისი დასამარხი ფული. რადგანაც დრო ძალიან ცოტა რჩებოდა, ფრანკ-მასონთა საზოგადოებამ გაიღო სესხი კუბოს საყიდლად და ბალდახანის საქირავებლად, გასვენების დროს ქუჩა გაიჭედა აუარებელი ხალხით, რომელიც ჟურნალისტების, ლიტერატორების, მეცნიერების, სტუდენტებისა და მუშებისაგან შესდგებოდა“. აქვე აღნიშნავს: „პრუდონი თავიდანვე მწვავედ გრძნობდა საფრანგეთის საზოგადოებრივი წყობილების მთელ სიმძიმეს: პროლეტარის შვილს, ათი წლის ასაკიდან იძულებულს საკუთარი შრომით ერჩინა თავი და მოხმარებოდა ოჯახს, მაინცდამაინც არ უნდა ყვარებოდა არსებული წყობილება...“

ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულება დასავლური სოციალური სისტემების მოდელისადმი კარგად ჩანს წერილში: „ივნისის დღეები ტფილისში“, რომელიც 1865 წელს დაიწერა. ის გაოცებას ვერ მალავს როცა ერთმანეთს ადარებს დასავლეთში და რუსეთის იმპერიაში სოციალური დაჯგუფებების შექმნის პროცესს. დასავლური პოლიტიკური პარტიების მრავალფეროვნების მიზეზს საზოგადოებრივი და ეკონომიური მდგომარეობის განსხვავებაში ხედავს. რის საწინააღმდეგო პროცესიც რუსეთის იმპერიაში და საქართველოში მიმდინარეობდა „საფრანგეთში ხომ იმას მაინც ვერ ვხედავთ, რომ მუშებს კავშირი შეეკრათ კაპიტალისტებთან, გლეხებს - მიწათმფლობელებთან“.

საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის მიერ ევროპელი და ქართველი მუშის ოჯახის შედარება: „ევროპელ მუშას ოჯახი ჰყავს, ეს ოჯახი მას, მართალია, მძიმე ტვირთად აწვება, მაგრამ ხშირად ჭირ-ვარამსაც უქარვებს. ცოლშვილი ქართველ მუშასაც ჰყავს, მაგრამ „ცხრა მთას იქით“. ცოლშვილის რჩენის სიმძიმე მას აწვება: თუ მუშის ოჯახი არ

მოიხდის ბატონის ბეგარა ვალდებულებას, ბატონი მის შვილებს მოჯალაბეებად წაიყვანს; ოჯახური ცხოვრების კარგ მხარეს კი ის მხოლოდ მოგონებით იცნობს...“ ასევე ქართველი და ევროპელი მუშის პირობების შედარებისას ხაზს უსმევს სამართლებრივ საფუძველსაც, რომლის მიხედვითაც ევროპელს მეტ უპირატესობა აქვს ქართველთან შედარები ეკონომიური განვითარებისათვის: „ევროპელ პროლეტარს იმედი მაინცა აქვს, რომ გაჭირვებულ მდგომარეობას თავს დააღწევს; იგი იმედოვნებს თავისი პატრონის, ან ამხანაგების ნდობა მოიპოვოს, ასე თუ ისე დამოუკიდებლად მოეწყოს, თითო-ოროლა კაპიკი გადაარჩინოს; მან იცის, რომ თუ კანონმდებლობა არ მფარველობს მის მეცადინეობას, არც დიდ წინააღმდეგობას უწევს; ამ კანონმდებლობის ბატონობის დროს ამა თუ იმ ინდივიდუუმს შეუზლია თავისი მდგომარეობა ისე შეცვალოს, რომ დიდი შეტაკება არ დასჭირდეს ხელისუფლების წარმომადგენლებთან. საქართველოში არაფერი ამის მსგავსი არ არის; კაცს, რომ ჯიბეში თანხა ელაგოს კიდეც, წარმატება მაინც ძნელია; ამას ხელს უშლის არა მარტო მთავრობის თავნებობა, არამედ კანონმდებლობაც, რომელიც მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს გფარველობს, დანარჩენებს კი ხელ-ფეხს უბორკავს“.

§ 3. გიორგი წერეთელი დასავლური სოციალური ღირებულებების თაობაზე

გიორგი წერეთელი დასავლური ღირებულებებისა და განსაკუთრებით სოციალური სისტემების გააზრების შედეგად კითხვაზე - რა არის ბედნიერება? ასკვნიდა: „ერთი კაცის ბუნების მოთხოვნილებათაგანი არის ბედნიერების ძებნა. ყველა კაცს ბედნიერება ჰსურს თავის თავისთვის და მუდამ იმას ელტვის, რომ კარგა იცხოვროს; მაგრამ რარიგად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს ეს წადილი და თითონ ცხოვრება! ეს მაკვირვებს, რომ კაცს ბედნიერად ჰსურს ცხოვრება და თვის საქმით უბედურათა სცხოვრობს. მაშინ, როდესაც კაცი ნეტარების წყაროს უნდა დასწაფებოდა, სიცოცხლეში ის იტანჯება, იბრძვის და მაინც ვერა გაუწყვია რა. მაგრამ ამ ტანჯვამ და მწუხარებამ მაინც ვერ დაუჰხშა კაცს ბედნიერების სურვილი. როდესაც დაინახა ეს სიცოცხლე სრულებით უკუღმართად არის შექმნილი, იმან რაღაც ოცნებაებს მიჰყო ხელი და თავის თავში ააშენა ის ციხე-დარბაზები, რომლებიც სიცოცხლეში ვერა ნახა.

ზოგი მთელს თავის სიცოცხლეში საფუძველზე ჰფიქრობს, ზოგი გამოიხატავს გონებაში მომავალს კაცობრიობის ბედნიერებას, ზოგი ბრამაში ჩაღმავდება, ზოგი სულ იმას ნატრობს, რომ ეღირსოს ელიას ეტლში ჩაჯდომა, ზოგი წარმოიდგენს მშვენიერს წალკოტს, ყოველის სურნელებით და ხეხილოვანებით სავსეს და მიეცემა მერე რაღაც იდუმალს გამოურკვეველს ტკბილს ფიქრებს, პირს იტკბარუნებს, თითქო ეს არის ეხლა დაეწაფაო ნეტარებას, მინამ შეუბრალებელი ცხოვრება არ მოაგონებს რომ იმას ორი გროში არა აქვს პურის საყიდელად - და ესე გაჰქრება ის მშვენიერი ჩვენება, რომელიც მწუხარების მეტს არას დააჩნევს იმის გულს. აქედან სჩანს, რომ კაცს მართლაცა აქვს ჩანერგილი ბუნებაში ბედნიერების ძებნა და ეს მოთხოვნილება ღრმა და ამოუფხვრელია, მაგრამ კაცობრიობა ჯერ იქამდის არ მისულა, რომ თავის მოთხოვნილებაები დააკმაყოფილოს. გაუნათლებლობის გამო ის ყოველთვის თავის ბუნებითი კანონების წინააღმდეგ მოქმედობს და ამ სახით თავის თავზე ჯოჯოხეთს უშენებს სამოთხის მაგივრად. აქამდის კაცი ძალიან ცოტას ფიქრობდა თავის მდგომარეობაზედ“ (გიორგი წერეთელი 1931გ: 127-128).

1. გიორგი წერეთელი ქართული საზოგადოების შესახებ. გიორგი წერეთელი ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის შესახებ **ნიკო ნიკოლაძისადმი** მიწერილ წერილში (1874 წ.) აღნიშნავდა: „ჩვენმა საზოგადოებამ იმ მდგომარეობამდის მიაღწია, როდესაც (ხუნდაძე 1949: 120). მას უმთავრესი ბურჯის იმედი დაეკარგა და სცნო მტკიცეთ თავისივე ხელით თავის ბედის წარმოება. იმას დაეკარგა რუსეთის ჯამაგირის იმედი, იმისგან ლუკმის ძლევის იმედი და ახლა თვითონ აპირებს თავის ლუკმის მოპოებას. ეს პერიოდი იმ ხალხის ცხოვრებაში, რომელიც გარემოებით უფრო ძლიერ ხალხის ხელში ჩავარდნილა, ნამდვილათ აღდგინების პერიოდია, ჩვენი ახალგაზდობა მოცილდა ჩინოვნიკობის გზას, ის დაადგა თავისუფლათ პოსაპოებელ ლუკმის გზას. ეს პერიოდი აღინიშნა იმითი, რომ ახალგაზრდობამ განათლების ძიებაში გზა შესცვალა, ეს იგი ჩრდილოეთისკენ მიმავალი გზა დააგდო და დასავლეთისკენ გაიკვეთა. რასაკვირველია, ამითი განათლების და მოქალაქობის წარმატებამ ერთი ორათ იმატა ჩვენ საზოგადოებაში; მაგრამ ამ მიმართულებას ჩვენი ქვეყნის ბუნება ხო მარ გამოუცვლია, ორგანიზმები იგივე დარჩენ. ნაციის ინდივიდუალობა, იმისი ბუნებითი ძალა ჯერ იგივეა, რამდენიმე ძველსა და ახალგაზრდობაში უწინ იყო მეტნაკლებობა ღირსებით, ახლაც ის არის. უწინაც ყოფილან ჩვენს ცხოვრებაში გიჟი დონკიხოტები და ახლაც არიან, მაგრამ მასსა, როგორც ყოველს ხალხში, საკუთარი პირადი სარგებლობის

მაძიებელი სანჩო ყოფილა, ჩვენშიაც ეგრეთია. ეს მასსა არის საშუალო ნაციის ძალა, იმისი ინტენსივობა, იმის ხვავი, სიმაგრე, ჩვენ თუ გვინდა ჩვენს ქვეყანას სარგებლობა იმდენი მოუტანოთ, რამდენიც შეგვიძლია, კარგათ უნდა ვიცნობდეთ ამ მასსას. ეს მასსა თავის საუკეთესო კაცებს სდევნის. ასეა იმისი კანონი, იმას არ უყვარს გაჭირებაში ჩავარდნა, იმას უყვარს შეუშფოთებელი ცხოვრება და ვინც გაბედავს ამ ცხოვრების აშფოთებას უფრო დიდი მომავალი ბედნიერებისათვის, ის ამ მასსას მტრათ მიაჩნია. ამ მასსას ახლა ევროპის ქვეყნებში ჰქვია ბურჟუაზია, უწინ ერქვა არისტოკრატია და სულ ძველათ ინდოეთში ბრამინის წოდება. ჩვენში კი ამ მომავალი მასსის კვერცხები გახლავთ ჩვენი ახლანდელი ახალგაზრდობა, რა კუთხეშიაც კი არიან, ჩვენში იყოს თუ რუსეთში, თუ საზღვარსგარეთ, სულერთია, ესენი ცხადათ ხედვენ თავის ცხოვრების გზას, რომელიც მდგომარეობს ჩვენი ქვეყნის თავისუფალი ძალის ექსპლოატაციაში. თავის სასარგებლოთ. ღასაკვირველია, რომ ეს მასსა შენისთანა ქვეყნის ამშფოთებელს – მტერს დაუძახებს, რომლისთვისაც სანდო ამ ქვეყანაში არა არის რა“ (ხუნდაძე 1949: 121).

გიორგი წერეთელი ევროპაში უმაღლესი განათლების მისაღებად წასული ქართული საზოგადოების მცირე ნაწილის შესახებ წერდა: „ყმაწვილები ვნახე და მეტი არ შეიძლება ისე კმაყოფილი დავრჩი, ყველანი კარგათ არიან. ითმენენ ბევრს გაჭირვებას უფულობის გამო, მაგრამ წარმოიდგინე, ისე მხიარულათ არიან, თითქოს ეს მუდამი გაჭირება იმათ უფრო ახალისებს, თითქოს ასე ამბობენ: ეს რა გაჭირებაა ჩვენთვის, ჩვენ გახურებულ საკირეში რომ ჩაგვყარო, მაშინაც იმ ებრაელ ყმაწვილებსავით ვიგალობებთო, რომელნიც ნაუქოდონოსორმა ჩაყარა გავარვარებულს საკირეში თავის აზრებზე მტკიცედ დამყარებისათვის. ჩემი აზრით ყველანი სამაგალითონი არიან“ (ხუნდაძე 1949: 113).

2. გიორგი წერეთელი დასავლური განათლების სისტემის შესახებ. გიორგი წერეთელი დასავლური განათლების სისტემის შეფასებისას წერდა: „რა არის სწავლა? სწავლა არის ბუნების კანონების ცოდნა; სწავლა არის გამოკვლევა იმისი, თუ რა მიზეზებიდგან რა შედეგი წარმოსდგება; თუ რა კანონები ჰმართვენ სხვადასხვა მოვლინებაებს. მაშასადამე, თუ კაცი ნამდვილად ნასწავლი და განათლებულია იმან იცის (რამდენადაც ეხლა ამის ცოდნა შეიძლება) ბუნების კაონონები; მაშასადამე იმასა აქვს ბუნების ცოდნა და რადგანაც თითონაც ბუნების ნაწილს შეადგენს, იმას აქვს თავის თავის ცნობაც. აქედამ სჩანს, რომ კარგათა სცნობს თავის სიცოცხლის კანონებს, და

თავის მოთხოვნილებაებს - იმას უყვარს თავისუფლება, თავისი მამულიც (რადგანაც ეს თავის-დაცვას მიეწერება) და შეჰხარის ყოველს კეთილს, რასაც კი შეჰნიშნავს თავის გარეშემო. რათა? იმიტომ, რომ იმან იცის, რომ სხვის ბედნიერება იმისი საკუთარს ბედნიერებას შეადგენს, რომ თუ მრავალნი ბედნიერები იქნებიან, ისიც ამათში უბედნიერესი იქნება და ამ სახით ამაღლდება იმ პათოსამდი, რომ ამ ნიუტონობას ან შექსპირობას ან ოვენობას დაიწყებს, ის მიაღწევს იმ ნათელს და მაღალ თავის-ცნობამდის, საიდგანაც დაინახავს პირველს მზის სხივებს, რომელიც მომავალში აღმოუბრწყინდება ახალს ქვეყნიერებას, სადაც გონებას, სიმართლეს და სიკეთეს დაუსუფევებია...“ (გიორგი წერეთელი 1931გ: 130).

გიორგი წერეთელი დასავლური ღირებულებებისა და განსაკუთრებით განათლების სისტემის ქართულ საზოგადოებაში განვითარების შესახებ წერდა: „ჩვენ ველით განათლებასა, წარმატებასა; გვგონია დავცდით დასავლეთის ხალხსა; ვეჩქარებით, ვუმატებთ სიარულსა, რომ წამოვეწივნეთ იმათა. დავჭიმეთ ტელეგრაფები, რომელიც ერთ წუთში გვასმენს მთელი ქვეყნის ამბავსა; დავიწყეთ რკინის გზა. ხალხიცა და საქონელიც სწრაფად მიმავლობენ სხვა და სხვა ქვეყნებში; ვაჭრობა ჩვენი გაიხსნა საქვეყნოთ; საზღვარს გარეთ საქონლის გატანა და იქიდამ მოტანა გავრცელდა. ამ ორმოც-სამოცის წლის წინათ რა იცოდნენ ჩვენთა წინაპარტა, რომ განათლების ნაყოფი ასე გავრცელდება ჩვენში და ცხოვრებაც გამოიცვლება“ (გიორგი წერეთელი 1931ე: 276).

3. გიორგი წერეთელი თანასწორობის შესახებ. „სახალხო პროგრესი თვითოეული პირების პატიოსნებაში, მხნეობაში და შრომის მოყვარეობაში მდგომარეობს, და ნაციონალური უძლურება არის შედეგი ამ კერძო პირების სიზარმაცისა, თვით-მოყვარეობისა და ბიწიერებისა. ის საზოგადო მოვლენები, რომლებსაც ჩვენ ვკიცხავთ და ვეძახით უდიდესს საზოგადო წყლულს, ხშირად ჩვენი საკუთარი ურიგო ცხოვრებიდან წარმოსდგებიან და რამდენიც უნდა ვეცადნეთ, რომ სჯულის შემწეობით ისინი მოვსპოთ, მაინც კიდევ ეს უბედურობანი გამოიჩენენ თავს ახალი ძალით, უკეთუ თვით ჩვენი ცხოვრება და ხასიათი თავის საფუძველში სრულიად არ გამოიცვლება. თუ ამ შეხედულებას მივიღებთ, მაშინ პირდაპირ ამის შედეგი ის იქნება, რომ მამულის-მოყვარეობა და კაცთ-მოყვარეობა დამყარდება ხალხში უფრო კერძო პირების თავისუფალი და დამოუკიდებელი მოქმედებით, რომელსაც მიზნად ექნება თავისი სიცოცხლის გაუმჯობესება და გონების წარმატება. და არა სჯულის გამოცვლით და სახელმწიფოს დანწყობილების გაუმჯობესობით“ (გიორგი წერეთელი 1931დ: 140).

4. გიორგი წერეთელი ინდივიდუალიზმის შესახებ. ინგლისის ეროვნული სახელმწიფო წყობის მთავარ სიძლიერედ **გიორგი წერეთელი** დამოუკიდებელი და თავისუფალი საზოგადოების არსებობას მიიჩნევდა: „ამ გვარი სული თვითმოქმედებისა, რომელიც მიაჩვევს, კაცს, რომ ჰქონდეს იმედი თავის საკუთარს ძალაზედ და რომელიც გამოიჩენს თავის კერძო პირების მხნე და დაუდგრომელ მოქმედებაში, არის ნიშანი ანგლიელების ხასიათისა და არის ზომა იმათი ნაციონალური ძლიერებისა. იმათ ყოველთვის ჰყვანდათ იმისთანა პირნი, რომელნიც უბრალო ხალხზედ მაღლა იდგნენ და რომელთაც საზოგადოება დიდს პატივს სცემდა; მაგრამ ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ანგლიის ხალხმა არას დროს არ უნდა დაიდუმოს სხვა პირების ღვაწლიც, თუმცა ისინი არ ყოფილან ისეთ რიგათ შესანიშნავნი. ასე კიდევ რომელიმე ომის ისტორიაში მოხსენებულნი არიან გენერლები, და იმ სალდათების სახელი კი დავიწყებულია, რომელთაც თავისი გმირობით დასძლიეს მტერი და მიუმკვიდრეს მამულს თავისუფლება და თვითმყოფობა. სიცოცხლე შეიძლება შევადაროთ სალდათების ბრძოლას, რადგანაც უდიდესი მოქმედი (деятель) კაცები თითქმის დაბალი წოდებიდგან წარმოსდგებიან. ჩვენ ახლა არ ვიცით და არც კი გაგვიგონია სახელები მრავალი პირებისა, რომელთაც თავის სიცოცხლეში დიდი გავლენა ჰქონდათ ხალხის კეთილდღეობაზედ და იმის წარმატებაზედ. მაგრამ ეს არაფერია. რაც უნდა იყოს ქვეყნის ბედნიერებაზედ და კეთილდღეობაზედ ყოველს კაცს აქვს გავლება, რომელიც კი თავის შრომის მოყვარეობით და მაღალის სამართლით აძლევს სხვებს კეთილს მაგალითს; იმის ცხოვრებას და ხასიათს სხვანი შეითვისებენ და მომავალში ახალის შთამომავლობისთვის ნათელს კვალს დაარჩენენ (გიორგი წერეთელი 1931დ: 142).

ინგლისის მაგალითზე **გიორგი წერეთელი** ინდივიდუალიზმის მნიშვნელობაზე ამახვილებდა ყურადღებას: „...განათლებული და პატიოსანი პირების ცხოვრების აღწერა (ბიოგრაფია) მეტად სასარგებლოა სხვებისთვის, რადგანაც უბრალო კაცი იმათი მიხედვით გამხნევდება და კეთილ გზას დაადგება. ზოგიერთი იმათგანი ისე სამაგალითონი არიან, როგორც სახარების მქადაგებელნი, რადგანაც ესენი ასწავლიან ხალხს კარგს ცხოვრებას და ენერგიულს მოქმედებას თავისი და საზოგადო სარგებლობისთვის. ანგლიის ხალხში იპოვებიან მრავალი იმისთანა პირნი, რომელნიც ჩვენთვის მაგალითები არიან, რადგან ისინი დაჯერებულნი იყვნენ თავის თავის ძლიერებაში, მუდამ ერთს მიზანს ევლტოდნენ, დაუცხრომლათ მოქმედებდნენ და

პატიოსნად ცხოვრობდნენ. ანგლიელი მშრომელი და პატიოსანი პირების ცხოვრებაში კაცი ნათლად დაინახავს, თუ რა ღონისძიება უნდა იხმაროს კაცმა, რომ თავისი თავი წარმატებაში შეიყვანოს. იმათი ბიოგრაფიებიდამ ცხადათა სჩანს, რა ნაირი მტკიცე რწმუნება აქვთ იმათ თავის შეძლებაზედ და რა რიგი პატივისცემა თავისთავისა. ამათი ბიოგრაფიების წამკითხველი კაცი სცნობს, რომ კაცს მარტო შრომით შეუძლიან ამაღლდეს საზოგადოებაში და პატივცემული გახდეს (გიორგი წერეთელი 1931დ: 142-143).

გიორგი წერეთელი მოლიერის „ძალით ცოლის შერთვა“ („ცოლის შერთვეინება“ - გ.წ.) შეფასებისას წერდა: „ანგარების მოყვარე და უპირო კაცი შეიძლება ფრანცუზიც იყოს, ანგლიელიც და ქართველიც. ცრუობა და ცრუმორწმუნეობა ფრანციაშიც და საქართველოშიც ერთსა და იმავე გარემოებაში იბადება. დიდის ნიჭის მწერალი კაცი ნაკლულევანებას და ხალხის ცხოვრებას ძლიერ ღრმათ უყურებს. ამის გამო საზოგადოების ცხოვრებაში ის იმისთანა შემთხვევას მოსძებნის ხოლმე, რომ ამ შემთხვევაში ანუ მოვლენაში უმთავრესი ნაკლულევანება და ბოროტება კაცს ცხადათ თვალის წინ წარმოუდგენს. რამოდენათ მწერალი უფრო ღრმათ შეეხება ცხოვრებას, იმოდენათ იმისგან გამოყვანილს სურათში ნათლად დაინახავს მაყურებელი თავის თავს. ამ გვარი მწერლისაგან გამოჩენილი ნაკლულევანება ეკუთვნის მთელს ქვეყნის ხალხს და ამ შემთხვევაში თვით მწერალიც საქვეყნო ჭკუის მასწავლებელი შეიქნება“ (გიორგი წერეთელი 1931ლ: 46).

გერონტი ქიქოძე გიორგი წერეთლის შესახებ წერდა: „...საზოგადოებრივი ცხოვრების მიუდგომელმა მემატიანემ, გიორგი წერეთელმა აღნიშნა ყველა ის ძირითადი პროცესი და თვალსაჩინო მოვლენა, რომელმაც ქართულ საზოგადოებაში თავი იჩინა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე: თავადაზნაურობის შეშფოთება ბატონყმობის მოსპობის წინა დღეებში, ამ მოწოდების ქონებრივი და ზნეობრივი დაქვეითება რეფორმის შემდეგ, ნორჩი ქართული ბურჟუაზიის ფეხის ადგმა და წაბორძიკება, დემოკრატიული ინტელიგენციის ებოლუცია, მუშათა კლასის პირველი გამოსვლა. ამ მღელვარე ეპოქის ობიექტურად და რეალისტურად ასახვის თვალსაზრისით მას ვერც ერთი მისი თანამედროვე მწერალი ვერ სჭარბობდა. მას ახასიათებდა აზროვნების პატიოსენბა, ის არ უფრთხობდა ცხოვრების ტლანქი და ვულგარული მხარეები გამოემჟღავნებინა, დაუნდობელი და გაუმაძღარი ონავრების ბრძოლა ეჩვენებინა. მაგრამ მათ გვერდით ის ხატავდა მეოცნებე ადამიანებსაც,

რომელთაც თითქო სხვა უფრო ბედნიერი და სრულყოფილი ქვეყნის ხილვა ჰქონდათ“ (ქიქოძე 1963: 182).

დასკვნა. გიორგი წერეთელი. გიორგი წერეთელი ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრონების ისტორიაში გამორჩეული ფიგურაა. მან გარდა პუბლიცისტური მოღვაწეობისა, დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა. პოლიტიკური თვალსაზრისით, ის ორიენტირებული იყო XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ საზოგადოებაში გაბატონებულ ფქისო-სოციალურ საკითხებზე. მისი ყურადღების ცენტრშია ჩამოყალიბების გზაზე მდგარი ქართული კაპიტალისტური საზოგადოება, რომელიც რუსიფიკატორული პოლიტიკის მსხვერპლი იყო. ის თავისუფლების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის ღირებულებებს, ღიად, გადატანითი მნიშვნელობით და ქვეტექსტების სახით ავრცელებდა, რაც სამოქალაქო საზოგადოების შემნის გარანტორი იყო.

ზოგადად, **გიორგი წერეთლის** დასავლური ღირებულებებისადმი და მათ შორის პოლიტიკური სისტემებისადმი შეხედულება შეიძლება მისივე სიტყვებიდან გავიაზროთ: „ბევრსა ჰსურდათ კაცობრიობის გამომხსნელად გამხდარიყვნენ, მოიგონეს ერთი რამ აზრი, რომელიც იმათი ფიქრით გააბედნიერებდა მთელს ქვეყანას და მერე გინდა თუ არ გინდაო ეს აზრი უნდა აასრულოო. ამგვარი ხასიათი ჰქონდათ მომეტებულად იმ აზრებს და თეორიებს, რომლებიც კაცობრიობას ბედნიერებას ჰპირდებოდნენ. იმ აზრებში მხოლოდ ის აზრი არის ცხოველი და გამოსადეგი ყოველის მხრით, რომელიც ითხოვს ხალხის განათლებას, მხოლოდ ამ აზრის აღსრულება შეიძლება და მხოლოდ ამას შეუძლია კაცობრიობის გაბედნიერებაც“ (გიორგი წერეთელი 1931ბ: 129).

ეკონომიკური თვალსაზრისით, ის აქტიურად გამოდიოდა დაყმევებული გლეხების გასათავისუფლებლად, მათი უფლებების დასაცავად, თანასწორობის დასაცავად ყოფილ ბატონსა და ყმას შორის, საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად (რაც თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკების დაარსებაში გამოიხტა), კაპიტალის თანასწორობის შესაქმნელად.

გიორგი წერეთელი ქართველი საზოგადოების განვითარებისათვის ყოველმხრივ ხელსაყრელ გარემო პირობებზე მიუთითებდა. ის ქართველობას შომისა და ფიქრისკენ მოუწოდებდა: „ჩვენი მხარე ბუნებას შეუმკია ყოველისფრით, ყოვლის ნაყოფიერებით. კახეთი, იმერეთი, ქართლი სწორეთ სამოთხეა; ბევრი ქვეყანა არ არის ხმელეთზედ, რომ

ამათ შეედრებოდეს. ამასაც არ ვიტყვი, რომ ზარმაცნი ვიყვნეთ: ჩვენ ვშრომობთ, მაგრამ ჯერ არ ვიცით, როგორ უნდა ვიშრომოთ, რომ ჩვენი შრომა ისევ ჩვენს ხელში დარჩეს; არც ეს ვიცით, როგორ უნდა ვისარგებლოთ ეს შრომა, რომ ჩვენც შევიძინოთ და სხვებსაც შევძინოთ. ეს გვაკლია ჩვენ; ამაზედ უნდა ვიფიქროთ, ამას უნდა ვეცადოთ (გიორგი წერეთელი 1931: 61).

§ 4. სერგეი მესხი დასავლური სოციალური ღირებულებების თაობაზე

სერგეი მესხი განათლების სისტემის თაობაზე

სერგეი მესხს განათლების თაობაზე მრავალი წერილი აქვს გამოქვეყნებული. მისი ყურადღება მიპყრობილი იყო დასავლური განათლების სისტემებისადმი და **გაზეთ „დროებიდან“** ქართულ საზოგადოებას მოუწოდებდა სასოფლო სკოლების შექმნისკენ. ერთ-ერთ სტატიაში **„სასოფლო შკოლები“** ის წერდა: „ხალხის განათლება ისეთი საქმეა, რომელსაც არა თუ ჩვენისთანა გაუნათლებელი ხალხი, თვით უგანათლებულესი ევროპის ქვეყნებიც უმთავრეს ყურადღებას აქცევენ ამ ჟამად, რადგან იციან, რომ ეს განათლება არის ერთი უპირველესთაგანი საშუალება ყოველი ერის კეთილ-ცხოვრებისა და წარმატებისათვის“ (სერგეი მესხი 1962: 148-153).

სერგეი მესხი სტატიაში „ამერიკის შკოლები“ პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებს ა.შ.შ.-ის ზოგად მცირე ისტორიაზე, შემდეგ ნაწილში კი ის შტატების განათლების სისტემას ევროპის ქვეყნებს ადარებდა. შედარების საფუძველზე სერგეი პირველის სასარგებლოდ დასკვნებს აკეთებდა: „ევროპელები ფიქრობენ, რომ კაცი ჯერ მაძღარი უნდა იყოსო, ტანი საცმელით უნდა ჰქონდეს დაფარულიო და მერე წიგნს თვითონ მოჰკიდებს ხელსაო. ჭკუა-გონების გახსნა და სწავლაც ამას მოყვებაო. ამერიკელები და მათი მმართებლობა წინააღმდეგ ამისა, ჰფიქრობენ, რომ კაცის კეთილდეობა და წარმატება სწავლისაგან არის დამოკიდებულიო და ამისათვის, რაც უნდა ღარიბი და გაჭირვებული კაცი იყოს, შვილს მაინც მისცემს რასმე სწავლის საშუალებას; ისინი ამბობენ, მირჩევნია, რომ ახლა ცოტა გავიჭირვო, ვასწავლო ჩემს შვილს რამე და მერე კი ორი იმოდენა ვისიამოვნო და ვისარგებლო – ვიდრე მეც უგნურად და ღარიბად დავრჩე და ჩემი შვილიც ამნაირ მდგომარეობაში დავაგდოვო.

რაღა ლაპარაკი უნდა, რა ხალხსაც ამისთანა აზრი აქვს, ის არაფერს არ დაზოგავს შკოლების გასამართავად და თავის შვილების გასანათლებლად. მართლაც არცერთ სახელმწიფოში არ არის იმდენი შკოლები, საშუალო, უმაღლესი და სხვადასხვა სახელოსნო სასწავლებლები, რამდენიც არის ამერიკის შეერთებულ შტატებში და არსად არ ხარჯავენ ხალხის განათლებისათვის იმდენ ფულს, რამდენიც იხარჯება ამერიკაში: ამის გამო, რასაკვირველია, არსად არ არის იმდენი განათლებული და წერაკითხვის მცოდნე კაცი, რამდენიც ამერიკაში; ამის გამო არსაც არ არის იმდენი სიმდიდრე, არსად არ სცხოვრობენ ისე კარგად, როგორც ამერიკაში“ (სერგეი მესხი 1962: 19). – რატომ მიიჩნევდა სერგეი მესხი ა.შ.შ.-ის საგანმანათლებლო სისტემას ევროპულზე უკეთესად? გარდა ავტორისეული მსჯელობისა, საკითხის გასარკვევად მნიშვნელოვანია ისტორიული რეალობა, რომელშიც იყო ა.შ.შ. და საქართველო XIX საუკუნის 60-იანი წლებისთვის. ა.შ.შ. უახლესი (ან საერთოს მისი ისტორია XV საუკუნიდან მოყოლებული) ისტორია გამოხატავდა კოლონიური იმპერიების მიერ დაპყრობილი ხალხებისთვის იმედს განთავისუფლების და დამოუკიდებლობის მოპოვების. XVIII საუკუნის ბოლოს მოახერხა ა.შ.შ.-მა კოლონიზატორი ინგლისის დამარცხება და სწორედ ამ პერიოდიდან შეუდგა ის დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას, რომელმაც მცირე დროში მოიპოვა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოცი-ალური და სხვა წარმატებები. იმპერიიდან განთავისუფლებული ქვეყანა ვერ დაელოდებოდა თავის საზოგადოების „გაძღომას“, რათა მას განათლება მიეღო. ახლად შექმილ სახელმწიფოს სჭირდებოდა განათლება, რათა ახალი სახელმწიფო შეექმნა და ჩამოეყალიბებინა. საქართველო (ქართული სამეფო-სამთავროები) კი, XVIII საუკუნის ბოლოს აღმოჩნდა მეორე კოლონიზატორი იმპერიის, რუსეთის მარწუხებში. სერგეის მესხს ბედშეგუებულ, მშიერ და დასუსტებულ ქართველის გასაგონად მოჰყავს მაგალითი ქვეყნისა, რომელმაც მოახერხა იმპერიის დამარცება, თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოპოვება. რომელმაც ამ უკანასკნელ პირობებში უკეთესი მომავალი შეიქმნა, ვიდრე ის წარმოიდგენდა, ან იმ დროის რომელიმე სხვა ქვეყანა იყო. ეს კი მან მოახერხა განათლებით. ალბათ, ამით უნდა აიხსნას, სერგეი მესხის მხრიდან ევროპული განათლების სისტემაზე მეტად ა.შ.შ. განათლებისადმი სიმპატია. ევროპის ძლიერი და ტრადიციული სახელმწიფოებისთვის განათლებაზე მნიშვნელოვანი სოციალური საკითხი იყო. მათ განათლება სჭირდებოდათ უფრო თვით კრიტიკისა და ახალი იდეების გასავითარებლად.

სერგეი მესხის განათლების თაობაზე თავის თეორიას კიდევ უფრო ანვითარებდა და სტატიაში **„შორაპნის უეზდის საზოგადო პურის მაღაზიები“** განათლებას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საფუძვლად მიიჩნევდა: „ყოველი კეთილი და სასარგებლო საქმისათვის კაცმა ცოტა უნდა მოითმინოს, ცოტა უნდა გაიჭირვოს, თუ უიმისობა არ შეიძლება: მაუდის ჩოხის ან აბრეშუმის ახალუხის მაგივრად რო უბრალო შალის ჩოხა და უბრალო ჩითის ახალუხი ჩაიცვათ - არაფერი არ იქნება; მაგრამ ჩვენი შვილი რო უსწავლელი დავაგდოთ შინ - ეს კი ბევრს შეადგენს. ისიც უნდა გვქონდეს სახეში, რო ყოველი სწავლა, რასაკვირველია, სასარგებლობას მოუტანს თვით ცხოვრებაში კაცს, რადგანაც სწავლული უფრო მალე და უკეთაც მოძებნის ცხოვრების ღონისძიებას და საშუალებას. ერთი სიტყვით, ეს ორი საქმე - სწავლა და შეძლება, ერთი მეორეზეა დამოკიდებლი. თუ კაცი განათლებლია, ის უეჭველად მოიპოვებს ცხოვრების საშუალებას და თუ კაცი შეძლებულია, რასაკვრველია, იმას ადვილად შეუძლია განათლდეს და შვილებსაც მისცეს ჯეროვანი განათლება; ფულებს ყველაფერი შეუძლია“ (სერგეი მესხი 1962: 49-50).

ამრიგად, სერგეი სწავლას და შეძლებას, ქონებას ერთმანეთზე დამოკიდებულად ასახელებს თუმცა მაშინდელი არსებული სიტუაციიდან გამომდინარე აღნიშნავდა: „თუ კაცმა თავისი ცხოვრება გააუმჯობესა, თუ იმას არ აკლია ის, რაც ყველაზე უფრო საჭიროა იმის სხეულისათვის, მაგალითად: პური, ღვინო, საჭმელი, სახურავი, კარგი სადგომი და სხვა, მაშინ დარწმუნებული იყავით, რომ ის დაიწყებს ზრუნვას სულისათვისაც, ე.ი. მაშინ შეუძლია იმას იფიქროს სწავლაზე და თავის ჭკუის განათლებაზეც. ცარიელი კუჭის პატრონს რა ეწიგნება, შენი ჭირიმე? გააძღე ჯერ და მერე მიეცი წიგნი ხელში; შიშველს რა ეწიგნება? ჯერ ჩააცვი, შემოსე და მერე ასწავლე. ასეა ღარიბი კაცის საქმე; ის პირველად იმას ცდილობს, რომ მშიერი არ დარჩეს, ის მთელი წელიწადი შრომობს იმისათვის, რომ წლის სამყოფი ნამუშევარი მოიყვანოს და იმით დაარჩინოს თავისი თავიც და თავისი ცოლ-შვილიც“ (სერგეი მესხი 1962: 49).

დასვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული საზოგადოება მეტწილად ორიენტირებული იყო ბატონყმობის გაუქმების პრობლემებზე. მრავალსაუკუნოვანი ფეოდალური სისტემა იცვლებოდა ახალი კაპიტალისტური სისტემით, ეს კი მოსახლეობის გარკვეულ „სულისკვეთებაზე“ **(ვებერი)** იყო დამოკიდებული. აღნიშნული პრობლემა მნიშვნელოვანი იყო ახალი ქართული თაობისათვის. ისინი აქტიურად გამოდიოდნენ დაყმევებული გლეხების

გასათავისუფლებლად, მათი უფლებების დასაცავად, თანასწორობის დასაცავად ყოფილ ბატონსა და ყმას შორის, საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად (რაც თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკების დაარსებაში გამოიხატა), კაპიტალის თანასწორობის შესაქმნელად, გარკვეული ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდების წასახალისებლად და გამოსავლენად; და დემოკრატიული იდეების გასავრცელებლად, სამოქალაქო საზოგადოების შექმნის მიზნით... 60-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე ახალი ქართული თაობა უპირისპირდებოდა ცარიზმის იმპერიულ პოლიტიკას ცენზურის პირობებში ქვეტექსტების სახით, ალეგორიებით სათქმელი მაინც მიჰქონდათ მოსახლეობამდე.

დასკვნა

სადისერტაციო თემის „დასავლური ღირებულებები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში (XIX საუკუნის 60-იანი წლები – XX საუკუნის დამდეგი)“ შესწავლის შედეგად, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. თბილისისა და ქუთაისის გიმნაზია დამთავრებული ქართველი ახალგაზრდები უმაღლესი სწავლის გასაგრძელებლად რუსეთში, პეტერბურგის უნივერსიტეტში მიდიოდნენ. ხოლო მათ შორის ის ნაწილი ვინც საქართველოში დაბრუნდა, თან „ჩამოიტანეს“ ახალი იდეები. იდეები, რომლებიც მაშინდელ ცივილურ სამყაროში იყო გავრცელებული. ეს უპირველეს ყოვლისა იყო პოლიტიკური თავისუფლების იდეა! გონებრივი განვითარების რაციონალური სისტემა, რომელიც ფრანგი განმანათლებლების წყალობით გავრცელდა, ჯერ დასავლეთ ევროპაში, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთში, მათ შორის რუსეთის იმპერიაში.

სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებულია ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების მიღწევები პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებში. ეს იყო ისტორიული მოვლენა XIX საუკუნის საქართველოში, რომელმაც გამოიწვია პოლიტიკური აზროვნების გარეშე დარჩენილ ქვეყანაში აზრის კვლავ აღორძინება – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ (ილია ჭავჭავაძე 1861).

1. ილია ჭავჭავაძე. ილია ჭავჭავაძის მიერ მაშინდელ მსოფლიოს პოლიტიკური მოვლენების, ღრმა ცოდნამ საფუძველი მისცა, კარგად გაეანალიზებინა მიმდინარე პროცესები და შეექმნა საფუძველი, საქართველოში დაენერგა ისეთი პოლიტიკური აზროვნება, რაც საშუალებას მისცემდა გადაერჩინა ქართველი ერი. ერთი შეხედვით ეს შეუძლებელიც კი ჩანდა მსოფლიოში გაბატონებული იმპერიების ბინძური პოლიტიკის („გათიშე და იბატონე“) ფონზე. ილია ჭავჭავაძის შემოქმედება პოლიტიკური თვალსაზრით გამსჭვალულია თავისუფლების იდეით, კანონის უზენაესობის დაცვით, დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების განვითარებით. პოლიტიკური მმართველობის სისტემათაგან აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძე ინგლისის საკანონმდებლო ორგანოსთან შედარებით გერმანულ მოდელს უჭერდა მხარს. მისი სიმპატიები ოტო ფონ ბისმარკისადმი ბევრ პუბლიცისტურ სტატიაშია გამოვლენილი. ბისმარკისეული პოლიტიკა მას მისაბაძად მიაჩნია.

პოლიტიკური თვალსაზრისით, ილია ჭავჭავაძის თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობაზე შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნეში, როდესაც რუსეთმა საქართველო დაიპყრო და დაიწყო თავისი პოლიტიკის გატარება, დადგა საფრთხე ქართველ ერში ეთნიკური თვითშეგნების დაკარგვისა. ეს საფრთხე გააცნობიერა ილია ჭავჭავაძემ. ილიამ პირიქით გააღვივა ეთნიკური თვითშეგნება, საერთო ისტორიასა და კულტურაზე დაყრდნობით, დამოუკიდებლობის, თავისუფლების, დემოკრატიულობისა და ლიბერალურობის შეფარული თუ ღია მოწოდებით. ამიტომ იყო რომ XX საუკუნეში საქართველოში გაბატონებული კომუნისტური წყობის ლიკვიდაციის შემდგომ, სწორედ ილიას იდეებზე მოხდა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენა. დასკვნის სახით გვსურს ილიას სიტყვები მოვიშველიოთ, რადგან დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოსთვის ის იყო, არის და იქნება აქტუალური - „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის... ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი...“

ეკონომიკური თვალსაზრისით, ილია ქართული ეკონომიკის ფუნდამენტური და ტრადიციული იდენტობის მარკერად პურსა და ღვინოს ასახელებს, ასევე XIX საუკუნის მიწურულს ქართველი საზოგადოების ეკონომიკურ გონს დამორჩილებაზე მიუთითებს, რაც ქართველების მსოფლიო ცივილიზაციის პროცესში მომავალი წარმატების გარანტია იყო: „ჩვენ, ქართველები, პურისა და ღვინის პატრონების ვართ, ესე იგი, პურისა და ღვინის გამსყიდველნი ერთის მხრით, და მეორეს მხრით მსყიდველნი ყოველ იმისა, რაც ერთობ საჭიროა **საყოველდღეო ცხოვრებისათვის**. როგორც გამსყიდველნიც ვზარალობთ, რომ უფლება გვაიძულებს იაფად გავყიდოთ, და როგორც მსყიდველნიც, იმიტომ რომ სასყიდს ძვირად ვყიდულობთ, და იმოდენად ძვირად, რამოდენადაც სასყიდი **საყოველდღეო ცხოვრებისათვის** საჭიროა.

ამ სახით ვაჭრების ხელში იმ ყოფითა ვართ, რომ ერთს ტყავს ორგზით გვაძრობენ. ესეთი ყოფა ჩვენ ორგზით გვაკლებს და ჩვენს ვაჭრებს ორგზით ჰმატებს. ქართველობამ ამ ბოლოს ხანებში დააჯერა გული, რომ ამ ყოფით დგომა ცხოვრების მოედანზე შეუძლებელიღაა, რადგანაც მოასწავებს დედამიწის ზურგიდამ აგვას, თუ წამალი რამ არ დაიდვა და თუ ისე არ მოაწყო საქმე, რომ ამ გაჭირებიდამ თავი დაიხსნას.

ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამისთანა გაჭირებამ თვალი აუცილა ქართველობას თავის ყოფა-ცხოვრებაში ჩახედვისათვის. დღეს თვითეული ჩვენგანი

ჰგრძნობს, რომ აქამომდე მივიწყებულს ეკონომიურს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის; რომ ეკონომიური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა, ტანში გამართვისა და აქ უნდა გავისარჯნეთ და ვიამაგოთ.

ეს კახეთის რკინიგზა, ეს ღვინის საქმე კახელებისა, ეს ხშირი ლაპარაკი ჩვენში, რომ კახელების ღვინის საქმის მაგვარ უნდა მოეწყოს ქართლის პურის საქმეცა და იმერეთის სიმინდისაო, ეს არა ნაკლებ ხშირი მითქმა-მოთქმა, რომ საადგილმამულო კრედიტის გარდა, სხვა მოკლევადიანის კრედიტის დაარსებაც საჭიროა ჩვენთვისაო, ეს სოფლის მეურნეობის წარმატებისათვის საერთო ფულის შედგენა გლეხობისაგან, და ფიქრი და ლაპარაკი თავად-აზნაურობაში, რომ ამისთანა რამ ამათაც შეადგინონ, - ყოველივე ეს ერთად და თვითვეულად ცალკე დღეს ყოველს, თუნდ ცოტაოდნად მიხვედრილს და გაგებულს ქართველს, ენაზე აკერია, ყველგან ამაებზე ჰლაპარაკობენ და ჰბრჭობენ და ზოგნი კიდეც შესდგომიან სიტყვა საქმედ აქციონ. ყოველივე ეს იმის მომასწავებელია, რომ ქართველობა ახალ და სწორ გზაზე გამოდის სამოქმედოდ, და იმედია, რომ იგი ბოლოსაც გაატანს. რადგანაც სწორე გზის პოვნა და მასზე სვლა ნახევრად გამარჯვებაა“ (ილია ჭავჭავაძე 1956: 8-9).

სოციალური თვალსაზრისით, XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ ქართველ ერში კომპლექსები გამოავლინა: სიკეთის ვერ შეცნობა, ბეთთან შეგუება, როგორც შურისა და მტორობის, ისე შავისა და თეთრის ვერ გარჩევა, „ყიზილბაშობა“ – პირფერობა. ეს ყოველივე ქართველ ერში, შექმნილი სიტუაციის გააზრებას უწყობდა ხელს და კუთხოვნობის თითშეგნება გამძაფრებულ ქართველში ქმნიდა საფუძველს, საერთო ქართულზე ეფიქრა.

2. ნიკო ნიკოლაძე. ნიკო ნიკოლაძის მრავალ პუბლიცისტურ სტატიაში ჩამოყალიბებულია დასავლური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების გააზრება. მას დეტალურად აქვს შესწავლილი XIX საუკუნის მსოფლიოში გავრცელებული დასავლური პოლიტიკური მოდელები: მონარქიული სისტემები: დესპოტური, კონსტიტუციური და აბსოლუტური; რესპუბლიკური სისტემები: არისტოკრატიული, ოლიგარქიული, ტირანიული და დემოკრატიული. ასევე სოციალისტური სისტემების: კომუნისა და კომუნიზმის გაგება. გარდა ამისა მისი ყურადღება მიმართული იყო საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, პოლიტიკური ერთეულის ბედზე. სტატიაში „საქართველოს ორიენტაცია“ აღნიშნავდა: „ორიენტაციის

საგანი ქართველობისათვის არც უცხოა, არც უცნობი, ბევრჯერ, განსაცდელის ხანაში, მას წინ ატუზვია საბედისწერო კითხვა: „ვის მივმართოთ, რა გზა გვიჯობსო?..“ ამ კითხვას დღემდი ხალხში და მწერლობაში „ქართლის ცხოვრების“ მიმართულება ერქვა. ეხლა კი, როცა მას „საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია“ უწოდეს, გვგონია, ვითომ ახალი რამ გაგვეჩინოს და ამ ძველ ამოცანას ჩვენს ქეიფზე ვატრიალებთ...

„ორიენტაცია“... ადამიანის ხელით როდი კეთდება, ყოველი ქვეყნის მიმართულება, ან ორიენტაცია მისი გეოგრაფიული მდებარეობის და მეზობლების მდგომარეობის ნაყოფია. როგორც ყოველი სხვა ცხოვრებისმძებნი არსება, საქართველოც ვერ გაექცეოდა ამ ბუნების კანონს. ერთი და იგივე ძალა მართავს ქვეყნიერების ფიზიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას, ის, რომელიც მთვარეს აბრუნებს დედამიწის ირგვლივ და მათ ორივეს - მზის გარშემო... ორინეტაცია... შთაგონებით არ ხერხდება. ხალხი, როგორც ყოველი ცოცხალი არსება, თავისთავად მუდამ იქით იქცევს პირს, საიდანაც მზე სხივს ჰფენს და ღვივის. საქართველოს წარსულში „ორიენტაციას“ ყოველთვის იქით მიმართავდა ხოლმე, საიდანაც სინათლე და მოძრაობა მოდიოდა. შემცდარია, ვინც ფიქრობს, ვითომც რომელიმე მეფეს, წოდებას ან თაობას თავის ნებაზე შეძლებოდეს საქართველოს აქეთ თუ იქით მიბრუნება. სანამ განათლება და ცხოვრება ბიზანტიაში ენთო, საქართველოსაც მზესუმზირასავით თვალი იქით ეკავა. როცა სპარსეთი აყვავდა ინდოეთის კულტურაზე დაწაფებით, ჩვენი აღორძინებაც მისკენ მიიმართა, აზრი მისკენ გვქონდა. პეტრე დიდის და ეკატერინე მეორის ამაგმა რუსეთი რომ გააჩაღა, საქართველოსაც ძალაუნებურათ მან წარიტაცა. ფიზიკის კანონით, როცა სხვადასხვა ძალა ერთ და იმავე საგანს თავისკენ უქაჩავებს, ამ საგნის მდებარეობას სწყვეტს მებრძოლი ძალების უძლიერესობა. საგანს - უნდა, თუ არ უნდა - ყოველთვის მომრევი გადაითრევს.

აქედან ცხადია, „ორიენტაციაში“ ჩვენ სარჩევი და სადავო არა გვაქვს რა... გონიერება იმას უნდა ვალიოთ, რომ ფხიზლად თვალი ვადევნოთ, თუ ჩვენს გარშემო რა ძალები ვარჯიშობენ, რა ურთიერთ განწყობილებაში დგებიან?“

დასავლური ღირებულებების გასააზრებლად: ისტორიული პროცესის ანთროპოლოგიური და სოციოლოგიური ხედვა **ნიკო ნიკოლაძეს** ნაშრომებში პრიმიტიულად აქვს ჩამოყალიბებული. ისტორიის მეთოდოლოგიის, ისტორიული ტრანსფორმაციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მისი რელიეფურად გამოთქმული მეტაფორა: „ელაპარაკეთ რომელიც გნებავთ ღარიბს და უმტკიცეთ მას, თუნდაც მთელი

წელიწადი, რომ მისი ფარღალალა ქოხი ოდნავადაც ვერ გაუძლებს ვერც არქიტექტურულ და ვერც ჰიგიენურ კრიტიკას. ვერავითარი არგუმენტით ვერ დაუმტკიცებთ მას, რომ უმჯობესია მიატოვოს ქოხი და იცხოვროს ღია ცის ქვეშ. მაგრამ აუხსენით ამ ღატაკს, რომ იმ მასალებიდან, რომლებიც მას გააჩნია, შესაძლებელია ახალი ქოხის აგება, დაუმტკიცეთ მას, რომ ეს შესაძლებელია და სასარგებლოა, ასწავლეთ მას როგორ ააგოს და რა აკეთოს, და იმწუთშივე გაგიგებთ. მაგრამ ის მაშინაც არ დაანგრევს თავის ქოხს, თუ სულელი არაა ხოლო სულელები ისევე ცოტაა ქვეყანაზე, როგორც გენიოსები. ის ჯერ ააგებს ახალ სახლს, ხოლო შემდეგ კი, თუ მისი ქოხი არ გამოადგა ბოსლად ანდა ძველმანთა შესანახ საკუჭნაოდ, დაანგრევს მას და მთელი თვის განმავლობაში გამოიყენებს ახალი სახლის გასათბობ შეშად. ეს ტრივიალური მაგალითი შეადგენს გამოუკლებლივ ყველა საზოგადოებრივ გარდაქმნათა ფილოსოფიას“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 259).

XIX-XX საუკუნეების ქართველი მოაზროვნის, ნიკო ნიკოლაძის მეცნიერული და ფილოსოფიური ნააზრევი გლობალური ისტორიოგრაფიის ნაწილია. კითხვას, თუ რომელი პოლიტიკური წყობა მიაჩნდა ნიკო ნიკოლაძეს სრულყოფილად? ის თავადვე პასუხობს 1875 წელს დაწერილ სტატიაში - „სოციალურ და პოლიტიკურ გარდაქმნათა შესახებ“: „ქვეყნიერებაზე ჯერ კიდევ არაა ისეთი ხალხი, რომლის საზოგადოებრივი წყობილება შეიძლებოდა ჩათვლილიყო დამაკმაყოფილებლად. უფრო ცივილიზებული და ბედნიერი ხალხები: ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები, - სხვაზე, რომ არაფერი ვთქვათ, - იტანჯებიან საზოგადოებრივი და ეკონომიური ურთიერთობის მოუწესრიგებლობით. მათ შეგნებული აქვთ, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობანი არ უნდა იყოს მარადიული, რომ უნდა მივისწრაფვოდეთ უფრო სამართლიანი წესრიგისაკენ, საზოგადოებრივი მოვალეობის და უფლებათა უკეთ განაწილებისაკენ. ახლანდელი წყობილებით უკმაყოფილება და ადამიანთა ურთიერთობის სფეროში „საზოგადოებრივი ჰარმონიის“ დამყარებისაკენ მისწრაფება ყველა ხალხის თვისებაა. პოლიტიკური ფორმები და მისწრაფებანი აქ არაფერშუაშია: როიალისტური ინგლისი, რესპუბლიკური საფრანგეთი, იმპერატორული გერმანია და ფედერალისტური ამერიკა სავსებით ერთნაირად იტანჯებიან ამ „მომავლის ავადმყოფობით“. მტკივნეულობის სიმწვავე, ავადმყოფობის ფორმები იმდენად არიან დამოკიდებულნი მმართველობის პოლიტიკურ ფორმაზე, რამდენადაც ეკონომიური მდგომარეობის პირობებზე. მხოლოდ მკურნალობის ხერხები და კრიზისების ძალა

იმყოფება პირდაპირ დამოკიდებულებაში ქვეყნის წმინდა - პოლიტიკურ წყობილებასთან...“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 256).

ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკის ფილოსოფიის არსი, მას მოკლედ და ლაკონურად აქვს გამოხატული: „რაც ზემოთ ვთქვით ისევე უეჭველია, როგორ აქსიომა: ორჯერ ორი ოთხია, მაგრამ ჩემი აზრი უფრო რელიეფურად გამოითქმის მეტაფორის ფორმაში. ელაპარაკეთ რომელიც გნებავთ ღარიბს და უმტკიცეთ მას, თუნდაც მთელი წელიწადი, რომ მისი ფარღალალა ქოხი ოდნავადაც ვერ გაუძლებს ვერც არქიტექტურულ და ვერც ჰიგიენურ კრიტიკას. ვერავითარი არგუმენტით ვერ დაუმტკიცებთ მას, რომ უმჯობესია მიატოვოს ქოხი და იცხოვროს ღია ცის ქვეშ. მაგრამ აუხსენით ამ ღატაკს, რომ იმ მასალებიდან, რომლებიც მას გააჩნია, შესაძლებელია ახალი ქოხის აგება, დაუმტკიცეთ მას, რომ ეს შესაძლებელია და სასარგებლოა, ასწავლეთ მას როგორ ააგოს და რა აკეთოს, და იმწუთშივე გაგიგებთ. მაგრამ ის მაშინაც არ დაანგრევს თავის ქოხს, თუ სულელი არაა ხოლო სულელები ისევე ცოტაა ქვეყანაზე, როგორც გენიოსები. ის ჯერ ააგებს ახალ სახლს, ხოლო შემდეგ კი, თუ მისი ქოხი არ გამოადგა ბოსლად ანდა ძველმანთა შესანახ საკუჭნაოდ, დაანგრევს მას და მთელი თვის განმავლობაში გამოიყენებს ახალი სახლის გასათბობ შეშად. ეს ტრივიალური მაგალითი შეადგენს გამოუკლებლივ ყველა საზოგადოებრივ გარდაქმნათა ფილოსოფიას“ (ნ. ნიკოლაძე 1964: 259).

ამრიგად, უკვე XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ნიკო ნიკოლაძემ განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება დასავლური პოლიტიკური სისტემებისადმი და გააკეთა თავის არჩევანი. ლეგალურ პრესაში ასეთი არჩევანის გაკეთება მხოლოდ დიდ ერუდიციასა და ცოდნას არ მოითხოვდა, ყოველივე ეს დიდ მოქალაქეობრივ გამბედაობასაც საჭიროებდა, ნიკო ნიკოლაძის ნააზრევმა დიდად შეუწყო ხელი ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარებას.

3. გიორგი წერეთელი. გიორგი წერეთელი ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნების ისტორიაში გამორჩეული ფიგურაა. მან გარდა პუბლიცისტური მოღვაწეობისა, დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა. პოლიტიკური თვალსაზრისით, ის ორიენტირებული იყო XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული საზოგადოებაში გაბატონებულ ფქისო-სოციალურ საკითხებზე. მისი ყურადღების ცენტრშია ჩამოყალიბების გზაზე მდგარი ქართული კაპიტალისტური საზოგადოება, რომელიც რუსიფიკატორული პოლიტიკის მსხვერპლი იყო. ის თავისუფლების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის ღირებულებებს,

ღიად, გადატანითი მნიშვნელობით და ქვეტექსტების სახით ავრცელებდა, რაც სამოქალაქო საზოგადოების შექმნის გარანტორი იყო.

ზოგადად, **გიორგი წერეთლის** დასავლური ღირებულებებისადმი და მათ შორის პოლიტიკური სისტემებისადმი შეხედულება შეიძლება მისივე სიტყვებიდან გავიაზროთ: „ბევრსა ჰსურდათ კაცობრიობის გამომხსნელად გამხდარიყვნენ, მოიგონეს ერთი რამ აზრი, რომელიც იმათი ფიქრით გააბედნიერებდა მთელს ქვეყანას და მერე გინდა თუ არ გინდაო ეს აზრი უნდა აასრულოო. ამგვარი ხასიათი ჰქონდათ მომეტებულად იმ აზრებს და თეორიებს, რომლებიც კაცობრიობას ბედნიერებას ჰპირდებოდნენ. იმ აზრებში მხოლოდ ის აზრი არის ცხოველი და გამოსადეგი ყოველის მხრით, რომელიც ითხოვს ხალხის განათლებას, მხოლოდ ამ აზრის აღსრულება შეიძლება და მხოლოდ ამას შეუძლია კაცობრიობის გაბედნიერებაც“ (გიორგი წერეთელი 1931გ: 129).

ეკონომიკური თვალსაზრისით, ის აქტიურად გამოდიოდა დაყმევებული გლეხების გასათავისუფლებლად, მათი უფლებების დასაცავად, თანასწორობის დასაცავად ყოფილ ბატონსა და ყმას შორის, საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად (რაც თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკების დაარსებაში გამოიხატა), კაპიტალის თანასწორობის შესაქმნელად.

გიორგი წერეთელი ქართველი საზოგადოების განვითარებისათვის ყოველმხრივ ხელსაყრელ გარემო პირობებზე მიუთითებდა. ის ქართველობას შრომისა და ფიქრისკენ მოუწოდებდა: „ჩვენი მხარე ბუნებას შეუმკია ყოველისფრით, ყოვლის ნაყოფიერებით. კახეთი, იმერეთი, ქართლი სწორეთ სამოთხეა; ბევრი ქვეყანა არ არის ხმელეთზედ, რომ ამათ შეედრებოდეს. ამასაც არ ვიტყვი, რომ ზარმაცნი ვიყვნეთ: ჩვენ ვშრომობთ, მაგრამ ჯერ არ ვიცით, როგორ უნდა ვიშრომოთ, რომ ჩვენი შრომა ისევ ჩვენს ხელში დარჩეს; არც ეს ვიცით, როგორ უნდა ვისარგებლოთ ეს შრომა, რომ ჩვენც შევიძინოთ და სხვებსაც შევძინოთ. ეს გვაკლია ჩვენ; ამაზედ უნდა ვიფიქროთ, ამას უნდა ვეცადოთ (გიორგი წერეთელი 1931: 61).

4. სერგეი მესხი. სერგეი მესხის მრავალ პუბლიცისტურ ნაშრომში წარმოდგენილია დასავლური ღირებულებების (პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების) ქართულ საზოგადოებაში განვითარების დამკვიდრების გზები. პოლიტიკური თვალსაზრისით, მან როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად ხელი შეუწყო თავისუფლების, კანონის უზენაესობის, დემოკრატიული

ღირებულებების განვითარებას. მისი სტატები განმსჭვაულია თავისუფლების ღია და შეფარული მოწოდებებით. დასავლური ეკონომიკური თეორიების საფუძველზე ის გარკვეულ უტოპიურ-სოციალისტურ თეორიებს ანვითარებდა ქართულ რეალობაში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე დასანერგად. ეკონომიკური თვალსაზრისით, ის კონკრეტული ქართული სოფლებისა და ქალაქების განსავითარებლად, ასოციაციებისა თუ საზოგადოებების შექმნას უჭერდა მხარს. ეს უკანასკნელი როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ისე კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებას შეუწყობდა ხელს, რაც მომავალი განვითარების საწინდარი იყო. ასევე, საბაზრო ეკონომიკის განვითარებით, ის ქართველი გლეხების ინტერესიდან ამოდიოდა და მათ თავიანთი ნაშრომის შესანარჩუნებლად ვაჭარ-გადამყიდველის ინსტიტუტის საფრთხისკენ მოუწოდებდა. ხოლო უფრო, წარმატებული საზოგადოების შესაქმნელად კარგად ორგანიზებულ საბანკო სისტემას მოითხოვდა. სოციალური თვალსაზრისით, მან ქართული საზოგადოების მანკიერი მხარეები გამოავლინა და მათ უსარგებლობას გაუსვა ხაზი.

დასკვნის სახით, უნდა ითქვა, რომ XIX საუკუნის II ნახევარში ქართული პოლიტიკური ელიტა, რომლის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა: **ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სერგეი მესხი.** ისინი „დასავლურ ღირებულებებზე“ იყვნენ ორიენტირებულნი. მათ დასავლური ღირებულებები „ქართულ პრიზმაში“ გაატარეს, გაიაზრეს, თვალწინ გაისიგრძეგანეს. მათი ყურადღება მიმართული იყო ქართულ საზოგადოებაში დასავლური ღირებულებების პროპაგანდით. სხვადასხვა დროს ქართული და საერთოდ, სამხრეთ კავკასიურ სივრცეში, დასავლური ღირებულებების პროპაგანდა - მისი შინაარსის ტრანსფორმაციის პარალელურად - მუდამ ვრცელდებოდა. მაგრამ ასევე ვრცელდებოდა აღმოსავლური ღირებულებებიც. მათი სინთეზი კი ქმნიდა ქართულ კულტურას. ამ რეგიონის გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ეს ბუნებრივია. ბუნებრივია, რადგან საქართველო იყო და არის, ის სივრცე, სადაც ცივილიზაციები ეჯახებოდნენ ერთმანეთს (ჰანთინგტონი), სადაც მუდამ იდგა და დგას საკითხი დასავლეთი? თუ აღმოსავლეთი? სადაც მუდამ ხვდებოდა და ხვდება დასავლეთი აღმოსავლეთს (რადიარდ კიპლინგი), თუ პირიქით.

ჯერ რუსეთის იმპერიის, ხოლო შემდეგ მისი მემკვიდრე საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში შემავალი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში იდენტური პროცესები

მიმდინარეობდა. ამ იდენტობის მთავარი არსი მცირე რენესანსების განვითარებაში გამოიხატა, ასეთ პროცესებს ჰქონდა ადგილი ქართულ საზოგადოებაში XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 30 იან წლების ჩათვლით. ქართულ ცივილიზაციის პროცესში მცირე რენესანსის განვითარება მეტწილად, XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში დასავლური ღირებულებების განვითარებას უკავშირდება. ქართული მცირე რენესანსი გამოვლინდა: მწერლობაში, ხელოვნებაში, აზროვნებაში, მხატვრობაში, არქიტექტურაში, ეკონომიკაში და ა.შ. სწორედ, ამ საზოგადოებამ შვა ფიროსმანი, შექმნა თბილისური და ქუთაისური მოდერნის სტილის შენობები, შექმნა თბილისის უნივერსიტეტი მეცნიერების თითქმის ყველა დარგით და შესაბამისად მაღალი დონის მეცნიერებით: ქიმია - პეტრე მელიქიშვილი, ისტორია - ივანე ჯავახიშვილი თავის ნაშრომით „ქართველი ერის ისტორია“, ფსიქოლოგია - დიმიტრი უზნაძე („განწყობის თეორია“), ფილოსოფია - შალვა ნუცუბიძე („შუა საუკუნეების ქართული რენესანსი“), სოციოლოგია - კონსტანტინე მეგრელიძე („აზრის სოციალური ფენომენოლოგია“) და სხვ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. აბაშიძე 1962: აბაშიძე კ., ეტიუდები - XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისი, 1962.
2. არტი... 2011: არტი რ., ჯერვისი რ., საერთაშორისო პოლიტიკა, თბილისი, 2011.
3. ახმეტელი 1978: ახმეტელი ა., დოკუმენტები და ნარკვევები: სამ ტომად - ტომი პირველი 1886-1926, თბილისი, 1978.
4. ბაქრაძე 2011: ბაქრაძე ა., ილია ჭავჭავაძე, თბილისი, 2011.
5. ბაქრაძე 1989: ბაქრაძე ა., ნიკო ნიკოლაძე, თბილისი, 1989.
6. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1989.
7. ბერდიაევი 2001: ბერდიაევი ნ., ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში, თბილისი, 2001.
8. ბერკი 2002: ბერკი პ., ისტორია და სოციალური თეორია, თარგმანი ინგლისურიდან ნოდარ ლადარიასი, თბილისი, 2002.
9. ბრენსონი... 2008: ბრენსონი მ., შეხტერი ს., ვონცი ტ., პოლიტიკური იდეების კვლევა, თარგმანი ზაალ კიკივიძის, თბილისი, 2008.
10. გამეზარდაშვილი 1978: გამეზარდაშვილი დ., ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, ტ. 4, თბილისი, 1978.
11. გამეზარდაშვილი 1963: ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი ტ. 3, ტომი გამოსაცემად მოამზადა და სახელთა საძიებელი დაურთო მ. კანდელაკმა, რედაქტორი დ. გამეზარდაშვილი, თბილისი, 1963.
12. გამეზარდაშვილი 1964: ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი ტ. 4, ტომი გამოსაცემად მოამზადა და სახელთა საძიებელი დაურთო მ. კანდელაკმა, რედაქტორი დ. გამეზარდაშვილი, თბილისი, 1964.
13. გამეზარდაშვილი 1966: ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი ტ. 5, დ. გამეზარდაშვილის რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი, 1966.
14. გამეზარდაშვილი 1970: ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი ტ. 6, დ. გამეზარდაშვილის რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი, 1970.
15. გამეზარდაშვილი 1985: ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი ტ. 7, დ. გამეზარდაშვილის რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი, 1985.

16. გამეზარდაშვილი 2003: ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი ტ. 8, დ. გამეზარდაშვილის რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი, 2003.
17. გამეზარდაშვილი 2006: ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი ტ. 9, რედაქტორი დ. გამეხარდაშვილი, თბილისი, 2006.
18. გაფრინდაშვილი 1987: გაფრინდაშვილი მ., ეროვნული და კლასობრივი ილია ჭავჭავაძის განმანათლებლურ-რევოლუციურ-დემოკრატიულ და უტოპიურ-სოციალისტურ მსოფლმხედველობაში, თბილისი, 1987.
19. გაფრინდაშვილი 1959: გაფრინდაშვილი მ., ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბილისი, 1959.
20. გაფრინდაშვილი 1966: გაფრინდაშვილი მ., ქართული განმანათლებლობა [გ. წერეთელი, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე], თბილისი, 1966.
21. გაფრინდაშვილი 1989: გაფრინდაშვილი მ., ქართული განმანათლებლობის ისტორიოგრაფიისათვის, თბილისი, 1989.
22. გაფრინდაშვილი 1976: გაფრინდაშვილი მ., ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1967.
23. გაფრინდაშვილი 1959: გაფრინდაშვილი მ., ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წ. 1., თბილისი, 1959.
24. გაფრინდაშვილი 1988: გაფრინდაშვილი მ., ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წ. 3., თბილისი, 1988.
25. გაჩეჩილაძე 2003: გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი, სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბილისი, 2003.
26. გიორგი წერეთელი 1931ა: გიორგი წერეთელი, ბანკის დაარსების გამო ქუთაისში, პუბლიცისტური წერილები, ტ. 1, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბილისი, 1931.
27. გიორგი წერეთელი 1931ბ: გიორგი წერეთელი, ბუნების მეცნიერებიდან, პუბლიცისტური წერილები, ტ. 1, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბილისი, 1931.
28. გიორგი წერეთელი 1931გ: გიორგი წერეთელი, რამდენიმე აზრი ჩვენს ცხოვრებაზედ, პუბლიცისტური წერილები, ტ. 1, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბილისი, 1931.

29. გიორგი წერეთელი 1931დ: გიორგი წერეთელი, თვითმოქმედება, პუბლიცისტური წერილები, ტ. 1, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბილისი, 1931.
30. გიორგი წერეთელი 1931ე: გიორგი წერეთელი, სიძვირე და მოქმედება მისი კარგადმყოფობაზედ, პუბლიცისტური წერილები, ტ. 1, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბილისი, 1931.
31. გიორგი წერეთელი 1931ვ: გიორგი წერეთელი, ახალი სასამართლოს შემოღების გამო, პუბლიცისტური წერილები, ტ. 1, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბილისი, 1931.
32. გიორგი წერეთელი 1931ზ: გიორგი წერეთელი, ორიოდე სიტყვა ჩვენს უმთავრეს სარჩოზე, პუბლიცისტური წერილები, ტ. 1, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბილისი, 1931.
33. გიორგი წერეთელი 1931თ: გიორგი წერეთელი, ორიოდე სიტყვა სოფლის ახალ მოხელეების ამორჩევაზედ, პუბლიცისტური წერილები, ტ. 1, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბილისი, 1931.
34. გიორგი წერეთელი 1931ი: გიორგი წერეთელი, სოფლის მოხელეების ამორჩევა, პუბლიცისტური წერილები, ტ. 1, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბილისი, 1931.
35. გიორგი წერეთელი 1931კ: გიორგი წერეთელი, საშვალო აზიაში მოგზაურობა, პუბლიცისტური წერილები, ტ. 1, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბილისი, 1931.
36. გიორგი წერეთელი 1931ლ: გიორგი წერეთელი, ქართული თეატრი, პუბლიცისტური წერილები, ტ. 1, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბილისი, 1931.
37. გიორგი წერეთელი 1931მ: გიორგი წერეთელი, მლეთის სოფლის საზოგადოების სათემო განჩინების გამო, ტ. 1, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბილისი, 1931.
38. გოგიაშვილი 2001: გოგიაშვილი ო., ილია ჭავჭავაძე პოლიტიკური იდეოლოგიის შესახებ, თბილისი, 2001.
39. გოგიაშვილი 2008: გოგიაშვილი ო., ილია დღეს, თბილისი 2008.

40. გონაშვილი 2008: გონაშვილი ვ., საზღვრგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, თბილისი, 2008.
41. გურული 1998: გურული ვ., ნაციონალ-სოციალიზმი საქართველოში, თბილისი, 1998.
42. გურული 2006: გურული ვ., ილიადან ილიამდე, თბილისი, 2006.
43. გურული 2008: გურული ვ., ეროვნული ცნობიერება, სახელმწიფოებრიობა, პოლიტიკური ორიენტაცია, თბილისი, 2008.
44. გურული 2009: გურული ვ., საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1801-1921), თბილისი, 2009.
45. გურული 2011: გურული ვ., საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ისტორიოგრაფია (1801-1991), თბილისი, 2011.
46. დანელია 1983: დანელია ს., ანტიკური ფილოსოფიის ისტორია, თბილისი, 1983.
47. დიუროზელი 2008: დიუროზელი ჟ., ევროპა მისი ხალხების ისტორია, თარგმანი: გურანდა დათაშვილი, ქეთევენ კვანტალიანი, ნინო ლეჟავა, თბილისი, 2008.
48. დოლიძე 1950: დოლიძე, ი., ადრეფეოდალური სამართლის ძეგლები, თბლისი, 1950.
49. დონაძე 1970: დონაძე ვ., ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ, თბილისი, 1970.
50. ეკალაძე 2001: ეკალაძე ზ., აპოლოგეტიკური წერილები, თბილისი, 2001.
51. ვარდოსანიძე 2004: ვარდოსანიძე ს., ქართული ეროვნული ცნობიერების პრობლემები, თბილისი, 2004.
52. ვაჩეიშვილი 1926: ვაჩეიშვილი ა., სამართლის ზოგადი თეორია, ტფილისი, 1926.
53. ვაჩნაძე 2005: ვაჩნაძე მ., ნიკო ნიკოლაძე რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში (1881-1883), თბილისი, 2005.
54. ზანდუკელი 1928: ზანდუკელი მ., თერგდალეულნი და ხალხოსნები ქართულს ლიტერატურაში (ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევის ცდა), ტფილისი, 1928.
55. თაყაიშვილი 1920: თაყაიშვილი ექვთიმე., ხელმწიფის კარის გარიგება, ქართული ძეგლები, IV. კანონმდებლობა, №1, ტფილისი, 1920.
56. თევზაძე 2009: თევზაძე გ., ახალი ფილოსოფიის ისტორია, თბილისი, 2009.

57. ილია ჭავჭავაძე 1953ა: ილია ჭავჭავაძე, ზოგიერთი რამ, წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე. პრესა. ფელეტონები, ტ. III (თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად), რედაქტორი პავლე ინგოროყვა, თბილისი, 1953.
58. ილია ჭავჭავაძე 1953ბ: ილია ჭავჭავაძე, „ცისკარი“ 1857 წლიდან - 1862 წლამდინა, წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე. პრესა. ფელეტონები, ტ. III (თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად), რედაქტორი პავლე ინგოროყვა, თბილისი, 1953.
59. ილია ჭავჭავაძე 1956ა: ილია ჭავჭავაძე, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი, წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე, ტ. VII (თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად), რედაქტორი პავლე ინგოროყვა, თბილისი, 1956.
60. ილია ჭავჭავაძე 1956ბ: ილია ჭავჭავაძე, ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა, წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე, ტ. VII (თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად), რედაქტორი პავლე ინგოროყვა, თბილისი, 1956.
61. ილია ჭავჭავაძე 1986: ილია ჭავჭავაძე, ორიოდე სიტყვა რ. ერისთავის კაზლოვის-მიერ „შეშლილი“-ს თარგმანზედა, წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ტ. 3 (რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად), ტომი შეადგინეს და შენიშვნები დაურთეს სარგის ცაიშვილმა და გურამ გვერდწითელმა, თბილისი, 1986.
62. ილია ჭავჭავაძე 1987ა: ილია ჭავჭავაძე, ოსმალოს საქართველო, პუბლიცისტური წერილები, ტ. 4 (რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად), ტომი შეადგინეს და შენიშვნები დაურთეს სარგის ცაიშვილმა და გურამ გვერდწითელმა, თბილისი, 1987.
63. ილია ჭავჭავაძე 1987ბ: ილია ჭავჭავაძე, ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ, პუბლიცისტური წერილები, ტ. 4 (რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად), ტომი შეადგინეს და შენიშვნები დაურთეს სარგის ცაიშვილმა და გურამ გვერდწითელმა, თბილისი, 1987.
64. ილია ჭავჭავაძე 1987გ: ილია ჭავჭავაძე, წოდებათა თანასწორობა, პუბლიცისტური წერილები, ტ. 5 (რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად), ტომი შეადგინეს და შენიშვნები დაურთეს სარგის ცაიშვილმა და გურამ გვერდწითელმა, თბილისი, 1987.
65. ილია ჭავჭავაძე 1988ა: ილია ჭავჭავაძე, მგზავრის წერილები, მოთხრობები და პიესები, ტ. 2 (თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად), ტექსტი გამოსაცემად

მოამზადეს, ვარიანტები და შენიშვნები დაურთეს ე. შარაშენიძემ და ლ. სანაძემ, თბილისი, 1988.

66. ილია ჭავჭავაძე 1988ბ: ილია ჭავჭავაძე, კაცია - ადამიანი?!, მოთხრობები და პიესები, ტ. 2 (თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად), ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები და შენიშვნები დაურთეს ე. შარაშენიძემ და ლ. სანაძემ, თბილისი, 1988.
67. ილია ჭავჭავაძე 1988გ: ილია ჭავჭავაძე, ოთარაანთ ქვრივი, მოთხრობები და პიესები, ტ. 2 (თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად), ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები და შენიშვნები დაურთეს ე. შარაშენიძემ და ლ. სანაძემ, თბილისი, 1988.
68. ილია ჭავჭავაძე 2007 ა: ილია ჭავჭავაძე, პარლამენტი თუ სამინისტრო, პუბლიცისტური წერილები 1887 (თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად), რედაქტორი გიორგი ციციშვილი, თბილისი, 2007.
69. ილია ჭავჭავაძე 2007 ბ: ილია ჭავჭავაძე, დაძაბული პოლიტიკური ვითარება ევროპაში, პუბლიცისტური წერილები 1887 (თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად), რედაქტორი გიორგი ციციშვილი, თბილისი, 2007.
70. იოსელიანი 1972: იოსელიანი ა., საქართველოს ისტორიის პრობლემები და თერგდალეულნი (ქართული საზოგადოებრივი აზრისა და რევოლუციურ-დემოკრატიული ისტორიოგრაფიის საკითხები), თბილისი, 1972.
71. კაპანელი 1928: კაპანელი კ., ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი, კაპიტალიზმი და გლეხი ქართულ ლიტერატურაში, ტფილისი, 1928.
72. კარი 2001: კარი ე. ჰ., რა არის ისტორია? თბილისი, 2001.
73. კასრაძე 1963: კასრაძე ო., ცხოვრება სერგეი მესხისა, თბილისი, 1963.
74. კეკელიძე... 1987: კეკელიძე კ., ბარამიძე ა., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.), თბილისი, 1987.
75. კოტეტიშვილი 1967: კოტეტიშვილი ვ., რჩეული ნაწერები, თბილისი, 1967.
76. კოტეტიშვილი 1959: კოტეტიშვილი ვ., ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), თბილისი, 1959.
77. ლაო-ძე 1990: ლაო-ძე, დაო დე ძინი, თბილისი, 1990.
78. ლევი-სტროსი 2006: ლევი-სტროსი კ., რასა და ისტორია, შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, თარგმანა მზაღო დოხტურიშვილიმა, წ. II, თბილისი, 2006.

79. ლორთქიფანიძე 1997: ლორთქიფანიძე გ., ქართული კულტურის ისტორია, თბილისი, 1997.
80. ლორთქიფანიძე 1863: ლორთქიფანიძე კ., ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა, საქართველოს მოამბე, 1963, №11.
81. მაგშტადტი 2011: მაგშტადტი თ. მ., გავიგოთ პოლიტიკა - იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები, თბილისი, 2011.
82. მალაზონია 2001: მალაზონია დ., ქართული ისტორიოგრაფიული აზროვნება XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი, 2001.
83. მარკ ბლოკი 2006: მარკ ბლოკი, ისტორიის აპოლოგია, შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, წ. II, ტექსტი თარგმნეს: როზა ოდიშვილმა, ირინე ლაბაძემ, ნაილი სვანიძემ, მზია გომელაურმა, თბილისი, 2006.
84. მაქს ვებერი 1995: ვებერი მ., ხარიზმული ბატონობა, თბილისი, 1995.
85. მაქს ვებერი 2004: ვებერი, მ., ნარკვევები რელიგიის სოციოლოგიის შესახებ, მთარგმნელები: ნინო ფირცხალავა, ემზარ ჯგერენაია, რედაქტორი - ზურაბ კიკნაძე, თბილისი, 2004.
86. მეგრელიძე 1990: მეგრელიძე კ., აზრის სოციალური ფენომენოლოგია, თბილისი, 1990.
87. მენთეშაშვილი 2002: მენთეშაშვილი ი., ინგლისის ისტორია, თბილისი, 2002.
88. მენძველია 1959: მენძველია კ., თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, თბილისი, 1959.
89. მინაშვილი 2007: მინაშვილი მ., ბიბლიოგრაფია, თბილისი, 2007.
90. ნიკო ნიკოლაძე 1960ა: ნიკო ნიკოლაძე, ამხანაგობის ძალა, თხზულებანი ტ. 2, ტომი გამოსაცემად, შენიშვნები, კომენტარები და სახელთა საძიებელი დაურთო ი. ბოცვაძემ, რედაქტორი დ. გამეზარდაშვილი, თბილისი, 1960.
91. ნიკო ნიკოლაძე 1962ა: ნიკო ნიკოლაძე, ევროპის ცხოვრება, თხზულებანი ტ. 1, ტომი გამოსაცემად მოამზადა ს. ხუციშვილმა და ვ. ზამბახიძემ., რედაქტორი დ. გამეზარდაშვილი, თბილისი, 1962.
92. ნიკო ნიკოლაძე 1962ბ: ნიკო ნიკოლაძე, პ. ჟ. პრუდონი, თხზულებანი ტ. 1, ტომი გამოსაცემად მოამზადა ს. ხუციშვილმა და ვ. ზამბახიძემ., რედაქტორი დ. გამეზარდაშვილი, თბილისი, 1962.

93. ნიკო ნიკოლაძე 2006: ნიკო ნიკოლაძე, საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია, თხზულებანი ტ. 9, წინასიტყვაობა, ბიბლიოგრაფია, შენიშვნები, კომენტარები და პირთა საძიებლები დაურთეს ა. გიორგაძემ და ე. თავბერიძემ, რედაქტორი ელგუჯა თავბერიძე, მთავარი რედაქტორი დ. გამეზარდაშვილი, თბილისი, 2006.
94. პაპუაშვილი 2002: პაპუაშვილი ნ., მსოფლიო რელიგიები საქართველოში, თბილისი, 2002.
95. რატიანი 1984: რატიანი პ., რჩეული ნაწერები. თბილისი, 1984.
96. რობაქიძე 1927: რობაქიძე გ., საქართველოს ხერხემალი, თბილისი, 1927.
97. რომ. 1989: დანიელ წინასწარმეტყველი, ძველი აღთქმა, ბიბლია, თბილისი, 1989.
98. სერგეი მესხი 1962ა: სერგეი მესხი, „დროების“ კორრესპონდენცია, თხზულებანი ტ. 1, შედგენილი იოსებ ბოცვაძის მიერ, მისივე შენიშვნებით და კომენტარებით, თბილისი, 1962.
99. სერგეი მესხი 1962ბ: სერგეი მესხი, ამერიკის შკოლები, თხზულებანი ტ. 1, შედგენილი იოსებ ბოცვაძის მიერ, მისივე შენიშვნებით და კომენტარებით, თბილისი, 1962.
100. სერგეი მესხი 1962გ: სერგეი მესხი, არსენა, თხზულებანი ტ. 1, შედგენილი იოსებ ბოცვაძის მიერ, მისივე შენიშვნებით და კომენტარებით, თბილისი, 1962.
101. სერგეი მესხი 1962დ: სერგეი მესხი, თფილისი 27 აგვისტოს, თხზულებანი ტ. 1, შედგენილი იოსებ ბოცვაძის მიერ, მისივე შენიშვნებით და კომენტარებით, თბილისი, 1962.
102. სერგეი მესხი 1962ე: სერგეი მესხი, თფილისი, ივნისის 18, თხზულებანი ტ. 1, შედგენილი იოსებ ბოცვაძის მიერ, მისივე შენიშვნებით და კომენტარებით, თბილისი, 1962.
103. სერგეი მესხი 1962ვ: სერგეი მესხი, კორრესპონდენცია ქუთაისიდგან, თხზულებანი ტ. 1, შედგენილი იოსებ ბოცვაძის მიერ, მისივე შენიშვნებით და კომენტარებით, თბილისი, 1962.
104. სერგეი მესხი 1962ზ: სერგეი მესხი, მაძძინი (შემოკლებული ბიოგრაფია), თხზულებანი ტ. 1, შედგენილი იოსებ ბოცვაძის მიერ, მისივე შენიშვნებით და კომენტარებით, თბილისი, 1962.

105. სერგეი მესხი 1962თ: სერგეი მესხი, საზოგადო პურის მაღაზიები, თხზულებანი ტ. 1, შედგენილი იოსებ ბოცვაძის მიერ, მისივე შენიშვნებით და კომენტარებით, თბილისი, 1962.

106. სერგეი მესხი 1962ი: სერგეი მესხი, სასოფლო შკოლები, თხზულებანი ტ. 1, შედგენილი იოსებ ბოცვაძის მიერ, მისივე შენიშვნებით და კომენტარებით, თბილისი, 1962.

107. სერგეი მესხი 1962კ: სერგეი მესხი, შორაპნის უეზდის საზოგადო პურის მაღაზიები, თხზულებანი ტ. 1, შედგენილი იოსებ ბოცვაძის მიერ, მისივე შენიშვნებით და კომენტარებით, თბილისი, 1962.

108. სერგეი მესხი 1962ლ: სერგეი მესხი, ჩვენ კორესპონდენტებს, თხზულებანი ტ. 1, შედგენილი იოსებ ბოცვაძის მიერ, მისივე შენიშვნებით და კომენტარებით, თბილისი, 1962.

109. სერგეი მესხი 1962მ: სერგეი მესხი, ჩვენებური განათლებულები, თხზულებანი ტ. 1, შედგენილი იოსებ ბოცვაძის მიერ, მისივე შენიშვნებით და კომენტარებით, თბილისი, 1962.

110. სერგეი მესხი 1962ნ: სერგეი მესხი, ჩვენებური განათლებულები, თხზულებანი ტ. 1, შედგენილი იოსებ ბოცვაძის მიერ, მისივე შენიშვნებით და კომენტარებით, თბილისი, 1962.

111. სერგეი მესხი 1962ო: სერგეი მესხი, წიგნი ქუთაისელ მეგობართან, თხზულებანი ტ. 1, შედგენილი იოსებ ბოცვაძის მიერ, მისივე შენიშვნებით და კომენტარებით, თბილისი, 1962.

112. სიფრაშვილი 1962: სიფრაშვილი ვ., რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისა და თერგდალეულების იდეური ურთიერთობა (XIX ს. 60 წლებში), თბილისი, 1962.

113. უეარე 2006: ეპისკოპოსი კალისტე უეარი, მართლმადიდებლობის გზა, არჩევანი, თბილისი, 2006, № 2.

114. უზნაძე 1998: უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1998.

115. ფარულავა 1991: ფარულავა გ., ქრისტიანული ანთროპოლოგიის ძირითადი პრინციპები, ხელოვნება, თბილისი, 1991, №11-12.

116. ქავთარაძე 2009: ქავთარაძე გ., ილია ჭავჭავაძის იდეების ტრანსლოკაცია პოსტკოლონიურ საქართველოში, თბილისი, 2009

117. ქავთარაძე 2010: ქავთარაძე გ., ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულება დასავლური პოლიტიკური სისტემების მოდელებისადმი, კრებულში - „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა I სამეცნიერო კონფერენციის მასალები“, თბილისი, 2010.

118. ქავთარაძე 2011: სერგეი მესხის დამოკიდებულება დასავლური პოლიტიკური სისტემების მოდელებისადმი, კრებულში - „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა II სამეცნიერო კონფერენციის მასალები“, თბილისი, 2011.

119. ქიქოძე 1985: ქიქოძე გ., წერილები ესსეები ნარკვევები, თბილისი, 1985.

120. შარაძე 1990: შარაძე გ., ილია ჭავჭავაძე 1837-1907 ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება წიგნი II, თბილისი, 1990.

121. შველიძე 1993: შველიძე დ., პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, თბილისი, 1993.

122. შველიძე 2010: შველიძე დ., საქართველოს დასავლური ორიენტაცია: წარსული ეპიზოდები, თბილისი, 2010.

123. შტეკლი 1994: შტეკლი ა., შუა საუკუნეების ფილოსოფია, გერმანულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბილისი, 1994.

124. ჩიკვაიძე 2004: ჩიკვაიძე რ. დ., ნიკო ნიკოლაძე და ქართული პრესა, თბილისი, 2004.

125. ჩიკვაიძე 1996: ჩიკვაიძე რ. დ., ნიკო ნიკოლაძე, 150. საიუბილეო კრებული, თბილისი, 1996.

126. ჩიტაძე 2008: ჩიტაძე ნ., ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი, თბილისი, 2008.

127. წერეთელი 1990: წერეთელი მ., ერი და კაცობრიობა, თბილისი, 1990.

128. ჭავჭავაძე 1871: ჭავჭავაძე ი., მგზავრის წერილები, კრებული, 1871, №2 და №5.

129. ჭავჭავაძე 1886: ჭავჭავაძე ი., ლუარსაბ წამებული, ივერია, 22 იანვარი, 1888, №133.

130. ჭავჭავაძე 1887: ჭავჭავაძე ი., რა არის თავისუფლება, ივერია, 26 ივნისი, 1887.

131. ჭავჭავაძე 1888ა: ჭავჭავაძე ი., ქართველი ერი და ღვაწილი წმინდა ნინოსი, ივერია, 14 იანვარი, 1888, №9.

132. ჭავჭავაძე 1888ბ: ჭავჭავაძე ი., დავით აღმაშენებელი, ივერია, 24 იანვარი, 1888, №17.

133. ხუნდაძე 1949: მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, შემდგენელი სიმონ ხუნდაძე, რედაქტორი ლევან ასათიანი, თბილისი, 1949.

134. ჯავახიშვილი 1998: ჯავახიშვილი ი., აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია და საქართველოსა და სომხეთის ისტორიის მონაცემები, ტომი XII, რედაქტორი რ. მეტრეველი, თბილისი, 1998.

135. ჯავახიშვილი 1983: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტომი II, თბილისი, 1983.

136. ჯავახიშვილი 1977: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტომი VIII, თბილისი, 1977.

137. ჯავახიშვილი 1919: ჯავახიშვილი ივ., დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, თბილისი, 1919.

138. ჯავახიშვილი 1938: ჯავახიშვილი ივ., ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, ტფილისი, 1938.

139. ჯავახიშვილი 1977: ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.), ტომი VIII, რედაქტორი მ. ლორთქიფანიზე, თბილისი, 1977.

140. ჯავახიშვილი 1998: ჯავახიშვილი ივ., მამულიშვილობა და მეცნიერება, თხზულებანი, ტომი XII, რედაქტორი რ. მეტრეველი, თბილისი, 1998.

141. ჯანელიძე 1998: ჯანელიძე ო., ნიკო ნიკოლაძე, თბილისი, 1998.

142. ჯანელიძე 2010: ჯანელიძე ო., უკანასკნელი თერგდალეული [ნიკო ნიკოლაძე], თბილისი, 2010.

143. ჯიბლაძე 1958: ჯიბლაძე გ., კრიტიკული ეტიუდები, წ. I, თბილისი, 1958.

144. ჯიჯეიშვილი 1999: ჯიჯეიშვილი ქ., ნიკო ნიკოლაძე სახელმწიფოსა და დემოკრატიის პრობლემის შესახებ, თბილისი, 1999.

145. ჯონსი 2007: ჯონსი ს. ფ., სოციალიზმი ქართულ ფერებში, თბილისი, 2007.

146. ჯორჯაძე 1989: ჯორჯაძე ა., წერილები, თბილისი, 1989.

147. ჯუანშერი 2008: ჯუანშერი, ცხოვრებაᲘ ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ზ. სარჯველაძემ და ს. სარჯველაძემ, მთ. რედ. როინ მეტრეველი, თბილისი, 2008.

148. ჰაბერმანსი 2003: ჰაბერმანსი ი., მოქმედების კომუნიკატიური თეორიის წინასწარი მონახაზები და დამატებები, ქუთაისი, 2003.
149. ჰაბერმანსი 2003: ჰაბერმანსი ი., შემეცნება და ინტერესი, ქუთაისი, 2003.
150. ჰოფსტედე... 2011: ჰოფსტედე გ., გერტ ი., კულტურები და ორგანიზაციები, თბილისი, 2011.
151. Apologia 1876: Apologia 1, J.C. Otto, Corpus Apologetarum christianorum, I, Jena, 1876.
152. Collingwood 1946: Collingwood R. G., The Idea of History, Oxford, 1946.
153. Chrétien, de Troyes, translated in English by Laetitia Jane Gardiner, 2000.
154. El-Cheikh 2001: El-Cheikh Nadia Maria, Byzantium through the Islamic Prism from the Twelfth to the Thirteenth Century, 2001.
155. Funk F. X., Patres Apostolici I, Tubingen, 1901.
156. Goez 1958: Goez W., Translatio Imperii. Ein Beitrag zur Geschichte des Geschichtsdenkens und der Politischen im Mittelalter und in der frühen Meuzeit, Tübingen, 1958.
157. Goff 1964: Goff J. L., La civilisation de l'Occident medieval, Paris, 1964.
158. Hägermann 2003: Hägermann D., Kerl der Große, Herrscher des Abendlandes, München, 2003.
159. Harnack 1924: Harnack A., Die mission und Ausbereitung des Christentums, In den Ersten drei Jahrhunderten, wissbaden, 1924.
160. Hertling 1983: Hertling L., Geschichte der katholischen Kirche, bis 1740, Leipzig, 1983.
161. Joas... 2005: Joas H., Wiegandt K., Die kulturellen Werte Europas, Frankfurt am Main, 2005.
162. Le Goff 1964: Le Goff, J., La civilization de l'Occident médieval, Paris, 1964.
163. Ottonis episcopi Frisingensis 1912: Ottonis episcopi Frisingensis, Chronica sive Historia de duabus civitatibus, Monumenta Germaniae Historica, Scriptores rerum Germanicarum in usum scholarum separatim editi 45: Herausgegeben von Adolf Hofmeister, Hannover, 1912.
164. Roth 1927: Roth J., Die Flucht ohne Ende, München, 1927.
165. Runciman 1976: Runciman S., Byzanz, Darmstadt, 1976.
166. Thertulian 1887: Thertulian, Apologeticum, 28, Wien, 1887.

167. Bury 1996: Bury Richard de., The Philobiblon, translated in English by Ernest Chester Thomas, 1996.

168. Troyes 2000:, Troyes Chrétien de., translated in English by Laetitia Jane Gardiner, 2000.

169. Werner Goez 1958: Werner G., Translatio Imperii. Ein Beitrag zur Geschichte des Geschichtsdenkens und der politischen Theorien im Mittelalter und in der frühen Neuzeit, Tübingen, 1958.

170. Гофф 2005: Гофф Ле Жак., Цивилизация средневекового Запада, 2005.

171. Историография истории нового времени стран Европы и Америки, Под. Ред. И. П. Дементьева, Москва, 1990.

172. Карл 1986: Карл р д., Завоевание Константинополя, Переводб статья и коментарии М. А. Заборов, Москва, 1986.

173. Поснов 1964: Поснов М Э., История христианской церкви (до разделения церквей-1054 г.), Москва,1964.

174. Спасский 2006: Спасский А А., Эллинизм и христианство, Санкт-Петервург, 2006.

175. Тревельян 2002: Тревельян Д., История Англии, Смоленск, 2002.

ვებ-რესურსი:

176. www.lexilogos.com: ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული, 10.12.1948, ვებ-გვერდის მისამართი: http://www.lexilogos.com/declaration/georgien.htm.

177. www.populstat.info: POPULATION STATISTICS: historical demography of all countries, their divisions and towns („მოსახლეობის სტატისტიკა: ყველა ქვეყნის ისტორიული დემოგრაფიის მონაცემები“ - გ.ქ.), ვებ-გვერდის მისამართი: www.populstat.info.

178. www.parliament.ge: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტი, ვებ-გვერდის მისმართი: http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=23.

179. www.jstor.org: Sowjetische Geschichte in der Zeitgeschichte Europas, *Geschichte und Gesellschaft, Sonderheft*, Vol. 20, Zeitgeschichte als Problem, Nationale Traditionen und

Perspektiven der Forschung in Europa, 2004, ვებ-გვერდის მისამართი: http://www.jstor.org/stable/40195275.

180. www.msajuli.ge: „ერის სასამართლოს“ იდეა ცარიზმის საქართველოში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ვებ-გვერდის მისამართი: http://www.msajuli.ge/index.php?m=795.

181. www.mittelalter.uni-tuebingen.de: Die Vier-Reiche Lehre, 2005, ვებ-გვერდის მისამართი:

182. Huntingtion 1993: Huntingtion S. S., The Clash of Civilizations? 1993, ვებ-გვერდის მისამართი: http://edvardas.home.mruni.eu/wp-content/uploads/2008/10/huntington.pdf.